ამ თეზისის უფრო ნათლად წარმოდგენისა და მკაფიო დადასტურების მიზნით შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად, საერთაშორისო ბიზნესგარემოს კონტექსტში კულტურის ფენომენის ანალიზის მიმართ ტ. გლედვინის და ვ. თერპსტრის [Gladwin, Terpstra 1978] სისტემური მიდგომის მოდელი, რომელშიც კულტურა, როგორც რთული კომპლექსი (პოლისტრუქტურული სისტემა), განიხილება რვა ურთიერთმოქმედი და ურთიერთდამოკიდებული ბლოკის სახით. ესენია: **ენა** (სალაპარაკო ენა, დამწერლობის ენა, ოფიციალური ენა, საერთაშორისო ენები, მასინფორმის ენა); **რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები** (წმინდა სფეროები, ფილოსოფიური სისტემები, რწმენები და ნორმები, ლოცვები, ტაბუ, დღესასწაულები, რიტუალები); **ფასეულობები და მიზნები** (დროის, მიღწევების, სამუშაოს, სიმდიდრის, ცვლილებების, მეცნიერული მეთოდის, რისკების მიმართ); **სამართალი** (ჩვეულებითი-დაუწერელი, სამართალი, კოდიფიცირებული სამართალი, უცხოური სამართალი, შიგასახელმწიფოებრივი სამართალი, საერთაშორისო სამართალი, კანონქვემდებარე აქტები); **განათლება** (ფორმალური განათლება, არაფორმალური განათლება, დაწყებითი განათლება, საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება, განათლების დონე); **პოლიტიკა** (ნაციონალიზმი, სუვერენიტეტი, ძალაუფლება, ეროვნული ინტერესები, იდეოლოგია, პოლიტიკური რისკები), **ტექნოლოგია და მატერიალური კულტურა** (სატრანსპორტო სისტემა, ენერგეტიკული სისტემა, შრომის საგნები და საშუალებები, ურბანიზაცია, მეცნიერება, გამომგონებლობა); **სოციალური ორგანიზაცია** (ნათესაობა, სოციალური ინსტიტუტები, ძალაუფლების სტრუქტურები, ინტერესთა ჯგუფები, სოციალური მობილურობა, საციალური სტრატიფიკაცია, სტატუსური სისტემები).

კულტურის თეორიების განხილვის ფორმატში საინტერესოდ მიგვაჩნია, გამოვყოთ კარგად ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჯორჯ მერდოკის მიდგომა, ასახული მის ფუნდამენტურ ნაშრომში „კულტურა და საზოგადოება“, რომელიც მან 1965 წელს გამოაქვეყნა. ეყრდნობოდა რა დისციპლინათშორის გამოკვლევებს, ავტორმა გამოყო კულტურის შვიდი ფუნდამენტური მახასიათებელი [Murdock 1965]. ცხადია, რომ ფუნდამენტური, უნივერსალური მახასიათებლების როლი დიდია კულტურის არსის ადეკვატურ გაგებაში და სხვადასხვა კროსკულტურული პრობლემების გადაჭრაში. ეს მახასიათებლებია შემდეგი: 1. კულტურა გადაეცემა სწავლების საშუალებით (რაც ნიშნავს იმას, რომ კულტურა არ მიეცემა ადამიანს დაბადებით, არ გადაეცემა ადამიანს ბიოლოგიურად, თუმცა სწავლების პრინციპები ძირითადში მსგავსია სხვადასხვა კულტურებში); 2. კულტურა შეითვისება აღზრდით; 3. კულტურა არის სოციალური; 4. კულტურა არის იდეაციონური (კულტურის შემადგენელი ჯგუფური ჩვეულებები უდიდეს ნაწილში წარმოდგენილ არიან როგორც იდეალური ნორმები ან პატერნები – ნიმუშები); 5. კულტურა უზრუნველყოფს დაკმაყოფილებას (კულტურა აუცილებლობით უზრუნველყოფს ბაზისური ბიოლოგიური და მათ საფუძველზე აღმოცენებული მეორადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას); 6. კულტურა არის ადაპტური (იგი განიცდის ადაპტაციას გარემოს მიმართ, ამასთან ჯ. მერდოკი გამოყოფს ადაპტაციის გეოგრაფიულ, სოციო-კულტურულ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გარემოს); 7. კულტურა არის ინტეგრაციული (ყოველი კულტურის ელემენტებს აქვთ ტენდენცია შექმნან ურთიერთშეთანხმებული ინტეგრირებული მთლიანობა, რაც გამოკვეთილად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ კულტურა არ არის მკაცრად გაწონასწორებული და ინტეგრირებული სისტემა).

საინტერესოდ მიგვაჩნია ასევე, გამოვყოთ რამოდენიმე ცნობილი მოსაზრება კულტურის ცნების შესახებ. მაგალითად, ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი გირტ ჰოფსტედე განმარტავს კულტურას, როგორც ტვინის კოლექტიურ მენტალურ დაპროგრამირებულებას, ჩვენ მიერ სამყაროს აღქმის წინასწარ განსაზღვრულობის ნაწილს, რაც საერთოა ჩვენი ერის, რეგიონის ან ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან [Hofstede&Hofstede 2005]. არსობრივად კულტურა ავტორის მიერ განიხილება ფასეულობების

და ნორმების პრიზმაში მათი მთლიანი ერთობლიობის სახით (ქართველ მეცნიერთა ნაწილი „ფასეულობების“ ნაცვლად გამოიყენებს „ღირებულებების“ კატეგორიას, რაც, ჩვენი აზრით, არაა პრინციპული ჩვენ მიერ განსახილველი პრობლემატიკის კონტექსტში. ეს ცნებები, გარკვეული აზრით, შეიძლება განიხილოს როგორც სინონიმები. თუმცა, პირადად ჩვენ, შინაარსობრივად უფრო მართებულად მიგვაჩნია პირველი ცნება). ასევე, ცნობილი შალომ შვარცის აზრით, კულტურა საფუძველია საზოგადოებაში ადამიანების დომინირებული რწმენების, წესების, ჩვეულებების, სიმბოლოების, ნორმების და ფასეულობების. როგორც იგი აღნიშნავს, კულტურა არის ლატენტური, ჰიპოთეტური ცვლადი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ მხოლოდ მისი კონკრეტული გამოვლენის საშუალებით და ამ თვალსაზრისით (აზუსტებს ავტორი), კულტურა არაა ლოკალიზებული ცალკეული ადამიანების გონებაში და მოქმედებებში. იგი (კულტურა), უფრო მეტად, ინდივიდის გარეთაა და დაკავშირებულია იმ წნეხთან, რომელსაც განიცდის ეს ინდივიდი, იმის გამო, რომ ცხოვრობს გარკვეულ სოციალურ სისტემაში [Шварц 2008].

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული განმარტებები საკმაოდ ადეკვატურად ახასიათებენ კულტურას, როგორც არაფორმალურ ინსტიტუტს.

რაც შეეხება უშუალოდ კულტურისა და ფასეულობების მოდელირებას და რაოდენობრივ გაზომვას, განვიხილოთ ამ მიმართებით ერთ-ერთი პირველი და მსოფლიოში აღიარებული მიდგომა, შემუშავებული გირტ ჰოფსტედეს მიერ. ჰოფსტედესეულ მოდელში გამოყოფილია კულტურის რაოდენობრივად გაზომვადი ცალკეული ბლოკები, რომლებიც ერთიანობაში სისტემურად წარმოადგენენ საზოგადოების ფასეულობებს. ამ მოდელის ბოლო ვარიანტში წარმოდგენილია შემდეგი ხუთი ბლოკი და შესაბამისი ინდექსი: ძალაუფლებრივი დისტანცია (PDI – Power distance index) ასახავს ადამიანთა მზაობას, მიიღოს საზოგადოებაში და ინსტიტუტებში ძალაუფლების იერარქიული სტრუქტურა და მისი უთანაბრო განაწილება; ინდივიდუალიზმი (კოლექტივიზმის საპირისპიროდ, IDV – Individualism vs. collectivism) წარმოგვიდგენს ადამიანების (საზოგადოების უპირატეს დამახასიათებელ მიდრეკილებებს) არჩევანს დამოუკიდებლობისა და ურთიერთ დამოკიდებულების (შესაბამისი ჯგუფების ინტერესების პრიორიტეტით) ფორმატში საქმიანობას შორის; გაურკვევლობის მიუღებლობა (აცილება, გაურკვევლობისაგან თავის დაღწევა, UAI – Uncertainty avoidance index) გვიჩვენებს ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთმინების (ტოლერანტობის) დონეს გაურკვეველი (განუსაზღვრელი) სიტუაციების მიმართ. მასკულინობა (ფემინურობა, MAS – Masculinity vs. Femininity) არის ადამიანების და მთლიანად საზოგადოების შეფასება ისეთი თვისებების მიხედვით, როგორიცაა მიზანმიმართულება, საქმის ინტერესების წინ დაყენება, სიმკაცრე და წარმატებაზე ყურადღების კონცენტრაცია. გრძელვადიანი ორიენტაცია (მოკლევადიანი ორიენტაცია, LTO – Long-term orientation vs. short term orientation) იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ორიენტირებული არიან ადამიანები და საზოგადოება გრძელვადიან, სტრატეგიულ პრაგმატულ მომავალზე, საპირისპიროდ ტრადიციული მოკლევადიანი (ოპერატიული) ორიენტაციისა (ავტორის სულ ბოლო წლების მოდელში ეს შეფასება აღნიშნულია როგორც პრაგმატიზმი – Pragmatism და დამატებულია აგრეთვე მაჩვენებელი ინდულგენცია – Indulgence, რომელიც აღნიშნავს თავშეკავებულობისა და მიმტევებლობის დონეს – რაც უფრო დაბალია ეს ინდექსი, მით უფრო დიდია საზოგადოებაზე, ადამიანების ქცევაზე ტრადიციებისა და ნორმების შემზღუდველი ზემოქმედება და პირიქით, ამ ინდიკატორის დიდი მნიშვნელობა მიუთითებს პიროვნული იმპულსური ქცევის შედარებით მაღალ დონეზე).

კულტურულ ფასეულობათა არაერთგვაროვნება არა მარტო მსოფლიოს მასშტაბით, არამედ თვით ევროპისა და ევროკავშირის ფარგლებში წარმოშობს ბუნებრივ კითხვას, როგორია კულტურული ფასეულობები საქართველოში და როგორია მათი პარამეტრების სასურველი მდგომარეობა მომავალში ევროინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით. ავიღოთ განვითარებული ქვეყნები გამოკვეთილად განსხვავებული საქმიანი კულტურებით მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და იაპონია) და საქართველო (ნახ. 1), წარმოდგენილი გ. ჰოფსტედეს მიერ შემოთავაზებულ კულტურულ განზომილებათა მოდ-




*ნახ. 1. კულტურულ ფასეულობათა განლაგება: გერმანია, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო (მიმდინარე არსებული მდგომარეობის შეფასება)*

ელის [http://geert-hofstede.com] საფუძველზე (საქართველოსთვის პარამეტრები შეფასებულია ექსპერტულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მოდულის „ევროკავშირის ბიზნესგარემო“ და „კროსკულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ დისციპლინების ლექცია-სემინარების ფარგლებში დამამთავრებელი მეოთხე კურსის სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე). მიმდინარე მდგომარეობით ("As is") საქართველოში საკმაოდ დაბალია (გერმანიასთან და იაპონიასთან შედარებით) გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატულობის) მაჩვენებელი. შესამჩნევად დაბალია ასევე ინდივიდუალიზმის დონეც (თუმცა ახლოსაა ამ პარამეტრით იაპონიასთან). ხოლო ძალაუფლებრივი დისტანციით, არის რა იაპონიის მაჩვენებლისაგან თითქმის შეუმჩნევლად განსხვავებული, საქართველო მნიშვნელონადაა დაცილებული (საგრძნობლად მეტია) გერმანიის და ამერიკის შეერთებული შტატების დონისგან.

რაც შეეხება საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობას ("As should be"), იმავე ექსპერტული შეფასებებით გამოიკვეთება ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის. ესაა ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც აქტუალური პრაგმატიზმის გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება (ნახ 2.).

ცნობილია, რომ კულტურის თვისებრივი მაჩვენებლები და თვით ფასეულობები დროის განმავლობაში იცვლებიან ნელა, ზოგჯერ თაობების შეცვლის თანაზომად პერიოდში, რაც ანიჭებს მათ გრძელვადიან ხასიათს [ბედიანაშვილი 2014].

ამასთან ერთად, ცხადია ისიც, რომ ფასეულობითი ორიენტაციების კონკრეტული გამოვლენა და ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება ხდება უწყვეტად მიმდინარე პროცესში (აღნიშნული ჰიპოთეზის სტატისტიკური დასაბუთების შესახებ მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების მაგალითზე იხ.: [Инглхарт, Вельцель 2011]).

ამდენად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სპეციფიკიდან [Bedianashvili 1995] გამომდინარე, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ (საქმიანი კულტურის მაჩვენებლების, ასევე ფასეულობების) სისტემატურ მონიტორინგს, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ თავისებურებათა გამოვლენას, შეფასებას, გათვალისწინებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რეგულირებას და საზოგადოებისათვის მისაღები ფორმებით მიზანმიმართულ კორექტირებას (ტრანსფორმაციას).




*ნახ. 2. კულტურულ ფასეულობათა განლაგება: გერმანია, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო (სასურველი მდგომარეობის შეფასება)*

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბედიანაშვილი, გ. (2015). ევროკავშირის ბიზნეს-გარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები: მაკროსისტემური ასპექტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრ. კრებული. ტომი 12, თბილისი, გვ. 82-95.
2. ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. (2009). ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი). თბილისი: სიახლე.
3. Беридзе, Т. (2007). Национальная экономическая модель: альтернатива глобализации? Журнал социально-политических и экономических исследований. Том 1 (3). CA&CC Press. Швеция.
4. Harrison, A. (2014). Business Environment in a Global Context. Oxford University Press.
5. Hofstede, G. (1980). Culture's Consequences: International Differences in Work-Related Values. – Beverly Hills, CA: Sage Publications.
6. Triandis, H. (1994). Culture and Social Behavior. – N.Y.: McGraw-Hill.
7. Шварц, Ш. (2008). Культурные ценностные ориентации: природа и следствия национальных различий. Психология. Журнал Высшей школы экономики. Т. 5, №2. С.37-67.
8. Инглхарт, Р. Вельцель, К. (2011). Модернизация, культурные изменения и демократия. Последовательность человеческого развития. М.: Новое, издательство.
9. Культура имеет значение. Каким образом ценности способствуют общественному прогрессу (2002). Под редакции Л. Харрисона и С. Хантингтона. М.
10. Hall, E., Hall, M. (1990). Understanding Cultural Differences. – Yarmouth ME: Intercultural press.
11. Тромпенаарс, Ф., Хампден-Тернер, Ч. (2004). Национально-культурные различия в контексте глобального бизнеса. Минск.
12. Ясин, Е. (2008). Исследование культурных ценностей - общее дело социальных наук. Психология. Журнал Высшей школы экономики. Т. 5, №2. С.25-36.
13. Аузан, А. и др. (2011) Культурные факторы модернизации. М., Санкт-Петербург.
14. ჯამაგიძე, ლ., პაპაჩაშვილი, ნ., შაბურიშვილი, შ., სიხარულიძე, დ. (2011). საერთაშორისო ბიზნესის სოციო-კულტურული გარემო საქართველოში. თბილისი.
15. სუმბაძე, ნ. (2012) თაობები და ღირებულებები. თბილისი.
16. ვეშაპიძე, შ. (2012). კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. თბილისი.
17. ბედიანაშვილი, გ. (2014). კულტურა როგორც ინსტიტუტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ბიზნესის

კონტექსტში. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №6, თბილისი.
18. ბარათაშვილი, ე., ზარანდია, ჯ., მარიდაშვილი, მ., ჩეჩელაშვილი, მ., მახარაშვილი, ი., ღამბაშიძე, თ. (2016). შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია. თბილისი.
19. Тамбовцев, В. (2014). Экономическая теория неформальных институтов. М.:РГ-Пресс.
20. North, D.C. (1994). Economic Performance through Time //American Economic Review. Vol. 84. No. 3. P. 361.
21. Gladwin, T. N. and Terpstra V. (1978). Introduction In Cultural environment of international business / Ed. by V. Terpstra, Cincinnati: South-western, p. xiv.
22. Murdock, G. P. (1965). Culture and Society. University of Pittsburgh Press.
23. Hofstede, G. & Hofstede, G.J. (2005). Cultures and Organizations. Software of the Mind (2nd edn). New York: McGraw-Hill.
24. http://geert-hofstede.com.
25. Bedianashvili, G. (1995). State, Power Structure and Social-Economic Reforming of Society. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba.

# The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.002

**Givi Bedianashvili**
Doctor of Economic Sciences,
Professor European Teaching University;
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Visiting Professor
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia

**Key words:**
GLOBALIZATION, EUROPEAN INTEGRATION, CULTURAL POTENTIAL

## Summary

Based on the characteristics of the global business environment, discusses the importance of the cultural factor for social and economic development of Georgia in the process of European integration today. Given the informal institutional nature of the culture, it justified its multidimensionality. Using G. Hofstede's model, on the basis of expert measurements are shown for Georgia the status quo of cultural values and the direction of the desirable change.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# ევროპული ინტეგრაცია და კონკურენციის ინსტიტუციური ასპექტები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.003

**გივი ბედიანაშვილი**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**შალვა გოგიაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**სოლომონ პავლიაშვილი**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი

**საკვანძო სიტყვები:**
კონკურენცია, კონკურენციის პოლიტიკა, კონკურენციის ინსტიტუციური საფუძვლები

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ტიპის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ საქმიანობაში კონკურენციის უზრუნველყოფას. საქართველოსთვის კი ეს საკითხი განსაკუთრებული ხდება მისი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შემდეგ. ბუნებრივია, რომ იგულისხმება ქვეყნისთვის როგორც შიგა კონკურენციის ცალკეული მექანიზმების სრულყოფა, ასევე კონკურენციის ინსტიტუციური გარემოს სისტემურობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პრობლემატიკის უშუალო განხილვამდე საინტერესოდ მიგვაჩნია, გავაანალიზოთ საქართველოში კონკურენციული მექანიზმისა და კონკურენციის პოლიტიკის თანდათანობითი სრულყოფის დინამიკა, რასაც წარმოგვიდგენს მათი განვითარების ქრონოლოგია უშუალოდ საქართველოში [გოგიაშვილი 2009, 2013; Gogiashvili 2015; პავლიაშვილი 2012, 2013, 2015] და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში [Atterhög 2005; Draft Summary of the Discussion of the Round Table on Competition and Regulation in the Legal 2007; Kee, Hoekman.2007; Lalive, Schmutzler 2007; Motta, 2004; Symeonidis, 2008; Trujillo, Serebrisky 2004; Shepotylo, Vakhitov 2012; Voigt 2009].

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში კერძო საკუთრებითი ურთიერთობების

ფორმირებისათვის დაიწყო სახელმწიფო ქონების დაჩქარებული პრივატიზების პროცესი (რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელი და ხანდახან ბოლომდე გაუაზრებელიც კი), რომელიც რამოდენიმე ეტაპად განხორციელდა საბინაო ფონდისა და საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების სხვა, მცირე ზომის ობიექტების დასაქმებულებზე უსასყიდლოდ გადაცემის მეშვეობით, საყოველთაო ვაუჩერიზაციით, იჯარა-გამოსყიდვისა და აუქციონის სხვადასხვა (მათ შორის ნულოვანი აუქციონის) მეთოდებით; ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულ იქნა ქონების პირდაპირი მიყიდვის (ზოგჯერ სიმბოლურ ფასადაც) ხერხიც. არ შევჩერდებით რა საქართველოში ჩატარებული პრივატიზების მეთოდების და შესაბამისი პროცედურებისა და შედეგების შეფასებაზე, რაც თავისთავად დამოუკიდებელი კვლევის სფეროს წარმოადგენს და უაღრესად საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველა, განსაკუთრებით კი პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზების პროცესმა (უამრავი ნაკლოვანების მიუხედავად) შეძლო მთავარი მიზნის მიღწევა – კერძო საკუთრებისა და მრავალი კერძო მესაკუთრის ფორმირება. ეს, თავის მხრივ, ავტომატურად ქმნიდა საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელ კომპონენტს – კონკურენციას. აღნიშნულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ იმ უპირველესი ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების ნუსხაში, რომლებიც საქართველოში 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ, ჯერ კიდევ საპარლამენტო საქმიანობის აღდგენამდე, სახელმწიფო საბჭომ დაჩქარებულად მიიღო უკვე 1992 წლის დასაწყისში, იყო დეკრეტი "მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის შესახებ", რომელიც 1996 წელს საკონკურენციო კანონის მიღებამდე ასრულებდა კონკურენციული ურთიერთობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტის როლს. ეს დეკრეტი, 1996 წლიდან კი კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" – განსაზღვრავდნენ ქვეყნის კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საკონკურენციო გარემოს ფორმირებისა და დაცვის მექანიზმს, უზრუნველყოფდნენ მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებას. მათ გარკვეული როლი ეკისრებოდათ პრივატიზების პროცესის განხორციელების პარალელურად ეკონომიკის დემონოპოლიზების განხორციელებაში.

ვინაიდან საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ამ სფეროში არსებული მსოფლიო გამოცდილება, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომელთა შესახებ მიუთითებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მთლიანობაში ეს კანონმდებლობა ითვლებოდა პროგრესულ კანონმდებლობად. სამწუხაროდ, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმამ კონკურენციის სფეროში უყურადღებოდ დატოვა რიგი უმნიშვნელოვანესი საკონკურენციო ნორმები და დებულებები, რამაც მიახლოების ნაცვლად ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა, ფაქტობრივად, დააშორა ევროკანონმდებლობას, რომელთან ჰარმონიზაციაც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ პრიორიტეტად და მიზნობრივ კრიტერიუმად აქვს მიჩნეული. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონს, რომელსაც ჩარჩო-კანონის როლი აკისრია საქართველოს კონკურენციულ კანონმდებლობაში როგორც იერარქიული, ისე ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით. 2005 წელს მიღებული მთავარი საკონკურენციო კანონი, სამწუხაროდ, არ არეგულირებდა საკონკურენციო სამართლის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად საკითხებს, როგორიცაა:

- დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის შემზღუდავი ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები და სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები;
- ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები;
- განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა (ბუნებრივი მონოპოლიები) კომპეტენციის სფეროები;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ბევრ ქვეყანაში თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენს ცალკე კანონის რეგულირების სფეროს მაშინ, როცა საქართველოს სა-

კონკურენციო კანონმდებლობა საერთოდ იგნორირებას უკეთებდა და დეფინიციის დონეზეც კი არ განსაზღვრავდა მას.

სხვადასხვა დარგებსა თუ სფეროებში კონკურენციული პოლიტიკის მიმართულებით არსებული ნორმატიული დოკუმენტების რეტროსპექტიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მათთვის დამახასიათებელი რამდენიმე საერთო ნაკლოვანება: ერთიანი, ყოველმხრივი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა; ნორმებისა და დებულებების დეკლარაციული ხასიათი და ამდენად, კონკრეტული ამოცანებისა და მათი რეალიზაციის უზრუნველმყოფი მექანიზმების არარსებობა.

კონკურენციული პოლიტიკის განვითარების რეტროსპექტივა აჩვენებს ამ მიმართულებით 2004-2012 წლებში სახელმწიფო ქმედებების აშკარა დეფიციტზე. სამთავრობო პროგრამების ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებდა კონკურენციის განვითარების აუცილებლობას, მაგრამ არ არსებობდა საკმარისი წარმოდგენა, თუ როგორ, რა საშუალებებით და გზებით უნდა განხორციელებულიყო ეს საქმიანობა. პრობლემას წარმოადგენდა არა კონკურენციის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში (საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ამისი აფიშირება ნონსენსი იქნებოდა), არამედ ჯანსაღი საკონკურენციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის სათანადო ხელშეწყობისა და კონკურენციის მუდმივი დაცვისათვის სათანადო ქმედითი მექანიზმის არარსებობა. სხვაგვარად, თვით ჯანსაღ კონკურენციულ ბრძოლასაც კი ხშირად მოჰყვება ეკონომიკური აგენტის ხელში ძალაუფლების თანდათანობითი კონცენტრაცია და მონოპოლიური სუბიექტის წარმოქმნა შესაბამისი შედეგებით და საბაზრო ქცევით.

ევროპელი ექსპერტების კრიტიკისა და კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მოთხოვნების საპასუხოდ ქვეყანაში წლების მანძილზე სისტემატურად მიმდინარეობდა ფსევდო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს რეკონსტრუქცია-რეორგანიზაციისა და უფლებამოსილებათა ზრდის (ცვლილებების) მიმართულებით, რასაც არცერთხელ არ მოჰყოლია სულ მცირედი პოზიტიური შედეგი და ვერც მოყვებოდა, რადგან არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში, არ ჩანდა) სურვილი და სახელმწიფო ნება მის მისაღწევად. საქართველოს მთავრობამ 2010 წლის დეკემბერში კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მიღებით თითქოს გამოხატა პოლიტიკური ნება თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საკონკურენციო კანონმდებლობის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ და იმავდროულად აღიარა, რომ კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" შემუშავებული იყო გარდამავალი პერიოდისათვის და პრაქტიკულად, საჭიროა ახალი ჩარჩო კანონის მიღება, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის, არალიბერალურსაც და სახელმწიფო შესყიდვების სფეროსაც. სტრატეგიით გათვალისწინებული ინსტიტუციონალური რეფორმის ჩარჩოებში საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებით შეიქმნა დამოუკიდებელი სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო სამომავლო დაპირებით, რომ შემდგომი მოქმედებებით მას მიენიჭებოდა სამოქმედო პროგრამაში ასახული შესაბამისი უფლებამოსილებანი და შესაძლებლობები. 2011 წლის ბოლოს ეს სააგენტო შეერწყა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და 2012 წლის დასაწყისიდან უკვე ფუნქციონირებს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომლის საკმაოდ მრავალრიცხოვან სტრუქტურაში სულ "ჩაიკარგა" კონკურენციის პრობლემატიკაზე მომუშავე თანამშრომელთა მცირერიცხოვანი კონტინგენტი; ჩვენი აზრით, ფუნქციონალურადაც შეუთავსებელია ამ ორი სააგენტოს უფლებამოსილებათა ერთი სააგენტოსათვის დაკისრება.

დიდი ხნის მოლოდინისა და პერმანენტული დაპირებების შემდეგ, 2012 წლის მაისში მიიღეს "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც თავისი შინაარსით ჩამორჩება არა მარტო საკონკურენციო ნორმებისა და დებულებების ევროპულ სტანდარტებს, არამედ კონკურენციის ყოვლისმომცველი სტრატეგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებსაც. ამასთან აუცილებელია ითქვას, რომ კანონის აღნიშნული რედაქცია ბევრად ადეკვატურია, ვიდრე 2005 წლისა, რომელიც სრულიად ამოვარდნილი იყო

ევროკავშირის კონკურენციის მოდელური კანონის ჩარჩოდან და როგორც ზემოთ ითქვა, პრაქტიკულად ვერ პასუხობდა კონკურენციის სფეროს ვერცერთ ძირითად ნორმას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალი კანონიც არაა სათანადო შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან და აქ მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით კანონის ნაკლოვანებებზე. სამწუხაროდ, კანონი არ ვრცელდება იმ ბაზრებზე, რომელთა სასაქონლო ბრუნვა არ აღემატება მშპ-ის 0,25%-ს; იგი ასევე გაუმართლებლად არ ვრცელდება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე და თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის აუცილებელ საქონელსა და მომსახურებაზე; კანონის სამოქმედო არეალის მიღმაა დარჩენილი ჰორიზონტალური შეთანხმებები, თუ მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ვერტიკალური შეთანხმებებისას კი – 40%-ს, მაშინ, როცა ევროკავშირის შესაბამისი ნორმები შეადგენენ 10%-ს და 15%-ს; კონკურენციის ლოგიკასთან შეუსაბამოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი დებულებები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე; არასწორია ისიც, რომ კანონით დაშვებულია ნებისმიერი სახის გადასახადების შემცირება და რესტრუქტურიზაცია, თუ გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა; ანალოგიური სიტუაციაა საგადასახადო დავალიანებათა გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შეჩერებისა და მათი ჩამოწერის მიმართულებით. სრულიად გაუგებარი და არალოგიკურია ის გარემოებაც, რომ კანონი არ აძლევს უფლებას კონკურენციის ორგანოს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მან მთავრობისგან დამოუკიდებლად გააანალიზოს სასაქონლო ბაზრები და მიიღოს გადაწყვეტილება კონკურენციული გარემოს აღდგენის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტო არაა პასუხისმგებელი იმ ბაზრებზე არსებულ არაკონკურენტულ მდგომარეობაზე, რომლებიც არ შედიან მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებში.

საქართველოს ხელისუფლება (პარლამენტი და მთავრობა), რომელსაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული კონკურენციის სფეროს მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად რამოდენიმე წელია, ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით და განიხილავს სხვადასხვა კანონპროექტებსა თუ რადიკალურ ცვლილებათა პროექტებს მოქმედი საკონკურენციო კანონმდებლობის სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის. მართლაც, ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების რეკომენდაციისადმი ადეკვატური რეაგირების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სამოქმედოდ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობა, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც გააფართოებს და განამტკიცებს სააგენტოს უფლებამოსილებებს, მნიშვნელოვნად სრულყოფს მის სტრუქტურას, ხელს შეუწყობს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. კერძოდ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2014 წლის მარტში განხორციელდა ცვლილებები კანონში „კონკურენციის შესახებ" და შეიქმნა ახალი სამსახური – კონკურენციის სააგენტო.

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ქვემოთ მოტანილი ღონისძიებები, რის გარეშეც კონკურენციის ახალი სამსახური ვერ იმუშავებს ჯეროვნად.

სააგენტოს საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი, მარეგულირებელი ორგანოების (კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, გაზის, წყლისა და შუქის მარეგულირებელი კომისიები) ქმედითი თანამშრომლობის გარეშე.

აუცილებელია, შემუშავდეს ბაზრის თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიები, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორია მონოპოლიების გამოვლენის მეთოდიკის შემუშავება და დახვეწა. ყოველი ასეთი დოკუმენტი უნდა პასუხობდეს კითხვას: ზღუდავს თუ არა იგი მიმწოდებლების რაოდენობას, ზღუდავს თუ არა მომხმარებლის არჩევანს.

ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს ისეთი მარეგულირებელი სააგენტო, რომელიც დაარეგულირებს კომპანიების ქცევას ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იქნება უზრუნველყოფილი და არა და არამც იგი არ უნდა გაიგივდეს როგორც დანა-

შაულის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ. დანაშაულთან ბრძოლა მთავრობის ძალოვნების პრეროგატივაა და არა მარეგულირებლის.

მოსაზრება, რომ კონკურენციული კანონმდებლობა ბიზნესის დამაბრკოლებელი მოვლენა იქნება, მცდარია. კონკურენციული კანონმდებლობის არსი ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ ქმედების დაუშვებლობას გულისხმობს. შეიძლება ეს ხდებოდეს როგორც მთავრობების, ასევე კერძო ბიზნესების მხრიდან. მაგალითად, როგორიცაა კარტელური გარიგებები. კონკურენციული კანონის მიზანია კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა მიუხედავად იმისა, ვისი მხრიდან იქნება ეს განხორციელებული. არც ერთი ნორმალური კანონმდებლობა იმ მონოპოლიურ მდგომარეობას არ კრძალავს, რომელიც შეიძლება წარმატებული სტრატეგიით მოიპოვო. უბრალოდ არის ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც გარკვეული მონიტორინგის არეალში ექცევა. „მხარეები აცნობიერებენ თავიანთი კონკურენციის კანონების გამოყენებისას საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობას პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით" (ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, მუხლი 204).

მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა დააწესოს: სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის ტოლი; ყველა სხვა შემთხვევაში, რესურსების გადანაწილების მექანიზმი ისევ არაეფექტიანი იქნება და წარმოქმნის უფრო მეტ დანაკარგს, ვიდრე ეს მონოპოლიის დროს მოხდა.

კონკურენციის სააგენტო შეიქმნა იმისთვის, რომ განხორციელდეს ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა. სააგენტოს უფლებამოსილებები იქნება: ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, თავისუფალი კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დროული და სათანადო რეაგირება.

ხელშეკრულების (TFEU – Treaty on the Functioning of the EU) 109-ე მუხლის შესაბამისად, მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, განახორციელოს ბაზრის ანალიზი იმ შესაბამისი საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე, რომლებიც ექვემდებარება სათანადო რეგულირებას. მარეგულირებელმა ორგანომ, ამ შეთანხმების შესაბამისად, უნდა განსაზღვროს, დააკისროს, შეუნარჩუნოს, შეუცვალოს ან შეუჩეროს თუ არა დაკისრებული ვალდებულება. მან ბაზრის ანალიზზე დაყრდნობით უნდა დაადგინოს, არის თუ არა შესაბამისი ბაზარი კონკურენტული.

იმ შემთხვევაში, როდესაც მარეგულირებელი ორგანო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ბაზარი არ არის კონკურენტული, მან უნდა დაადგინოს ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მომსახურების მიმწოდებლები და დააკისროს, შეუნარჩუნოს ან შეასწოროს კონკრეტული ვალდებულებები ამ შეთანხმების 107-ე მუხლის შესაბამისად.

ჩამოყალიბდა კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები: ახალი კანონით კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩოს მარეგულირებელ დებულებებში ცვლილებები განხორციელდა, რის შედეგადაც გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, სააგენტო უფლებამოსილი იქნება, დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვის სათანადო ნიშნები და თუ შექმნილი მდგომარეობა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ჩარევას საჭიროებს. ვინაიდან სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობისა და ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღება, სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დროულად წარმოებისათვის ცვლილებები მისი წარმოების მარეგლამენტირებელ დებულებებშიც განხორციელდა. კანონით უქმდება სააგენტოსათვის განცხადების ან საჩივრის წარდგენის შემთხვევაში განმცხადებლის ან მომჩივნის მიერ სააგენტოს მომსახურების საფასურის გადახდაც.

ევროკავშირის კანონმდებლობით კარტელში მონაწილე სუბიექტების მიმართ ძირითადად ფულადი ჯარიმები გამოიყენება. ხშირია შემთხვევები, როდესაც კარტელში მონაწილე სუბიექტები აღიარებენ ხოლმე თავიანთ დანა-

შაულს იმ მოტივით, რომ სახელმწიფოსთან „თანამშრომლობის" გამო სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გათავისუფლდებიან სანქციისაგან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაშიც ხდება აშშ-სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის თანამშრომლობის პროგრამის (Leniency Program) შემოღება და დანერგვა.

როგორც ცნობილია, ეს პროგრამა გულისხმობს ეკონომიკური აგენტის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ იგი ანტიკონკურენტული ქმედების მოკვლევის პროცესში ითანამშრომლებს სააგენტოსთან. თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისათვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ.

ექსპერტების აზრით, რეალურმა პრაქტიკამ უკვე გამოავლინა რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია კონკურენციის ახალი მექანიზმების ეფექტიანი ფუნციონირებისთვის. ეს პრობლემებია: კონცენტრაციათა შემთხვევების განხილვის ვადის არასაკმარისობა; ირიბი მტკიცებულებებით კარტელური გარიგებების გამოვლენის მექანიზმის არასრულყოფილება; სახელმწიფო დახმარებათა შეთანხმების პროცედურის გაუმართაობა; კონცენტრაციის ფარგლებში შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიღების არასავალდებულო ხასიათი; საკუთარი ინციატივით საქმის მოკვლევის დროს ეკონომიკური აგენტებიდან ინფორმაციის ამოღების სამართლებრივი მექანიზმების არასრულყოფილება; ეკონომიკური აგენტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მოუწოდებლობაზე ან არასრული სახით მოწოდებაზე საჯარიმო სანქციების არაეფექტიანობა; არაკეთილსინდიერი კონკურენციის დებულებათა დაცვის მექანიზმების არაქმედითობა; შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისათვის აუცილებელი პირველადი მონაცემების საქსტატიდან მიღების სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა; ეკონომიკურ აგენტთა ადგილზე შემოწმების მექანიზმების არასრულყოფილება; კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე მოქმედი ხანდაზმულობის ვადის სიმცირე.

ქვეყნის შიგნით კონკურენციის მექანიზმების სრულყოფის კონტექსტში, ეკონომკისა და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის საზოგადოების ცალკეული ცალკეული სფეროების და ინსტიტუციური გარემოს მკაფიო სისტემური წარმოდგენა, მათი სტრუქტურების დინამიკის მონიტორინგი და შესაბამისი პრობლემების სწორი გადაწყვეტა [ბედიანაშვილი 2014, 2015].

უშუალოდ ინსტიტუციური სტრუქტურის, როგორც ქვეყნისშიგა და ინსტიტუციური კონკურენციის, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველმყოფ, ჩვენი აზრით, მთავარ ფაქტორს [Bedianashvili 1995], მისი იდენტიფიცირება და მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მსოფლიოს ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ინდექსებით, მათ შორის, მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით [http://www.heritage.org/index/].

ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი მოიცავს რამოდენიმე ათეულ მაჩვენებელს, თავის მხრივ კიდევ გაერთიანებულს შემდეგ 10 ჯგუფში: 1. ბიზნესის თავისუფლება (business freedom); 2. ვაჭრობის თავისუფლება (trade freedom); 3. გადასახადების თავისუფლება (fiscal freedom); 4. თავისუფლება ხელისუფლებისაგან (government spending); 5. ფულადი თავისუფლება (monetary freedom); 6. ინვესტიციური თავისუფლება (investment freedom); 7. ფინანსური თავისუფლება (financial freedom); 8. საკუთრების უფლებათა დაცვა (property rights); 9. თავისუფლება კორუფციისაგან (freedom from corruption); 10. შრომითი ურიერთობების თავისუფლება (labor freedom). აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილია 4 გამსხვილებულ ჯგუფად: მართლწესრიგი (8; 9), ხელისუფლების შეზღუდულობა (3; 4), რეგულირების ეფექტიანობა (1; 5; 10), ბაზრის გახსნილობა (2; 6; 7). ეს მაჩვენებლები თავი მხრივ შეიძლება განვიხილოთ ქვეყნის კონკურენციული გარემოს გარკვეულ ინდიკატორებად. ყოველი აღნიშნული ინდექსი იზომება 0-დან 100-მდე სკალაში. მნიშვნელობა 100 შეესაბამება მაქსიმ-

ალურ თავისუფლებას, ხოლო 0 – მინიმალურს. ზემო აღნიშნული ათიდან ყოველი ფაქტორი შედის თანაბარი წონით ინტეგრალურ ინდიკატორში (ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსში), რომელიც წარმოადგენს მათ საშუალო არითმეტიკულს.

ინტეგრალური ინდიკატორის რაოდენობრივი მნიშვნელობების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების დონით იყოფა ხუთ შესაბამის ჯგუფად: თავისუფალი (free), დიაპაზონით 80-100; ძირითადში თავისუფალი (mostly free), დიაპაზონით 70-79.9; ზომიერად თავისუფალი (moderately free), დიაპაზონით 60-69.9; ძირითადში არათავისუფალი (mostly unfree), დიაპაზონით 50-59.9 და დესპოტური (repressed), დიაპაზონით 0-49.9.

2015 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო მიეკუთვნება ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს, რეიტინგით 23-ე ადგილზე მსოფლიოში, ხოლო ევროპის 43 ქვეყანას შორის მას უკავია მე-12 ადგილი. ინტეგრალური ინდიკატორის მნიშვნელობით (72.6) კი იგი დგას ევროპაში ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა შვედეთი (72.0), ფინეთი (72.6), ისლანდია (73.3) და ჩეხეთი (73.2). აღსანიშნავია, რომ შვეიცარია (81.0), მაგალითად, შედის რა მსოფლიოს ქვეყნებს შორის პირველ ხუთეულში, ევროპაში პირველ ადგილზეა. გასათვალისწინებელია, რომ ინდიკატორის საშუალო მსოფლიო მნიშვნელობაა 60.7 (გაიზარდა წინა წელთან შედარებით +0.4), ხოლო საშუალო რეგიონული (ევროპული) კი 66.9 (ოდნავ შემცირდა წინა წელთან შედარაებით -0.2). ამრიგად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინტეგრალური მაჩვენებლის მიხედვით საკმაოდ მაღალ დონეზეა თავის რეგიონში (ევროპაში) და მსოფლიოში.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინტეგრალური ინდიკატორის დინამიკა (ციფრობრივი მონაცემების შესახებ იხ.:[http://www.heritage.org/index/explore]) გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლი შესამჩნევად იზრდებოდა 2005-2007 წწ. და 2012-2014 წწ. პერიოდებში, რაც განპირობებულია ამ წლებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებით და განხორციელებული სამუშაოებით, როგორიცაა უფრო მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა, ანტიკორუფციული ღონისძიებები (მიმართული ძალოვანი და სასამართლო სისტემების, ასევე ფისკალური და საჯარო მომსახურების სექტორის გარდაქმნისაკენ, რამაც გამოიწვია ფისკალური ადმინისტრირების შესამჩნევი გაუმჯობესება და ქვეყნის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება), ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების ჩამოალიბება და სხვ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის მიმართებით საქართველოში წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა დაბალი დონე, თუმცა ინსტიტუტების ცალკეული ქვესისტემები ვითარდებოდნენ საკმაოდ მაღალი ტემპებით. შედარებით დაბალი პოზიცია აქვს ქვეყანას კორუფციისაგან თავისუფლების (51) და საკუთრების უფლებათა დაცვის (69) განვითარებით. ასევე გარკვეული ჩამორჩენა გვაქვს ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური თავისუფლების და ფინანსური თავისუფლების) დონით. ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე [http://www.heritage.org/index/country/georgia].

ჩამორჩენები ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური თავისუფლების და ფინანსური თავისუფლების) დონით და მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვის და კორუფციისაგან თავისუფლების) განვითარებით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ტიპის ქვეყნისთვის მართლწესრიგის ინსტიტუტის არასაკმარისი განვითარებულობა არსებითად ხელშემშლელია ევროპული ტიპის კონკურენციული გარემოს შექმნისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისთვის და მის ტერიტორიაზე ბიზნესის ნორმალური მაღალეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ცხადია, აღნიშნული ხარვეზების დაძლევა უნდა წარმოადგენდეს საქართველოსთვის სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის და ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი [Bedianashvili, Gogiashvili, Pavliashvili 2015].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atterhög, M. (2005). Increased Competition in the Swedish Housing Market and Its Effect on Rents and Quality of Housing Services for Households, Housing, Theory and Society, Vol. 22, No. 1, 32-49.
2. ბედიანაშვილი, გ. (2015). ევროკავშირის ბიზნეს-გარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები: მაკროსისტემური ასპექტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტ.12, თბილისი, გვ. 143-159.
3. ბედიანაშვილი, გ. (2014). ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი. ჟურნალი „ეკონომისტი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №5, გვ.12-21.
4. Bedianashvili, G. (1995). State, Power Structure and Socio-Economoc Reforming of Society. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba.
5. Bedianashvili, G., Gogiashvili. Sh., Pavliashvili S. (2015). European Union, Georgia and institutional environment of competition. International Collection of scientific proceedings «European Cooperation» vol. 5, No 5, p. 9-23.
6. Draft Summary of the Discussion of the Round Table on Competition and Regulation in the Legal (2007). October. OECD, Working Party No. 2 on Competition and Regulation.
7. Global Competitiveness Index (GCI), Scores, 2004-2013. http://www.weforum.org/issues/global-competitiveness
8. The Global Competitiveness Report 2014-2015. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2014-2015/
9. გოგიაშვილი, შ. (2013). საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია. ჟურნალი „ეკონომისტი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №2, გვ. 17-29.
10. გოგიაშვილი, შ. (2009). კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. "ინოვაცია", თბილისი.
11. Gogiashvili, S. (2015). Economic Policy of Competition in Georgia: Retrospective and Perspektive. E-gospodarka w Europie Srodkowej I Wschodniej, Terazniezosc I perspektywy rozwoju. Pod redakcja Romana Sobieckiego. Wydawnictwo KUL. Lublin, 136-142. http://www.kul.pl/files/384/Program–konferencji.pdf.
12. http://www.heritage.org/index/
13. http://www.heritage.org/index/explore.
14. http://www.heritage.org/index/country/georgia
15. Kee, H. L., and B. Hoekman.( 2007). Imports, Entry and Competition Law as Market Disciplines. European Economic Review 51 (4).
16. Lalive, R., and Schmutzler, A. (2007). Exploring the Effects of Competition for Railway. Markets, University of Zürich.
17. Motta, M. (2004). Competition Policy, Theory and Practice. Cambridge university Press.
18. პავლიაშვილი, ს. (2015). ევროკავშირი და კონკურენციის ინსტიტუციური შეფასება. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 12, თბილისი, გვ.67-81.
19. პავლიაშვილი, ს. (2012). ანტიმონოპოლიური რეგულირების თავისებურებანი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტომი 10, თბილისი, გვ. 52-67.
20. პავლიაშვილი, ს. (2013). საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. ტ.11, თბილისი, გვ. 42-53.
21. Symeonidis, G. (2008). The Effect of Competition on Wages and Productivity: Evidence from the UK.Review of Economics and Statistics 90 (1).
22. Trujillo, L., Serebrisky, T. (2004). An Assessment of Port Reform in Argentina: Outcomes and Challenges Ahead. World Bank.
23. Shepotylo, O., and V. Vakhitov (2012). Services Liberalization and Productivity of Manufacturing Firms: Evidence from Ukraine. Policy Research Working Paper
24. Voigt, S. (2009). The Effects of Competition Policy on Development: Cross-Country Evidence Using Four New Indicators. Journal of Development Studies 45 (8).

# European Integration and Institutional Aspects of Competition

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.003

**Givi Bedianashvili**
Doctor of Economic Sciences,
Professor European Teaching University,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Visiting Professor,
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia

**Shalva Gogiashvili**
Doctor of Economics,
Ass. Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Solomon Pavliashvili**
Doctor of Economic Sciences,
Georgian Technical University Professor,
Tbilisi Teaching University, Rector,
Vice prezident of the Academy of Economic Sciences of Georgia

**Key words:**
COMPETITION, COMPETITION POLICY, INSTITUTIONAL ENVIRONMENT OF COMPETITION

## Summary

The article deals with the theoretical and practical issues of competition in Georgia. The article analyzes the problems existing within this area in Georgia as well as the dynamics of gradual improvement of the competitive mechanism and competition policy.

The main factors, which ensure the sustainability of the community institutional structure of both the competition institutional environment and the country's overall socio-economic development, can be identified and monitored by the Economic Freedom Index. According to 2015 data, Georgia belongs mainly to the group of commonly free countries rated 23nd in the world, and in Europe it has 12th position among 43 European countries according to the Economic Freedom Index. However, there are some setbacks including the level of market openness (investment freedom and financial freedom) and development of Law and Order institutes (protection of property rights and freedom from corruption). In this respect, the impelementation of a complex of certain activities has been considered within the Georgia-EU Association Agenda, as well as in the socio-economic development strategy of Georgia (Georgia 2020).

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# ღირებულებები: საზღვრები და წინააღმდეგობები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.004

**მერაბ გველესიანი**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

**შოთა ვეშაპიძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ღირებულებები, წინააღმდეგობები, წინააღმდეგობათა კლასიფიკაცია

ღირებულებები მრავალფეროვანია და ურიცხვი, ხოლო მათი გავრცელება-შეზღუდვის მექანიზმები – სხვადასხვაგვარი. აქ ვგულისხმობთ სახელისუფლებო მეგანიზმებს, მაგრამ ღირებულებათა სუბიექტები მხოლოდ ხელისუფალნი კი არ არიან, არამედ ცალკეული ადამიანებიც, ადამიანთა ერთობებიცა და მთელი ხალხიც. სწორედ ისინი არიან ისეთი ღირებულებების ქმნადობისა და განხორციელების მთავარი მოქმედი პირები, როგორებიცაა სიყვარული, ნდობა, მეგობრობა, თანადგომა, ერთგულება და მათთანანნი.

ღირებულებათა კლასიფიკაციას ჩვენ არ შევეხებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მას აძნელებს სხვადასხვა ფაქტორი, განსაკუთრებით კი ის, რომ ღირებულებათა ფარგლების დასაზღვრა არსებითად შეუძლებელია, რადგან ისინი ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს ფარავენ კიდეც, რაც ზემოთ დასახლებულ ღირებულებათა მაგალითზე ადვილი შესამჩნევია. შევეხებით მხოლოდ ჩვენი საუბრის საგნის – სოციალურ ღირებულებათა – საზღვრებს, რათა განვასხვავოთ ისინი ეკონომიკური ღირებულებებისაგან. ამით, არსებითად, განვსაზღვრავთ კიდეც მათ არსს.

**ღირებულებები,** რომლებზეც ვსაუბრობთ, **ადამიანთა და საზოგადოებათა სოციალური ორიენტირებია.** ტერმინი "სოციალური" აქ თავისი ვიწრო მნიშვნელობითაა გამოყენებული ეკონომიკურ ღირებულებებთან შეპირისპირების მიზნით, ფართო მნიშვნელობით კი იგი მოიცავს ყოველივეს, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას მიეკუთვნება. ავიღოთ ცხოვრებისეული მაგალითი: ზოგს ოპერა ურჩევნია ესტრადას, ზოგს - პირიქით; საკვებ პროდუქტებს შორის ზოგი ბოსტნეულს აძლევს უპირატესობას და ზოგი ხორცეულს და ა.შ. ეს ორიენტირები არ არის ღირებულებითი. **ღირებულება სოციალური გაგებით არის საზოგადოებრივ მოვლენათა სიმრავლის ის საერთო ნიშანი, რომელიც ადამიანებისა და საზოგადოებებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასურველია.** ჩვენს მაგალითშიც არის შესაძლებელი ასეთი ნიშნების მოძებნა. უზოგადესი ნიშანია (ღირებულებაა) კეთილდღეობა, რომლისკენაც ისწრაფის მთელი საზოგადოებაცა და მისი ყოველი წევრიც. მა-

გრამ, როგორ წარმოუდგენიათ ცალკეულ ადამიანებს იგი? ისევ ჩვენს მაგალითს მივმართოთ: ლუარსაბები კვლავაც "კუჭის მონები არიან", მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მომღერლის ფანი მშიერი წავა მის მოსასმენად. აქ საქმე გვაქვს გაუკიდურესებულ ღირებულებით ორიენტირებთან. კანონზომიერი კი ის არის, რომ კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე პირველი რიგის მატერიალური მოთხოვნილებების ზემოთ ადამიანები თავიანთი შემოსავლის სულ უფრო დიდ ნაწილს მომსახურებაზე ხარჯავენ, მათ შორის სულ უფრო დიდ ნაწილს ახმარენ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს ნაწილები მომხმარებელს სხვადასხვა აქვთ, ანუ მათი ინდივიდუალური ღირებულებითი ორიენტირები განსხვავებულია. საზოგადოება თავისი ინსტიტუტების მეშვეობით მოვალეა, შეისწავლოს შინამეურნეობების მოხმარების სტრუქტურა და თავისთვის და თითოეული წევრის სასარგებლოდ მოახდინოს ამ ორიენტირების კორექტირება. ამ მიზნის მიღწევის საშუალებებია საინვესტიციო-დარგობრივი და საგადასახადო პოლიტიკა, რომლებითაც საზოგადოება, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოთა სახით, ზემოქმედებს მიწოდებაზე; საფასე პოლიტიკა, რომელიც მიწოდებაზეცაა მიმართული და მოთხოვნაზეც და ა.შ.

სოციალური ნიშანი „აზის" არა მხოლოდ მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა შორის არჩევანს. იგი ატყვია არჩევანსაც სულიერ სიკეთეთა იმ დიდ ბლოკებს შორის, რომელთაგან ზოგის მოხმარებას მეტი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის, ზოგისას ნაკლები, ხოლო ზოგი სულიერების დეგრადირებას იწვევს ანუ სიკეთე კი არაა, არამედ - ბოროტებაა, ღირებულება კი არაა, არამედ - მისი ანტიპოდია, რომელიც სამეცნიერო ენაში შეიძლება შევიდეს როგორც უარყოფითი ღირებულება. თუ მთავრობა ზრუნავს ადამიანთა საღ სულიერ განვითარებაზე, კერძოდ კი მათში მაღალი გემოვნებისა და მაღალი ღირებულებითი ორიენტირების გამომუშავებაზე, იგი უნდა ასტიმულირებდეს ამ მოთხოვნათა შესატყვისი სულიერი პროდუქტების (ლიტერატურისა და ხელოვნების შესატყვისი ნიმუშების) მიწოდებასა და მოხმარებას ზემოთ უკვე ხსენებული თუ სხვა ინსტრუმენტების მომარჯვებით. ამისათვის საჭიროა, ვეძიოთ შესაბამისი გამოცდილება როგორც აწმყოში, ისე წარსულში (მათ შორის არც საბჭოური გამოცდილება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან იმ შენიშვნით, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მაშინ მაღალი ღირებულების მატარებლად ითვლებოდა ის პროდუქტები, რომლებიც კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდა).

სიკეთე და ბოროტება, რომლებიც აქ ვახსენეთ, ისეთი ზოგადი ცნებებია, რომლებიც ესადაგება ღირებულებების მთელ სისტემას და სწვდება თითოეულ მათგანს, ამიტომ ამ ორი ცნების კუთხით ღირებულებათა განხილვა ბევრ რამეს გვეუბნება მათ რაობასა და თავისებურებებზე. ღირებულებები თავისთავად სიკეთეს უნდა წარმოადგენდნენ და ჭეშმარიტი ღირებულებები წარმოადგენენ კიდეც მათ, მაგრამ სიკეთე ყოველთვის ბოროტებასთან შეპირისპირებაში მოიაზრება და ცალკეული ადამიანებისა თუ მათი ერთობების ქცევის ღირებულებით ორიენტირებს სიკეთის ნაცვლად მართლაც მოაქვთ საზოგადოებისთვის ზიანი ანუ ბოროტება. აქ ჩვენთვის სახელმძღვანელოა დიდი ილიას საოცრად ღრმა და მარტივად თქმული სიტყვები: "კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა.... და რადგან ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისთვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისთვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? ... მაგ. "რატომს" ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა" [ჭავჭავაძე, 1955: 327-328]. "გულდაჯერებული პასუხი" მაგ "რატომზე" არც დღეს გვაქვს და იქნებ ვერც ვერასდროს გვექნეს. მაგრამ, ციტატიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ბევრ რამეზე: იდეალურ და რეალურ, ობიექტურსა (ჭეშმარიტსა) და სუბიექტურ ღირებულებებზე, საზოგადოებისა და ინდივიდუალურ ღირებულებებზე, ღირებულებათა საზომის ფარდობითობაზე, ღირებულებათა წინააღმდეგობებსა და ბრძოლებზე და ა.შ.

პასუხი არა გვაქვს უპირველესად იმიტომ, რომ სოციალური ღირებულებები სწორედ რომ ადამიანის გულის ხმის გამოვლინებაა და რომ გააბსოლუტებული სახით მათ მხოლოდ პლატონისეულ იდეათა სამყაროში თუ წარმოვიდგენთ, სადაც უმაღლესი ღირებულებაა სიკეთე. სიტყვა "სიკეთე" ბევრ რამეზე ითქმის ქართულშიცა და

სხვა ენებშიც – ითქმის იგი ადამინზეც, სასარგებლო ადამიანისეულ ქცევაზეც და ა.შ. და ითქმის იგი ყოველ ჭეშმარიტ ღირებულებაზე, რომელიც ადამიანთა ქცევის ორიენტირი უნდა იყოს. ამ აზრით ღირებულება ის კი არ არის, რაც ადამიანებს მოსწონთ და უნდათ, არამედ ის, რაც მათ უნდა უნდოდეთ და რასაც ისინი უნდა ესწრაფოდნენ, როგორც სრულყოფილებას პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ცხოვრებას თავისი წინააღმდეგობები აქვს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ადამიანებს ძალუძთ მხოლოდ იმ ღირებულებების სრული თუ არასრული გაცნობიერება, რომელი ღირებულებებიც ამ ეტაპზეა სასარგებლო საზოგადოებისათვის. რამდენადაც ისინი სასარგებლოა ადამიანთა მთელი ერთობისათვის, – რამდენადაც მათ შეუძლიათ, წინ წასწიონ მთელი ერთობა (ან, მთელი კაცობრიობა), – იმდენად ატარებენ ისინი საყოველთაობის ნიშანს და არა იმ მიზეზით, დაიმსახურებენ ისინი საყოველთაო მოწონებას თუ ვერა. ან რამდენი ადამიანის მოწონებასა და აღიარებას დაიმსახურებენ: ბევრი და ცოტა აქ არაფერს ნიშნავს. შესაძლოა, ღირებულებათა ჩანაცვლება მოუმწიფებელი, ნაადრევი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში კონსერვატიული აზრის გამარჯვებაა სასარგებლო. ზუსტია ამდაგვარი სიტუაციების ილიასეული შეფასება: "ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის." ზუსტადაა ჩასმული წინადადებაში სიტყვა "გულწრფელიც", ვინაიდან გულწრფელი აზრი ყოველთვის არ არის სწორი.

ამრიგად, თითოეულ ადამიანს, სიკეთითა და ბოროტებით დაწყებული ყოველი ღირებულების თავისი საზომი აქვს და ეს ინდივიდუალური საზომიც მუდამ ცვალებადობს. საზომიცა და მისი ცვალებადობაც ბევრ რამეზეა დამოკიდებული, პირველ რიგში - ადამიანის ბუნებასა (ხასიათსა) და განწყობაზე, მის ფიზიოლოგიურსა და სოციალურ მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის ცვალებადობაზე.

ახლა ვიკითხოთ, ჩაითვლება თუ არა ბოროტებად კონფლიქტები ოჯახის წევრებს, ორგანიზაციის თანამშრომლებს, მეგობრებსა თუ სხვათა და სხვათა შორის? სწორი პასუხია – გააჩნია შემთხვევას. მეცნიერებამ გაარკვია, რომ უკონფლიქტო საზოგადოება კარგავს განვითარებისკენ სწრაფვას, ხოლო ფილოსოფიამ კიდევ უფრო ადრე გაარკვია, რომ განვითარებას წინააღმდეგობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი მართავს.

**ღირებულებათა წინააღმდეგობებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მსხვილი ბლოკი,** მათ შორის:

- პირველი: **წინააღმდეგობები ცალკეული ან ერთგვაროვანი, ერთიმეორის გადამფარავი ღირებულებების** (ისეთების, როგორებიცაა სიყვარული და მეგობრობა და მათთანანი) **ჯგუფის "საკუთარ თავში".** მაგალითად, დემოკრატია, თავისთავად, უმრავლესობის (ხალხის) ძალაუფლებას ნიშნავს და დაუცველს ტოვებს უმცირესობებს და ერთეულებს, განურჩევლად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებები და მათი აზრები. ამიტომ ხდება დემოკრატიის შევსება – უმცირესობის დაცვის მექანიზმებით, რომლებიც ჩვენს წარმოსახვაში დემოკრატიის ნაწილად ასოცირდება, სინამდვილეში კი მისთვის გარედან მიმატებული, უცხო ელემენტია. ასევე, საბაზრო ეკონომიკას აქვს მრავალი ნაკლი, რომელთა გამო მისი შევსება, მეტი თუ ნაკლები წარმატებით, ხდება ისეთი კომპონენტებით, როგორებიცაა სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკის ანტიმონოპოლისტური და ანტიციკლური რეგულირება და ა.შ. როგორც ერთის, ისე მეორის შემავსებელი მექანიზმები შემოაქვს სახელმწიფოს თავისი მმართველობითი გამოცდილებისა და მეცნიერთა კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე, რომლებიც ასევე ემყარება ღირებულებით ორიენტირებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფოს ობიექტური, მით უფრო – უნაკლო, ღირებულებები შემოჰქონდეს;
- მეორე: **წინააღმდეგობები ცალკეულ ღირებულებებს შორის.** ისეთი მაღალი მაკროეკონომიკური ღირებულებები ავიღოთ, როგორებიცაა სრული დასაქმება და სტაბილურობა: როცა სრულ დასაქმებას ვუახლოვდებით, ფასები ზრდას აჩქარებენ და ეკონომიკური კრიზისის ალბათობაც იზრდება. არანაკლებ მძაფრი წინააღმდეგობებია ინდივიდუალურ ღირებულებათა ორიენტირებს შორის, როდესაც არჩევანში შევდივართ. ვთქვათ, მოყვასის კეთილდღეობისთვის გავიღოთ მსხვერპლი თუ საკუ-

თარი საჭიროებები ვარჩიოთ. დემეტრე თავდადებულმა რომ სიცოცხლე დათმო თავისი ხალხის უსაფრთხოებისათვის (მაშასადამე, კეთილდღეობისათვისაც), ეს იმაზე მეტყველებს, როგორ შეადარა მან ეს ორი ღირებულება და რომლის მხარეზე გადასწია სასწორის პინა. ბევრი სხვა სხვაგვარად მოიქცეოდა. მსგავსი გადაწყვეტილებების სხვადასხვაობა ღირებულებათა ინდივიდუალური შეფასებების სხვაობაზეც მეტყველებს და მათ წინააღმდეგობებზეც;

- მესამე: **წინააღმდეგობები ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის.** ეს წინააღმდეგობები თავის დიდ ნაწილში ღირებულებათაშორისი წინააღმდეგობების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ. განვავრცოთ მათზე ზემოთ უკვე აღნიშნული პროცესები: შრომისუნარიანი ადამიანები მათთვის ხელსაყრელ დასაქმებას ესწრაფიან, სრული დასაქმების დროს მათი არჩევანის შესაძლებლობები იზრდება, შედეგად იზრდება ხელფასი, მასთან ერთად ფასებიც და იზრდება კრიზისის ალბათობაც. რაც შეეხება ცალკეული ღირებულებების შემთხვევას, ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფო კანონმდებლობაში ასახული საზოგადოებრივი ღირებულებები და მათი დარღვევები ადამიანების მიერ;
- მეოთხე: **წინააღმდეგობები დროთა (ეპოქათა) შესაყარზე ანუ ტრადიციულ და ახალ ღირებულებათა შორის.** ის, რასაც ჩვენ ღირებულებებს ვუწოდებთ, თავდაპირველად მაინც ადამიანთა შეთანხმებით, მათ აზრთა შეჯერებითა და სხვა ადამიანებზე ამ ღირებულებათა გავრცელებით (ან – მათ მიერ ამ აზრთა გაზიარებით) ყალიბდება; მაგრამ მათი პირველწყარო ცალკეული ადამიანების დამოკიდებულებაა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მიმართ. ახალი დამოკიდებულება გზას იკაფავს ძველთან ბრძოლის გზით და თუ მოუმწიფებელია ან საერთოდ მიუღებელი, ადრე თუ გვიან მარცხდება, ხოლო მომწიფებული – ასევე ადრე თუ გვიან - ავიწროებს ან სულაც ცვლის ძველს. გვიან - იმიტომ, რომ საზოგადოებრივ აზრში ფესვგამდგარი დამოკიდებულების შევიწროება - შეცვლა იოლი არ არის;
- და, ბოლოს, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მეხუთე: **წინააღმდეგობები სივრცეში ანუ ადამიანთა დიდი ტერიტორიული ერთობების - ხალხების (ერების) - ღირებულებებს შორის.** წინააღმდეგობათა ეს კლასი თავისებურად იმეორებს წინა ოთხს (და ეს აღნიშნული ოთხის მიმიხილვის მიზანი იყო კიდეც), მაგრამ მაინც ცალკე კლასს წარმოადგენს, რადგან საქმე გვაქვს მათ(წინააღმდეგობათა) უფრო მაღალ დონესთან. ამ დონეზე ან ერთი ხალხი (შესაძლოა მისი მთავრობა) ესწრაფვის სხვა ხალხის ღირებულებათა გაზიარება-განხორციელებას და აწყდება თავისი თანამემამულეების - შესაძლოა აგრეთვე თავისი მთავრობის - კონსერვატიულ განწყობებს, ან ეს სხვა ხალხი ცდილობს განავრცოს მასზე საკუთარი ღირებულებები. – და ამ შემთხვევაში იგი შესაძლოა წააწყდეს დაბრკოლებებს უწინარესად ობიექტური და სუბიექტური პირობების მოუმწიფებლობას ან, საერთოდ არარსებობასთან დაკავშირებით. განვრცობა ისტორიულად ხდებოდა დამპყრობლის მიერ დაპყრობილის დამორჩილების მიზნით, რადგან როცა დაპყრობილს სარწმუნოებასა და ენას ართმევ, იგი უფრო ადვილად სამართავი ხდება.

თანამედროვე ცივილიზაციაში საკუთარი ეროვნული ღირებულებების სხვებზე განვრცობა შეიძლება ხდებოდეს კეთილი მიზნებით – როცა ერთ ხალხს თავისი ღირებულებები გულწრფელად მიაჩნია ჭეშმარიტად (ან უფრო მოწინავედ მაინც). მაგრამ იგი შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე ადამიანთა და მთელი ერებისთვის დამახასიათებელი იმ ბუნებრივი სწრაფვით, რომ დაიმსგავსონ სხვა. ორივე შემთხვევაში დიდი დაფიქრებაა საჭირო, რადგან ღირებულებათა სივრცობრივი გავრცელება შეიძლება წააწყდეს სულ სხვა ეროვნულ ნიადაგს, რომელზეც უცხო ნერგი ვერ გაიხარებს ან გაიხარებს და, კარგა ხნით, სასურველ ნაყოფს ვერ მოგვცემს.

პრობლემა რთულია და დიდ დაფიქრებას ითხოვს. სიფრთხილეს მწარე გამოცდილებაც გვკარნახობს: საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ყველაზე ღირებული პროდუქტი საბაზრო კონკურენტული მექანიზმია და არა - კერძო საკუთრება, რომელზე გადასვლაც ჩვენთან განხორციელებული რეფორმის ძირ-

ითად მიმართულებად იქცა. კერძო საკუთრების ინსტიტუტს გონივრული ჩამოყალიბება სჭირდება, რათა მან შექმნას საბაზრო მექანიზმის ამუშავების ერთი (მხოლოდ ერთი) წინაპირობა, ჩვენთან კი რეფორმატორებმა იგი პანაცეად მიიჩნიეს. ხოლო შედეგად რა მივიღეთ? ძირითადად – მონოპოლისტურ-კლანური სტრუქტურები, რომლებიც საბაზრო მექანიზმის მოქმედებას ხელს უშლიან. ანუ კონკურენტული სისტემის ჩამოყალიბებამდე ჩვენ დღეს სულაც არა ვართ უფრო ახლოს, ვიდრე საბჭოთა ხანაში ვიყავით, ვინაიდან სადღეისოდ გაჩენილი გახევებული მონოპოლიური სტრუქტურების დემონტაჟი, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებელი ჩანს და ამ ამოცანას არც არავინ აყენებს დღის წესრიგში. პრობლემაა ჩვენს კერძო მესაკუთრეთა ქცევის ორიენტაციაც საღ კერძომესაკუთრულ ღირებულებებზე (ისინი ძირითადად მესაკუთრეთა იმ თაობას ეკუთვნიან, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენეს ეროვნულ სიმდიდრეს ფაბრიკა-ქარხნების ჯართად გაყიდვით, ხე-ტყის ხერხვა-გაყიდვითა და ა.შ. ანუ არ ეკუთვნიან ფხიან, რაციონალურად მოქმედ მესაკუთრეებს).

ჩვენი მოხსენება ძირითადად შეეხო კრიტერიუმებს, რომლებითაც დგინდება ღირებულებათა რაობა, მათი საზღვრები და მათთვის ნიშანდობლივ წინააღმდეგობათა კლასიფიკაცია. მათ მიგვიყვანეს იმ წინააღმდეგობებამდე, რომლებიც ახლავან ღირებულებათა გავრცელებას სხვადასხვა ხალხებს შორის. ხოლო თუ როგორ დავძლიოთ წინააღმდეგობები პროგრესულ ღირებულებათა გაზიარებისა და განხორციელების გზაზე, ცალკე საუბრის საგანია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე, ი. (1955). თხზ. სრული კრებული 10 ტომად. ტ. V. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი.

# Values: Limits and Contradictions

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.004

**Merab Gvelesiani**
Doctor of Economic Sciences,
Georgian Technical University Professor emeritus

**Shota Veshapidze**
Doctor of Economic Sciences,
Professor, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

**Key words:**
VALUES, LIMITS, CLASSIFICATION

## Summary

Speakers noted the difficulties and values within their borders and classification, which determines their mutual transitions.

As the values of human societies and social behavior guidelines to create another level of compared economic values. The report identified five contradictions of social values, the fifth of which – the contradiction between the values of different nations – covers four others.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# ევროპული ღირებულებები: რა განვახორციელოთ საქართველოში და როგორ განვახორციელოთ

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.005

**მერაბ გველესიანი**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

**შოთა ვეშაპიძე**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ღირებულებები, ილია ჭავჭავაძე, ეროვნული ღირებულებები

ყოველი ერის თვითმყოფადობა მის ღირებულებებს ეფუძნება – მათი განხორციელებით მიიღწევა და აისახება კიდეც მათში, რამდენადაც ღირებულებები ერის კულტურის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენენ. ხოლო, თუ ერი საკუთარ, სხვათაგან განსხვავებულ ღირებულებით ორიენტირებს კარგავს, ამით იგი კარგავს საკუთარ სახეს.

გლობალიზაციის ეპოქა სულ უფრო მძაფრად აჩენს "ოქროს მილიარდის" ქვეყნების ღირებულებათა მიმზიდველობას. ხომ არ უქმნის ეს საფრთხეს იმ ერების თვითმყოფადობას, რომლებიც მათ ღირებულებებს იზიარებენ და ანხორციელებენ? კულტურულად ჩამორჩენილ ერებს ეს საფრთხე ადრე თუ გვიან უთუოდ გაუჩნდებათ. ისეთი კულტურული ერისთვის კი, როგორიც ქართველობაა, კანონზომიერი ის იქნება, თუ მისი ეროვნული კულტურა შეიწოვს პროგრესულ უცხოურ ღირებულებებს და ამით კიდევ უფრო აამაღლებს და გაამდიდრებს თავისას. ისტორიული გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ დამპყრობელთა შედარებით დაბალი კულტურისგანაც კი ქართველი ერი ახერხებდა აელო რაციონალური მარცვლები, თუმცა მთლიანობაში, ძნელბედობას დიდი ზარალი მოჰქონდა მისი სულიერებისთვის.

"ოქროს მილიარდის" ღირებულებებისკენ სწრაფვა დღეს ბუნებრივია და უფრო მეტი სიკეთის მომტანიც, ვიდრე წარსულში მოუტანია ჩვენთვის უცხოურ ღირებულებათა გაზიარებას. ოღონდ გააჩნია, რა მიზეზებითა და ფორმებით ჩნდება იგი: იმ მიზეზებით, რომ სრულვყოთ საკუთარი ღირებულებები და საკუთარი თავი, თუ უბრალო წამბაძველობითა და იქაური ცხოვრებისგან თვალის მოჭრით ანუ სიბრმავით; რა ფორმით წარმოგვიდგენია მათი გაზიარება – ბრმადვე გადმოღებას ვაპირებთ თუ ჩვენს ფესვებზე აღმოცენებულ ღირებულებებთან მათ მისადაგებას.

ამრიგად, პრინციპი იმისა, რომელი უცხოური ღირებულებების განხორციელება დავისახოთ მიზნად, შემდეგია: **უნდა შევეცადოთ ნებისმიერი პროგრესული ღირებულების განხორციელებას, რომელიც კი თავსებადი**

**იქნება ჩვენი კულტურისადმი იმის მიუხედავად, რომელი ქვეყნისა და ხალხისაგან მომდინარეობს იგი.** აქ დავაკონკრეტოთ ამოცანა ჩვენი თემის მიხედვით: გავარკვიოთ, **რატომ არის ქართული კულტურის "სულთან" შედარებით ახლოს ევროპული ღირებულებები, ვიდრე სხვა რეგიონების და ქვეყნებისა, მათ შორის – უმდიდრესი აშშ-სი.**

ზოგადი შედარებაც გვიჩვენებს, რომ დასავლეთევროპული ღირებულებები უფრო ღრმა ტრადიციულ ძირებზეა მოსული, უფრო ჰუმანურია და შემწყნარებლური, ვიდრე ამერიკული ღირებულებები. ამდენად, ისინი უფროა თავსებადი ქართველობის ბუნებასთან.

ჭეშმარიტ ღირებულებათა მწვერვალზე თვით ადამიანი დგას. იგია, მისი სიცოცხლე, მისი თავისუფლება და მისი კეთილდღეობა უმაღლესი ღირებულება. აშშ-შიც ამ მწვერვალზე დგას იგი, ოღონდ სახელმწიფო პოლიტიკა არჩევანს მაინც აკეთებს უპირატესად ძლიერ, "ფხიან" ადამიანთა სასარგებლოდ, რაკი მათგან ქვეყანა მეტ სარგებლობას ელის. ეს იმას მოასწავებს, რომ რეალურად, თვით მისი არსებობაა მიჩნეული უფრო მაღალ ღირებულებად, ვიდრე დანარჩენებისა. ამ პრინციპს თავისი დადებითი მხარე აქვს, იგი შთამბეჭდავ ეკონომიკურ შედეგს აძლევს ქვეყანას და ამით, შთამბეჭდავ მაგალითს – მთელ მსოფლიოს. დასავლეთევროპული პოლიტიკის პრინციპი საპირისპირო როდია, ოღონდ ესოდენ სწორხაზოვანი არ არის. იგი უფრო ტევადია და სიღრმისეული. იგი მიისწრაფვის შედარებით თანაბარი სასტარტო მდგომარეობის შექმნისაკენ ყოველი ადამიანისათვის, რათა უზრუნველყოს არა მხოლოდ მათი არსებობა, არამედ მათ მიერ თავიანთი ნიჭისა და უნარების თავისუფალი განვითარებაცა და გამოვლენაც. სოციალური პოლიტიკა აშშ-ში არანაკლებ ეფექტიანია, ვიდრე დასავლეთევროპულ ქვეყნებში. მხოლოდ მისი მასშტაბებია შედარებით ვიწრო, რადგან ეს ქვეყანა არ აშენებს სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, ევროკავშირს კი სწორედ ასეთი ეკონომიკა "უწერია დროშაზე".

დემოკრატიული ღირებულებები და მათი განმამტკიცებელი ინსტიტუტებიც დასავლეთ ევროპაშია უფრო ძლიერი. საკმარისია ითქვას, რომ აშშ-ში, რომელიც დემოკრატიის ბურჯადაა წოდებული, ადგილობრივი ხელისუფლება ფართო ლეგიტიმაციით სარგებლობს, მაგრამ იგი მაინც სახელმწიფო სტრუქტურაა და არა – ტერიტორიული (ადგილობრივი) თვითმმართველობის ორგანო.

ხოლო ევროპა ადგას თვითმმართველობის განვითარების კურსს (ჩვენი მოხსენების ბოლოს ამ საკითხზე საგანგებოდ შევჩერდებით).

შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ დასავლეთევროპელები ხასიათებით დიდად არიან ერთიმეორისაგან განსხვავებულნი და რომ, მაგალითად, გერმანული ხასიათი იქნებ ამერიკულთან უფროა ახლოს, ვიდრე ფრანგულთან თუ ესპანურთან. მაგრამ სწორედ გერმანულმა სამეცნიერო აზრმა მოამზადა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია (რომელმაც ჯერ კიდევ ფაშიზმის ხანაში დაიწყო ჩამოყალიბება) და პირველად სწორედ დასავლეთგერმანული ხელისუფლება შეუდგა მის განხორციელებას (ჩვენც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა დავისახეთ გარდამავალი პერიოდის მიზნად პირველივე წლებიდან, მაგრამ სამწუხაროდ ეს მიზანი საპირისპირო შედეგებმა გაახუნა).

მოვიყვანოთ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მაგალითიც. ეს კანონმდებლობა ორი ტიპისაა: ერთი კრძალავს მონოპოლიას, მეორე უფრო "რბილია", არ კრძალავს მას, ზღუდავს მას იმ ქცევა-გადაწყვეტილებებში, რომელთაც ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის. პირველს, უფრო ხისტს, აშშ ახორციელებს და მანვე განავრცო იგი იაპონიაზე მეორე მსოფლიო ომში მისი დამარცხების შემდეგ. მაგრამ ეს კანონმდებლობა მოქმედებს ქვეყნის ფარგლებში, თორემ მსოფლიო ბაზრებზე წარმოდგენილ უმსხვილეს კორპორაციებს შორის უმრავლესობა სწორედ ამერიკული და იაპონურია. სავსებით სამართლიანად, საქართველომ ნიმუშად აიღო გერმანული კანონმდებობა. თუმცა, აქ იგი ეფექტიანად ვერ მუშაობს შესატყვისი ინსტიტუტების სისუსტის გამო.

დასავლეთევროპული ღირებულებები არაა ერთგვაროვანი და ბევრი მათგანი შეიძლება ჩავთვალოთ არათავსებადად არა მარტო ქართულ კულტურასთან, არამედ ერთმანეთთანაც. მაგრამ გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის სიკეთეებსა და ევროპელთა ბუნებით სირბილეს თავისი გააქვთ: ევროკავშირი, რომელიც 28 სუვერენული სახელმწიფოსგან შედგება, ღირებულებათა მრავალფეროვნებას თავის სიმდიდრედ მიიჩნევს. მრავალფეროვნება არის ჩვენი ეპოქის ყველაზე დამახასიათებელი ზოგადი ნიშანიც საზოგადოებრივი ცხოვრების

ყველა სფეროში. ხოლო ქართველმა ერმა დღეს კი არ დაიწყო მრავალფეროვნებისკენ სწრაფვა, იგი ოდითგან იყო მისკენ მისწრაფული. ამ სწრაფვის პროდუქტია ჩვენი უნიკალური და ამავე დროს, უაღრესად მრავალფეროვანი, მაგრამ საერთო ეროვნული სულით აღბეჭდილი კულტურა. ესეც არის ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელიც ჩვენი და დასავლეთევროპული ღირებულებების სულის სიახლოვეზე მეტყველებს და რომელშიც ჩვენ თავმოწონების საფუძველი გვაქვს ჩვენი პირველობით.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნენახევრის წინ აულო ალღო ქართული და ევროპული სულიერების ნათესაობასა და იმ სიკეთეს, რომლის მიღებაც ჩვენს ერს შეუძლია მოწინავე ევროპული ღირებულებების გაზიარებით და არა მარტო ჩვენს ერს. ილიას მიაჩნდა, რომ ეს ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასათვის არის მისაღები. ამის ნათელსაყოფად თავის "ივერიაში" აქვეყნებდა წერილებს ისეთი რუბრიკებით, როგორიცაა "შინაური მიმოხილვა", "საპოლიტიკო მიმოხილვა" და სხვა. მან გააანალიზა ისეთ ღირებულებათა შინაარსი, როგორიც არის თავისუფლება, ქალთა უფლებები, ზნეობრივი სიწმინდე (მისი მნიშვნელობა ერის მერმისისათვის), განიხილა ინგლისში შექმნილ დამხმარე საზოგადოებათა სიკეთე, მიუთითა საერთაშორისო სასამართლოს შემოღების აუცილებლობაზე. საქართველოსთვის საგულისხმოა მისი მითითება, რომ "საფრანგეთის ზნეობრივი ძალ-ღონე მამულის სიყვარულშია". განსაკუთრებით ამახვილებდა დიდი ილია ყურადღებას იმაზე, რომ "კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია", რომ "ერის ჯანმრთელობა სახელმწიფოს ერთი უდიდესი საზრუნავია", რომ არსებობს "ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება", და ა.შ. ევროპული ღირებულებების განხორციელება მას მიაჩნდა მთელი ერისა და თითოეული ადამიანის დაცვის, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად მათი კეთილდღეობის გადაქცევის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობის, თანასწორობისა და ჰარმონიის მიღწევის საშუალებად. საუბრობდა ქართული მწერლობის "ევროპეიზაციის" (ანუ ევროპულ ღირებულებებზე მისი ორიენტაციის) საჭიროებაზე.

ილია იწონებდა იაპონიის მაგალითს: "იაპონია ამ მხრით – წერდა იგი, – უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჰლამის დაუცხრომლად – ყოველიფერი, ნამეტნავად მმართველობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული... ახალგაზრდობა ჰყავს... მწერლობა, ცოტად თუ ბევრად ფრთაშესხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, – იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელ აზიასაც". შემდეგ ილია იწონებს იმას, რომ სპარსეთმაც გაულო კარი ევროპის ცივილიზაციას. "ეხლანდელი შაჰის მეფობის დროს – წერს იგი – ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოექრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აიხილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განდევნოს, ბევრი ახალი რამ შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგება, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება."

მოტანილი ციტატები ეხება ღირებულებათა იმ კატეგორიას, რომელთა განხორციელებასა ან შეზღუდვაში პოლიტიკური ნება და ხელისუფალთა მცდელობა ასრულებს გადამწყვეტ როლს. მასვე ეხება დიდი ილიას ბევრი სხვა გამონათქვამი, მათ შორის, გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ევროპული გამოცდილების გაზიარებისას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს წესსა და რიგს სახელმწიფო მმართველობასა და თვითმმართველობაში და რომ ამის გაკეთება ითხოვს საკანონმდებლო და ეკონომიკურ რეფორმებს. ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა, საბაზრო ეკონომიკა, დემოკრატია, უსაფრთხოება და ა.შ., რომლებიც დღეს არ ჩამოდიან მედიასაშუალებების ფურცლებიდან და ეკრანებიდან, ღირებულებათა სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნიან. ჩვენი მოხსენების საგანიც – რომელი ევროპული ღირებულებები განვახორციელოთ და როგორ განვახორციელოთ ისინი საქართველოში – ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას, მის ძალისხმევას

ითხოვს. ოღონდ, ამ სფეროში დაგროვილი მჭარე გამოცდილება და ღირებულებათა წინააღმდეგობები გვკატნახობენ, რომ ყოველ ასეთ ნაბიჯს “ასჯერ გაზომვა” ესაჭიროება. ამ კუთხით დამაფიქრებელია **ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების ის პუნქტიც, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს თავისი ღირებულებების გავრცელებას მთელს მსოფლიოში.** ამიტომ ჩვენი მოხსენების ზოგადი დასკვნა ასეთია: **უმჯობესია, თვითონ მოვახდინოთ ჩვენს ევროპულ კეთილისმსურველებთან ერთად იმის სკრუპულოზური გამოკვლევა, რა ევროპულმა ღირებულებებმა შეიძლება იხარონ ქართულ ნიადაგზე და რა არის საჭირო იმისათვის, რომ იხარონ.**

ვერ ვიტყვით, რომ ასეთ დებულებებს მიეკუთვნება: ადამიანის ღირსების პატივისცემა; პლურალიზმი (მრავალფეროვნება); დისკრიმინაციის დაუშვებლობა; შემწყნარებლობა; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა და მათთანანი, რომლებიც ევროკავშირის დოკუმენტებშია წინა პლანზე წამოწეული – ვერ ვისაუბრებთ იმაზე, როგორ გავახაროთ ისინი ქართულ ნიადაგზე, რაკი ისინი ამ ნიადაგზეა (მასზეცაა) ნაშობი. ქართველი ხალხის ორიენტირი დასაბამიდან იყო ისეთი ღირებულებებიც, როგორებიცაა: თავისუფლება; ადამიანის უფლებების, მათ შორის, უმცირესობის უფლებების დაცვა და იმავე დოკუმენტებში დასახელებული ზოგი სხვა ღირებულება. ყოველივე ამით შეგვიძლია ვიამაყოთ და ამიტომაც მიგვაჩნია ევროპული კულტურა ჩვენთვის მახლობლად. გასარკვევი ის არის, რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებებით (რა ინსტიტუტებით) ხორციელდება დღეს ისინი იქ და აქ. იქ ინსტიტუტები ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა და ეს ხდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილება-განვითარების კვალდაკვალ და მათთან მისადაგებით. ჩვენ კი ჯერ მხოლოდ სვლა დავიწყეთ თანამდროვე სტრუქტურებისკენ და დავიწყეთ იგი ზიგზაგებით, შეფერხებებითა და უკუსვლებთან შეწყვილებით. ამის შედეგია დასახელებულ ღირებულებათა სხვადასხვაგვარი დეფორმაცია და მათი არათანმიმდევრული განხორციელება.

ამის შედეგია ჩვენი მკვეთრი ჩარმოჩენაც ისეთი ღირებულებითი ორიენტირების დაცვაში, როგორებიცაა კანონის უზენაესობა და სამართლიანობა, რომლებიც ასევეა დასახელებული ევროკავშირის დოკუმენტებში ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებათა გვერდით. კანონის უპატივცემულობას საფუძველი ჩაეყარა უკვე საბჭოთა ხანაში, როდესაც ხელისუფლება ველარ აკავებდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას და როდესაც მდიდრული ან თუნდ ნორმალური ცხოვრების ძირითად წყაროდ მასობრივად იქცა ყალბისმქნელობა. კანონი ერთს ითხოვდა, ცხოვრება – მეორეს და ამ დაპირისპირებამ შვა მძლავრი კორუფციული მანქანა. პოსტსაბჭოური პერიოდის თავდაპირველმა ქაოსმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს პროცესები. მათ შორის პრივატიზაციაც ელიტარულ-მიმტაცებლური ნიშნით წარიმართა. თუ იმხანად სამართალს სამართლიანობის რაღაც ნიშანწყალი დაეტყო, ეს მოხდა პარადოქსულად – მიმტევებლურად წვრილ კანონდამრღვევთა მიმართ, რომელთა უმრავლესობას არსებობის სხვა საშუალება აღარ გააჩნდა. ხოლო არაკანონიერების მიტევება, სათავეშივე თუ არა, მერე და მერე მაინც, კორუფციის შენაკადი ხდება.

კორუფციულ მანქანას დრო მხოლოდ სახეს უცვლიდა, თორემ იგი, პატარ-პატარა პაუზების შემდეგ, კვლავ წელში იმართებოდა და არც ახლაა შექმნილი იმის პირობები, რომ მან კვლავ უფროდაუფრო არ იბარტყოს. სოციალური დიფერენციაციაც, ბუნებრივია, ჩვენთან საბაზრო მექანიზმის შედეგად კი არ გაღრმავდა, არამედ – უსამართლობის შედეგად და ყველაფერზე მეტად ამან გამოიწვია ღირებულებითი ორიენტირების სისტემური დეფორმაცია.

ვითარების გასაჯანსაღებლად ჩვენ უთუოდ დაგვჭირდება ევროპული გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, მარამ ევროპასთან “ფეხაწყობილ” სვლას, ჯერჯერობით მაინც ვერ შევძლებთ და ნურც შევეცდებით. არც ინერცია მოგვცემს ამის საშუალებას და არც სადღეისოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურები. სამართლებრივი ინსტიტუტების ადმინისტრაციულ „გამაგრებას“ კი, ვაითუ, მხოლოდ ის მოჰყვეს, რომ ჩვენი კორუფციონერების ნაწილმა, რომელიც დღეს ხისტი მეთოდებითაც გადის ფონს, „ფეხი აუწყოს“ დასავლეთში გამოყენებულ “ცივილურ“ მეთოდებს. იქაც ხომ არის კორუფცია!

ამტკიცებენ, კორფუციის ვირუსი ფინეთში ვერასდროს იხარებსო და ამას ფინელთა ისეთი ღირებულებითი ორიენტირებით ხსნიან, როგორიცაა: ფინელებს არა აქვთ ფუფუნებისაკენ სწრაფვა – ფუფუნება სულელთა შუასაუკუნეების აღმოსავლურ გართობად მიაჩნიათ; ისინი ხალხის მოძულეობად თვლიან მის ხარჯზე გამდიდრებას, ხოლო მომავალი

თაობების მოძულეობად – საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას: მათ სწამთ, რომ ჯობს მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა თვითონ გაიკაფონ ცხოვრების გზა; სწამთ, რომ ქურდი ვერსდროს გახდება თავისუფალი, რაკი ვერ განთავისუფლდება თავისუფლების ალკვეთის შიშისაგან.

ღირს ინფორმაციის გავრცელება ამ მაღალ და ლამაზ ღირებულებათა შესახებ, ოღონდ უტოპიური იქნებოდა ოცნება იმაზე, რომ ამით შევძლებთ მათ „გადმოღებას“. მათ მხოლოდ დღევანდელი სტრუქტურები კი არ გადაღობებოდა წინ, არამედ თვით ქართველიც თავისი, ფინელისაგან განსხვავებული, ხასიათით, რომელიც სადღეისოდ ამ სტრუქტურებსაა მისადაგებული. თორემ არ გვგონია, ფინელი ქართველს სიყვარულის თაყვანისცემასა და სიძულვილის გმობაში გაეჯიბროს. ქართველი მხოლოდ იმას ამჯობინებს, რომ თვითონ გასწიოს ხელგაშლით ქველმოქმედება და აქეთ არ გახდეს მისი მთხოვნელი. ამ ორ ვარიანტს შორის კიდევ არის ერთი: მოსაწყენი და ხშირ შემთხვევაში, აუტანელი ღარიბული ცხოვრება. ჩვენი ხალხის უმრავლესობა მიეჩვია მას, ოღონდ – არ შეჰგუებია. ბევრი გაცვლიდა სიღარიბეს ფუფუნებაზე თუნდ დიდი რისკის ფასად. სწორედ ეს არის კორუფციის საშიში რეზერვი.

ჩვენ არ ვუდარებთ ერთმანეთს ამ ორი ერის აქ დასახელებულ ღირებულებით ორიენტირთა ავ-კარგს. გამოვდივართ მხოლოდ იქიდან, რომ მაქსიმალიზმი სულაც არ არის ქართველის ბუნებითი ნაკლოვანება – რომ მისი მახინჯი გამვლენა არსებული სტრუქტურებითა და მდგომარეობით არის განპირობებული. სანამ ისინი არ შეიცვლება, პროპაგანდა და კანონის გამკაცრება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. **გამოსავალი ის არის, რომ ქართველის მაქსიმალიზმის დათრგუნვას კი არ შევეცადოთ, არამედ იმ სტრუქტურების შეცვლას, რომელიც ხელს უშლიან მის საღ გამოვლინებას.** საქმე თითქოს უკიდეგანო სისტემურ-სტრუქტურულ ცვლილებებს ეხება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი გადაწყვეტის გასაღები ერთი დემოკრატიული ინსტიტუტის განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ეს ინსტიტუტია ტერიტორიული (ადგილობრივი) თვითმმართველობა.

დასავლეთ ევროპაში მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1980-იან წლებში. რატომ უფრო ადრე არა? უფრო ადრე, 30-50-იანი წლებიდან, მაკროეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განხორციელებულმა კეინსიანურმა რევოლუციამ გაზარდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციები, რასაც 70-იან წლებამდე წარმატება წარმატებაზე მოჰქონდა. სახელმწიფო “დამძიმდა” და იმის მონათესავე სენით დაავადდა, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფო: კორუფციითა და მოუქნელობით. 70-80-იანი წლების მიჯნაზე კი მმართველობის საჭესთან მოვიდნენ ახალი ძალები, რომელთა მიერ განხორციელებული რეფორმების, კერძოდ – განსახელმწიფოებრივების, ნაკადში მოექცა ადგილობრივი თვითმმართველობაც: სახელმწიფომ გააფართოვა მისი უფლებები და მოახდინა თავისი ფუნქციების ნაწილის მასზე დელეგირება. დემოკრატიის განვითარებას ამან ხელი უთუოდ შეუწყო, მაგრამ ადგილობრივი აპარატი სახელმწიფო აპარატის დანამატად აქცია: მას დაეკისრა იმ ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდება, რომელსაც სახელმწიფო ვერ გასწვდა. იგივე მოდელი 1997 წლიდან დაინერგა ჩვენთან და იგი აქ კორუფციული მანქანის ნაწილადაც იქცა. ევროპაში ცდილობენ მაინც იმას, რომ ფართო საზოგადოება ჩააბან თვითმმართველობის საქმიანობაში, ჩვენთან მსგავსი მცდელობაც ფორმალურია. რეალური რომ იყოს, ან მაშინ ვინ შეიწუხებდა თავს უანგაროდ – საზოგადოებრივ საწყისებზე – მიეღო მონაწილეობა, ვთქვათ, ბიბლიოთეკების ქსელის, გამწვანების, დასუფთავების, საქალაქო ტრანსპორტისა თუ სხვა საერთო საქმეების გადაწყვეტაში? ასეთია საზოგადოებრივი სიკეთეების ბუნება: ყველას უნდა, მათი მიწოდების საქმე სხვისი ხელით აკეთოს.

ჭეშმარიტი თვითმმართველობის ვერტიკალი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო ვერტიკალის საპირისპიროდ, ქვემოდან ზემოთ („რიგითებისგან“ თვითმმართველობის ორგანოსკენ როგორც აღმსრულებლისკენ) და არის კიდეც მიმართული იქ, სადაც ნამდვილი თვითმმართველობა არსებობს. ასე არ არის ადგილობრივ თვითმმართველობაში და ვერც იქნება (როგორც პირადი კონტაქტებით ვიცით, მას ევროპაშიც უჭირს). ვერ იქნება იმიტომ, რომ იგი სახელმწიფოსგანაა ინიცირებული და არ არის „ამოშენებული“ ქვემოდან ანუ არ არის შექმნილი თვით მოსახლეობის მიერ თავისი მრავალფეროვანი ინტერესების განსახორციელებლად. ამ მიზნებით მოსახლეობა ათასგვარ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) გაერთიანებას ქმნის და **არავის მოსდის აზრად, რომ ერთ სტრუქტურაში მოახდინოს სამომხმარებლო ტიპის საზოგადოებებისა**

**და საზოგადოებრივ სიკეთეთა მიწოდების ფუნქციების სინთეზი.**

ჭეშმარიტი თვითმმართველობა ადგილობრივი ხელისუფლების მიღმა არსებობს და ვითარდება (როგორც სამომხმარებლო, ისე სხვა, სააქციო, პარტნიორულ) საზოგადოებებში. მისი არსებობის საძირკველს არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეთა მიწოდება. ხოლო თვითმმართველობის პირობა ორია: მონაწილეთა თანასწორობა და მათი მონაწილეობა საერთო საკუთრებაში.

ისტორიული თემიც ამ პრინციპზე იყო აგებული: თავისუფალი იქნებოდა თუ ფეოდალური სტრუქტურის ერთეული, იგი წარმოადგენდა ტერიტორიულ-სამეურნეო მთლიანობას პირადი (კერძო) და სათემო საკუთრების შეხამებით. სწორედ ქართულმა თემმა დაუდო საძირკველი ჩვენი საერთო-ეროვნული ღირებულებების უმეტესობას, რომელთა შორის აქ განსაკუთრებულად აღვნიშნავთ თანადგომას ჭირსა თუ ლხინში. ქვრივ-ობოლს სოფელი განიკითხავდა და მეურნეობის გაძღოლაშიც იგი ეხმარებოდა. ანუ სამეურნეოსთან ერთად თემი სოციალურ ფუნქციასაც ასრულებდა. დემოკრატიისა და თვითმმართველობის ცნებები ახლოსაა ერთმიმეორესთან ისტორიულ თემთან მიმართებაში, მათ შორის, ახლოსაა ანტიკური ხანისა თუ შუასაუკუნეების ქალაქებთან მიმართებაშიც, სადაც თვითმმართველობის სუბიექტებად გამოდიოდნენ პრივილიგებული ფენები – პატრიციები, ვაჭართა გილდიები, ხელოსანთა ამქრის ოსტატები.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, ნატურალურ მეურნებათა რღვევამ და ადგილობრივი ეკონომიკური კავშირურთიერთობების დიდი ნაწილის გაწყვეტამ ბევრი ფუნქცია დაუკარგა ადგილობრივ თვითმმართველობას და დააკნინა იგი. ამან პოვა გამოხატულება, მაგალითად, იმაში, რომ ნაპოლეონმა მსხვილი ისტორიული პროვინციები მომცრო დეპარტამენტებით შეცვალა და ამით თვითმართვად კომუნებზე ზედამხედველობა გააძლიერა. ამავე მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდა პროცესები XX საუკუნის შუხანებიდან, რაზეც ზემოთაც ითქვა. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ 1980-იან წლებში, თვითმმართველობის რეფორმისას, ევროპაში აღარავის გახსენებია მისი ტრადიციები. ისინი უკვე მივიწყებული იყო.

ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ის ღირებულებები, რომლებიც ისტორიულ თემში ჩამოუყალიბდა. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების ძნელბედობის ფონზე თანდათან კარგავენ ძალას ძველი მეზობლური და ნათესაური ურთიერთობები, მაგრამ ისინი ჯერაც არ არიან დავიწყებული და ნიადაგს უქმნიან ჭეშმარიტი თვითმმართველობის გაჩენას თავდაპირველად მცირე ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიდანაც შესაძლებელია მომავალში ამოიზარდოს ტერიტორიული თვითმმართველობის სისტემა. ამის მცდელობას ჯერ კიდევ 1986-1991 წელბში ჰქონდა ადგილი ექსპერიმენტული სამომხმარებლო-საწარმოო კოოპერაციულ გაერთიანება „ვერისუბანში", რომელიც ამ სტრიქოების ერთი თანაავტორის (მ. გველესიანის) ხელმძღვანელობით შეიქმნა და რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი მეურვეობდა. მსგავსი მცდელობა დღევანდელ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პირობებში მეტი წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ტერიტორიული სააქციო საზოგადოების ფორმით. საჭიროა მხოლოდ საწყისი კაპიტალი, რომელზე დაყრდნობითაც მიკროუბნის მოსახლეობა დაინტერესდება თვითმმართველეობის ამ უჯრედის სამეურნეო და სოციალური ფუნქციებით და გაწევრიანდება მასში [გველესიანი, 2002]. აქ მხოლოდ დავასახელებთ ზოგიერთ საკვანძო ფუნქციას.

- სოციალური ფუნქცია: დივიდენდის ანგარიშზე საზოგადოების საკუთრებასა ან თანასაკუთრებაში არსებული დამხმარე მეურნეობის პროდუქტების შეღავათიან ფასად განაწილება („ვერისუბანში" ეს ხდებოდა 50%-იანი ფასდაკლებით);
- დამხმარე სამეურნეო ფუნქცია: სავაჭრო, საზკვების, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო, პედაგოგიური და სხვა მომსახურებისა;
- დამხმარე საქმიანობაში მიკროტერიტორიაზე მცხოვრებ უმუშევართა და ნაწილობრივ შრომისუნარიანთა დასაქმების ფუნქცია;
- საკუთრებაში (თანასაკუთრებაში) არსებული სამეურნეო ობიექტების მართვასა და პროდუქტის ხარისხის კონტროლში მიკროტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მოზიდვის ფუნქცია;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ფუნქცია;
- ადგილობრივი წვრილმანი საერთო საქმეების (საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდების საკითხთა) გადაწყვეტაში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის ფუნქცია;

- მომხმარებლის მარკეტინგის ფუნქცია და მრავალი სხვა.

ნათელია, რომ თითოეული ამ ფუნქციის განხორციელება ღირებულებათა განხორციელებას გულისხმობს. მოკლედ შევჩერდებით ზოგ მათგანზე.

მიკროტერიტორიული სააქციო საზოგადოების თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან წარმოადგენს გზას, რომლითაც ადამიანები მასობრივად გამოხატავენ თავიანთ ნებას ამა თუ იმ საერთო (მუნიციპალური) საკითხის გადაწყვეტაში, ანუ რეალური შინაარსით ავსებს ადგილობრივ თვითმმართველობას.

რაც შეეხება მომხმარებლის მარკეტინგს, აქ ალბათ თვით ეს ტერმინი გააოცებს იმათ, ვისაც მარკეტინგი მხოლოდ ფირმების საქმედ წარმოუდგენიათ. მაგრამ დღეს მარკეტინგს, როგორც ამას ავტორიტეტული მეცნიერები უთითებენ, ახორციელებენ მომხმარებლებიც. ოღონდ მომხმარებლები, უმთავრესად დაქსაქსულად, გათითოკაცებულად ეძებენ საიმედო და პერსპექტიულ მიმწოდებელს. ორგანიზებული და უნივერსალური საქმიანობა ამ მიმართულებით შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ტერიტორიულ სააქციო საზოგადოებას. დღეს, განსაკუთრებით კი – საქართველოს დღევანდელობაში, მხოლოდ იგი შეიძლება გადაიქცეს მიმწოდებლის მონოპოლიის საპირწონე ორგანიზაციად, ანუ შეაკავოს ზეწოლა მოხმარებელზე.

მას შეუძლია, გადაიქცეს მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთ საყრდენადაც. 1980-იანი წლების მიჯნაზე მარგარეტ ტეტჩერი სათავეში ედგა თავის ქვეყანაში პრივატიზაციის კამპანიას ლოზუნგით – „გადავაქციოთ ყოველი ბრიტანელი აქციონერად“. რეფორმას ამ მხრივ დადებითი, მაგრამ უმნიშვნელო შედეგი ჰქონდა. ტერიტორიულ სააქციო საზოგადოებას შეუძლია უფრო სოლიდური შედეგის მოცემა.

ამ და მსგავსი გზებითა და მეთოდებით გვესახება საქართველოში ჩვენთვის მონათესავე ევროპული ღირებულებების განხორციელება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი, მ. (2002). ადგილობრივი თვითმმართველობა: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი.

# European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.005

**Merab Gvelesiani**
Doctor of Economic Sciences,
Georgian Technical University Professor emeritus

**Shota Veshapidze**
Doctor of Economic Sciences,
Professor, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

**Key words:**
THE VALUES, ILIA CHAVCHAVADZE, EUROPEAN VALUES

## Summary

The report deals with the use of which nations are taking each other to enrich the national values as a result. Analyzes the European and Georgian values proximity, on which still a great Ilia Chavchavadze claimed.

Speakers will talk at national values impact factors on the level of corruption; Giving a comparative analysis of local government reforms in Europe (where they began 1980) and Georgia (which began in 1997), It notes that in the beginning of self-governing Georgia took more formal, while the tradition of the Georgian people may create self-exemplary model.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# საქართველოს რეგიონული იდენტობის პოლიტიკური ეკონომია

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.006

**მიხეილ თოქმაზიშვილი**
ეკონომიკის მცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
საქართველო, იდენტობა, ინტეგრაცია

## შესავალი

ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ განვითარებასთან ერთად სულ უფრო რთულდება რეგიონული ინტეგრაცია ცენტრალურ კავკასიაში. საქართველო მეზობელ ქვეყნებთან – სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან – დააკავშირებულია გეოგრაფიული და სავაჭრო ურთიერთობებით. თუმცა ეს ურთიერთობები შეზღუდულია ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციური გაუცხოებითა და სეპარატისტული ტერიტორიების არსებობით. საქართველო ქმნის ღია ბაზარს მეზობელ ქვეყნებთან, რათა ხელი შეუწყოს კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ნაკადების თავისუფალ მოძრაობას და რეგიონში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას. ეკონომიკური ბარიერები შექმნილია ძირითადად ეთნო-პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებული პოლიტიკური ვექტორების გამო, რომელმაც ცენტრალური კავკასიის რეგიონში კონფლიქტური ტერიტორიები წარმოქმნა.

ჩვენი მიზანია, დავახასიათოთ საქართველოს რეგიონული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები, გეოპოლიტიკური როლი და საქართველოს რეგიონული თანამშრომლობის პოლიტიკა; განვსაზღვროთ თუ რა გავლენას ახდენს დანაწევრებული საგარეო ვაჭრობა კავკასიაში, რუსეთთან გართულებული ურთიერთობები და ტერიტორიების სეპარატიზაცია საქართველოს განვითარებაზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ინტეგრაციის ეკონომიკურ კონტექსტზე.

## საქართველოს რეგიონული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები

საქართველოს რეგიონული იდენტობა დაკავშირებულია მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლთან სამხრეთ კავკასიაში, ინტეგრაციის მიმართულებებთან ევროკავშირთან და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებთან. საქართველოს, როგორც კონფლიქტური ტერიტორიების არენა და მისი წინააღმდეგობები რუსეთთან მეტყველებს რეგიონის სოციალური და ტერიტორიული განვითარების რთულ ხასიათზე. ეს დაბრკოლებები ქმნიან საქართველოს რეგიონული იდენტობის დეტერმინანტებს.

საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს,

რომელსაც კავკასიის ქვეყნები აწარმოებენ, არ გააჩნია საერთო მიზნები და ღირებულებები რეგიონში ერთიანი ეკონომიკური სტრატეგიის გლობალიზაციის კონტექსტში. ცენტრალური კავკასია, როგორც ფორმალური რეგიონი, არის "რეგიონული ანარქიული საზოგადოება" [Hettne 1996]. იგი წარმოადგენს განვითარების ვექტორების წინააღმდეგობას, რომელიც აბრკოლებსს ინტეგრაციის პროცესებს.

კავკასიაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია განვითარების განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორები: ა) საქართველო-აზერბაიჯანი და თურქეთი, ბ) საქართველო – სომხეთი რუსეთი და გ) რუსეთი-სომხეთი-ირანი. ეს ვექტორები, ასახავს რეგიონული პროცესების რთულ გარემოს კავკასიაში.

რუსეთთან დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები, განცალკევებული ტერიტორიები და სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები განაპირობებენ საქართველოს მთავარი ვექტორი წარიმართოს ევროპასთან რეგიონული თანამშრომლობისაკენ. საქართველო ცდილობს ჰქონდეს ღია და დივერსიფიცირებული ურთიერთობები ევროკავშირთან, რომელიც ხელს შეუწყობს მისი განვითარების მოთხოვნებს. ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში ინსტიტუციური და ეკონომიკური განვითარება და წინსვლა განსაზღვრავს საქართველოს რეგიონულ იდენტიფიკაციას. საქართველო ცდილობს, გახდეს ევროპის ნაწილი და გაწევრიანდეს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, რადგან, ამ გზით, საქართველოს შეუძლიან გადარჩეს და გააგრძელოს დემოკრატიზაციის პროცესი [Rondeli 2010: 307]. საქართველო მიიღებს კონკრეტულ სარგებელს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური, ინსტიტუციური, სამართლებრივი და ტექნოლოგიური ბაზის რეფორმირების სფეროში. ამით იგი გააუმჯობესებს თავის კონკურენტუნარიანობას და ევროკავშირთან ინტეგრაციის დონეს.

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ევრაზიაში, რომელიც ძალიან ახლოს მივიდა ევროკავშირის რეგიონებთან და ჩაერთო მის ინტეგრაციულ პროცესებში. ეს განმტკიცებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებისა (AA) და მისი ნაწილის – DCFTA მოთხოვნების შესაბამისად. ამით იგი უზრუნველყოფს თავის ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ სტაბილურობას.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა კავკასიაში, რომელიც ყველა მეზობელ ქვეყნებთან ანვითარებს სხვადასხვა ფორმის რეგიონალიზმს: სოციალურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას და რეგიონული ინტეგრაციასა და თანამშრომლობის ქსელს [Hurrell 1995: 39-45]. საქართველოს ეს როლი ცენტრალურ კავკასიაში და ევრაზიის კონტინენტზე განსაზღვრავს მის რეგიონული მნიშვნელობას და იდენტობას. ეს უკანასკნელი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეფუძნება სავაჭრო და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

საქართველო არის დასავლეთსა და სამხრეთს შორის ხიდი როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. მას აქვს პერსპექტივები გახდეს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ქვეყანა. კონკრეტული გეოგრაფიულ არეალში მისი საერთო ტენდენციაა ინტერესების თანხვედრის ხელშეწყობა ყველა მეზობელ და პარტნიორი ქვეყნებთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით და ღია რეგიონალიზმის გატარებით საგარეო პოლიტიკაში [Bergsten 1997]. ამ ფუნქციის გაძლიერება საქართველოს გლობალური იდენტობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. თუმცა, მოუწესრიგებელი ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან და რთული ურთიერთობები რუსეთთან, აფერხებს მის, როგორც ახლად აღმოცენებული და განვითარებადი რეგიონალური მოთამაშის როლს.

## რეგიონული თანამშრომლობა და დაპირისპირება: ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ვექტორები

გასული 20 წლის განმავლობაში, საქართველოს ჰქონდა ეკონომიკის აღმავლობის, სისტემური რეფორმებისა და დაცემის პერიოდები. საქართველოში გატარდა მრავალი რეფორმა ეკონომიკის რეორგანიზაციის, ლიბერალიზაციისა და სავაჭრო წესების გამარტივების მიმართულებით. გამარტივდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები. დაიდო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები მეზობელ ქვეყნებთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი

ტარიფი მსოფლიოში. საშუალოდ MFN ტარიფი 1.4 პროცენტია – იხ.: [http://www.wto.org/english/thewto–e/countries–e/georgia–e.htm]. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ წინსვლას ჰქონდა ადგილი ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით, ცენტრალურ კავკასიაში არსებული „გაყინული“ ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტები და იზოლირებული შიდა ბაზრები განაპირობებენ რეგიონის დაბალი კონკურენტუნარიანობას [Tokmazishvili 2014].

ცენტრალურ კავკასიაში სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების სტრატეგიული ვექტორებია: 1. საქართველოსთვის – დასავლეთი და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა; 2. სომხეთისთვის – რუსეთთან ერთობლივი საბაჟო კავშირი (ევრაზიის ეკონომიკური კავშირი). 3. თურქეთი და აზერბაიჯანი როგორც საქართველოს მთავარი ეკონომიკური პარტნიორები და კონკურენტები ქართულ ბაზარზე.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პოლიტიკური კონფლიქტის გამო საქართველოს ბაზარი გახდა ერთადერთი ადგილი, სადაც ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები წაროიშვა. ამავე დროს, იმის გამო, რომ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები არსებობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ბაზარი წარმოადგენს დანაწევრებულ ეკონომიკურ ერთეულს.

ურთიერთობები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მუდმივად ვითარდება და ფართოვდება. აზერბაიჯანი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია თურქეთის შემდეგ.

ამასთან, საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ინსტიტუციური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად ხდება მისი რუსეთიდან ეკონომიკური გაუცხოება და რუსულ ბაზრებზე დამოკიდებულების შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას აქვს ტრადიციული ურთიერთობები, რომელიც შეიქმნა მრავალი საუკუნის განმავლობაში და ახასიათებთ მსგავსი მოხმარების კულტურა.

რუსულ ბაზარს აქვს განსხვავებული ეკონომიკური როლი ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში. იგი კარგავს თავის პოზიციას საქართველოში. მისი როლი დროთა განმავლობაში მცირდება, მაგრამ იგი ინარჩუნებს წამყვან როლს სომხეთსა და აზერბაიჯანში. დღეისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთის წილი 6-7.5%. ეს წილი ოთხჯერ უფრო მეტია სომხეთში [www.stat.gov.az; www.geostat.ge; www.armstat.arm].

ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული პოლიტიკური უთანხმოებები და კონფლიქტებია რუსეთთან, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობმა მიიღო ახალი დინამიკა. 2013-2016 წლებში რუსეთთან ორმხრივი ვაჭრობა გაორმაგდა. თუმცა რუსული ბაზარი დარჩა არასანდო და სარისკო ბიზნესისთვის.

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას თან სდევს რადიკალური რეაქცია მოსკოვში. არსებობდა იმის შიში, რომ მოსკოვი რეაგირებდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ისევე, როგორც უკრაინაში, მაგრამ საბედნიეროდ, ეს არ მოხდა.

საქართველოს რუსულ ბაზრებზე ყოფნა დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რამდენად აღიქვამს მოსკოვი თბილისის პოლიტიკურ ქცევებს. ეს ქმნის რუსეთის ბაზარზე გაურკვევლობას. თავისუფალი ვაჭრობის მანიპულირება გახდა პოლიტიკური უკმაყოფილების საგანი, რომელიც აიძულებს საქართველოს ეძებოს დივერსიფიკაციის გზები.

ერთ-ერთი ახალი ეკონომიკური მოთამაშე ცენტრალურ კავკასიაში გახდა თურქეთი. იგი საქართველოში არის შიდა სამომხმარებლო ბაზრის ლიდერი. მისი სავაჭრო წილი იზრდება საქართველოს რეგიონებში, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის კანონმდებლობას, მისი ვაჭრობა აფხაზეთის ტერიტორიაზე არალეგალურ ხასიათს ატარებს.

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანდათან გაფართოვდა. ეს კავშირები ძალიან მგრძნობიარეა კავკასიის ქვეყნებისთვის. იგი ხელს შეუწყობს საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას, სხვა მეზობელი ქვეყნების შესვლას ევროპულ ბაზრებზე საქართველოში დამზადებული პროდუქციის სახელწოდებით: „წარმოებულია ევროპაში“. იგი არის ინსტიტუციონალური ინსტრუმენტი მოიზიდოს სხვა ქვეყნები.

გაჩნდება კითხვები, თუ რამდენად განხორციელდება ინსტიტუციური ჰარმონიზაცია,

არასატარიფო ბარიერების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ადგილობრივი წარმოების რეკონსტრუქცია და სხვ, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობაა.

იმ შემთხვევაში, თუ რეფორმების ტემპი და წარმოების რადიკალური გადაიარაღება არ განხორციელდა, ევროკავშირთან ურთიერთობის მოსალოდნელი სარგებელი მიზერული იქნება, თუმცა იგი არ იქნება ნეგატიური.

საქართველოს რეგიონალურ იდენტობას განსაზღვრავს ის, თუ როგორ დაუკავშირდება ევროპასთან ინტეგრაციის პოლიტიკა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) შექმნას. დღეისათვის, ევრაზიული კავშირის ვაჭრობის რეჟიმები და მოთხოვნები (სტანდარტების) ბუნდოვანია. ნათელია მხოლოდ, რომ EAEU-ში არსებებს მაღალი სატარიფო და არასატარიფო ბარიერები მისი არაწევრი ქვეყნებისათვის, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კავკასიის ბაზრის შემდგომი ფრაგმენტაცია. ეს ინსტიტუტი შეიქმნა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ევროკავშირთან კონკურენცია. ამ მიზნით გათვალისწინებულია ერთიანი მონეტარული ზონის შემოღებაც. რუსეთის ენერგეტიკული მიმზიდველობა არის ამ ზონაში გაერთიანებული ქვეყნების ცდუნება. რუსეთის ექსპერტები აღიარებენ, რომ EAEU შექმნით რუსეთმა შესაძლოა დაკარგოს ზოგიერთი შემოსავლები ჰიდროკარბონატების რესურსებიდან, მაგრამ სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით, რუსეთს ექნება გარკვეული უსაფრთხოების, გეოპოლიტიკური და პოლიტიკური დივიდენდები.

ასეთმა ზონამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს განვითარებაზე, განსაკუთრებით მის ურთიერთობაზე სომხეთთან და რუსეთთან. კავკასიის ბაზრების იზოლაციის, გაურკვევლობისა და არასტაბილურობის შედეგად საქართველოს სავაჭრო დივერსიფიკაცია ევროპული მიმართულებით მნიშვნელოვნად არბილებს ახალ რისკებს.

აშკარაა, რომ DCFTA და EAEU არის ორი დაპირისპირებული ვექტორის ცენტრალურ კავკასიაში. დღეისათვის არ არსებობს ამ სავაჭრო ზონების შეთავსების მცდელობაც კი. ეს კი იწვევს კავკასიის ქვეყნებში სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად იზოლაციას. EAEU არ არის საქართველოს სტრატეგიული გზა, რადგან მიიჩნევა, რომ "თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ევრაზიანიზმის რეალიზაციის ეკონომიკური მოდელი არის უტოპიური კონცეფცია, ხოლო EAEU ეკონომიკური მოდელი თავისთავად არა მხოლოდ არასტაბილურია, არამედ არაადექვატურიც" [Papava 2016: 7].

საქართველო არის ორი გლობალური ინტერესის დაპირისპირების ადგილი. რუსეთი ევრაზიული კავშირის გარდა სეპარატისტული ტერიტორიების გამოყენებით ცდილობს, თავისი უსაფრთხოების კონცეფციის განხორციელებას. მაშინ, როდესაც ევროპული მიმართულება გულისხმობს ეკონომიკურ თანამშრომლობას, ბაზრების გახსნა და დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას. საქართველო არის რუსეთის პოლიტიკის „სასანიჯი ქვა" სხვა დანარჩები ქვეყნებისათვის. სწორედ ამიტომ მოახდინა მან ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც ეკონომიკურად მისთვის არამომგებიანია. რუსეთის სამხედრო ხარჯები და ფინანსური ინექციები, რომელიც ამ ტერიტორიების შენარჩუნებას ხმარდება, მნიშვნელოვნად აღემატება იმ სარგებელს, რომელსაც იგი „ტერიტორიული იმპერიალიზმის" სურვილის დაკმაყოფილებით ღებულობს. მოსკოვის "დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების" პროექტი სრულიად არამომგებიანი ეკონომიკურად, ხოლო მისი ხისტი პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს მის საერთაშორისო იმიჯზე.

## სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების რეგიონალური გავლენა

"ენერგეტიკული ხიდის" და სატრანსპორტო დერეფნის როლი ცენტრალურ კავკასიაში განსაზღვრავს საქართველოს რეგიონულ მნიშვნელობას და მის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას. გეოპოლიტიკურად, საქართველოს აქვს ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია ცენტრალურ კავკასიაში. დღეისათვის იგი სამი ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტების ოპერაციით აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ეს გზა არის რუსეთის კონტროლირებადი მილსადენების ალტერნატიული ვექტორი. საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს ჩრდილოეთ – სამხრეთის ვექტორის დამაკავშირებელი ქვეყანა, რომელმაც შეიძლება დაუკავშიროს რუსეთი ირანს სომხეთის გავლით ან ირანი დაუკავშირის ევროპას აზერბაიჯანის გავლით.

დასავლეთის ქვეყნები და ევროკავშირი დაინტერესებულნი არიან ნავთობისა და გაზის მიწოდების დივერსიფიცირებული ვექტორებით. საქართველო, როგორც ენერგეტიკული ხიდი, როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთის ინტერესების სფეროშია მოქცეული.

ენერგეტიკული რესურსების მიწოდების აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ვექტორი არსებითად ხელს უშლის რუსეთის დომინანტურ პოზიციას ამ რეგიონში და ემსახურება ევროკავშირის მიზნებს. რუსეთი ცდილობს, რომ მოიპოვოს კონტროლი რეგიონში, მათ შორის სამხედრო ძალისხმევით.

ირანის გაზი არის ინტერსების კიდევ ერთი დაპირისპირების სფერო. რუსეთის მთავარი მიზანია, ჰქონდეს სატრანზიტო გზა ირანთან, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია დასავლეთისთვის. ირანს სურს, გახდეს აქტიური მონაწილე საერთაშორისო გაზის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მისი ძირითადი კონკურენტია, მათ შორის მრავალი საერთო ინტერესი არსებობს: წინააღმდეგობა აშშ-სთან და ნატოსთან და სხვ. მას შემდეგ, რაც მოიხსნა ირანზე დაწესებული სანქციები, რუსეთი შეეცდება ჩრდილოეთ-სამხრეთ ვექტორის ამოქმედებას. ამისთვის კი მას დასჭირდება საქართველოს თავისი ენერგეტიკული პოლიტიკისადმი დაქვემდებარება. ამის მცდელობა უკვე იყო ამა წლის დასაწყისში გადაესინჯათ ჩრდილოეთი-სამხრეთის მიმართულებით რუსული გაზის ტრანზიტის საფასური საქართველოსთვის. მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი ახლო მომავალში კვლავ დადგება დიდი სიმწვავით. რუსეთისათვის გაზის ფასი არის ის „პოლიტიკური იარაღი,“ რომლითც იგი ზემოქმედებს როგორც ვროპის, ასევე სხვა ქვეყნებზე.

საქართველო არის ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი რეგიონული მოთამაშე და აქვს წამყვანი როლი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში კავკასიის რეგიონში. პოლიტიკურ ძალებს შორის რეგიონული გეოპოლიტიკური ბალანსი და ეკონომიკური ვექტორი ცენტრალურ კავკასიაში განისაზღვრება იმით, თუ რა პოზიცია ექნება საქართველოს და გაუძლებს თუ არა იგი რუსეთის ზეწოლას.

ავტოსატრანზიტო და სარკინიგზო გზები და მეგაპროექტები აძლიერებს საქართველოს რეგიონულ მნიშვნელობას და ხელს უწყობს შემდგომ ინტეგრაციას. ამასთან, საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი უსაფრთხოების შენარჩუნების არსებითი კომპონენტია და ამ თვალსაზრისით, საქართველოს როლი და იდენტობა ძალიან მნიშვნელოვანია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაში.

## დასკვნა

კავკასიას სჭირდება ევროპა, ნატო და რუსეთი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მიზნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერ განახორციელებს რეგიონული განვითარების მიზნებს.

მას სჭირდება თანამშრომლობა და ნორმალური ურთიერთობები ყვლა ქვეყანასთან. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიიდან ცნობილია, რომ პატარა ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურებაა იყოს გიგანტური ქვეყნის მეზობელი, მითუმეტეს, თუ ეს გიგანტი მისი ყოფილი ხელისუფალია. საქართველოს ინტერესებშია, იყოს მეგობრული რუსეთთან, როგორც ჯანმრთელ და მდიდარ მეზობელთან. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი შეიძლება იყოს კარგი როგორც ბაზარი, როგორც ინვესტიციების წყარო, თუ იგი გახდება დემოკრატიული სტაბილიზაციის ფაქტორი მთელ რეგიონში" [Rondeli 2010: 307]. თუმცა გიგანტი მეზობელი ვერ გახდა სტაბილურობის გარანტია კავკასიაში. მრავალი ფაქტორი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთმა შეიძლება მოახდინოს დესტაბილიზაცია კავკასიაში. საქართველოს წინაშე დგას რუსეთისგან მომდინარე რეალისტური საფრთხეები. დასავლეთისკენ ორიენტირებული განვითარების ვექტორი არის ამ საფრთხეების გამანეიტრალებელი პირობა. საქართველოს უნდა, დაამყაროს ბალანსი როგორ რუსეთთან, ასევე ევროპასთან და ამით უზრუნველყოს თავისი და ცენტრალური კავკასიის სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება. ეს არის მისი რეგიონული იდენტობის დომინანტური თვისება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Hettne, B. (1996). Globalization, the New Regionalism and East Asia, in the: Globalism and Regionalism, Ed. by Toshiro Tanaka and Takashi Inoguchi. http://archive.unu.edu/unupress/globalism.html.
2. Rondeli, A. (2010). It's Georgia's Interest to be Friendly with Russia. Interview with Dr. Alexander Rondeli. Caucasian Review of International Affairs. VOL. 4 (3). CRIA. http://www.cria-online.org/Journal/12/Done–Interview–with–Alexander–Rondelli.pdf
3. Hurrell, A. (1995). Regionalism in Theoretical Perspective, in Louise Fawcett and Andrew Hurrell (ed.), Regionalismin World Politics.Oxford: Oxford University Press. PP.
4. Bergsten, F. (1997). Open Regionalism, Working Paper 97-3, Peterson Institute for International Economics. http://www.iie.com/publications/wp/wp.cfm?ResearchID=152
5. http://www.wto.org/english/thewto–e/countries–e/georgia–e.htm
6. Tokmazishvili, M. (2014). New Realities in the South Caucasus: Georgia-EC, Armenia-CU: Contradictions and Opportunities for Cooperation. In the book: Russia-Georgia: Challenges and Perspectives in the Economic Sector. ICCN, RIAC. Tbilisi.
7. www.stat.gov.az; www.geostat.ge; www.armstat.arm
8. Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. Georgian Foundation for Strategic and International Studies, Expert Opinion, N 57.


# Political Economy of Regional Identity of Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.006

**Mikheil Tokmazishvili**
Doctor of Economic Sciences,
Professor St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia,
Ass. Professor Ivane Javakhishvili Tbilisi state University

**Key words:**
GEORGIA, IDENTITY, INTEGRATION

## Summary

Discusses dominant features and characteristics of regional identity of Georgia, characterizes the vectors of development of Central Caucasian counties and role of Georgia in regional cooperation, assessed the impact of the foreign trade and conflict between the EU and the Eurasian Union and determined the geopolitical function of Georgia in the Central Caucasus.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# მოსახლეობის მიგრაციის გრავიტაციული მოდელების შესახებ

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.007

**გოჩა თუთბერიძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, პრორექტორი

**ქეთევან ფიფია**
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**გივი რაქვიაშვილი**
ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**პაატა კუნჭულია,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
მოსახლეობის მიგრაცია, გრავიტაციული მოდელი, საქართველოს მოსახლეობის დინამიკა

სტატიის მიზანია მიგრაციის ფენომენის განხილვა ფიზიკური მეთოდებით. ინტერრეგიონალურ, ინტერსახელმწიფოებრივ და ინტერკონტინენტალურ მიგრაციებს აქვთ ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ის ეკონომიკური შედეგები, რომლებსაც იწვევს ადამიანთა ამ მასების მოძრაობა მათ სამშობლო ქვეყანასა და რეგიონში, და შემდეგ, იმ ქვეყანაში, სადაც ისინი მიდიან და ხშირად სამუდამოდაც. ეს პროცესები დაკავშირებულნი არიან ეკონომიკური განვითარების პროგრესთან და ხშირად - რეგრესთანაც, განსაკუთრებით, იმ ქვეყანაში, საიდანაც მიგრაცია ხდება. ყველაზე დამღუპველია განვითარებადი ქვეყნებიდან მაღალი ხელფასისა და მუშაობის უკეთესი პირობების საძიებლად განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური მუშახელის - მეცნიერების და ა.შ. მიგრაცია, რამაც მიიღო სახელწოდება "ტვინების გადინება". ჩვენ არ ვეხებით ამ პრობლემის ეთიკურ ასპექტებს, კერძოდ, ქვეყნის მიერ იმ სპეციალისტების დაკარგვას, რომელზეც ქვეყანამ ბევრი ფული დახარჯა, და, მიუხედავად იმისა, რომ ეს გასვლა მცირერიცხოვანია, მას სერიოზული უარყოფითი შედეგები აქვს.

მასობრივი მიგრაციის, განსაკუთრებით, შრომითი მიგრაციის მიზეზები მრავალგვარი და უაღრესად დივერსიფიცირებულია. ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით მიგრაციის ძირითად ტიპებს მცირე შექცევადი მიგრაციების - მაგ., სეზონური, ტურისტული და სხვა გამოკლებით. თუ არ ჩავთვლით ისტორიის უდიდეს მიგრაციებს (მაგ., ბარბაროსთა შემოსევებს), და მიგრაციებს, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი

კატასტროფებით, სოციო-პოლიტიკური კონფლიქტებით, ომებით და ა.შ., მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს მიგრაციის ორი ძირითადი სახეობა:

1) მიგრაცია, რომლის მიზანია ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტი, უკეთესი განათლება, საქმიანობის შეცვლა და ა.შ;
2) დაუსაქმებელი ან არაკვალიფიციური ან დაბალკვალიფიციური პოპულაციის მიგრაცია, რომელსაც ადგილი აქვს ძირითადად ეკონიმიკური რეცესიის დროს;

მიგრაციის ამ ორი კატეგორიის შემთხვევაში, საზოგადოდ, ადამიანი მიგრირებს სამუშაოს საშოვნელად ან ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტის გამო, მაღალი ხელფასისთვის, უკეთესი უმაღლესი განათლების მისაღებად და ა.შ.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუახანებში ამერიკელი სოციოლოგი ფ. კერი აღნიშნავდა ანალოგიას გრავიტაციულ ძალებსა და საზოგადოებრივ მოვლენებს შორის [2, გვ.137, 2005]. 1929 წელს ვ. რეილმა (აშშ) შემოიტანა საცალო ვაჭრობის გრავიტაციის კანონი, რომლის მიხედვითაც ქალაქის საცალო ვაჭრობა იზიდავს კლიენტურას მის გარშემო არსებულ ტერიტორიებიდან "ძალით", რომელიც ქალაქის სიდიდის პროპორციულია და უკუპროპორციულია მანძილის კვადრატისა ქალაქის ცენტრიდან კლიენტამდე [2, გვ. 137]. იქვე ნაჩვენებია, რომ გრავიტაციული მოდელი შეიძლება დავუდოთ საფუძვლად ქალაქის განსახლების, სატრანსპორტო ქსელის გამტარუნარიანობას, მრეწველობის საწარმოების განლაგებას და სხვა. გრავიტაციის კანონი დაუდო ავიაგადაზიდვების მოდელირებას საფუძვლად ნიმიკმა [3, 2003]. ეკონომიკისა და დემოგრაფიის რიგი პრობლემების მოდელირებაში გამოიყენება ფაზური გადასვლები [4], თერმოდინამიკა, კვანტური მექანიკა, არაწრფივი დინამიკა [5, 6] და სხვა.

მუშა ძალის, მონეტარული ნაკადების, სამომხმარებლო საქონლის და სხვა მიგრაციები ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრებისკენ ანუ ატრაქტორებისკენ, შეიძლება აღვწეროთ გრავიტაციული და ელექტროსტატიკური მოდელების საშუალებით. გრავიტაციულ მოდელებისგან განსხვავებით ელექტროსტატიკურ მოდელების საშუალებით შეიძლება განზიდვის მოდელირებაც, თუმცა ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. აქვე შეიძლება ავღნიშნოთ, რომ რაც უფრო მეტია მანძილი ატრაქტორამდე (აქ მანძილი გვესმის არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ როგორც სიძნელეები ტრანზიტში, ეკოლოგიური, ეკონომიური და პოლიტიკური ბარიერები და სხვა), მით უფრო მეტია მისაზიდი ელემენტების დანახარჯები.

მიგრაციის გრავიტაციული მოდელი აგებულია, მაგ., [7, 8]-ში. რაც შეეხება მიგრაციის ელექტროსტატიკურ მოდელს, ჩვენი განხილვის საგანი იქნება [9]-ში შემოთავაზებული მოდელი

$$M_{ij} = k\frac{q_i\rho_j}{\varepsilon}\frac{a^2}{R^2}, (1)$$

სადაც

$M_{ij}$ არის მიგრანტების მასა $i$ ღარიბი ქვეყნიდან $j$ მდიდარ ქვეყანაში;

$q_i$ არის ღარიბი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;

$\rho_j$ არის მდიდარი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;

$a$ არის მდიდარი რეგიონის ზომა (რადიუსი);

$R$ არის მანძილი ამ ორ ქვეყანას შორის;

$k$ არის პროპორციულობის კოეფიციენტი;

$\varepsilon$ არის ქვეყნის "შეღწევადობა", ანუ სხვადასხვა დაწესებული ბარიერი.

მოდელის შესაფასებლად, როგორც წესი, (1)-ის მაგივრად იყენებენ მის ლოგარითმს და თან უმატებენ ახალ პარამეტრებს; ამ დროს მიიღება ე.წ. განზოგადებული გრავიტაციული მოდელი. მაგალითად, [10]-ში განხილულია მოდელი

$$\ln(M_{ij}) = a_0 + a_1(pop_i \cdot pop_j) + a_2(rely_{ij}) + a_3(dist_{ij}) + a_4(stock_{ij}) + a_5 LANG_{ij} + a_6 CONT_{ij} + a_7 LINK_{ij} + u_{ij},$$

სადაც

$M_{ij}$ არის მიგრანტების მასა $i$ ღარიბი ქვეყნიდან $j$ მდიდარ ქვეყანაში;

$pop_i$ და $pop_j$ არის შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა;

$rely_{ij}$ არის $j$ ქვეყნის ერთ სულზე შემოსავლის რაოდენობის შეფარდება $i$ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალთან;

$dist_{ij}$ არის მანძილი ქვეყნებს შორის;

$stock_{ij}$ არის $i$ ქვეყნიდან უკვე ემიგრირებული მოსახლეობისრაოდენობა $j$ ქვეყანაში (რაც უფრო მეტია იგი, მით უფრო ადვილია ადაპტაცია);

$LANG_{ij}$ აღნიშნავს ამ ორი ქვეყნის სახელმწიფო ენების სიახლოვეს;

$CONT_{ij}$ არის ამ ორ ქვეყანას შორის საერთო საზღვრის პარამეტრიც;

$LINK_{ij}$ აღნიშნავს კოლონიალურ ბმას ამ ორ ქვეყანას შორის;

$u_{ij}$ არის ლოგარითმულად ნორმალური განაწილების ცდომილების ფუნქცია.

ჩვენ აქ მოველით, რომ, მაგალითად, $a_3$-ს აქვს უარყოფითი ნიშანი.

ჩვენ ამ სტატიაში გავაანალიზებთ (1) მოდელს და შევეცდებით გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.

**პირველი შედეგი.** ავღნიშნოთ

$$\lambda = k\frac{\rho_j}{\varepsilon}\frac{a^2}{R^2}$$

და ჩავთვალოთ, რომ $\lambda$ მუდმივია; ამოცანის პირობიდან გამომდინარე, ცხადია რომ $\lambda < 1$. მაშინ $t$ დროში მოსახლეობის დანაკარგი იქნება

$$S = \lambda q_i t$$

და $t = 1/\lambda$ დროის გასვლის შემდეგ $i$ ქვეყანაში მოსახლეობა აღარ დარჩება. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ შეუძლებელია. ეკონომიური რეცესიის დამთავრება, ახალი ბარიერების შემოღება, მოსახლეობის შემცირების გამო $i$ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა გარკვეული დროის შემდეგ ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რაოდენობის შემცირებას იწვევს, რასაც წონასწორობის დამყარება მოჰყვება. დაახლოებით ასეთი რამ მოხდა ახლახან საქართველოში – მოსახლეობის აღწერამ გამოავლინა, რომ ჩვენ გაცილებით ცოტანი დავრჩენილვართ, ვიდრე გვეგონა და ქვეყანაში საშუალო ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა საგრძნობლად მოიმატეს.

**მეორე შედეგი.** (1) ფორმულა დროის ფაქტორს არ ითვალისწინებს. ეს ფაქტორი გავითვალისწინოთ შემდეგნაირად: ჩავთვალოთ, რომ დროის გარკვეულ შუალედში (რომელსაც ჩვენ ერთეულად ჩავთვლით) პოპულაციის გადინება (1)-ით გამოისახება. მაშინ დროის ერთი ერთეულის (შუალედის) გავლის შემდეგ ქვეყანაში დარჩება

$$S_1 = M_{ij} - \lambda M_j = M_j(1-\lambda)$$

ადამიანი. დროის ორი შუალედის შემდეგ ქვეყანაში დარჩება

$$S_1 - \lambda S_1 = M_{ij} - \lambda M_j - \lambda(M_j - \lambda M_j) = M_j(1-\lambda)^2$$

ადამიანი. მათემატიკური ინდუქციით ადვილად მტკიცდება, რომ დროის $n$ შუალედის შემდეგ $i$ ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს

$$S_n = M_j(1-\lambda)^n$$

კაცს. $S_n$-ის ფორმულიდან ჩანს, რომ როცა $n$ მიისწრაფვის უსასრულობისაკენ, მაშინ $S_n$ მიისწრაფვის ნულისკენ, რადგან $1-\lambda < 0$, ანუ ზღვარში ქვეყანაში მოსახლეობა აღარ დარჩება, თუმცა, ცხადია, ასეთი ინტერპრეტაციისას ქვეყნის დაცარიელება უფრო ნელა ხდება, ვიდრე პირველ შედეგში.

ახლა სრულად გავითვალისწინოთ (1)-ში დროის ფაქტორი. (1)-ის რამდენიმე პარამეტრი შეიძლება იყოს ცვლადი, დროზე დამოკიდებული: იცვლება ღარიბი და მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა, მანძილი ამ ორ ქვეყანას შორის (რადგან, როგორც ავღნიშნეთ, აქ მანძილი პირადაპირი აზრით არაა გაგებული), იცვლება ქვეყნის "შეღწევადობა", მაგალითად, ვიზალბერალიზაციის ან პირიქით, ახალი ბარიერების დაწესების გამო. ამიტომ, თუ (1)-ს ჩავთვლით პოპულაციის მიგრაციის სიჩქარედ, მაშინ $t_0$ დროის გასვლის შემდეგ $i$ ქვეყნიდან მოსახლეობის გადინება უნდა გამოისახოს შემდეგი განსაზღვრული ინტეგრალით:

$$S = ka^2\int_0^{t_0}\frac{q_i(t)\rho_j(t)}{\varepsilon(t)R(t)^2}\,dt \quad (2)$$

არაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პირობებში $k$ და $a$ პარამეტრებიც იცვლებოდეს.

ამრიგად, (1) მოდელში დროის ფაქტორის გათვალისწინებას მივყავართ მოსახლეობის მიგრაციის მოდელამდე, რომელიც (2) განსაზღვრული ინტეგრალით გამოისახება. ამ ინტეგრალს ისეთივე ნაკლი აქვს, როგორც პირველ და მეორე შედეგებს, ანუ წინასწარმეტყველებს მოსახლეობის მუდმივ გადინებას. ამიტომ ინტეგრალქვეშა გამოსახულება უნდა გავამრავლოთ ფუნქციაზე, რომელიც ამ ნაკლ სგამოასწორებს. ამისთვის $u_i(t)$-თი ავღნიშნოთ $i$ ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე, $u_j(t)$-თი $j$ ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო მათი შეფარდება იყოს

$$u_{ij}(t) = \frac{u_i(t)}{u_j(t)}$$

დავუძახოთ მას ფარდობითი მშპ. მოსალოდნელია, რომ როცა $u_j(t)$ დაბალია, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისადმი მიდრეკილება დიდია, ხოლო როდესაც $u_j(t)$ უახლოვდება ერთს, ეს მიდრეკილება მცირდება და მეტიც, თითქმის ნული ხდება. ავღნიშნოთ $\chi_1$-ით ფარდობითი მშპ ის მნიშვნელობა, რომელსაც აქვს თვისება, რომ როცა $u_j(t)$ მას უახლოვდება, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისკენ სწრაფვა მცირდება, და $\chi_2$ -ით ფარდობითი მშპ ის მნიშვნელობა, რომელსაც აქვს თვისება, რომ როცა $u_j(t)$ მას უახლოვდება, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისკენ სწრაფვა თითქმის ნულია ( $\chi_1$-ის და $\chi_2$ -ის მნიშვნელობები უნდა დავადგინოთ ემპირიულად ან ჰიპოთეზის სახით, რომელიც შემდეგ შეიძლება შემოწმდეს). მაშასადამე, უნდა ავაგოთ ფუნქცია, რომელიც, როცა $u_j(t)$ მცირეა $\chi_1$-ზე, თითქმის ერთის ტოლია, ხოლო როცა $u_j(t)$ უახლოვდება $\chi_2$ -ს, თითქმის ნული ხდება. საფუძვლად ავიღოთ ე.წ. შეცდომის, ანუ გაუსის ფუნქცია $erf(x)$:

$$erf(x) = \frac{2}{\sqrt{\pi}} \int_0^x e^{-x^2} dt \ ,$$

რომლის გრაფიკს [-5;5] სეგმენტზე აქვს სახე




გრაფიკიდან ჩანს, რომ დაახლოებით $x = -2$ მნიშვნელობის შემდეგ ფუნქცია მკვეთრად იზრდება და $x = 2$ წერტილზე ხდება მისი მკვეთრი სტაბილიზაცია და ის ხდება თითქმის 1-ის ტოლი. ამის გათვალისწინებით ავაგოთ ფუნქცია

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} erf\left( \frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1} \right),$$

რომელიც აკმაყოფილებს საჭიროთვისებებს. მაგალითად, როცა $\chi_1 = 0{,}4$ და $\chi_2 = 0{,}8$ გვექნება, რომ

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} erf\left(-10x + 6\right),$$

და მის გრაფიკს [-1;3] სეგმენტზე ექნება სახე




შევნიშნოთ, რომ გაეროს 2013 წლის მონაცემებით აშშ-ს მშპ ერთ სულ მოსახლეზე იყო 52391$, ხოლო საქართველოსი კი 3715$, ანუ 14-ჯერ ნაკლები; შესაბამისად,

$$u_{ij} = \frac{3715}{52391} \approx 0{,}07(!)D$$

ამრიგად, შეგვიძლია დავუშვათ ჰიპითეზის სახით, რომ ორ $i$ და $j$ ქვეყანას შორის მოსახლეობის მიგრაციის ელექტროსტატიკური მოდელი წარმოდგენილია შემდეგი ფორმულით

$$S = ka^2 \int_0^{t_0} \frac{q_i(t)\rho_j(t)}{\varepsilon(t)R(t)^2} \left( \frac{1}{2} + \right.$$

$$\left. + \frac{1}{2} erf\left( \frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1} \right) \right) dt$$

ცხადია, ფარდობითი მშპ-ს მაგივრად შეგვეძლო აგველო რომელიმე სხვა პარამეტრი ან პარამეტრები, რომელიც (რომლებიც), ჩვენი აზრით განსაზღვრავენ პოპულაციის მიგრაციას.

**შენიშვნა.** [11]-ში, გაეროს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით (იხ. [12]), შედგენილია საქართველოს მოსახლეობის დინამიკის ცხრილი (ვერტიკალურ ღერძზე გადაზომილია მოსახლეობის რაოდენობა ათასებში):

მისი საშუალებით Excel-ში ავაგეთ შესაბამისი გრაფიკი და წრფივი რეგრესიის განტოლება: $y = -68{,}137x + 141017$.

**საქართველოს მოსახლეობა 1998-2005 (ათასი)**




თუ ამ განტოლებაში შევიტანთ x=2016, მივიღებთ y=3652,808, რაც საკმაოდ კარგი მიახლოებაა ბოლო აღწერის მონაცემებთან, რომელიც 3729635 ადამიანს შეადგენს. ქვემოთ შედარებისთვის მოგვყავს საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებზე დაყრდნობით აგებული წრფივი რეგრესიის განტოლება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რეალობასთან.




$y = -68,137x + 141017$ **წრფივი რეგრესიის განტოლების გრაფიკი**




გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chakrabarti, K. (2006). Econophysics and Sociophysics.
2. Власов, М.П., Шимко, П. Д. (2005). Моделирование экономических процессов.
3. Ныммик, А. (2003). Использование географических моделей в моделирование сети аэроперевозок.TransportandTelecommunication, Vol 4, #1, 39-44.
4. Словохотов, Ю. Л. (2010). Аналоги фазовых переходов в экономике и демографии. Компьютерныеисследованияимоделирование, т. 2, # 2, 209-218.
5. Lambertini, L. (2000). Quantum Mechanics and Mathematical Economics are Isomorphic.UniversityofBologna, 1-17.
6. Эконофизика. Современная физика в поисках экономических теорий (под ред. В. В. ХаритоноваиА. А. Ежова), (2007). М.
7. Molho, I. (1986). Theories of Migration: A Review, Scottish Journal of Political Economy.
8. Sornette, D. A., Johansen, J. P., Bouchaud, J. and Phys I. (1996). Stock Market Crashes, Precursors and Replicas, (France) 6, 167..
9. Gheorghiu, A., Spanolescu, I. An Econophysics Model of the Migration Phenomena,http://arxiv.org/ftp/arxiv/papers/1202/1202.0996.pdf
10. Joshua, J. Lewer, Hendrik Van den Berg. (2008). A gravity model of immigration. Economics Letters 99, 164–167.
11. საქართველოს დემოგრაფია (ვიკიპედია). https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_დემოგრაფია.
12. World Population Prospects.(2015). (The 2015 Revision). United Nations, New York. http://esa.un.org/unpd/wpp/Publications/Files/Key_Findings_WPP_2015.pdf

# Population Migration Gravitational Models

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.007

**Gocha Tutberidze**
Doctor of Economic Sciences,
European University Professor, Vice-rector

**Ketevan Pipia**
Samtskhe-Javakheti State University PHD Student

**Givi Rakviashvili**
Doctor of Mathematics,
Ilia State University Associate Professor

**Paata Kunchulia**
Doctor of Economics,
Tbilisi Open University Associate Professor

**Key words:**
MIGRATION, THE GRAVITATIONAL MODEL OF POPULATION DYNAMICS

## Summary

In the paper Anca Gheorghiu's and Ion Spanulescu's model is represented as integral of time $t$ (i.e. it is taken into account the possible change in the parameters of the model over time) and in this integralisinserted a factor, which guarantees the termination of the flow of migrants after the increase some economic indicators in the country's with the poor economic; therefore, in our opinion, the new model is closer to reality.

# სახელმწიფო ქონების განკერძოების მნიშვნელობა საქართველოსა და პოსტკომუნისტურ სივრცეში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.008

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

**ირაკლი მაკალათია**
ეკონომიკის დოქტორი,
ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის" პრეზიდენტი

**მათე გარდავა**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის" დამფუძნებელი,
მიწვეული სპეციალისტი

**ვეფხია გიორგაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ა/ო „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის" ვიცე პრეზიდენტი,
მიწვეული სპეციალისტი

**საკვანძო სიტყვები:**
სახელმწიფო ქონება, განკერძოება, პოსტკომუნისტური სივრცე

საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს კერძო საკუთრების დომინირებას. საქართველო, როგორც პოსტკომუნისტური სახელმწიფო, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მის ფორმირებას. დღეს სახელმწიფო საკუთრებაშია ქვეყნის ძირითადი აქტივების 60-70%, რომელთა უმეტესი ნაწილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში.

სახელმწიფო საკუთრებაშია:

1. სასოფლო-სამეურნეო მიწების 65%
2. ხე-ტყის რესურსის 100%
3. სასარგებლო წიაღისეული (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია და ა.შ.) 100%
4. შენობა-ნაგებობები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გამოუყენებელია
5. 1400 სახელმწიფო კომპანია

ერთადერთი გზა, რომ მოხდეს ამ ქონების ტრანსფორმაცია კერძო საკუთრებად, არის მისი უფასო პრივატიზაცია!

ვერცერთი სახელმწიფო, თავისი ქონების ამხელა წილის გაყიდვას ვერ შეძლებს ბაზარზე სწრაფად და ეფექტიანად! ამ ქონების ბაზრისთვის მიწოდება ნიშნავს მიწოდების ზრდის შედეგად არსებული ფასების დაბლა დაწევას, კაპიტალის მოზიდვის ყველა შანსის გაქრობას. ასევე ეს პროცესი გაწელილია დროში!

მესაკუთრეებად უნდა ვაქციოთ თითოეული ჩვენი მოქალაქე! ეს შეუძლებელია ამ აქტივების გაყიდვით, რადგან მათი უმეტესი ნაწილი მსყიდველობითი უნარის გარეშეა!

ი. მაკალათია, მ. გარდავა, ვ. გიორგაძე

## რატომ არის საჭირო სახელმწიფო ქონების განკერძოება?

მაგალითად, რუსთაველის გამზირზე, მანამ, სანამ კომერციული ფართების მიმწოდებელი და მისი გამყიდველი იყო სახელმწიფო, 1 კვ/მ კომერციული ფართის ფასი შეადგენდა 40 აშშ. დოლარს. ამ აქტივების განკერძოებას მოყვა ფასების თავისუფალი ნახტომი და მიაღწია 3000 აშშ. დოლარს. ფასების ასეთმა ზრდამ მოიზიდა კაპიტალი და გაზარდა მესაკუთრეების ეკონომიკური თავისუფლება!

ასევე იყო სხვა ურაბანული მიწების ფასებიც. მაგალითად, დიღომში, 1 კვ/მ მიწის ფასი შეადგენდა დაახლოებით 50 ცენტს, მანამ, სანამ ამ ქონების მესაკუთრე და მიმწოდებელი ბაზარზე იყო სახელმწიფო. როგორც კი ეს ქონება გადავიდა კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში მაშინვე მივიღეთ ფასების ზრდა დაახლოებით 30 აშშ. დოლარამდე.

სახელმწიფო ქონების სრულ განკერძოებას მოყვება ამ ქონების ფასების ზრდა, კაპიტალის მოზიდვა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ეკონომიკური თავისუფლების სხვა სიბრტყეზე გადასვლა! ამ ეფექტს განსაზღვრავს ეკონომიკაში არსებული კანონი, რომელიც ცნობილია წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების კანონად!

სახელმწიფო ქონების სრულ განკერძოებამდე, მიზანშეწონილი იქნება ქონების მცირე ნაწილის, მაქსიმუმ 1-5%-ის განკერძოება. ჩვენ მიერ შემუშავებულია საპილოტე პროგრამაც, რომლის ჩამონათვალში შედის:

- 18 000 მიწის ნაკვეთი
- 16 საბადო
- 540 შენობა-ნაგებობა
- 36 სახელმწიფო კომაპანია

პროცესი გრძელდება 8 თვის განმავლობაში. ყოველი თვის დასაწყისში ქვეყნის თითოეული მოქალაქე ირებს 1000 ინვესტს საჩუქრად. მათი მიღება ქვეყნის რეზიდენტებს შეუძლიათ სპეციალურად შერჩეულ ბანკებში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შედეგად.

## როგორ ხდება აქტივების განკრეძოება?

მათი განკერძოება ხდება ღია და დახურულ აუქციონებზე. ღია აუქციონებზე ხდება მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების განკერძოება. დახურულ აუქციონებზე – საბადოები, სახელმწიფო კომპანიები.

ყოველ თვე მოქალაქეებმა იციან იმ ქონების რაოდენობა და ანგარიშები რომლებიც განკერძოვდება. ღია აუქციონები ხორციელდება დღეს არსებული მეთოდის ანალოგიურად! მსყიდველობითი უნარი გააჩნია მხოლოდ ნაჩუქარ "ინვესტებს"! ანუ ამ ქონების ყიდვა შესაძლებელია "ინვესტებით".

*მაგალითი: თვის პირველ რიცხვში აუქციონზე დაიდო მიწის ნაკვეთი № XXX. მოქალაქეები ახორციელებენ ბიჯებს თავიანთი "ინვესტებით". თვის ბოლოს ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იქნება ის, ვისაც ყველაზე მაღალი ბიჯი ექნება გაკეთებული! ეს პროცესი განხორციელდება ონლაინ მეთოდით.*

*ყველა გატანილი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა განკერძოვდება მითითებულ დროში, რადგან მისი ყიდვა განხორციელდება ნაჩუქარი "ინვესტებით"!*

## როგორ ხდება სახელმწიფო კომპანიების და საბადოების განკერძოება?

მათი განკერძოება ხდება დახურულ აუქციონებზე.

*მაგალითი:*

- *სახელმწიფო ქმნის სააქციო საზოგადოებას*
- *აფასებს საბადოს მარაგებს*
- *მოცემული მარაგები გადააქვს სააქციო საზოგადოების ბალანსზე*
- *უშვებს აქციებს*
- *ახდენს აქციების მინიმუმ 75 პროცენტის განკრეძოებას*

*მოქალაქეები მიდიან თვის განმავლობაში ბანკებში და წინასწარ ცნობილ ანგარიშებზე შეაქთ "ინვესტები". თვის ბოლოს ანგარიშები იხურება, შედეგები იგზავნება სახელმწიფოს მიერ შექმნილ სამსახურში და ხდება შეჯამება. მესაკუთრეების სია ქვეყნ-*

*დება არაუგვიანეს 3 დღეში.*

*თუ თქვენ შეიტანეთ 1000 ინვესტი და ჯამში შეტანილი ინვესტების რაოდენობა აღმოჩნდა 100 000, მაშინ თქვენ მიიღებთ სააქციო საზოგადოების განსაკერძოებლად გამოტანილი აქციების 1 პროცენტს.*

*აქციონერები ირჩევენ მენეჯმენტს. საუკეთესოდ ამ საკითხს ალბათ წყვეტს ამერიკული მოდელი! თუმცა ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება.*

## საიდან ჩნდება კაპიტალი, დაფინანსება?

მოცემულ სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ბალანსზე აქვს ქონება წიაღის სახით, მაგრამ ჯერ საქმიანობა არ დაუწყია, გაუჭირდება გასვლა საერთაშორისო ბირჟებზე. მაგალითად ლონდონის ბირჟა მოითხოვს ლისტინგის გავლას, რაც არც ისე იოლია. თუმცა, რადგან მოცემული სააქციო საზოგადოება, პრაქტიკულად, თავისუფალია რისკებისგან, ის შეძლებს, მაგალითად, ტორონტოს და სხვა საერთაშორისო ბირჟებზე აქციების გატანას, სადაც იმ კომპანიებს გააქვთ აქციები, რომელთაც წარმოება ჯერ არ დაუწყიათ.

## რატომ უნდა დაინტერესდნენ ინვესტორები ამ აქციებით?

ინვესტორებმა კარგად იციან ის, თუ რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს პოსტკომუნისტური ქვეყნიდან გასული აქციები. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჭარბი მიწოდებით დაკნინებულ ფასებად გასულ ქონებას აქვს ფასების ზრდის დიდი პოტენციალი! მოცემული წიაღის აქციებით ასევე დაინტერესდებიან ტოპ კომპანიები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი კალათის დივერსიფიცირებას.

როგორც კი, სააქციო საზოგადოებების აქციების თუნდაც 1% გაიყიდება საერთაშორისო ბირჟებზე, ეს უკვე ნიშნავს ჩვენი მოქალაქეების ხელთ არსებული აქციების ფასების ლეგიტიმაციას, ლიკვიდურობის ზრდას.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია, კაპიტალის მოზიდვის მიზნით, დამატებით გამოუშვას აქციები, ან არსებული უკვე ლიკვიდური ქონების უზრუნველყოფით მოიზიდოს გრძელვადიანი და იაფი სესხი. მოცემული კაპიტალი სააქციო საზოგადოებისთვის იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენის და რენტაბელობის მიღწევის წინაპირობა.

საერთაშორისო ბირჟებზე დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებენ ინტეგრაციას უკვე განკერძოებული სახელმწიფო კომპანიები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა გახდეს მომგებიანი და დღევანდელისგან განსხვავებით თვითონ დააფინანსოს ბიუჯეტი.

სააქციო საზოგადოებებს, რომელთაც არ დაუწყიათ წარმოება, მაგრამ ბალანსზე აქვთ საბადოები ქონების სახით, არ გაუჭირდებათ მსოფლიო ბირჟებზე ინტეგრაცია! სურვილის შემთხვევაში შეგვიძლია მოგაწოდოთ იმ ბირჟების კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც მათ თავისუფლად შეეძლებათ.

მოცემულ 8 თვეში მოქალაქეები ისწავლიან პროცესს. შესაძლოა პირველ თვეს ზოგიერთი მათგანი იაფად და იოლად შეელიოს საჩუქრად მიღებულ 1000 ინვესტს. მაგრამ მომდევნო თვეს, როცა ისევ ილებენ იმავე რაოდენობით ინვესტს, უკვე ეცოდინებათ შედეგი. ანუ როცა მოქალაქე დაინახავს, რომ მის მიერ გაფლანგულმა 1000-მა ინვესტმა წინა თვეს იყიდა, მაგალითად, ერთი ჰექტარი მიწა, მომდევნო თვეს ასე იოლად არ შეელევიან ნაჩუქარ ქონებას (1000 ინვესტი). ამით თავიდან ავიცილებთ ინვესტების უყაირათოდ გამოყენებას და ქონების კონცენტრაციას ადამიანთა მცირე წრის საკუთრებაში.

პილოტის დამთავრების შემდეგ, შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება ქონების სრული ტრანსფორმაცია სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში.

***კონკრეტული შემთხვევა:***

პილოტის განხორციელების მესამე თვე. 01.03. 2016-დან 01. 03. 31-მდე

საპრივატიზაციოდ გატანილი ქონების ნუსხა:

მიწები: სულ (1800 ერთეული)

1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 20.33.65.256 (გურია)
2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 20.35.65.256 (გურია)
3. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 20.38.65.256 (გურია)
4. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, სა-

კადასტრო კოდი 50.33.65.256 (სამეგრელო)

1800. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 30.33.65.256 (რაჭა)

შენობა ნაგებობები: სულ (540 ერთეული)

1. შენობა ნაგებობა №304, საკადასტრო კოდი, დამატებითი ინფორმაცია (ფოტომასალა და ა.შ.)
2. შენობა ნაგებობა №704, საკადასტრო კოდი, დამატებითი ინფორმაცია (ფოტომასალა და ა.შ.)

540. შენობა-ნაგებობა №202, საკადასტრო კოდი, დამატებითი ინფორმაცია (ფოტომასალა და ა.შ.)

სახელმწიფო კომპანიები: სულ (36 ერთეული)

1. სააქციო საზოგადოება "სანერგე", აქციების 10%, სულ 170 000 აქცია (იხ. დამატებითი ინფორმაცია დანართის სახით);
2. სააქციო საზოგადოება "საქართველო ფოსტა", აქციების 10%, სულ 220 000 აქცია

36. სააქციო საზოგადოება "სს სოფლის მეურნეობის განვითარება", აქციების 10%, სულ 120 000 აქცია.

სასარგებლო წიაღისეული: სულ (8 ერთეული).

1. სს "ლოპოტას მარმარილო", აქციების 10%, სულ 2,4 მლნ აქცია;
2. სს "ბარიტი" აქციების 10%, სულ 0.7 მლნ აქცია
3. სს "რაჭის სპილენძი", აქციების 10%, 4,7 მლნ.

თითოეული მოქალაქე ამ თვეში იღებს (ისევე როგორც წინა თვეებში) 1000 ინვესტს. მას უკვე აქვს იმის შესაძლებლობა, თვითონ განათავსოს მისი ინვესტები ზემოთ ჩამოთვლილი (ამ თვეს ხელმწისაწვდომი) ქონების შესაბამისად.

თვის განმავლობაში მოქალაქემ ვერ შეძლო თავისი კუთვნილი და ასევე დამატებით ნაყიდი ინვესტებით ვერცერთ ღია აუქციონზე თავისთვის სასურველი ქონების ყიდვა (მიწა, შენობა-ნაგებობები), თუმცა მის ხელთ არსებული 10 000 ინვესტის ნაწილი განათავსა სს "ლოპოტას მარმარილო", აქციების 10%, სულ 2,4 მლნ აქცია (დამატებიტი ინფრომაცია იხილეთ ნადართის სახით) და სააქციო საზოგადოება "სს სოფლის მეურნეობის განვითარება", აქციების 10%, სულ 120 000 აქცია სპეციალურ ანგარიშებზე (წინასწარ ცნობილ ბანკებში). თვის ბოლოს დაიხურა ანგარიშები და მოცემულ მოქალაქეს წილად ხვდა პირველი სააქციო საზოგადოების 950 აქცია, ხოლო მეორე სააქციო საზოგადოების 2033 აქცია.

მომდევნო თვეს, შენახული ინვესტებით, ასევე კუთვნილი 1000 ინვესტით, მას შეეძლება ისევ მიიღოს მონაწილეობა აუქციონებში (იმ თვეს არსებული სიის შესაბამისად).

8 თვის განმავლობაში თითოეულ სოფელს უნდა მიეცეს უფლება, წარადგინოს და დახურულ აუქციონებზე განაკერძოოს პრობლემური მიწის ნაკვეთები (რომლებიც არის მოქალაქეების მფლობელობაში).

თუ თანასოფლელები ერთმანეთში შეთანხმებულნი არიან და მათ ერთმანეთის მიწების მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, მაშინ თითოეული მოქალაქე, მინიმალური ინვესტების გამოყენებით, ამ მიწებს მიიღებს კერძო საკუთრებაში. ასევე, ეს მოქალაქეები არ გაეთიშებიან იმ მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც პარალელურად მიმდინარეობს და თავიანთი მორჩენილი ინვესტებით იქაც აქტიურად იქნებიან ჩართული.

სრულიად შესაძლებელია, რომ თუნდაც ამ 8 თვის განმავლობაში, ყველა პრობლემური მიწა გადავიდეს უკვე კერძო საკუთრებაში.

# The Importance of Privatization in Georgia and Post Communism Countries

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.008

**Irakli Makalatia**
Doctor of Economics,
A / O "Economic Policy Experts Center " President

**Mate Gardava**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student,
A/O "Economic Policy Experts Center" Founder,
invited specialist

**Vefkhia Giorgadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student,
A/O "Economic Policy Experts Center" Vice president,
invited specialist

**Key words:**
STATE PROPERTY, PRIVATIZATION, POST-COMMUNIST SPACE

## Summary

Despite the privatization process in 90s. and after the Rose Revolution, the significant part of assets still are under state ownership. As researches shows more then 65-70% of assets are owned by state and the rest of them are privatized. Significant portion of land parcels (65%), forest and wooded land (100%), mining sites (100%), buildings, 1400 state companies are not still privatized. Right now,we face the underdeveloped capital market. we need more assets under private property to establish the basic institution of market economy – capital market.

The core question is why these assets are not privatized yet? The answer is that it is impossible to privatized so huge amount of property for money in the short period of time. If we try to do this we will get undervaluation of those assets. What we actually should do is privatization without selling them for money.

In our scheme of privatization, people do not pay money to acquire property over some assets. They will receive special "money"- "Invest" (as it is called by us) from the government, only one thing that they can do with this money is to purchase an assets in auction (Of course, everyone can sell or buy "Invests"). Government sells thousands of land parcels, buildings, shares of state owned companies, some mining sites: marble, granite, bentonite clay and so on and people have right to acquire this property with "Invests". This process includes pilot program, which continues during 18 months. After pilot programm, we can privatize all assets using „invests".

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.009

**იაშა მესხია**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი,*
*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი*

**რუსუდან მაისურაძე**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**საკვანძო სიტყვები:**
ბიზნესი, სახელმწიფო, გლობალიზაცია

დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა მიჩნეულია მეურნეობის მართვისა და რეგულირების ყველაზე ეფექტიან მოდელად. უკეთესი ჯერ-ჯერობით კაცობრიობამ ვერ გამოიგონა. უახლეს ისტორიაში კარგადაა ცნობილი ეკონომიკის მართვის ხელოვნური, დირექტიული ანუ იგივე ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მოდელი, რომელმაც სოციალისტური სისტემის პირობებში მკაფიოდ გამოავლინა თავისი არაეფექტიანობა და მას სამართლიანად ჩაენაცვალა ბუნებრივი, თავისუფალი საბაზრო მოდელი. თუმცა, ეს უკანასკნელი მისი მრავალი დადებითი მხარეების მიუხედავად, სრულად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური პროცესების წარმატებულ რეგულირებას მთელი საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის ინტერესების შესაბამისად. მისი ყველაზე დიდი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვერ ახდენს გარანტირებული სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას, გარემოს დაცვას და, რაც ყველაზე მთავარია, მას არა აქვს სოციალური მიმართულება, იგი ვერ იცავს ღარიბი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსახლეობის ფენას. გარდა ამისა, ეკონომიკის საბაზრო მოდელი, რომელიც ეფუძნება კერძო საკუთრებას, არ არის დაინტერესებული თავისი კაპიტალი მიმართოს ისეთ დაბალმომგებიან დარგებში, რომელთა ფუნქციონირება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამიტომაც ეს საქმე სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. უფრო მეტიც, სახელმწიფო იძულებულია გარკვეულწილად ჩაერიოს კერძო მეწარმეობაში იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არის საბიუჯეტო შემოსავლების მთავარი წყარო, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ახდენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას, პენსიების და შემწეობების გაცემას და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებას. ბაზარი, რაც არ უნდა ცივილური იყოს იგი, მაინც არ არის სტაბილური და იგი არც თუ იშვიათად ტურბულენტურ მდგომარეობაში აღმოჩნდება

სხვადასხვა ეგზოგენური და ენდოგენური ნეგატიური ფაქტორების (პოლიტიკური კრიზისები, ომები, მიწისძვრები, წყალდიდობები და სხვა) ზემოქმედების შედეგად, რაც იწვევს ეკონომიკურ კრიზისებს, უმუშევრობის დონის ზრდას, ინფლაციურ პროცესებს, წარმოების დაცემას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში, რადგან მხოლოდ სახელმწიფოა ის ორგანო, რომელსაც სხვადასხვა ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტების გამოყენებით შეუძლია წარმოქმნილი ქასური მდგომარეობის დაბალანსება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს მუდმივად უწევს ეკონომიკის დაბალანსების მიმართულებით საქმიანობა და სამეურნეო საქმიანობაში მისი ჩარევის დონე დამოკიდებულია ბაზრის ქცევაზე, ქვეყანაში შექმნილ მაკროეკონომკურ წონასწორობაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფო ზრდის ან ამცირებს ეკონომიკაში მისი ჩარევის დონეს. თუმცა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ საუკუნეების უკან დაწყებული თეორიული დისკუსია კვლავ გრძელდება. ახლა საუბარი არა იმდენად იმაზეა, ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკაში, არამედ იმაზე – რამდენად, რა დოზით უნდა ჩაერიოს იგი მასში. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების დასასრულს მერკანტელისტები მხარს უჭერდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ექსპორტის წახალისებისა და იმპორტის შეზღუდვის გზით. შემდგომ ა. სმითი საფუძველს უყრის საბაზრო ძალების თავისუფალი თამაშის თეორიას, ბიზნესის დამოუკიდებლობის კონცეფციას, თუმცა იგი არ უარყოფს სახელმწიფოს როლს ადამიანის სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის სფეროში, აგრეთვე ეკონომიკის იმ სფეროებში სადაც მეწარმეს დამოუკიდებლად არ შეუძლია ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა. ა. სმითის თეორიის თანახმად ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა თავისუფალი მეწარმის კერძო ინტერესების რეალიზაცია, რითაც მიიღწევა როგორც მისი პირადი, ასევე მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება [სმიტი 1938]. მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯ. კეინზმა უარყო კლასიკოსთა თეორია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ. კერძოდ, მისი თეორიის თანახმად სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, რადგანაც თავისუფალ ბაზარს არა აქვს სათანადო ბერკეტები საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად. სახელმწიფოს კი შეუძლია ბაზარზე ზემოქმედება მოთხოვნის გაზრდის კუთხით მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, აგრეთვე საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენებით [კეინზი 1995]. კეინზის მოდელმა საკმაოდ კარგად იმუშავა ომისშემდგომ პერიოდში 70-იან წლებამდე, რაც ძირითადად გამოხატებოდა ეკონომიკის ციკლური რყევადობის შემცირებაში, თუმცა, შემდგომ თავი იჩინა შეუსაბამობამ სახელმწიფოებრივი რეგულირების შესაძლებლობებსა და ობიექტურ ეკონომიკურ პირობებს შორის, შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და შემცირდა სახელმწიფოს მიერ ეროვნული შემოსავლის გადანაწილების შესაძლებლობა, დაიწყო ინფლაციური პროცესები და დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის კარდინალურად გარდაქმნის ამოცანა. ამის პასუხად შეიქმნა რეგულირების ახალი ნეოკონსერვატიული თეორია, რაც გულისხმობდა უარის თქმას ეკონომიკაზე მოთხოვნის რეგულირებით ზემოქმედებაზე და მის ნაცვლად მიწოდებაზე ზემოქმედებისათვის ირიბი ბერკეტების გამოყენებას. მიწოდების ეკონომიკის თეორიის თანახმად საჭიროა დაგროვების კლასიკური მექანიზმის შექმნა და კერძო მეწარმეობის სრული თავისუფლების უზრუნველყოფა. აქ ეკონომიკური ზრდის ფუნქციას წარმოადგენს კაპიტალის დაგროვება, რომელიც თავის მხრივ ფორმირდება მოგების კაპიტალიზაციისა და ნასესხები სახსრებისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, ნეოკლასიკური თეორიის შესაბამისად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კაპიტალის დაგროვებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა. აღნიშნულის განხორციელებაში ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია მაღალი გადასახადები და ინფლაცია, რადგან პირველი ზღუდავს კაპიტალდაბანდებების ზრდას, ხოლო მეორე აძვირებს კრედიტის სახით მოზიდულ სახსრებს. ასეთი ვითარების დასარეგულირებლად

საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან ანტი-ინფლაციური ღონისძიებების გატარება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მეწარმეების-ადმი საგადასახადო შეღავათების გაწევაში. თუმცა, გადასახადების შემცირება ნეგატიურად აისახება ბიუჯეტის შემოსავლებში, ზრდის მის დეფიციტს და ბუნებრივია რისკის ქვეშ აყენებს სტაბილური ფასების შენარჩუნებას. აღნიშ-ნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება სახელმწიფო ხარჯების შემცირება, მოთხოვნის შესანარჩუნებლად ბიუჯეტის გამოყენებაზე უარის თქმა. ასეთ ვითარებაში შეიზღუდება სახელმწიფო ფართომასშტაბიანი სოციალური პროგრამების განხორციელება. გამოსავალი უნდა ვეძებოთ დერეგულირების პოლიტიკაში, რაც გულისხმობს ფასების და ხელფასების რეგლამენტირების ლიკვიდაციას, კანონების ლიბერალიზაციას, სამუშაო ძალის ბაზრის შე-ქმნას და ა. შ. ამრიგად, სახელმწიფოს ნეოკონ-სერვატული მოდელი პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ერევა ეკონომიკაში, მაგრამ ქვეყნის ეკო-ნომიკურ განვითარებაში მთავარ ძალას მაინც ბაზარი წარმოადგენს.

მკვლევარებს შორის დღეისათვის დისკუსიის საგნად გამოდის ეკონომიკის რეგ-ულირების ორი თეორია – მონეტარული [Фридмен 2002] და კეინზიანური [კეინზი 1995]. აქედან პირველი გულისხმობს ეკონომიკის გათავისუფლებას სახელმწიფოს ჩარევისაგან, გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შემ-ცირებას, ხოლო მეორე თეორიის თანახმად ბაზ-არს არ შეუძლია ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, რის გამოც აუცილებელია სახელმ-წიფოს ჩარევა, მაგრამ ძირითადად ირიბი მეთ-ოდების გამოყენებით. სწორედ ეს უკანასკნელი გზა გამოიარა საქართველომ მას შემდეგ, რაც აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობა და დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადას-ვლა.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციის მაღალი დონე აღიარებულია მრავალ ავტორიტეტულ საერაშორისო საფინ-ანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტებში და ქვეყნის შიგნითაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაშო ოპოზიციურ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომ-ლებიც ამომრჩეველთა მოზიდვის მიზნით ცნობი-ერად ამახინჯებენ რეალობას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თეორიები თეორ-იებად რჩება, ხოლო პრაქტიკულად მსოფლიო ეკონომიკა ყოველთვის არ მიყვება თეორიას. საუბარია იმაზე, რომ დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფო პირდაპირ ან ირიბად ერევა ეკონომიკაში. იგი აკონტროლებს და არეგულირებს ეკონომიკურ ზრდას, შეიმუშავებს ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას და სამოქმედო პროგრამას, ადგენს ბიზნესის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის კრი-ტერიუმებს, ხელს უწყობს დასაქმების პრობ-ლემის დარეგულირებას, ეხმარება ღარიბებს და პენსიონერებს, უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში გაცილებით უფრო ღრმა და მრავალწახნ-აგოვანია, იგი გამოირჩევა თავისებურებებით [Абалкин 1997, Папава 1993, ჭითანავა 1999], რაც გამოწვეულია იმ ეკონომიკური რე-ფორმებით, რომელთა გატარება აუცილებელია ცივილური საბაზრო ურთიერთობათა დასამკ-ვიდრებლად. ცნობილია, რომ ნებისმიერი სარე-ფორმო ეკონომიკური გადაწყვეტილება მიიღება მთავრობის მიერ, რაც ნიშნავს სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას ეკონომიკასა და ბიზნესში. ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ბაზარი თვითრეგულირებადია და მასში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს კატეგორიულად მიუღებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ამიტომაც, ფაქტობრივად, ამ ტიპის ქვეყნებში სახელმწიფო ატარებს უწყვეტ რეფორმებს ეკო-ნომიკაში პირდაპირი და ირიბი ჩარევის გზით, რაც, ჩვენი აზრით, არც უნდა გახდეს თეორი-ული დისკუსიის საგანი.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას მუდამ თან ახლდა და დღესაც თან ახლავს სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკასა და ბიზნესში. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ქვეყანა გადადიოდა გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პროცესი შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად [პაპავა 2015], დღეისათვის მაინც დგას ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, თუმცა, წინანდელთან შედარებით უფრო მცირე დოზით. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა და რე-ფორმების გატარების ხარისხის კრიტერიუმით შეიძლება გამოიყოს ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტაპი.

პირველი ეტაპი მოიცავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე პერიოდს (1991-1995 წწ.). ამ ეტაპზე მრავალი ეგზოგენური და ენდოგენური ნეგატიური ფაქტორებისა და პირობების ზემოქმედების შედეგად ეკონომიკის დაცემის საპასუხოდ სახელმწიფო იძულებული იყო შესაძლებლობის ფარგლებში პირდაპირ ჩარეულიყო ეკონომიკის რეგულირებაში. შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, სახელმწიფომ მართვის ადგილობრივ ორგანოებს აუკრძალა ნებისმიერი სახის სესხის აღება ბანკებისაგან. ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ქვეყნის საბანკო სისტემის კონტროლი და დააწესა მასზე ზედამხედველობა. სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები თავმოყრილ იქნა ეროვნულ ბანკში. გაძლიერდა რეგულირებადი ფასების ადმინისტრირება, არსებითად გაიზარდა ტარიფი ელექტროენერგიაზე. დაიწყო საცხოვრებელი ბინებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების უფასო პრივატიზაცია და სხვა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რეფორმების ეს ეტაპი წარუმატებელი აღმოჩნდა. ყოველივე ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში, თუმცა მათ არსებითი ხასიათის ეკონომიკური შედეგები არ მოჰყოლია იმის გამო, რომ ქვეყნის ინსტიტუციონალური და სამართლებრივი გარემო არ პასუხობდა სანაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს [მესხია 2015, Meskhia 2013].

მეორე ეტაპზე (1995-2003 წლები) ეკონომიკასა და ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევა შედარებით ირიბ ხასიათს ატარებდა, რაც გამოიხატებოდა ბიზნესისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური, სამართლებრივი და ტექნოლოგიური გარემოს შექმნაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის კრედიტების დახმარებით მოითოკა ჰიპერინფლაცია, შემოიღეს ახალი ფულადი ერთეული (ლარი), გატარდა უფრო გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა. სახელმწიფო ხარჯები მნიშვნელოვნად შეიკვეცა, გამარტივდა საგადასახადო სისტემა, მოიხსნა რიგი შეზღუდვები უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე და საგარეო-სავაჭრო ოპერაციებზე. გათავისუფლად ფასები მარცვლეულზე და პურპროდუქტებზე, მიღებულ იქნა კანონი კომერციული ბანკების, დაბეგვრისა და მიწის შესახებ, დაჩქარდა მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზაციის პროცესი, ვაჭრობა გახდა უფრი ლიბერალური, განხორციელდა სხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმები, რის შედეგადაც დაიწყო ეკონომიკის თანდათანობით ზრდისა და ქვეყნის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის პროცესი. თუმცა სახელმწიფომ ვერ შეძლო ეკონომიკის უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით, დასაქმების ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებითად ამაღლება [Meskhia 2013].

ეკონომიკური რეფორმების მესამე ეტაპი მოიცავს 2004-2012 წლებს, როცა ეკონომიკის ლიბერალიზაცის გაღრმავებას თან ახლდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური, უხეში, კანონსაწინააღმდეგო ჩარევა, რაც გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარების ტემპების ზრდაში, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო საკუთრებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდვაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფო ეკონომიკისადმი მხარდაჭერის პარალელურად ახდენდა მასში ნეგატიური, ძალისმიერი კუთხით ჩარევას, რაც გახდა შემდგომში ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის საფუძველი [Месхия 2014].

ეკონომიკური რეფორმების მეოთხე ეტაპი, სათავეს იღებს 2012 წლის მიწურულიდან და გრძელდება დღემდე. ამ ეტაპზე ბიზნესი გათავისუფლდა პარტიულ-პოლიტიკური წნეხისაგან, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკასა და ბიზნესში ძალადობრივი ჩარევა, სახელმწიფომ გააქტიურა საქმიანობა ბიზნესისადმი პირდაპირი მხარდაჭერის მიმართულებით, განსაკუთრებით აგრარულ და ტურისტულ სფეროებში (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნა, ვაუჩერების დარიგება, კოოპერაციის შესახებ კანონის მიღება, შეღავათიანი აგროკრედიტის სამდონიანი პროგრამა, სუბსიდირება, აგროდაზღვევა, პროექტი „აწარმოე საქართველოში“ და სხვა), საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა (ჯარიმების შემცირება, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება, მუბუქი საგადასახადო ამნისტიის გატარება და სხვა). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში არა თუ ჩარევამ, არამედ სათანადო დონეზე ჩაურევლობამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და მოსახლეობას. საუბარია ქართული ვალუტის

გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე, რომელიც გამოწვეული იყო ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების გავლენით. თუმცა ქვეყნის არასწორმა შიდა სავალუტო პოლიტიკამ კიდევ უფრო გააღრმავა სავალუტო კრიზისი. ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საჭირო მომენტში სახელმწიფოს ეკონომიკაში სათანადო დონეზე ჩაურევლობა უნდა მივიჩნიოთ.

დღევანდელი ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკა მკაფიოდ გვიჩვენებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას საქართველოს ეკონომიკაში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისადმი პირდაპირი მხარდაჭერის კუთხით. ჩვენი აზრით, აქ საჭიროა გარკვეული ზომიერება და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინება. ბიზნესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა (სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა) მიზანშეწონილია კრიტიკული, ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, როდესაც ადგილი აქვს ბუნებრივ სტიქიურ და სხვა ადამიანისაგან დამოუკიდებელ მოვლენებს, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას ეხება. მაგრამ სახელმწიფო სახსრებით ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტების შეძენა, ხვნა-თესვის ორგანიზება და სხვა ამ სახის დახმარებების ყოველწლიურად აღმოჩენა განურჩევლად ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობისა, ერთი მხრივ, მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის არც თუ მცირე ნაწილი საგარეო და საშინაო სესხებით ივსება, ხოლო, მეორე მხრივ, მრავალჯერად ასეთი დახმარებები იწვევს ადამიანის მეწარმეობრივი სტიმულების დაქვეითებას და გადაყავს იგი სახელმწიფოს მხრიდან სისტემატური დახმარების მოლოდინის რეჟიმში. ჩვენი აზრით, საწყის ეტაპზე ასეთი პრეფერენციები შეიძლება გამართლებული იყო, თუმცა ხანგრძლივი ვადით მისი შენარჩუნება არაა მიზანშეწონილი და ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა შეცვალოს ეკონომიკური პოლიტიკა [Meskhia 2015].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო საქართველოს ეკონომიკაში მეტ-ნაკლებად ერეოდა და სრულიად სამართლიანადაც. ეკონომიკის ტალღისებრი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე შეინიშნებოდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევისაგან თავის შეკავებაც, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ვიდრე ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, კვლავაც იქნება სახელმწიფოს ეკონომიკაში პირდაპირი და ირიბი მეთოდებით ჩარევის აუცილებლობა. დღევანდელი ეროვნული ეკონომიკა, რომელიც გლობალური პროცესების გავლენის ქვეშაა, მეტწილ შემთხვევაში არ "ემორჩილება" კლასიკური ეკონომიკური თეორიების მოთხოვნებს. ეს რეალობაა და ამას ადასტურებს როგორც მსოფლიოს განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა და პრაქტიკა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. სმიტი, ადამ. (1938). გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. კეინზი, ჯ. (1995). დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი.
3. Фридмен, М. (2002). Основы монетаризма. М.
4. Абалкин, Л. (1997). Роль государства в становлении и регулировании рыночной экономики,"Вопросы экономики", N 6.
5. Папава, В. (1993). Роль государства в современной экономической системе, „Вопросы экономики", N 11.
6. ჭითანავა, ნ. (1999). გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება), თბილისი.
7. პაპავა, ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბილისი.
8. მესხია, ი. (2015). სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: რეალობა და გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტომი 12, თბილისი.
9. Meskhia, I. (2013). Political instability and economic turbulence in Georgia, "Economics and Business", №5.
10. Месхия, Я. (2014). Сильные и слабые стороны экономических реформ в посткоммунистической Грузии, Ж., "Tht Caucasus", №2.
11. Meskhia, I. (2015). Peculiarities of Economical Reform in Post Soviet Georgia: Challenges and Prognosis, journal "The Caucasus", April-June.

# Government Intervention in Business Theory and Practice

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.009

**Iasha Meskhia**
Doctor of Economic Sciences,
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi state University
Head of the Department of International Business,
Prezident of the Academy of Economic Sciences of Georgia

**Rusudan Maisuradze**
Doctoral student Ivane Javakhishvili Tbilisi state University

**Key words:**
GOVERNMENT INTERVENTION, BUSINESS, THEORY, PRACTICE

## Summary

The work analyzes the theory and practice discussion issues of Government intervention in economy and business. Reasoned that at all times and in every country the various levels of state interference in the economy is different. In developed market economy the state intervenes indirectly, while in developing and crisis economy with direct and indirect methods. it analyses Georgian market economy in transition of state interference in business forms and methods. The conclusion is made that the the country's undulations development of economy makes necessary to actively support the business, but it should not have a systematic character.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# გლობალიზაცია და ქართული ენა

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.010

**რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ენა, მემკვიდრეობა, წარსული, აწმყო, მომავალი

ენა – გენია, მემკვიდრეობა, წარსული, აწმყო და მომავალი. მისი საშუალებით ხდება მიახლება კულტურასთან და ეს „იდუმალი" მიახლება სხვა არაფერია, თუ არა გენეტიკური სისხლის, სულიერების ერთიანობა. ენის სიყვარული სისხლში უნდა გქონდეს გამჯდარი. ენამ სულმა და სისხლმა უნდა გაითავისოს.

ჰუმბოლტი წერდა: „ენა სულია ერისა" საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება. ენაში ბგერის ჟღერადობა ფიზიკური მოვლენაა, რომ ბგერების საშუალებით რაღაც ხდება, რომ ეს არის ენა და ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ. მაგრამ არასოდეს უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ენა არ არის მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება. ენას გააჩნია ლოგოსური ბუნება, რომლისკენაც მხოლოდ სულიერება მიემართება. ალბათ, ამ აზრითაა ენა ერის სული.

იმისათვის, რომ „არ დავივიწყოთ მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაჲ" კარგად უნდა გავიშინაარსოთ XXI საუკუნის დადგომა. ეს არის ორი ნიშნით გამორჩეული საუკუნე. დღემდე არნახული შესაძლებლობის საუკუნე. ეს არის ის, რასაც მოკლედ გლობალიზაციას ვუწოდებთ, რომლისგანაც თავდაცვაც არ არსებობს და არცაა საჭირო. გლობალიზაციას ბრძოლა კი არა, გააზრება სჭირდება, ოღონდ ისე, რომ „მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაჲ" შეინარჩუნო და ერთიანი კაცობრიობის ოჯახის წევრად იქცე. ეს რომ შეძლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენის სიწმინდისა და სწავლების საკითხს, მეტადრე მაშინ, როცა ბილინგვა, ანუ ორენოვნება ასეა „მოძალებული".

ენასთან სულით უნდა მიხვიდე და ისე ელაპარაკო. თუ ენის სულით ლაპარაკო გლობალიზაცია საშიში არაა. შეიძლება ადამიანს ბევრი რამ ასწავლო, მაგრამ ვერასოდეს ასწავლი ენის სულით საცნაურობას. ამას შინაგანი ქართველობა სჭირდება. მთელი სამყარო რომ დაგადგეს თავზე, ვერაფერს გახდება, თუ მშობლიური ენის სიყვარულით სული გამზიანებული არ გვაქვს, თუ არასოდეს დაფიქრებულხარ დავით გურამიშვილის სიტყვებზე: „ვინ არის, საიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო..." [დ. გურამიშვილი, 1955. 33].

დღესდღეობით უამრავი თეორიები არსებობს ენის კვდომასა და მის გადარჩენასთან დაკავშირებით. ენათმეცნიერებაში კარგადაა გააზრებული, თუ როგორ მოქმედებს ორენოვნება ადამიანის ბუნებასა და ხასიათზე. ამიტომ გლობალიზაციის ჟამს „უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური. დედა ენა ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველ ადამიანს [დამოწმებულია გიორგი გოგოლაშვილის წიგნიდან სიბრძნე იაკობისა, 11.2014]. ორენოვანებას აქვს თავ-

ისი ნაკლოვანება, მაგრამ ამავდროულად აქვს უპირატესობაც. ამის უტყუარი დასტურია შვეიცარიისა და ირლანდიის სახელმწიფოების მოხმობა, სადაც ორენოვნება ჩვეულებრივი ამბავია.

ჩინგიზ აითმატოვი ეროვნებით ყირგიზია, მაგრამ წერს რუსულად. გამოდის რომ რუსი მწერალია. ორენოვნებამ მწერალს საკუთარი ეროვნება დააკარგვინა, რადგან რა ენაზე წერ, იმ ერის შვილად ითვლები. როგორ მოხდა ეს, სხვა საკითხია და ამაზე არ შევჩერდებით. ვიტყოდით მხოლოდ ერთს, მეტი სიფრთხილეა საჭირო ორენოვნებასთან მიმართებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენას", რომელსაც ძალას სძენდა: „პირველი გაკვეთილი ია, აი – ია. ეს არის ქართულ სინამდვილეში ყველა დროისთვის ყველაზე დიდი მიგნება, ეპოქალური აღმოჩენა, ზნეობრივი სახელმძღვანელო [გ. გოგოლაშვილი, „სიბრძნე იაკობისა", 12. 2014]. ორენოვნების დამარცხებით იმარჯვებს მონოლინგვიზმი. შეიძლება თუ არა ამ პროცესის შეჩერება? – არა, ბილინგვიზმის საფეხურებრივი გააზრება ამის საშუალებას არ იძლევა.

ენის საკითხი თანამედროვე გლობალიზებულ ეპოქაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა. მეცნიერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩართულნი არიან ამ საქმეში, რადგან კარგად ესმით, ნებისმიერი ენის კვდომა კიდევ ერთი ფერის დაკარგვაა სამყაროსთვის.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ენის ოთხ მნიშვნელობაზეა მითითებული, რომელთაგან პირველი მის ბიოლოგიურ დანიშნულებას ხსნის, მეორე მის სოციალურ ღირებულებას, მესამე – მეოთხე მის სამეტყველო მხარეს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთტომეულში ენა ასეა ფორმულირებული: „საუბრის ასო, პირის" [ორბელიანი, 124, 1993]. ილია აბულაძესთან საერთოდ არ არის განმარტებული.

„მამათა სწავლებაში" ვკითხულობთ: „ენაჲ ზრახავს მას, რომელსა მოსცემს გული და გონებაჲ" [მ. სწ. 17. 1955]. როგორც ვხედავთ, ენა გულისა და გონების ნაყოფია. ე.ი. რასაც გული და გონება კარნახობს ადამიანს, მას გადმოსცემს სიტყვებით, სხვაგვარად ენით.

ელოდება თუ არა მცირე ერებს ენის სიკვდილი გლობალიზაციის პირობებში? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემთ მოკლე ექსკურსი ჩავატაროთ ამასთან დაკავშირებით. დევიდ კრისტალი წერს: „ენა კვდება, როდესაც მასზე არავინ ლაპარაკობს" [Crystal, 1. 2000]. ან, მაშინ, როცა ერთი მოსაუბრე რჩება და მას აღარავინ ჰყავს, რომ ელაპარაკოს.

მეი აღნიშნავს, რომ ენის დაკარგვა და ენის გადართვა ყოველთვის ხდებოდა ისტორიის მთელ მანძილზე, მაგრამ რაც არის „თვისობრივად განსხვავებული XXI საუკუნეში, არის უპრეცედენტო მასშტაბის დაკარგვისა და დაცემის პროცესი" [May, 2. 2008].

დორიანის მიხედვით ენა კვდება მაშინ, როცა: „მოსაუბრეთა შემცირებული რიცხვია, ენის რეალიზებას მოკლებული აქვს სფეროები და ენის სტრუქტურა გამარტივებულია" (Dorian, 85-94. 1980).

ვილფორდი აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი ენა ქრება ერთ წამში, ერთადერთი ცოცხალი მოსაუბრის სიკვდილთან ერთად. სხვა ენები იკარგება თანდათან ბილინგვურ კულტურებში მაგ. ადგილობრივი ენები ისპობა დომინანტური ენების მიერ სკოლებში, სავაჭრო ადგილებში, ტელევიზიით და ა.შ" [Wilford, 19. 2007].

ამერიკელმა ენათმეცნიერმა კრაუმსმა განაცვიფრა მსოფლიო აკადემიური სამყარო, როდესაც იწინასწარმეტყველა, რომ 2100 წლისთვის მსოფლიო ენების 90% არსებობას შეწყვეტდა. ცნობილი ფრანგი ლინგვისტი კლოდე ჰაგიჯი წერს: „ხალხის უმრავლესობას საერთოდ არ აინტერესებს ენების სიკვდილი. თუ ჩვენ ფრთხილად არ ვიქნებით ინგლისურთან მიმართებით, ის იმდენად პროგრესით მიიწევს წინ, მან შესაძლოა საბოლოოდ მოკლას ენების უმრავლესობა" [Hagage, 2009].

თუ ენის გაქრობის არსებულ ლინგვისტთა შეხედულებებს შევაჯამებთ და ქართულ ენას მიუსადაგებთ, მივიღებთ:

- ქართული ენა გაქრება, როცა ამ ენაზე უკანასკნელი მოლაპარაკება მოკვდება
- ქართული ენა არ იმყოფება არასტაბილურ ბილინგვურ ენობრივ საზოგადოებაში
- ქართული ენა პრივილიგებული და სახელმწიფო ენაა, რასაც სხვა ენა ვერ დაჩრდილავს.
- ქართული ენა საქართველოში უმრავლესობის ენაა
- ქართული ენა შეუწყვეტლივ გადაეცემა შთამომავლობას.

დორიანის მიერ განსაზღვრული ენის სიკვდილის სამივე ნიშანი ქართულ ენას არ ემუქრება, რადგან:

1. მოსაუბრეთა რიცხვი არ შემცირებულა
2. ენის რეალიზაციის სფეროები ფართოა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გამოკლების მიუხედავად)
3. ენის სტრუქტურული გამარტივება არ ხდება.

რად ღირს მარტოდ აღებული ზმნა – შემასმენელი (პრედიქატი). ქართული ენის სიცოცხლისუნარიანობა მის სინტაქსშია. წინააღმდეგ შემთხვევაში ენა ვერ გაუძლებდა ეგრერიგად მომრავლებულ ნეოლოგიზმებს. ენაში უცხო სიტყვების შემოტანა გამართლებულია, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს არსებულის უარყოფას. კერძოდ, არ შეიძლება ენაში არსებული სიტყვების მაგივრად უცხოურიდან შემოსული ანალოგიის დამკვიდრება, როგორიცაა ივენთი, სენსიტური, ფეშენებელური, დაბუქვა, დაკლიკვა და ა.შ. ეს სიტყვები ჩვენ არაფერში გვჭირდება, რადგან ქართულ ენასაც აქვს მათი შესაბამისი შესატყვისი. ყოველივე ეს თანამედროვე მეტყველების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ენის ცოდნა მხოლოდ გრამატიკული ნორმების მართებული გამოყენება არ არის, ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ ქართული სიტყვების ცოდნა – არცოდნის საკითხია. ასეთ დროს (გლობალიზაცია) გადამწყვეტი სიტყვა ქართულმა ფილოლოგიამ უნდა თქვას.

არ არსებობს ჯერ მაგალითი იმისა, რომ ერთ ძლიერ ენას მეორე სუსტი დაენდოს. ყველაფერი დამოკიდებულია პატარა ენის შინაგან სიცოცხლიუნარიანობაზე. „ენებს შორის ისევე მიმდინარეობს ბრძოლა, როგორც, ზოგადად ბუნებაში: დიდები ძალაუფლებისათვის იბრძვიან, პატარები გადარჩენისთვის. აქაც ისევე ჩაგრავენ ძლიერები სუსტებს, როგორც ყველგან – მცენარეთა, ფრინველთა თუ ცხოველთა სამყაროში“ [ქ. გიგაშვილი, ნოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, 241. 2014]. გლობალიზაციის დროს კი უფრო მეტად მძაფრდება ბრძოლა მცირე ერების ენის გადარჩენისთვის. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ნორმებს, არამედ ენის სახისმეტყველებით განფენილობას, რომ ენა სულიერი გაგებით ერს გულისხმობს. ძველად ერთიანობაში გაიზრდებოდა „ერი და ენანი“ [გამოცხ. 147].

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ქართულ ენასთან შედარებით კიდევ უფრო პატარა ენები (აფხაზური, ოსური). მოდით, უფრო მასშტაბურად შევხედოთ ამ საკითხს. აფხაზები და ოსები იმდენად გადართულნი არიან მეორე ენისადმი (რუსული), რომ თავიანთი ენა ლამის დავიწყებისთვისაა განწირული. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ჩვენი თანამოქალაქეები. მიუხედავად იმისა, რომ ორი ათეულ წელზე მეტია მოსწყდნენ საკუთარ სივრცეს, მაინც რუსულად მეტყველებენ. აქედან, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაშია დღეს აფხაზური, ოსური ენები იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება. ამ დროს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთელი ძალისხმევით ისწავლებოდა აფხაზური და ოსურ ენები. ბატონი რევაზ სირაძე იგონებდა, რომ სამეცნიერო კონფერენციებზე სოხუმში ქართველი მეცნიერები აფხაზურ ენაზე კითხულობდნენ მოხსენებებს. აფხაზები პირად საუბრებში არ ფარავდნენ იმ დიდ სითბოს, რაც მათი ენისადმი იყო გამოჩენილი. გრძნობდნენ, ეიმედებოდათ ქართველი მწიგნობარნი, ასე ძალუმად რომ ედგნენ აფხაზურ ენას გვერდით. მათ კარგად ესმოდათ, რომ ოკეანე შთანთქავდა აფხაზურ ენას, ხოლო მდინარეში ადვილი იყო გადარჩენა. შემდგომ რთულად წარიმართა ყველაფერი, მაგრამ ზემოაღნიშნული დღესაც ახსოვთ მხცოვან აფხაზ მეცნიერებს, რომლებიც აუცილებლად გადასცემენ მომავალ თაობებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალიზაციის პირობებში ქართულ ენასთან თაანარსებობას, რადგან ქართული ენა სამწერლობო ენაა და კულტუროლოგიის გადმოსახედიდან არცერთ სხვა ენაზე მეტი თუ არა ნაკლები არაა. მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით: მარტო წვიმას ცხრა სახელი აქვს... ან სვეტიცხოველი – მესვეტიცხოვლა, ალავერდი – მეალავერდა, გელათი – მეგელათა და ა.შ. ეს უკვე სხვა განზომილებაა. მეტად ესთეტიკურია ენა ქართული.

საქართველოში ყოველთვის იყო ორენოვნობა, მაგრამ ქართული ენა ახერხებდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას. არაოდა, სიამოვნებით იწერებოდა: „სპარსთა ენისა სიტკბომან, მას სურდა მუსიკობანი“ (თეიმურაზი). ეს პირდაპირი აღიარებაა სპარსული ენის უპირატესობის. მართლა ზედმეტი მოუვიდა მეფე-პოეტს. ამით რომ ქართულ ენას არაფერი დაკლებია, არ ვიქნებით მართალნი. ეს არის პერიოდი სპარ-

სეთში (ირანი) სუფიზმის დამკვიდრებისა. სუფიზმი კი ტკბობას, მოდუნებას, უოჯახობას ქადაგებდა და ამის დანერგვა ჩვენს ქვეყანაში ყოვლად მიუღებელი იყო. ამიტომ დასაძლევი გახლდათ ეს და ქართული ენის შინაგანმა ბუნებამ ასეთ დროს შეუძლებელი შეძლო.

თუ გადავხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიას, კარგად დავინახავთ, როგორ იბრძოდა ქართული ენა ჩვენი სახიერების შესანარჩუნებლად. ძნელი იყო ბერძნული ენის დაძლევა, რადგან თვით იოანე პეტრიწი წერდა: „მინდოდა ქართული ენა ბერძნულად გავწყო და მე არისტოტელაო" (ი. პეტრიწი) ე.ი. ფილოსოფიური ქართული შემექმნაო. შექმნა კიდეც!

წარმოვიდგინოთ: ბერძნული, არაბული, სპარსული, რუსული ენების დაძლევა თუ საჭირო გახდება, მომავალშიც დავძლევთ, რადგან სხვა მრავალ ასპექტთან ერთად ქართული ენის ძალმოსილება სინტაქსსა და სახისმეტყველებით პოტენციალშია. ორენოვნებამ ქართულ ენას ვერაფერი დააკლო, ყოველ შემთხვევაში, მისი განვითარება არ შეჩერებულა, რისი ნათელი დასტურიცაა ქართული ანბანის სამი სახეობა: მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული. იშვიათია ერი, რომელსაც ანბანის ამდენი სახეობა აქვს, რაც ქართული ენის უდიდეს სისავსეობაზე მიუთითებს. ამიტომაც ბილინგვიზმის დაძლევის შესანიშნავი მაგალითია ქართული ენა. აქ არ გამოდგება იმის მტკიცება, რომ ქართული მკვიდრი ენა იყო. დიახ, იყო! მაგრამ ბერძულ ენაზე მაღლა მდგომი?!

მიუხედავად ამისა, ქართულმა ენამ შეძლო არ აღრეულიყო სხვა ენაში. ეს შემთხვევითი ამბავი არაა. ამაზე გვმართებს მეტი დაფიქრება და ქართულ ენასთან მიმართებაში მეტი მღვიძარება.

რა შეიძლება ამ სამყაროში ნათელზე წმინდა იყოს? ენა, ოღონდ ენა აზრის, ლოგოსის მატარებელი., კაცობრიობას უყვარს აზრი. ენის საზრისი კულტურული განფენილობით განისაზღვრება. ასეთ შემთხვევაში ის ნებისმიერ გლობალიზაციას უძლებს. ქართულმა ენამ დაძლია უამრავი „იზმი" და დღეს ერთ-ერთი ცხოველმყოფელური ენაა. გლობალიზაციას უყვარს გამოწვევები, ქართულ ენას კი ამასთან დაკავშირებით შესაშური გამოცდილება აქვს და სწორედ ეს არის საფუძველთა-საფუძველი სიახლესთან მიახლების, სიახლეს კი მთელი ცივილიზებული სამყარო ესწრაფვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გოგოლაშვილი, გ. (2104). სიბრძნე იაკობისა. თბილისი.
2. გურამიშვილი, დ. (1955). დავითიანი. თბილისი.
3. გიგაშვილი, ქ. (2014). ნოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციალინგვისტური პროფილი. თბილისი.
4. მამათა სწავლანი (1955). თბილისი.
5. ორბელიანი, ს. (1986). სიტყვის კონა. თბილისი.
6. Srustal, D. (2000). Language Death, Cambridge.
7. Hagege, C. (2009). Qand A: The Death of Languages.
8. May, St. (2008). Language and minority Rights.
9. Wilford, W. (2007). Languages Die, but Not Theit Last Words.

# Globalization and the Georgian Language

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.010

**Ramaz (Isaac) Mefarishvili**
Doctor of Philology,
European Teaching University professor,
Telavi Yakob Gogebashvili State University professor

**Key words:**
THE LANGUAGE, HERITAGE, PAST, PRESENT, FUTURE

## Summary

XXI century is the century of two specific features. It's an unprecedented opportunities century. This is what is called globalization, from which there is no defense, and neither is required. Globalization needs understanding and not fighting, but in a way to maintain national view and to become a member of the family of humanity. To afford this, specific attention should be paid to Georgian language teaching issues, especially nowadays when bilingualism is common for the modern world.

There are three main signs developed by Linguists:

1) reduce the number of speakers
2) existence of the spheres for language realization
3) structural definition of a language.

Georgian language is not in danger, because all of these three signs are satisfied by Georgian language. Most of the language strength is revealed under globalization. In this way, Georgian language has been overcome a lot of "ism" (from the Greek, Persian, Arabic, Ottoman, and Russian). Therefore, if it is necessary, it can be overcome in the future, because the most inner nature of the Georgian language is identified in syntax.

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# ჩრდილოვანი ეკონომიკის შუქ-ჩრდილები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.010

**ლია პიტიურიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**ამბროსი გრიშიკაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**საკვანძო სიტყვები:**
ჩრდილოვანი ეკონომიკა, საგადასახადო სისტემა, ფინანსური გადარიცხვები, ჩრდილოვანი ეკონომიკის განსაზღვრა

ვიდრე თემაზე მსჯელობას დავიწყებდეთ, ვფიქრობთ, მართებულია განისაზღვროს თავად ჩრდილოვანი ეკონომიკის რაობა. როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებულია, ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება და შესაბამისად, არც იბეგრება. მის განსასაზღვრავად გამოიყენება ასევე ტერმინი – არაფორმალური ეკონომიკა, ან ეკონომიკა ჩრდილში. ეს ტერმინები წარმოსდგება ინგლისურიდან: shadow economy.

ჩრდილოვან ეკონომიკას გავლენა აქვს ქვეყნის მეურნეობის ყველა მონაწილეზე:

- სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ იღებს თავის კუთვნილ შემოსავალს, როგორც ფირმების, ისე ფიზიკური პირების მხრიდან;
- მისი არსებობისას სამეურნეო ობიექტებს უჭირთ არათავისუფალ, არაჯანსაღ კონკურენციაში საქმიანობა, მის გამო კარგავენ ბაზრის გარკვეულ ნაწილს;
- მომხმარებელს გარანტირებული არ აქვს, რომ მის მიერ შეძენილი ამ სფეროში ნაწარმოები პროდუქცია შესაბამისი ხარისხის იქნება.

ეკონომისტები ცდილობენ იმ მიზეზების დადგენას, რომლებიც პროდუქციის წარმოების ჩრდილოვან სფეროში გადასვლას უწყობენ ხელს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი სისტემური მიზეზი, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ დაწესებული მრავალი მარეგულირებელი ნორმა. ასეთ დროს მეწარმე დგება ალტერნატივის წინაშე: ან შეწყვიტოს ოფიციალური, ლეგალური საქმიანობა ან ჩრდილოვან ეკონომიკაში გადავიდეს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის მიზეზებიდან გამოსაყოფია ასევე სამეურნეო ობიექტების დაბალი საგადასახადო ზნეობა, შემოსავლების დამალვისადმი მიდრეკილება და ა.შ. ჩრდილოვან ეკონომიკაში არსებულ ზოგიერთ საქმიანობას სრულიად დანაშაულებრივი ხასიათი აქვს, თუმცა ყოველი ასეთი საქმიანობა როდია სამეურნეო ხასიათის, ანუ დამატებული ღირებულების შემქმნელი (მაგალითად, ნარკობიზნესი, ბრაკონიერობა).

წარმოების ჩრდილში გადასვლას განსაკუთრებით ხელს უწყობს მძიმე და მრავალმხრივი საგადასახადო ტვირთი. აქვე უნდა დასახელდეს სხვა სახის ხარჯებიც, რომლებიც წარმოების ოფიციალურ განხორციელებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სალარო აპარატების ღირებულება, მუშაკთათვის სოციალური უზრუნველყოფისათვის დაწესებული გადასახადები, მინიმალური ხელფასის ნორმის

დაწესება და სხვა. რაც უფრო მძიმეა ეს ტვირთი, მით უფრო მეტი მიდრეკილება უჩნდება მეწარმეს ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლის.

განსაკუთრებით მრავალი ფორმალობის შესრულება უხდებათ ისეთი პროფესიების წარმომადგენლებს, როგორებიცაა საადვოკატო პრაქტიკის განხორციელება, ტაქსით მომსახურება, ზოგიერთი სახის სამედიცინო მომსახურება და სხვა. აქვე უნდა დასახელდეს ასევე საგადასახადო კოდექსის სირთულეც. რაც უფრო რთულია საგადასახადო სისტემა, მით უფრო მეტია მეწარმის დაინტერესება ჩრდილოვანი ეკონომიკით.

ჩრდილოვანი ეკონომიკის, რომელიც უპირობოდ უარყოფითი მოვლენაა, არსებობის გამართლებად შეიძლება დასახელდეს მისი ზოგიერთი სეგმენტის დადებითი მომენტები. მაგალითად, ამ სფეროში დასაქმებას ჰპოვებს ეგრეთ წოდებული მარგინალური სამუშაო ძალა (უმუშევრები, პენსიონერები, სტუდენტები, არალეგალური ემიგრანტები და სხვ), რის შედეგადაც გარკვეულად მცირდება ქვეყანაში საზოგადოებრივი დაძაბულობის დონე, კლებულობს სიღარიბე და მცირდება დაწოლა საბიუჯეტო სოციალურ ხარჯებზე.

როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესამცირებლად, ან მით უფრო, აღმოსაფხვრელად, გაცილებით უკეთესია სისტემური ცვლილებების გატარება, ვიდრე რეპრესიული ღონისძიებების დაწყება. განსაკუთრებით ეფექტიანია ნაღდი ფულის მიმოქცევის ნაცვლად უნაღდო ანგარიშსწორების არეალის გაზრდა. ხომ ცნობილია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკაში ფინანსური გადარიცხვები, გასაგები მიზეზების გამო, ხორციელდება ნაღდი ფულით, რის შედეგადაც დოკუმენტები, ანუ კვალი, რითაც სამეურნეო საქმიანობის ჩატარების დამტკიცება იქნებოდა შესაძლებელი, არ რჩება.

## ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების დადგენა

მართალია, ჩრდილოვანი ეკონომიკა თავისი ბუნებიდან გამომდინარე ცდილობს, თავიდან აიცილოს ადმინისტრაციული რეგისტრაცია და დაკვირვებები, მაგრამ ეკონომიკაში ის მაინც ტოვებს თავის კვალს. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება შემუშავდეს მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება მისი დონის დადგენა.

აი, ზოგიერთი მათგანი:

- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ფისკალური ანალიზი;
- მონეტარული სფეროს ანალიზი;
- ეროვნული ანგარიშების ანალიზი – საოჯახო მეურნეობების შემოსავლებსა და გასავლებს შორის განსხვავება და სხვ.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით დგინდება, რომ არაა მსოფლიოში დარჩენილი ქვეყანა, სადაც ჩრდილოვან ეკონომიკას არა ჰქონდეს ადგილი. ის ევროკავშირის ქვეყნებშიც კი საკმაოდ მაღალია და მისი საშუალო დონე 2016 წლის მონაცემებით, თითქმის 18%-ს შეადგენს (ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფარდება ოფიციალურ მთლიან შიდა პროდუქტთან), თუმცა მასში შემავალ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი განსხვავებულია. ის თვალსაჩინოდ მაღალია კავშირის წევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. კერძოდ: ბულგარეთში შეადგენს 30.2%, რუმინეთში – 27.6, ესტონეთში – 24.9, ლიტვაში – 24.2%.

აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებში. მაგალითად: ფინეთში შეადგენს – 12%, გერმანიაში – 10,8%, ჰოლანდიაში – 8,8%, ავსტრიაში – 7,8 %-ს და ა.შ.

შრომის ბაზრის ანალიზი საშუალებას იძლევა, შევაფასოთ მუშაკთა დაინტერესება ჩრდილოვანი ეკონომიკით. კერძოდ, ამ მეთოდით ერთმანეთს უდარდება დარეგისტრირებული უმუშევრებისა და დაუსაქმებელთა საერთო რიცხოვნობა, რომელიც გამოყვანილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labour Office) მიერ შემუშავებული მეთოდიკით.

გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულ მუშაკთა ნაწილი საკუთარი არჩევანით მიდის იქ სამუშაოდ, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილს არ ჰყოფნის კვალიფიკაცია, რათა ოფიციალურად რეგისტრირებულ ფირმებში იმუშაოს და იძულებულია ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქმედ საწარმოს შეაფაროს თავი.

ჩრდილოვანი ეკონომიკა თავის კვალს ტოვებს მონეტარულ აგრეგატებზეც. ისეთებზე, როგორებიცაა ნაღდი ფულის ბრუნვის სიჩქარე და მაღალი ნომინალის ბანკნოტებზე გაზრდილი მოთხოვნილება. ეს იქიდან გამომდინარეობს,

რომ სწორედ ასეთი ბანკნოტები გამოიყენება ჩრდილოვან ეკონომიკაში მონაწილეთა მიერ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომის დასადგენ კიდევ ერთ, გაცილებით ძველ მეთოდს წარმოადგენს საოჯახო მეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთშეპირისპირება. მათ შორის მკვეთრი განსხვავება ჩრდილოვან ეკონომიკაში მიღებულ შემოსავლებზე მიუთითებს.

## ჩრდილოვანი ეკონომიკის სამეურნეო მნიშვნელობა

რა თქმა უნდა, ჩრდილოვან ეკონომიკაში საქმიანობა ნეგატიური მოვლენაა, თუმცა, ეკონომიკური თეორია მის გარკვეულ პოზიტიურ – მიკრო და მაკრო მხარეზეც მიუთითებს. ჩრდილოვან ეკონომიკას მიმართავენ როგორც დარეგისტრირებული ფირმები, ისე ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ აჩენენ თავიანთ საქმიანობას.

დარეგისტრირების შემთხვევაში ფირმა ნაწილობრივ ოფიციალურად აჩვენებს თავისი საქმიანობის შედეგებს, ხოლო საქმიანობის ნაწილს ფარულად ახორციელებს. სხვა სიტყვებით, პირველ ნაწილს თავიანთ საბუღალტრო ჩანაწერებში აჩვენებენ და შესაბამისად, ამ მონაცემებს აწვდიან საგადასახადო ორგანოებს, როგორც დასაბეგრავ ბაზას, მაშინ, როდესაც საქმიანობის მეორე ნაწილს მალავენ და შემოსავალს სრულად თავად ითვისებენ. დაურეგისტრირებლობის დროს ფირმის საქმიანობა საგადასახადო ორგანოებისათვის მისაწვდომი არაა და ცხადია, აქედან მიღებულ მთელ შემოსავალს წარმოების ორგანიზატორები ინაწილებენ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის განსაკუთრებით სერიოზული უარყოფითი მხარეა მისი ნეგატიური გავლენა საბაზრო კონკურენციაზე და შესაბამისად მთელ ეროვნულ მეურნეობაზე . ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქმედი ფირმები ხშირად გაცილებით კონკურენციული ხდებიან მათთან შედარებით, რომლებიც ლეგალურად და კანონთან სრული შესაბამისობით მუშაობენ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ნიშნავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, უპატიოსნო მეწარმეს საშუალებას ეძლევა თავის კლიენტს საქონელი და მომსახურება გაცილებით იაფად შესთავაზოს. ეს ხშირად ისეთი ფასებია, რომელსაც წესიერი, გადასახადების გადამხდელი მეწარმე ვერ დაადებს თავის საქონელს (მომსახურებას).

კონკურენციული ბაზრის წესების დარღვევა ჩრდილოვან ეკონომიკაში მომუშავე ფირმების მხრიდან ხშირად ისეთ ვითარებას წარმოშობს, როდესაც საბაზრო კონკურენციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ფასები გვევლინება. შედეგად, მეწარმეები თანდათან უფრო მცირე ყურადღებას უთმობენ კონკურენციული ბრძოლის ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა ხარისხი თუ პროდუქციის თანამედროვეობა, ყურადღებას ამცირებენ კვლევებსა და განვითარებაზე. ამას მაკროეკონომიკურ დონეზე ის შედეგები მოაქვს, რომ ეცემა ეკონომიკის ინოვაციურობა და საერთაშორისო კონკურენციულობა, რაც უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩრდილოვანი ეკონომიკის სხვა, უარყოფით მაკროეკონომიკურ ასპექტს წარმოადგენს მის მიერ სახელმწიფოს საშემოსავლო ბაზის შემცირება-დასუსტება. ჩრდილში მომუშავე საწარმოები არც პირდაპირ და არც ირიბ გადასახადს არ იხდიან, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტს საგრძნობი ზარალი ადგება, თუმცა რა ზომის, ამის გამოთვლა ურთულესია. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თუკი თეორიულად დავუშვებთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ სახის ეკონომიკა შეწყვეტს არსებობას, მასში შეფარებული საქმიანობის მხოლოდ ნაწილი მიიღებს ლეგალურ ხასიათს. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს – ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქმედი ფირმებისა თუ კერძო პირების ნაწილი ამჯობინებდა საერთოდ ხელი აეღო საქმიანობაზე, ვიდრე ლეგარულად, ოფიციალურად გაეგრძელებინა ის. ზოგი მეწარმე ფირმის რეგისტრაციაში ვერავითარ მოტივაციას ვერ დაინახავდა, სხვები კონკურენციულ ბრძოლას წააგებდნენ, და ბაზარზე თავს ვერ შეინარჩუნებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკაში გვხვდება ფირმების/კერძო პირების ჯგუფი, რომელთაც მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკაში შეუძლიათ ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, ჰიპოთეტიკური დაშვება იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიკვიდაცია რაიმე დამატებით შემოსავალს მოუტანდა ბიუჯეტს, სწორი არ იქნება. ამის თქმა ძალიან ძნელია.

როგორც ჩანს, ძალზე რთულია ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებული ადამიანების გამოვლენა, მათი საქმიანობის მოტივაციის

დადგენა. სხვა რომ არაფერი, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანს ეშინია ამაში გამოტყდომის, რადგან ეს კანონის დარღვევაა.

როგორც თემის შესწავლა აჩვენებს, ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულია გაცილებით ბევრი მამაკაცი, ვიდრე ქალი. ამასთან, მათი რაოდენობა იცვლება სეზონების მიხედვით და ჭარბობს ზაფხულობით. ირკვევა ისიც, რომ მათი ნახევარზე მეტისათვის ამ სფეროში მუშაობა ცხოვრების ძირითადი წყაროა, მეორე ნახევრისათვის კი ის დამატებითი შემოსავლის წყაროა. ამასთან, ამ სფეროში ძირითადად შუა ხნის ადამიანები საქმიანობენ,

ეკონომიკურ მეცნიერებაში შეხვდებით გამოთქმას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა „მეურნეობის საცხები მასალაა". იგულისხმება, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა შესაძლებელს ხდის ისეთი საქმიანობის განხორციელებას ისეთ სფეროებსა და სიტუაციებში, როდესაც ეს საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა ოფიციალური ფირმების მიერ.

## ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვის გზები

მართალია, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზემოთ მოყვანილი დადებითი მომენტები გასათვალისწინებელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა გამოწვეულია ეკონომიკური სისტემის არასრულყოფილებით, რომელიც ფირმებსა და მომხმარებელთა ნაწილს აიძულებს „დაიმალოს" ჩრდილოვან ეკონომიკაში. ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებული ეს ზოგიერთი დადებითი ელემენტი ვერ ცვლის ამ მოვლენის საერთო ნეგატიურ შეფასებას.

ამიტომ, სახელმწიფო უნდა ებრძოდეს მას და ცდილობდეს თუ სრულად ვერა, მისი გავლენის შესუსტებას მაინც. ამ ბრძოლის მეთოდებიდან შეიძლება გამოიყოს:

- საგადასახადო სისტემის გამარტივება და სრულყოფა;
- ფისკალური ტვირთის შემსუბუქება;
- სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული არაეკონომიკური ხარჯების შემცირება-გაუქმება;
- რეგულაციების რაოდენობის, მ.შ. კონცესიებისა და ნებართვების შემცირება, აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანა;
- ფირმების რევიზიისა და კონტროლის რაოდენობის მაქსიმალური შემცირება;
- უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ხელშეწყობა და განვითარება (მათ შორის, ელექტრონული გადარიცხვების განვითარება, ნაღდი ანგარიშსწორების პრაქტიკის შეზღუდვა).

წარმოების გამოყვანა ჩრდილოვანი ეკონომიკიდან უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა, სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, რომელიც მიმართული იქნება იმ სისტემური ფაქტორების ლიკვიდაციისაკენ, რომლებიც ხელს უწყობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას. ამის საბოლოო ეფექტი იქნება მეწარმეთა თანდათან ნაკლები მიდრეკილება ჩრდილოვანი ეკონომიკისაკენ იმ რისკების შიშით, რომელიც ამ პროცესს თან ახლავს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა იარსებებს მანამდე, ვიდრე მეწარმეებისათვის მსგავსი ფარული წარმოება მოგების მომტანი იქნება. სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც დაურეგისტრირებელ შემოსავლებთან დაკავშირებული რისკების საბოლოო ჯამი გადააჭარბებს ამ შემოსავლების დაფარვის შედეგად მიღებულ სარგებელს, ჩრდილოვანი ეკონომიკა ბუნებრივი გზით კლებას/შემცირებას დაიწყებს.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ, მართალია, ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლენის შემდეგ სახელმწიფო რეპრესიულ აპარატს აამოქმედებს, მაგრამ ამას გაცილებით სჯობს, თუ ის კიდევ უფრო აქტიურად პროფილაქტიკურ მეთოდებს გამოიყენებს. კერძოდ, მან საზოგადოებრის შეგნებაში უნდა დანერგოს ის რწმენა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა მავნებელია საზოგადოებისათვის და რომ მის ინტერესშია ამ სფეროს მაქსიმალური შეზღუდვა. საზოგადოებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ როდესაც მისი წევრები რაიმე პროდუქციას/მომსახურებას შეისყიდიან ჩრდილოვან ეკონომიკაში, ამის საბოლოო ეფექტი მათი საზიანო იქნება, რომ ამას შედეგად მოჰყვება სახელმწიფო შემოსავლების შემცირება, სამაგიეროდ, გადასახადების გაზრდა წესიერი, კანონმორჩილი მეწარმეთათვის. საერთოდ, გადასახადების გაზრდა საზოგადოების ყველა წევრისათვის, ან სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისათვის გასაწევი მომსახურების მასშტაბების შემცირება.

ერთგვარ პროფილაქტიკურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს კამპანია, რომელმაც,

სხვათა შორის, მრავალ ქვეყანაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ქვითრების ლატარეა. მის მიზანს წარმოადგენს მყიდველთა დაინტერესება გამყიდველისაგან ქვითრების აღებაში.

## ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის ფორმები სხვადასხვა ქვეყნებში

ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა **იტალიამ**. ამ ქვეყანაში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ელექტრონული გადარიცხვების განვითარებას. კერძოდ, იქ, როგორც წესი, ათას ევროზე მეტის გადახდა მხოლოდ ელექტრონული გადარიცხვის ფორმით ხდება. დაწესებულია ასევე საგადასახადო შეღავათები ელექტრონული გადარიცხვების განმახორციელებელი ფირმებისათვის სავაჭრო-მომსახურების სფეროში; მის პარალელურად მოქმედებს სერიოზული ჯარიმები იმ საცალო მოვაჭრეთათვის, რომელთაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამჯერ დაუმტკიცებენ კლიენტისათვის შეძენილ საქონელზე/მომსახურეობაზე ქვითრის გამოუწერლობას.

ამ ასპექტში საინტერესოა **სამხრეთ კორეის** გამოცდილების გაცნობაც, ქვეყნისა, რომლის ეკონომიკაც, ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით ბევრ ქვეყანას მაგალითად გამოადგება. სამხრეთ კორეაში ბევრი რამ კეთდება ელექტრონული გადარიცხვების განსავითარებლად (მაგალითად, მაღაზიის, რომელიც წლიურად 20 ათას ევროზე მეტს ვაჭრობს, გადახდის აპარატების დადგმის დავალდებულება). შედეგად, თუ 90-იან წლებში გადახდის ბარათებით ვაჭრობის მოცულობა მთელ გადახდებში ოდენ 5%-ს შეადგენდა, 2009 წელს გადახდების ნახევარზე მეტი ამ ბარათებით ხორციელდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ამ ქვეყანაში არა მხოლოდ სავაჭრო ობიექტებს აქვს გარკვეული შეთავათები უნაღდო ანგარიშსწორებით სარგებლობისას, არამედ კლიენტსაც, თუკი მაგალითად, თუ ის თავისი შემოსავლის 25% ხარჯავს უნაღდო ანგარიშწორებით ახორციელებს (20% საკრედიტო ბარათით).

**მექსიკაში** ხელისუფლებამ დააფუძნა საგანგებო ფონდი, რომელიც მცირე მაღაზიების მესაკუთრეებს საგადამხდელო ტერმინალის დასადგმელად და შემდეგ მათი გამართულად მუშაობისათვის სახსრებს გამოუყოფს. შედეგად, მსგავსი ტერმინალების რაოდენობა 200 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სავაჭრო -სამომსახურო ობიექტებზე ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობამ 300 პროცენტით მოიმატა.

სინგაპურში თავდაპირველად თავად სახელმწიფო დაწესებულებებმა დაიწყეს ელექრონული გადარიცხვები. მას განსაკუთრებით აქტიურად იყენებდნენ მუშაკთა დაჯილდოების, პრემიების გაცემის ან ჯარიმების დარიცხვის შემთხვევებში.

კიდევ უფრო აქტიურად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორება განვითარებულ ქვეყნებში – აშშ, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვ.

## ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში

საქართველოს სტატისტიკური სამსახური ჩრდილოვან ეკონომიკაზე მწირ მონაცემებს აქვეყნებს. მათი საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოვან სექტორი ქვეყნის ეკონომიკის დაახლოებით მესამედს მოიცავს. ამასთან, წინა წლებში ამ მხრივ შესამჩნევი იყო ნეგატიური ტენდენცია. კერძოდ, შემოსავლების დამალვა წლიდან წლამდე უფრო დიდ მასშტაბებს იღებდა. კერძოდ, თუ 1996 წელს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას 27%-ის დონეზე იყო, 2001 წელს ამ ციფრმა უკვე 33%-ს მიაღწია. ასეთია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა ცალკეულ სფეროებში. მაგალითად, სამრეწველო სექტორში ჩრდილოვანი ეკონომიკის პროცენტი 40%-ს აღემატა, მშენებლობაში – 55%-ს, ტრანსპორტში – 34%-ს, ვაჭრობაში – 56%-ს, სასტუმროს ბიზნესსა და რესტორნებში – 65%-ს, კავშირგაბმულობაში – 17%-ს.

განათლების სფეროში კომერციული დაწესებულებების შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებლები ორჯერ აღემატება დეკლარირებულ მაჩვენებლებს, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებში – ოთხჯერ. არასახარბიელო სიტუაციაა ნავთობპროდუქტების რეალიზაციის სფეროშიც.

დეპარტამენტის სპეციალისტთა აზრით, ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მაღალი პროცენტის მიზეზია კორუფცია და მაღალი საგადასახადო განაკვეთები.

# Positive and Negative Sides of Shadow Economy

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.010

**Lia Pitiurishvili**
Doctor of Economics

**Ambrosi Grishikashvili**
Doctor of Economics

**Key words:**
SHADOW ECONOMY, TAX SYSTEM, FINANCIAL TRANSFERS

## Summary

Shadow economy is a part of national economy which is not controlled by the state, and consequently it is not taxed. Shadow economy is also named by the term "informal economy" or "economy in shadow". These terms originate from English language shadow economy.

Shadow economy influences all participants of country's economy:

- The state does not get income from it;
- Economy units have difficulties in business in non-liberal competitive environment;
- Customers have not guarantee of suitable quality on the products produced by this share.

Reasons which helped shadow economy being founded are low tax ethics of economy units,attempts to hide incomes,etc. Heavy and multi-sided tax system causes production to be turned into shadow production.

Besides it should be mentioned other expenses which are connected with legal producing: such as expenses for cash register, expenses for social safety of employees,fixed minimal wages standards, etc. The wold experience shows that in order to decrease or root out shadow economy it will be better systemic changes than repressions. The most dangerous quality of shadow economy is its negative influence on competitiveness and accordingly on national economy. Firms existing in shadow economy become more competitive than those which are legal ones.

Although shadow economy has so many negative sides,it should be mentioned that it has positive sides too which help it to survive. That"s why we come across such term in economy "shadow economy is ointment for economy". It means that shadow economy gives possibility to be active in those shares and structures where legal firms are disable.

In any way shadow economy itself is fully negative and it is necessary to fight with it. It should be separated some methods for fighting against it:

- To simplify and improve tax system;
- To make light fiscal load;
- To decrease and abolish non-economic expenses connected with business activities;
- To decrease and minimize regulations such as concessions and permissions;
- Maximal reduction of firms" audit and control: – Development of non-cash system.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის თეორიული ასპექტები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.011

**გუგული ყურაშვილი**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**თამარ ბერიძე**
*ტექნიკის დოქტორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:**
გლობალიზაცია, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, გაერო

მსოფლიო ეკონომიკა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, სადაც სახელმწიფო ურთიერთობების უმთავრესი მონაწილე ეროვნული სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ამ ეტაპზე მსოფლიო ახალ წესრიგს ქმნის.

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი გულისხმობს წესრიგს როგორც ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებში, ასევე ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს და გულისხმობს წესრიგს შიდა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ურთიერთგანპირობებულია.

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი დაფუძნებულია ქვეყნებს შორის აღნიშნული ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე, რაც გამოიხატება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციით. ამავე დროს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შიდა ეკონომიკური ურთიერთობებიც, ძირითადად, ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სწორედ ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზმი წარმოადგენს არსებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წინააღმდეგობრივი ხასიათის უმთავრეს განმაპირობებელ მიზეზს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ უარყოფს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობას. თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარება ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს გლობალიზაციის პოლიტიკისა და ცალკეული ქვეყნის (განსაკუთრებით გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები) ინტერესებს შორის გარკვეულ თავსებადობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ გლობალიზაციის პროცესმა ობიექტური აუცილებლობით დააყენა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონცეფციის შემუშავების საკითხი, რომლის მცდელობას დიდი ხნის ისტორია აქვს. გლობალიზაციის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთგამაწონასწორებელი ინსტიტუციური სტრუქტურებით

ინტეგრირებული მსოფლიო წესრიგის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს გლობალური წინააღმდეგობების შესუსტებას.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებები აუცილებელია, ითვალისწინებდეს ქვეყნების განვითარების დონეებს შორის არსებულ განსხვავებას და აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან ცალკეული ქვეყნისადმი (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) უნიფიცირებული მიდგომის დიფერენცირებულით შეცვლას. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონცეფცია უნდა სახავდეს გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების შემცირების, მათი განვითარების სტიმულატორად ტრანსფორმაციის მიმართულებებს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის განვითარების დონის გათვალისწინებით შემუშავებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების დაჩქარებას, რაც, საბოლოო ანაგრიშით, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საწინდარია.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, გლობალიზაციის, როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად გადაქცევა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მოდერნიზაციის პროცესთან. მსოფლიო ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს ე. წ. "ეკონომიკური გაეროს" შექმნის შესახებ, რომელიც პოლიტიკურისაგან განსხვავებით, ნაკლებ ბიუროკრატიულ ორგანიზაციად უნდა ჩამოყალიბდეს, რამდენადაც ფინანსური რესურსები გადაადგილების მაღალი სისწრაფით გამოირჩევა და შესაბამისად, მოითხოვს რეგულირების უფრო მეტ სისწრაფეს და ეფექტიანობას, ვიდრე პოლიტიკური პროცესები. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერების მოსაზრებას, რომლებიც მიუთითებენ "გლობალიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ან გაეროს შესაბამისი ქვედანაყოფების" შექმნის აუცილებლობაზე [მესხია, კვარაცხელია 2003:112-113]. ქართველ მეცნიერ ე. ეთერიას აზრით, რომელსაც ჩვენც ვუჭერთ მხარს, უპრიანია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემადგენლობაში "გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების" კომისიის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანი იქნება ცალკეული ქვეყნებისათვის გლობალიზაციის პრობლემების მეტ-ნაკლები ზომით დაძლევის, მსოფლიოში გლობალიზაციის დადებითი ეფექტების სიმეტრიული განაწილების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. რადგან ეს კომისია უკვე შეიქმნა და იგი როგორც ყველა კომისია მხოლოდ საჭირო დროს და საჭირო პრობლემაზე მუშაობს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი უნდა გადაკეთდეს მუდმივმოქმედ სტრუქტურად, სტაბილური შტატით და სტაბილური ანაზღაურებით, რათა იმუშაოს განუწყვეტლივ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ნ. (2002). გლობალიზაცია და ეროვნული ასპექტები, ჟ.: "ინტელექტი", №3, თბილისი.
2. ეთერია, ე. (2008). გ,ლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა, შრომების კრებული.თბილისი.
3. ეთერია, ე. (2008). გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება, შრომების კრებული "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება", თბილისი.
4. კვარაცხელია, დ. (2003). გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა, თბილისი.
5. მესხია, ი., კვარაცხელია, ვ. (2003). გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის, ჟ.: "სოციალური ეკონომიკა", №3.

# Theoretical Aspects of the World Economic Order

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.011

**Guguli Kurashvili**
Doctor of Economics,
Georgian Technical University Professor

**Tamar Beridze**
Doctor of Technics,
Georgian Technical University Professor

**Key words:**
GLOBALIZATION, THE ECONOMIC WORLD, THE UNITED NATIONS

## Summary

The world economy has passed to development of new level where the main participant of the state relations is the national state as the institute which is in process of important transpharmacy. At the moment the world creates a new order.

The world economic order means an order, as in the national economic relations, so in the course of functioning of national economy. At the present stage, the international economic order, is based on the liberalization relations between the countries. Liberalism of the economic relations has the main contradictory character defining the reason of the operating world economic order. It is necessary to pay attention that not one country of the world doesn't deny need of the economic relations with other countries.

The new world economic order, considerably depends on processes of modernization of the operating international organizations. Some scientists of world economy point to creation of the so-called "Economic UN" which differs in the high speed of the movement of financial resources and therefore, demand bigger flexibility and efficiency of regulation, than political processes. We keep creation of the commission for "developments of globalization and world economy" for the purpose of the solution of global problems in the conditions of globalization

# კორუფცია, როგორც სოციალური მოვლენა და გლობალური ბიზნესის დეტერმინანტი

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.012

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

**თეიმურაზ შენგელია**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
კორუფცია, გლობალიზაცია, ბიზნესი

კორუფცია არის ისტორიული მოვლენა, ის არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. თუმცა როგორც სოციალური ფენომენი, ის პირველად გვხვდება შუმერული ცივილიზაციის ქალაქ-სახელმწიფო ლაგგასში (ძვ წ. არღ. 2319-2311 წლებში). ძვ. წელთაღრიცხვით IV საუკუნეში, ძველ ინდურ ფილოსოფიურ ტრაქტატში „არტაშასტრში“, მეფის მრჩეველი ჩანაკია აღწერს ხაზინის ქურდობის 400-მდე ხერხს [შენგელია 2016: 108]. ჰეროდოტეს ცნობით ძვ წ.აღ. VI საუკუნეში სპარსეთის მეფე კამბისმა ქრთამის აღებისათვის ცოცხლად გააძრო ტყავი მოსამართლეს და მის ადგილზე დანიშნა მისი შვილი, რათა უკანასკნელს არ გაებედა ქრთამის აღება. გენიალურმა იტალიელმა ფილოსოფოსმა მაკიაველიმ კორუფცია იმ ავადმყოფობას შეადარა, რომლის განკურნებაც შეუძლებელია. მეფე ნიკოლოზ I-ის მოღვაწეობის პერიოდში, კორუფცია ყვაოდა რუსეთში. მემატიანე აღწერს, რომ მან თავის ვაჟს შესჩივლა: „ჩემი და შენ გარდა რუსეთში ყველა ჩინოვნიკი იპარავსო“ [http://genia.ge/?p=10547].

კორუფციის პრობლემას ფართო ადგილი ეთმობა ბიბლიაში: „ქრთამს ნუ აიღებ, რადგან ქრთამი აბრმავებს თვალხილულს და ასხვაფერებს მართალთა საქმეებს“ [ბიბლია. გამოსვლა 23:8]. ბიბლიაში წერია, რომ კორუმპირებული ადამიანი უნდა დაისაჯოს, რადგანაც: „რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას“ [ბიბლია. ეკლესიასტე 8:11]. „ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, – აღნიშნავს სოლომონი, – და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით“ [ბიბლია. ეკლესიასტე 5:9].

როგორც ვხედავთ, კორუფციას ფართო ადგილი უჭირავს, როგორც ადამიანების მატერიალურ ყოფაში, ასევე სულიერ სფეროში. საზოგადოების ევოლუციის პერიოდში ის უფრო მეტად იჩენს თავს, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი სამუელ ჰანტინგტონი კორუფციის პრობლემას აანალიზებს თავის შრომაში „მოდერნიზაცია და კორუფცია“. მეცნიერის აზრით, იმპრესიონისტული სინამდვილე ცხადყოფს, რომ კორუფციის მასშტაბი ურთიერთკავშირშია სწრაფ სოციალურ და ეკონომიკურ მოდერნიზაციასთან. მე-19 და მე-20 საუკუნეების ამერიკის პოლიტიკური ცხოვრებისთვის კორუფცია ნაკლებად იყო დამახასიათებელი, ვიდრე მე-18 საუკუნისათვის. იგივე შეიძლება ითქვას მე-17 და მე-19 საუკუნეების ბოლო პერიოდის ბრიტანეთზე. ცხადია, რომ კორუფცია არის ეფექტიანი პოლიტიკური ინსტიტუციონალიზმის დეფიციტის შედეგი [ჰანტინგტონი].

ყურადსაღებია მეცნიერის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, კორუფციის სიხშირე მთლიანობაში ნაკლებია იმ ქვეყნებში, სადაც სამთავრობო რესურსები მოხმარდა პოლიტიკური პარტიების მშენებლობას, ვიდრე იქ, სადაც პარტიები სუსტები დარჩნენ. ეს მოდელი ასახა დასავლეთის ისტორიულმა გამოცდილებამ. პარტიები, რომლებიც თავდაპირველად ბიუროკრატიის წურბელებად გვევლინებიან, საბოლოოდ გარდაიქმნებიან მის გარსად, რომელიც მას კლანისა და ოჯახის გამანადგურებელი კალიებისაგან იცავს [ჰანტინგტონი].

მიჩნეულია, რომ კორუფცია მხოლოდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ სიტუაციაში ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთან, ცნობილი მეცნიერის დუგლას ჰიუსტონის გამოკვლევით „კორუფცია და ადამიანური განვითარება“ [Leite, Weidmann 1999] დასტურდება, რომ ეს კანონზომიერება ყველა შემთხვევაში როდი მუშაობს. იმ ქვეყნებში, სადაც დომინირებს მართვის არაეფექტიანი სისტემა, კორუფცია შეიძლება კანონის უზენაესობას ჩაენაცვლოს, ეკონომიკის სტიმულიზატორად მოგვევლინოს და ამის შედეგად, მოკლევადიან პერიოდში პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე [Leite, Weidmann 1999:104].

კორუფციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გამომდინარეობს უტილიტარული მოსაზრებიდან, რომლის მიხედვითაც, ის როგორც კანონის საწინააღმდეგო მოვლენა ზრდის ეკონომიკურ დანახარჯებს, ზღუდავს ინვესტიციების პროდუქტიულობას და უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც პიროვნული უფლებები და საკუთრება კანონით არის დაცული, ეს არგუმენტები სრულიად ლოგიკურია, მაგრამ, რამდენად ლეგიტიმურია ეს მოსაზრება იმ ქვეყნებში, სადაც კანონის უზენაესობა არ არის დადგენილი და შესაბამისად კანონიერება არ არის დაცული. ს. ჰანტინგტონი და ნ. ლეითი მიიჩნევენ, რომ კორუფცია არის კანონიერების შემცვლელი იმ ქვეყნებში, სადაც საკანონმდებლო ბაზა მოისუსტებს. უფრო ზუსტად, კორუფციის სარგებელი გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შექმნილი ღირებულება შეიძლება აღემატებოდეს დანახარჯებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნესის წარმართვის კანონიერი შესაძლებლობანი შეზღუდულია [Huntington 1998: 115]. დ. სტერფილდი გამოყოფს კორუფციის ორ სახეს: რომელიც ზღუდავს ეკონომიკურ განვითარებას და აფართოებს მას [Marff 1964: 319]. ხშირად, კორუფცია გვევლინება „რენტის მითვისების“ ფორმად, მაგალითად, როდესაც კერძო კომპანიები იცავენ საკუთარ შემოსავლებს კონკურენტებისაგან სახელმწიფოს მეშვეობით. კორუფციას ასევე შეუძლია მიგვიყვანოს ეკონომიკური საქმიანობის მაშტაბების ზრდამდე მაშინ, როდესაც ჩინოვნიკების მოსყიდვით კომპანიები თავს არიდებენ უგუნურ კანონებს. კორუფციას ზოგჯერ ახლავს ირიბი უპირატესობაც. მაგალითად, კ. მარფი, ა. შლეიფერი, ს. ვიშნი [Marff 1964:**213**] მიიჩნევენ, რომ ეს აისახება ამ გზით არაეფექტიანი მწარმოებლების მხარდაჭერაში. მიუხედავად ამ პრობლემაზე მეცნიერულ აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ ცხადია, რომ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორუფციის ნეგატიური შედეგები აღემატება პოზიტიურს, ხოლო არაეფექტიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩანს კორუფციის ზოგიერთი პოზიტიური ეფექტი. ამ კონცეფციის დასაბუთებას მიეძღვნა მაუროს „კორუფციის ეკონომიკაზე ზემოქმედების მოდელი [Mauro 1995:**123**].

უკანასკნელ წლებში კორუფციამ ახალი თვისებები და ფორმები შეიძინა და სხვადასხვა მიმართულებებიც გამოავლინა. კორუფცია გლობალიზაციის პარალელურად განვითარდა და უფრო მრავალფეროვანიც გახდა. ლიტერატურული წყაროების მიხედვით, გლობალური ეწოდება კორუფციას, რომელიც ექსპორტირდება საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის შედეგად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ხშირ შემთხვევაში სწორედ კორუფციაა მსოფლიო ქვეყნების ჩამორჩენილობისა და სიღარიბის მიზეზი.

მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ქვეყანა, რომელიც კორუფციისაგან სრულად თავისუფალია. ამაზე მეტყველებს „კორუფციის აღქმის ინდექსი“, რომლითაც ხდება ქვეყნებისა ტერიტორიების შეფასება იმის მიხედვით, თუ რამდენად კორუმპირებულად განიხილება მათი საჯარო სექტორი.

2005 წლიდან საქართველოს ხელისუფლე-

ბის ერთ-ერთ პრიორიტეტად კორუფციასთან ბრძოლა გამოცხადდა. საინტერესოა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსში (CPI) 2014 წელს, საქართველოს 100 შესაძლებლიდან 52 ქულა აქვს მინიჭებული. ამ მონაცემით ის 175 ქვეყნიდან 50-ე ადგილზეა. 2012-2014 წლებში საქართველოს ქულის დინამიკა ქვეყანაში კორუფციის აღქმის დონის მნიშვნელოვან ცვლილებაზე არ მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ კორუფციის აღქმის დონეს საქართველოში ბოლო 3 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი პროგრესი არ განუცდია. საქართველოს შედეგი (52 ქულა 100 შესაძლებლიდან) იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში კვლავაც არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები კორუფციის კუთხით.

2014 წლის „კორუფციის არქმის ინდექსში" 50 ქულა, რომელიც საქართველომ დაიმსახურა, თავისთავად მიუთითებს ქვეყანაში პრობლემებზეც. "საერთაშორისო გამჭვირვალობა" მიიჩნევს, რომ აუცილებელია, დაბალანსდეს ხელისუფლების აღმასრულებელი ძლიერი შტო და, ამასთან, გაძლიერდეს მაკონტროლებელი ინსტიტუტები [www. reportingproject.net/occrp/index.php/en/ccwatch].

კორუფციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები საქართველოში დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან, როდესაც საქმე ეხება ელიტური კორუფციის, ანუ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებული კორუფციის კვლევას. არც ერთი ხელისუფლება არ აღიარებს, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფცია არსებობს. ამას მარტივი მიზეზი აქვს – სიტყვა „ელიტური" თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მასში პოლიტიკური ელიტა არის ჩართული. თუმცა ელიტური კორუფციის შინაარსზე, მის გამოხატულებასა და ეკონომიკურ შედეგებზე, მათ შორის საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაოდ დეტალურად საუბრობენ. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია (Betselmann Foundation 2014) მიუთითებს, რომ ელიტური კორუფციის ძირითადი გამოხატულება არის საჯარო სახსრების გაფლანგვისა და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მხრიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ტენდენციები. ხოლო ორგანიზაცია Freedom House მიაჩნია, რომ ელიტური კორუფციის მსგავსი მაგალითები იწვევს სახელმწიფოს მხრიდან ფავორიტიზმს და შიდა გარიგებებს ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებთან [www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/] ხელისუფლების მხრიდან უკვე გახმაურებულია ელიტური კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი ე.წ. ტელევიზიების ამნისტია. 2010 წლის საგადასახადო ამნისტიით სახელმწიფომ ტელეკომპანიებს „რუსთავი 2", „იმედი" და „საზოგადოებრივი არხი" 36 მილიონამდე დავალიანება ჩამოაწერა; ანალოგიური აქტი განახორციელა სახელმწიფომ 2012 წლის ოქტომბერში. კითხვას იწვევდა არა თავად ამნისტიის აქტი, რადგან მისი განხორციელების უფლება ყველას აქვს და არც ის, რომ მისი განხორციელების დროს რომელიმე ტელეკოპანია „შეიზღუდა" არამედ ის, რომ ამნისტია ყველა ტელევიზიას თანაბრად არ შეეხო. ზემოთ წარმოდგენილი ორმაგი სტანდარტი სახელმწიფოს მხრიდან ფავორიტიზმის ნათელი მაგალითია, რაც თავისუფალ კონკურენციას უშლის ხელს. სწორედ ასეთი პრეცედენტების გამო საერთაშორისო ექსპერტულ წრეებსა და ორგანიზაციებში საქართველოში არსებულ კორუფციასა და ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი შეფასება არსებობს. ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა" მიერ 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველომ თითქმის სრულად შეძლო აღმოეფხვრა წვრილი მექრთამეობა. (Transparency International, October 2012). რეფორმები მიმართული იყო საჯარო სამსახურებში გამჭვირვალობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად, შედეგად კორუფცია აღმოიფხვრა დაბალ და საშუალო დონეებზე. თუმცა ქვეყანა დადგა ახალი პრობლემის წინაშე - დაინერგა კორუფცია მაღალ ეშელონებში. (Betselmann Foundation 2013). აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში, მაგალითად, აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების და ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა საგადასახადო წნეხის გამოყენება კომპანიების მიმართ; ადგილი ჰქონდა საგადასახადო სტრუქტურების მხრიდან კომპანიების დაჯარიმებას, რაც მათი პოლიტიკური ხედვით იყო განპირობებული. საგადასახადო სტრუქტურები საჯარიმო სანქციებს იყენებდნენ დაშინების მექანიზმად იმ კომპანიების წინააღმდეგ, ვისაც

კავშირი ჰქონდა იმ დროინდელ ოპოზიციის წარმომადგენლებთან [www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/].

ეს დასკვნები დღესაც აქტუალურია, რადგან ახალი ხელისუფლების ძირითადი ძალისხმევა სწორედ ამ ფაქტების გამომზეურებისა და დასჯისკენ უნდა იყოს მიმართული. თუმცა კორუფციასთან რეალური ბრძოლა არა მხოლოდ წარსულში, არამედ – არსებულის წიაღში წარმოშობილი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს. მაგალითად აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში დასახელებული დარღვევები დღეს, ფაქტობრივად, კვლავ საყურადღებოა. ნაკლებსავარაუდოა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში გაუმჯობესდეს პოლიტიკური ოპონენტების მხარდამჭერი ბიზნესის შევიწროვების მაჩვენებელი. ასევე საყურადღებოა ფავორიტიზმის გარკვეული ნიშნები, კერძოდ ის, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში 2013 წლის იანვრიდან პრაქტიკულად ყველა საჯარო უწყებამ შეიცვალა კორპორატიული ნომრები და სატელეკომუნიკაციო კომპანია „ჯეოსელის" ქსელიდან „მაგთის" ქსელში გადაერთო; ანალოგიური მყისიერი ცვლილება შეეხო ნავთობის სფეროსაც – კომპანია „ლუკოილმა" მთლიანად ჩაანაცვლა საჯარო უწყებების მომსახურებაში მთელი საქართველოს მასშტაბით კომპანიები „გალფი" და ვისოლი"; ღიად მოხდა დაზღვევის სისტემის გადანაცვლება სადაზღვევო კომპანია „ქართუს" მიმართულებით; ღიად არის ასევე აღიარებული და გამართლებულიც კი ფავორიტიზმისა და პროტექციონიზმის ფართოდ დამკვიდრება საჯარო სამსახურში კადრების დასაქმების თვალსაზრისით. დედაქალაქის მერიაში დაფიქსირდა მსხვილი მაშტაბის კორუფციული გარიგება (ჯოდოკია ბოდოკიას საქმე), რამოდენიმე მუნიციპალიტეტში, კორუფციული გარიგებების გამო დაკავებულ იქნა მაღალი თანამდებობის პირები; გამოვლინდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკანონო შესყიდვა სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სხვა [www.state.gov/r/pa/ei/bgn/5253].

2014 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული რეგიონალური ანგარიშის მიხედვით, საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის ზომა მშპ-ის თითქმის 20%-ია, რაც აღემატება ბელორუსის, თურქეთის, ლიტვის, რუმინეთის, ბულგარეთის, ხორვატიის და სხვა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის მონაცემებს. არაფორმალური საქმიანობა გადასახადების გვერდის ავლით ხორციელდება, რაც თავისთავად ვნებს საჯარო ფინანსებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ძირითადი ფაქტორი, რაც განაპირობებს არაფორმალური ეკონომიკის მაღალ მაჩვენებლს არის კორუფცია, არასამართლიანი საგადასახადო რეგულაციები, ბიზნესის საწარმოებლად შექმნილი უთანასოწორო პირობები, რაც ძირითადად გამოხატება მონოპოლიების არსებობასა და თავისუფალი კონკურენციის დაბალ მაჩვენებელში. საქართველოს შემთხვევაში ზემოაღნიშნული მიზეზებიდან განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო მარეგულირებლების წნეხი და ინსტიტუციების ხარისხი. მარეგულირებლების წნეხი მოიცავდა არათანაბარ პირობებში მოქცეულ ბიზნესებს, მონოპოლიებს, რაც გამოხატულია ცალკეული ბიზნესების მიერ ბაზარზე დომინირებით; ინსტიტუციებიდან გამოყოფილი იყო სასამართლო სისტემის გაუმართაობა, გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი [www.state.gov/r/pa/ei/bgn/5253].

საინტერესოა საჯარო მოხელეების შემოსავლების გამჭვირვალეობის საკითხი. აქ საუბარია არა ხელფასებზე, რაც რეგულირდება კანონით, არამედ დანამატებზე, რომელიც ასევე გათვალისწინებულია ქართული კანონმდებლობით, კერძოდ, საჯარო სამსახურის კოდექსით, მაგრამ არ არის დეტალიზებული მათი დადგენის მექანიზმი. ვინ და რა კრიტერიუმებით აფასებს პრემირების სუბიექტს გაუგებარია.

საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2015 წლის სიღარიბის მაჩვენებელის მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 10%, ანუ 430 ათასამდე ადამიანი ღატაკთა კატეგორიას მიეკუთვნება. ხაზგასასმელია, რომ რამდენიმე წელია ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი არ იცვლება. ეს ნიშნავს, რომ სახელისუფლებო ცვლილება, ახალი საინვესტიციო პროექტები, ასობით გახსნილი ვირტუალური საწარმო, მოსახლეობის ცხოვრების დონეს ვერ ცვლის. ის, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოში მძიმე სოციალური მდგომარეობაა, ამაზე „ჯინის" ინდექსიც მიუთითებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით, „ჯინის" ინდექსი - 0,47-ია. ცნობილია, რომ

როდესაც „ჯინის" ინდექსი 0,40-ს აჭარბებს, ქვეყანაში საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენციაცია მაღალია.

ამ პირობებში სრულიად ალოგიკურია იმ სახელფასო დანამატების დაწესება, რომელიც დომინირებს საჯარო სექტორში და ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას. 2014 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პრემიის გაცემაზე უფლებამოსილი პირები, გაჩნდა პრემიის გაცემის დასაბუთების აუცილებლობა, გარკვეული შეზღუდვები დაწესდა პრემიის გაცემის პერიოდულობასა და ოდენობაზე. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გარკვეულწილად დარეგულირდა მხოლოდ მთავრობას დაქვემდებარებულ უწყებებში პრემირების სისტემა, თუმცა აღნიშნულ დადგენილებაში არაფერია ნათქვამი სახელფასო დანამატებზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით პრემიის მსგავსად საჯარო მოხელის დამატებითი ანაზღაურების ანალოგიურ საშუალებას წარმოადგენს. საქართველოში არსებული სახელფასო პოლიტიკის ზოგადი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე მონაცემები, რომელიც უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებისათვის გაწეულ ხარჯებს ასახავს. როგორც ირკვევა, 2014 წელს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ყველაზე მაღალი ნიშნული ფიქსირდება 1 296 186 185 ლარი, რაც დაახლოებით 109 მილიონი ლარით აღემატება 2013 წლის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულ თანხებს, ხოლო 247 მილიონი ლარით 2012 წლის მაჩვენებელს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოში დასაქმების პრობლემა წყდება არა ბიზნესის გაფართოების, არამედ საბიუჯეტო სექტორის ზრდის ხარჯზე, რაც „სოციალური ეკონომიკის" კონცეფციის აღორძინებაზე მეტყველებს და მძიმედ აწვება გადასახადების გადამხდელებს [ზინარაშვილი 2014].

კორუფციასთან ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა. ამ მიმართულებით ქვეყანაში უნდა გადაიჭრას რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მანკიერი მოვლენის შეზღუდვას ჩვენს საზოგადოებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბიბლია. გამოსვლა 23:8.
2. ბიბლია. ეკლესიასტე 8:11.
3. ბიბლია. ეკლესიასტე 5:9.
4. ბიბლია. იოანე 5:19, გამოცხადება 12:9.
5. ბიბლია. მათე 4:8, 9.
6. კორუფციის ისტორიიდან. http://genia.ge/?p=10547
7. Marff, K. (1964). Economic Development Through Bureaucratic Corruption // American Behavioral Scientist. Vol. 82. № 2. P. 337–341.
8. Mauro, P. (1995). (Corruption and Growth // Quarterly Journal of Economics. Vol. 110. № 3. P. 681-712.
9. ზინარაშვილი, ს. (2014). წელს თანამდებობის პირებზე ორჯერ მეტი სახელფასო დანამატი გაიცა, ვიდრე პრემია. პირველი რადიო, 2015.
10. შენგელია, თ. (2016). გლობალური ბიზნესი. თბილისი.
11. ჰანტინგტონი, ს. მოდერნიზაცია და კორუფცია. http://liberty.ge/.
12. Huntington, S. (1998). Political Order in Changing Societies. New Haven: Yale University Press.
13. Leite, C., Weidmann, J. (1999). Does Mother Nature Corrupt? Natural Resources, Corruption, and Economic Growth. Washington: International Monetary Fund, (= IMF Working Paper № 85).
14. Huston, D. (2006). Corruption and Human Development // Cato Journal. . Vol. 26. № 1. P. 29–46.
15. Wikipedia /კორუფცია/.
16. www. reportingproject.net/occrp/index.php/en/ccwatch
17. www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/.
18. www.state.gov/r/pa/ei/bgn/5253.
19. www.eprc.ge/index.php?a=main&pid.
20. www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/.
21. www./idfi.ge/.

# Corruption as Social Phenomenon and Determinant of Global Business

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.012

**Teimuraz Shengelia**
Doctor of Economic Sciences,
Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Key words:**
MODERN GLOBALIZED WORLD, CORRUPTION, GLOBAL BUSINESS

## Summary

In modern globalized world, study of the problem of corruption in different cultures becomes more urgent and actual. The present problem has an active influence on socio-economic stability of world countries.

Corruption in broad understanding is non-targeted use of the state power is illegitimate and, as a rule, is used for secret, personal well-being. Practice of illegal financing, which is legitimate in one country, can be illegitimate in another. That's why apprehension of corruption is different according to the countries. To draw a line of distinction between the justice and corruption is quite difficult, because in separate countries the policy of support to the groups of interests and the practice of lobbying is acceptable, but in other countries it is considered to be corruption. The present work discusses the problem of corruption apprehension in Georgia and its influence on business.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

# სახელმწიფო და ეკონომიკა

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.013

**ჯამლეტ ჯანჯღავა**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,*
*სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:**
სახელმწიფო, ეკონომიკა, ლიბერალური მოდელი

იმისთვის, რომ ქვეყანა იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული, მოაგვაროს რთული სოციალურ-ეკონომიური პრობლემები და ნათლად განსაზღვროს მომავლის ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები აუცილებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები ავტომატურად ფლობენ ძლიერ პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამის საპირისპიროდ, მრავლად არიან ისეთი სახელმწიფოები, სადაც, მართალია, არის ძლიერი პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაშია.

რა მდგომარეობაა მხრივ საქართველოში, რომელიც სახელმწიფოებრიობის აღდგენის 25 წლის შემდეგ ვერ ახერხებს შექმნას ისეთი სტაბილური ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფდა დიდ ეკონომიკურ ზრდას. სახელმწიფოში პერიოდულად ადგილი აქვს ეკონომიკურ სტაგნაციას, ეროვნული ვალუტის დევალვაციას, უმუშევრობის ზრდას და ა.შ.

ლოგიკურად ისმის ასეთი კითხვა, რა როლი უნდა შეასრულოს ამ მძიმე ვითარებაში ქართულმა სახელმწიფომ, რათა მოხდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება.

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე ეკონომიკურ თეორიაში არის 2 განსხვავებული მიდგომა: პირველი მიდგომა არის კლასიკური (ლიბერალური) და მეორე არის კეინზიანური. კლასიკური (ლიბერალური) მიდგომის მიხედვით, ეკონომიკა მოცემულია, როგორც სტაბილური ელემენტი და სახელმწიფოს ჩარევა სხვადასხვა პროცესში აღქმულია, როგორც შემაფერხებელი ფაქტორი საბაზრო კონკურენციისა მექანიზმის მუშაობაში, ამიტომ სახელმწიფოს მონაწილეობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. აღნიშნული თეორიის მიმდევრები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურიატები პოლ სამუელსონი და მილტონ ფრიდმანი. პ. სამუელსონმა განაცხადა, რომ სახელმწოფოს უნდა დაეკისროს ფუნქცია, განსაზღვროს ეკონომიკური მიზნები და ძალაუფლება, ძირითადად, გამოიყენოს ისეთი პრობლემები გადასაწყვეტად, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და გარემოს დაბინძურება. მილტონ ფრიდმანი მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს განიხილავს, როგორც ყველაზე ქმედით და პოტენციურ ძალას ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად. თუ მთავრობას სურს, დაეხმაროს ეკონომიკას, ის არ უნდა ჩაერიოს მის მოქმედებაში და „დააცადოს ბიზნესს, აკეთოს თავისი საქმე".

თუმცა ზოგიერთ საკითხში მათ შორის იყო აზრთა სხვადასხაობა, მაგალითად, „მინიმალური ხელფასის" კანონი. პ. სამეულსონს მიაჩნდა, რომ ეს იყო დაბალხელფასიანი მშრომელების დახმარების საშუალება. მ. ფრიდმანი კი თვლიდა, რომ ეს საზიანოა უპირველესად მათთვის, ვისთვისაც არის განკუთვნილი ეს დახმარება. მ. ფრიდმანი აცხადებს, რომ ბევრი ფირმა ვერ

შეძლებს მინიმალური ხელფასის გადახდას და ფირმები გაკოტრდებიან. საბოლოოს ეს ადამიანები უმუშევრები დარჩებიან.

სამუელსონი მხარს უჭერდა მთავრობის მიერ ბინამშენებლობის და სასურსათო ტალონების დაფინანსების კონცეფციას, როგორც სიღარიბების ძაძლევის საშუალებას. მ.ფრიდმანი, პირიქით, ამჯობინებს ღარიბებისთვის დამატებითი შემოსავლის უზრუნველყოფას და იმას, რომ მათ თავიანთი პრობლემები თვითონ უნდა გადაწყვიტონ. როგორც ვიცით, 2013 წელს ახლანდელმა ხელისუფლებამ განახორციელა არნახული მაშტაბის პროექტი, რომელი აგრარულ სექტორში 1 მილიარდი ლარის ინვესტირებას ეხებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ამან გარკვეული შედეგები მოგვცა, მაგრამ ერთი წლის მერე დაავიწყდა ხალხს, რადგან მათ მეორე წელსაც მოუნდათ იგივე მოცულობის თანხის ჩადება, რაც არსებული ვითარებიდნ წარმოუდგენელი რამ იყო. ხომ არ აჯობებდა ამ 1 მილიარდი თანხით სხვადასხა რეგიონში საწარმოები აშენებულიყო და ხალხი დასაქმებულ იყო. ამაზე ხალხი უფრო მადლიერი იქნებოდა.

სწორედ კლასიკური (ლიბერალური) ეკონომიკური პოლიტიკის მიმდევარი იყო, თავისი მოღვაწეობით პირველ წლებში წინა ხელისუფლება, მაგრამ ბოლო წლებში არჩეული კურსი კარდინალურად შეიცვალა და დაიწყო ბიზნესის დატერორება სახელმწიფოს მიერ და ჩრდილოვანი ეკონომიკის მზარდი ლობირება, რამაც დიდი დაღი დაასვა უპირველესად პოლიტიკურ პროცესებს. მმართველი პოლიტიკური ძალა ენმ, 2012 წელს ჩამოშორებულ იქნა ხელისუფლებას. და მაინც, რამ განაპირობა როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ისევე 2013 წელს ადგილობრივ არჩევნებზე მმართველი პოლიტიკური ძალის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამარცხება. რა თქმა უნდა, აქ თავისი დადებითი როლი ითამაშა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა და იმ შესაძლებლობებმა, რომელიც მას გააჩნდა, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ ამომრჩეველმა უპირველეს ყოვლისა უარი უთხრა ძველ ხელისუფლებას კონსტიტუციით მინიჭებული უმთავრესი უფლების – კერძო საკუთრების მასობრივი ხელყოფას, ბიზნესის დატერორებას და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკას, ოპონენტების საბრძოლველად მიმართული კანონების შექმნას და ცხოვრეობაში გატარებას. ამის ნათელი დადასტურებაა ქართუ ბანკის ე.წ. გაკოტრეის სქემის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დამკვიდრება.

ლიბერალი (კლასიკური) მოდელის დამკვიდრების ინიციატორი იყო ინგლისელი ექიმი, ადამ სმიტი, რომელმაც 1778 წელს, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების წელს, გამოსცა შესანიშნავი წიგნი: "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". ა. სმიტმა ჩამოაყალიბა ე.წ. "უხილავი ხელის თეორია". ამ თეორიის მიხედვით, ბაზარი თითქოს "უხილავი ხელით" საშუალებით კარნახობს მეწარმეს, თუ როგორ უნდა მართოს მისი ეგოისტური მისწრაფება საზოგადოების სასარგებლოდ. კლასიკური (ლიბერალური) გაგებით, ეკონომიკური პროცესებით სახელმწიფოს პასიურ როლში გვევლინება და ძირითადად არბიტრის ფუნქციები ეკისრება, რაც გამოიხატება: საკუთრების უფლების დაცვაში, მოქალაქეების უფლების დაცვაში, მოსახლეობის ეფექტური განათლების უზრუნველყოფაში. თვითრეგულირების ინსტრუმენტად აქ გვევლინება მოქნილი ხელფასი, მოქნილი საპროცენტო განაკვეთი და ა.შ. კლასიკური (ლიბერალური) იდეების მიმდევრები იყვნენ სხვა ცნობილი ცნობილი ეკონომისტები, როგორებიც არიან: დ. რიკარდო, ა. პიგუ, ფ. კენე, ლ. ერჰარდი.

კლასიკოსების (ლიბერალების) საპირისპიროდ არსებობს მეორე, კეინზიანური მიდგომა. ამ მიმდინარეობას სახელი ეწოდა ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის ჯონ მეინარდ კეინზ(ს)ის საპატივცემულოდ. კეინზიანების მიხედვით სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი რეგულატორია. 1929-1933 წლის "დიდი დეპრესია" იმის ნათელი მაგალითია, რომ ბაზარი დამოუკიდებლად უძლურია ისეთი ეკონომიკური პრობლემების წინაშე, როგორიცაა უმუშევრობა და წარმოებული პროდუქციის მოცულობის შემცირება.

საქართველოსთვის ლიბერალური (კლასიკური) მიდგომის შეუსაბამობას ცხადყოფს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შემაშფოთებელი მაჩვენებლები. მაგალითისთვის უმუშევრობის დონის სწრაფი ზრდა (2005-2009 წლებში). საქართველოს შრომის ბაზარი უძლური აღმოჩნდა ამ პრობლემის მო-

გვარების წინაშე, თუ 2005 წელს უმუშევრობის დონე 13,8%-ით განისაზღვრებოდა, 2009 წელს მან 16,9%-მდე აიწია. კეინზიანელობის მიხედვით უმუშევრობის პრობლემის მოგვარება წარმოუდგენილია სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე. ეფექტური საბიუჯეტო-საგადასახადო და საკრედიტო, ე.ი. აქტიური მონიტორული და ფისკალური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელია უმუშევრობის პრობლემის მოგვარება. თუმცა სანამ მოქმედი ხელისუფლების მიერ ახლებური პოლიტიკური პლატფორმის შექმნაზე გადავალთ, გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები, რაც ხშირ შემთხვევაში ზრდის არაეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას შანსს და საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებთან კონფლიქტში მოდის.

1. პოლიტიკოსების მიერ დაშვებული შეცდომები. პოლიტიკოსების ერთ ნაწილს არ გააჩნია მწყობრი ეკონომიკური განათლება, რაც ძალიან დიდ ავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

პოლიტიკოსების მეორე ნაწილს კერძო პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ, მაგალითად შემდგომი არჩევნების მოგება.

პოლიტიკოსების მესამე ნაწილს თავისი სუბიექტური წარმოდგენა გააჩნია საზოგადოების ინტერესების საკითხზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ფარგლებში თანმხვედრი პოლიტიკური კურსის გატარებაში.

2. ყოფილი ხელისუფლების გავლენა. ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ყოფილი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით განისაზღვრება, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა დღევანდელი პოლიტიკოსები წინა ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების სისწორეს.

ქვეყანაში არსებული ეკონომკური რეალობის შეფასებისთვის აუცილებელია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი, რომელიც გარკვეული დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა და სამომავლო პერსპექტივების განჭვრეტის საშუალებებს მოგვცემს.

ყოფილი ხელისუფლების მმართველობის 9 წლიანი პერიოდი, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთი და იგივე დიაპაზონში ვითარდებოდა. უფრო მეტიც, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მშპ-ს პროცენტული მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 3,8%-ით შემცირდა. ასევე სავალალოა მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაც, რადგანაც ეკონომიკის ძირითადი მწარმოებლური დარგების წილი მშპ-ში (სოფლი მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი) ზრდადი ტემპით მცირდება.

ძალიან მძიმე მდგომარეობაა დასაქმებისა და უმუშევრობის ხაზითაც. როგორც ვიცით ცივილიზირებულ ქვეყნებში უმუშევრობის ბუნებრივი მაჩვენებელი 4-6 პროცენტამდე მერყეობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით უმუშევრობის დონე 2003 წელს 11,3% იყო, იგი 2009 წელს 16,9 პროცენტამდე გაიზარდა. სხვა, არაოფიციალური მონაცემებით ეს დონე რეალურად 30 პროცენტამდეა.

ძალიან მძიმე მდგომარეობაა იმპორტის მონაცემებით, დასტურდება, რომ იმპორტი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 80% შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ბაზარი და მთლიანად ეკონომიკა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული იმპორტზე.

ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლი, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 52% მოდის ეკონომიკის ისეთ სექტორებზე, როგორიცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და ენერგეტიკა. ზემოთაღნიშნული დარგები მოწინავე ქვეყნებში სახელმწიფო დაქვემდებარებაშია, ხოლო საქართველოში კი აბსოლუტურად საპირისპირო მდგომრეობა. საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული მონაცემებით 2015 წელს საქართვეელოში სულ 1,353 მილიარდის უცხოური ინვესტიციები განხორციელდა. აქედან 1,094 მილიარდი ინვესტიცია განხორციელებულია თბილისში, დანარჩენი კი რეგიონებზე გადანაწილდა. განსაკუთრებული კლება თვალშისაცემი აჭარის რეგიონში. ამ რეგიონში 2015 წელს 4 კვარტლის მონაცემებით 121,324 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 159,275 მილიონი დოლარი იყო. სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა რაოდენობამ 50,819 მილიონი

დოლარი შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი აღნიშნულ რეგიონში 1014 წელს იყო 93,648 მილიონი დოლარი. ასევე შემცირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (ჯამურად 2014 წელს აქ განხორციელდა 26.363 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, 2015 წელს კი იყო მხოლოდ 6,009 მილიონი).

ჩემი ღრმა რწმენით, არსებულ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევებისათვის, უპრიანი იქნება, რომ ქვეყანა გადავიდეს ე.წ. კეინზიანურ მოდელზე. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. უნდა მოხდეს კანონშემოქმედებითი და ნორმატიული აქტების, ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება (ანტიმონოპოლიური(მიუხედავად იმისა, რომ ეს სამსახური შეიქმნა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი სასურველისგან შორსაა) და ანტიკორუფციული საბჭოების შექმნა) და აქტიური მუშაობა. საჭიროა ელიტარული კორუფციის ბოლომდე აღმოფხვრა, ტრესტული გარიგებების აღკვეთა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.
2. უნდა მოხდეს შრომის კოდექსის გადახედვა. უნდა მოხდეს ასაკობრივი დისკრიმინაციის მოსპობა და სტაჟიორების უფლებების დაცვა. დღეს არსებული ნორმებით ფართოდ არის დამკვიდრებული არაანაზღაურებადი სტაჟირების სტრუქტურა.ეს მახინჯი ფორმა უნდა შეიცვალოს. სტაჟირებისას უნდა დაწესდეს ამავე პოზიციაზე დასაქმებული ადამიანების ანაზღაურების 75% მაინც.
3. უნდა მოხდეს საგადასახადო სისტემის მოდერნიზება. ფართოდ უნდა დაინერგოს პროგრესული საშემოსავლო გადასახადის სისტემა. უნდა შემცირდეს მოგების გადასახადის და დამატებული ღირებულებისდ გადასახადის ნიხრები. ფიზიკური პირების შემოსავლის ზრდასთან ერთად საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 15-დან 50%-მდე უნდა გაიზრდოს. მეტს ღებულობ, მეტი გადაიხადე სახელმწიფო ხაზინაში.
4. უნდა მოხდეს სახელმწიფო მეწარმეობის ფართო დანერგვა იმ დარგებში, რომელსაც კერძო ბიზნესი არ ეტანება. ყველანაირად უნდა იყოს ეს დარგები წახალისებული.
5. ტრანსფერები, დოტაციები და სუბსიდიები. უცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი რეგულატორის ამოქმედება, როგორიცაა სუბსიდია, სუბვენცია. პირდაპირი და ირიბი საექსპორტო სუბსიდიების მიზანმიმართულმა ამოქმედებამ შესაძლებელია უდიდესი როლი შეასრულოს ექსპორტის წახალისებაში. სუბსიდიების სისტემის სწორ დაგეგმვას სოციალური პრობლემების გადაჭრაც ძალუძს. მაგალითად, საცხოვრებელი ფართების სუბსიდირების პროგრამები.
6. სახელმწიფო ვალი. საჭიროა პერმანენტული ნაბიჯების გადადგმა, რომელიც სახელმწიფო ვალის საკითხს უკავშირდება. 2004 წლიდან სახელმწიფო ვალი გასამმაგდა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ვალის შემცირების პროცესი. მომავალმა თაობებმა არ უნდა აგონ პასუხი ჩვენი თაობების მიერ აღებულ ვალებზე. განსაკუთრებით კრიტიკული ვითარებაა საგარეო ვალის მიმართებაში, რომელმაც 2015 წლის ბოლოს 15 მილიარდი ამერიკული დოლადი შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 107%-ს შეადგენს. 2015 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი გაიზარდა 441,1 მილიონი აშშ დოლარით. საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით საგარეო ვალმა ექვსი მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 43,3 %-ია. ამ თანხიდან სამთავრობო სექტორის ვალს შეადგენს 4,4 მილიარდი დოლარი, რაც მშპ-ს 31,5%-ია. სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციებიდან ვალი შეადგენს 782,4 მილიონ აშშ დოლარს (1,9 მილიარდი ლარი, რაც მშპ-ის 5,6%-ია) და სესხები 650,3 აშშ დოლარი (1,5 მილიარდი ლარი და მშპ-ის 4,7%-ი) საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით საგარეო ვალმა საბანკო სექტორში შეადგინა 2, 9 მილიარდი დოლარი (7,1 მილიარდი ლარი, რაც მშპ-ის 21,1%-ია) მთლიანი საგარეო ვალის 94,7% დემონირებულია უცხოური ვალუტით, აღნიშნული მონაცემები არის აღმაშფოთებელი და ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე მიუთითებს.
7. სასწრადოდ არის გასაუქმებელი სავიზო

რეგულაციები იმ ქვეყნებთან, საიდანაც ტურისტების ნაკადები შემოდიოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკას აძლიერებდა და იყო ეროვნული ვალუტის ლარის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი. ამის ნათელი მაგალითია ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება. ირანი ისლამური რესპუბლოკიდან შემოსული ვიზიტორების რიცხვი 12 გაიზარდა, ამ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ.

8. ასევე მნიშვნელოვანია თავისუფალი სავაჭრო ზონების ამოქმედება სამაჩაბლოსა და აფხახეთის მიმდებარი ტერიტორიაზე. სამაჩაბლოში ეს ტერიტორია შეიძლება იყოს ერგნეთი, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ე.წ. „ერგნეთის ბაზრობა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბაზრობა იყო მოიწესრიგებელი, ზოგჯერ კრიმინალური, მაგრამ მაინც დადებითი როლი შეასრულა ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებაში. და, თუ ეს თავისუფალი სავაჭრო ზონა იქნება უფრო მოწესრიგებული და კანონიერებას დაქვემდებარებული, მან შეასრულოს დიდი როლი შეასრულოს ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში.
9. სახელმწიფომ ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ფუნდამენტური მეცნიერებების დაფინანსებას. სწორედ ამ დარგებში გვქონდა წარსულში უდიდესი წარმატებები. ასევე მისასალმენელია მთავრობის ძალისხმევა პროფესიული განათლების მოწესრიგების საკითხში. აქ უნდა დავისახოთ სტრატეგიული მიზანი და პირველ ეტაზე უნდა განვავითაროთ ის დარგები, რომელზეც ბაზარზე დიდი მოთხოვნაა.
10. აუცილებლია ქვეყნის მმართველობითი ხარჯების ოპტიმიზაცია და მინიმალური ხელფასის დონის საკანომდებლო მოწესრიგება. უნდა გარდაქმნას ბიუჯეტის დაგეგმვის პრაქტიკა. ყველა წინა ბიუჯეტი, როგორც წესი იგეგმება მათი შესრულების ანალიზის გაუთვალისწინებლად და ეკონომიკური გათვლების გარეშე. ციფრები განსაკუთრებით საშემოსავლო ნაწილში მოკლებული ყოველგვარ დასაბუთებას.
11. საქართველოს მშპ სტრუქტურა შეძლებელს ხდის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. პირადი (კერძო) და სახელმწიფო დანაზოგები არის უმნიშვნელო და ვერ ახდენს ინვესტიციაზე გავლენას. ამიტომ გადაუდებელ აუცილებლოვად მოგვაჩნია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება.

ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, ეროვნული ვალუტის დევალვაციის შეჩერებას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მენქიუ, გ. (2008). ეკონომიკის პრინციპები. თბილისი.
2. გამოყენებითი ეკონომიკა (2004). თბილისი.
3. ჯანჯღავა, ჯ. (2007). ეკონომიკური ზრდა – ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №3.
4. www.geostat.ge
5. მდივანი, გ. (2013). სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. 15.09. www.google.ge

# State and Economy

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.013

**Jamlet Janjghava**
Doctor of Economics,
Georgian Technical University Professor,
Learning National University Professor

**Key words:**
THE STATE, THE ECONOMY, THE LIBERAL MODEL

## Summary

As it's widely recognized that there are two dominant views regarding the role of the state in the economy: (1) classical (liberal); (2) Keynesian.

In our opinion, classical (liberal) approach didn't work. From time to time there occur various problems, such as stagnation, growth of unemployment, devaluation of national currency. Economic growth in general is slowed.

The foregoing shows that there should be a shift to Keynesian approach and the following measures have to be carried out: 1. A very strict control should be exercised over legislative or regulatory acts; 2. Changes should be made in the Labor Code and the Tax Code; 3. Development of state entrepreneurship in the fields which aren't popular among private businesses; 4. The country should fully utilize its tourism potential and the visa regulations with various countries, which have negative influence on the inflow of tourists should be abolished. 5. More investments should be directed to science and education, particularly in fundamental sciences.

The above measures will promote economic growth and development of the country.

# ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ

---

# MACROECONOMICS, FINANCES AND INVESTMENTS

# The Development of Cooperation in Europe During Late XIX – Early XX Century: Structure, Principles

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.014

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

**Natalya Zemzyulina**
Phd., Professor of the Bohdan Khmelnytsky National University of Cherkasy

**Key words:**
COOPERATIVE MOVEMENT, ICA, INTERNATIONAL ECONOMIC CONTACTS, SOCIAL RIGHTS, SELF-GOVERNMENT

**Theme rationale.** Cooperation is one of the distinctive displays of human masses self-organization. The originally Latin word "cooperatio" became a part of many European nations' languages, including Ukrainian, maintaining the only profound and humane meaning – "collaboration". It is commonly known that successful collaboration requires consolidation of efforts and means of those willing to collaborate. The rationale of introduced research is stipulated by proactive development of cooperation in modern world economic field. Thus, International Cooperative Alliance (ICA) unites 45 million cooperators, mainly heads of households, that allows estimating the number of people working on forming socially protected and economically stable society at 200 million [Machima 1995].

**Goal** of the research lies in disclosing general trends of setting-up cooperation into world economic and public movement; in effort to uncover the process of establishment of international unions and organizations that supported the development of human rights and freedoms, their social activity and economic freedom.

**The analysis of latest researches and publications**is rather diverse, both in its structure and in form. Special interest was attracted by the researches of international cooperation founders and documentary material, in which the process of ICA establishment is described, as well as consequences for economics and social changes in public associations.

The foundation ofarticle sources base is formed by: InternationaleHandworterbuch des Genosseschaftswesens (International Cooperative Dictionary), published in three volumes under the editorship of Prof. Totomiants in Berlin and InternationaleStatistik der Genossenschaften, prof. Ihring (International Cooperative Statistics by prof. Ihring). These sources are followed by Appendix to the Report on the countries-members of International Cooperative Alliance. However, without a doubt these sources are not enough. Significant part of material has been taken from the work of Watkins W.P. International Cooperative Alliance 1895-1970, in which the process of setting-up of world cooperation into international economic structure had been rather thoroughly stated.

## Main material summary

The initiative to practically implement the ideas of international cooperative collaboration has been taken by English cooperators in late 19th century. In 1889, General Secretary of British Cooperative Union, Christian socialist Vansittart Nil established Initiative Committee out of organization of International union

of friends of cooperative manufacture. The Committee addressed cooperative unions in various countries with the appeal to establish international cooperative center with headquarters in London. V.Nil and his supporters aimed at founding a kind of international cooperative union that would contribute to establishment of production cooperatives in all countries in the first place [Watkins 1970].

Christian socialists of late 19th century attributed the development of this kind of cooperation to the way of solving social problems of society, opportunity to eliminate contradictions between labor and capital, possibility to draw workers not just to participating in capital formation, but to enterprise management. They hoped that having become shareholders, workers would be utilizing incomes on the same level as entrepreneurs, and in such a way, the disputes between labor and capital will be resolved. Right socialists called upon drawing laborers to working at and administrating consumer cooperatives that were involved in production. However, they were not supported by members of consumer cooperation that became the main reason of delay in establishment of ICA [Hall& Watkins 1934].

The efforts to establish international cooperative organization were evidenced back in 1892 during international conference of friends of cooperative manufacturein London. Within the conference the statute of future international union has been considered and adopted, the decision to summon first congress in 1893 – admitted, and the temporary committee headed by Heinrich Wolf (supporter of credit and rural cooperation) – founded. The latter addressed cooperative organizations of various types with the appeal to participate in international congress. However, the attempt to assemble the first congress of ICA in 1893 was unsuccessful due to insignificant number of its participants and absence of agreement on pivotal questions of cooperative structuring [Watkins 1970].

First constituent international congress opened on September 19, 1895 in London. 207 delegates of cooperative organizations from Australia, Austria-Hungary, England, Belgium, The Netherlands, Denmark, Italy, Serbia, USA, France, Switzerland and observers from a number of other countries participated in it. At that time the centralized cooperative authority that could become a member of ICA had not yet been established in Russia, therefore, it was represented by an observer. The questions in agenda were as follows: 1) Statute of International Cooperative Alliance, 2) Organization of international trade relationships, 3) Cooperative production, 4) Cooperative banking activity, 5) Consumer and rural cooperation.

Congress delegates discussed draft of ICA Statute, which engendered a significant number of arguments. Besides the organizational basis of ICA the 12 articles of the Statute stipulated that the Alliance shall not be engaged in questions of politics and religion. The Statute had not been adopted, while it has been decided that it should be elaborated and brought up for additional discussion at second congress. The Central Committee comprising of 15 people has been elected as a management authority till the next congress. The Statute draft determined the payment amounts for individual and collective members. At the start of its activities, the Alliance allowed the participation of around 200 theoreticians and practitioners of cooperative movement. However, already in several years individual participation has been liquidated, as theoreticians belonged to opposite, often hostile political and ideological trends. Congress adopted the decision to incorporate the ICA headquarters in London and to conduct regular congresses once in three years. The International Commercial Agency had been established within ICA. Among the goals of ICA was to introduce cooperators from various countries to the work of national cooperative organizations, promote establishment of business relationships between cooperative organizations of different countries, popularize goal and targets of cooperation. In order to accomplish these tasks it had been decided to conduct various arrangements: to convoke conferences for cooperators, to spread cooperative information, to study new problems of cooperative movement, to study possibilities of mutual cooperative actions and to propagandize ideas of the Alliance. The establishment of ICA, or how it used to be called – Cooperative international, has become an enormous progressive phenomenon in the social life of that time.

The transition of collaboration from national to international versatile level has started. Mutually beneficial trade, material and moral support of laborers' struggle, joint public statements to adopt special cooperative legislation promoted strengthening and development of cooperative movement around the world. Thus, the organization that united over 2 million members and was hard not to notice has emerged on the world stage [Banner 1929].

A key to the long-term existence of ICA that survived few crises and maintained the unity was the recognition of the cooperative movement basis by cooperators all over the world. Cooperative principles are implemented only in the system, in close interaction with each other. The violation of at least one of them leads to the destruction of a particular cooperative structure. In matter, cooperative principles can be divided into economic and social. Economic principles lies in the foundation of cooperatives' strengths: free membership, economic participation of members in the life of organization, autonomy and independency of organizations, social needs concern. Social principles: voluntary membership, professional preparation, openness and shareholders' control. They were aimed at the creation of favorable conditions for realization of economic principles on practice. Cooperative principles were put down more than 150 year ago, almost simultaneously, by: theoretic Robert Owen, the Rochdale Pioneers in England (first cooperation practitioners) and Decembrists in Russia. The set-up of ICA signalized the completion of the first stage of global cooperative movement development and by the end of 19-thcentury, it entered a new phase [Lozovoi 1929].

The second phase of the global cooperative movement development began in 1896. In October 1896, the second congress of ICA was held in Paris. During the congress, the charter of the ICA that contained goals, principles and methods of the alliance activities was examined and adopted thus the legal basis for international cooperative relations was introduced that relied upon understanding of essence of cooperation in the first place. *It is stated in the Webster's Dictionary that the word "cooperative" has been being in use since 1883 and is defines as "an enterprise or organization owned by and operated for the benefit of those using its services"* [Webster's Ninth New College Dictionary 1985:288]. *It should be noted that cooperative is a peculiar type of enterprise. Its uniqueness is in orientation not on maximization of profit that would be normal for an enterprise but in orientation on full satisfaction of its members economic needs who are clients and owners of the cooperative at once. Basically, cooperative is highly organized form of mutual assistance. They should be viewed as a subsidiary or service structures for the economic goals that are set by the members of cooperative* [Martos 1985: 358].

The goalsstated in the Statute of ICA, as a center for cooperative movement, were as follows: exchange of experience in organizational and economical activities of cooperatives in different countries; improvement of cooperative legislation; propagation cooperative principles; organization of economic relations between cooperatives from different countries; formation of cooperative public opinion; participation of workers and servicemen in the profit management of every association.

The Charter defined rights and responsibilities of ICA, that became the foundation of its activities later: to be the representative of cooperation organizations on each level that in theirs activities comply with Rochdale principles; to spread cooperative principles and methods all over the world; to promote the development of cooperation; to maintain partner relations between organizations that are the members of ICA; to retain interests of cooperative movement in all forms; to assist in development of partner and economic relations between cooperative organizations of all types on national and international arena; to contribute to the strengthening of peace and safety.

Principles of Rochdale Pioneers were put in the foundation of international cooperative principles. The Charter proclaimed the principles of political and religious neutrality of cooperation. According to the Charter from 1896, the superior body of ICA was congress that was held once every 3-4 years. During the congress, Central Committee (CC) was elected. Members of CC elected executive board. President of ICA was a member of the executive board. Every country was able to send from one to six persons to CC, depending on the number of cooperatives and value of cooperative movement in the country. This structure had not been changed until 1996. The definition of famous German specialist in the field of cooperative law H. Munkner stated that cooperative principles is a system of abstract ideas, that cooperatives obtained from theirs own practical experience and proved to be the most relevant managerial set for those who wish to create and maintain the activities of cooperative organizations [Munkner 1981:18]. The definition of the other scientist, famous American cooperation explorer D. Barton states that cooperation principle is the supreme rule of leaders, general and basic truth, all-round and universal arrangement that reflects special goals and uniqueness of cooperation form of business [Barton 1989:23].

Cooperation principles are the basis of understanding of the idea, organizational identity, eco-

nomic mechanism and social purpose of cooperative organization, they reflect the genesis and evolution of cooperative idea. It is known that fundamental principles of cooperation that became internationally recognized include free and voluntary membership; democratic control (one member of cooperative – one vote); economic independence of cooperative; apportionment of profits (losses, risks etc.) depending on the participation in economic activity of cooperative; care about education of cooperative members. Even though cooperative idea is not a doctrine and cooperative principles are not postulates, there are some compliance criterion, for every cooperative (or economic entity) with conception of cooperative entity in the system of market economy. These criterion include: a) corporate character of the entity, when, as was highlighted by the classic of cooperative theory – I. Emelyanov, cooperative should be an aggregative unity of private owners; b) the purpose of the cooperative is to be an "extension" of personal economy of its client-owner thus has an attendant character; non-profitable idea of cooperative entity that is executed with the assistance of cooperative redemptions mechanism [Emelianoff 1948:112]. In addition to the definition of principles, cooperate society reached much more in social context – *the essential etic values ofcooperation* were proclaimed: mutual assistance, democracy, equality, justice and solidarity.

National cooperative organizations praised, by all means, the creation of one international center. Moscow unity of consumer entities (MUCE) declared its decision to enter ICA on the VIII meeting of representatives on March 15, 1903. Annual membership fee of 3 pounds was paid in and execution board of ICA decreed to make (MUCE) an official member. Thus, the latter became the first Russian consumer member-organization of ICA [Koryakov 1998].

## Conclusion

The result of ICA set-up was the intensification of international connections between cooperatives. On the III congress of ICA in 1897, Dutch cooperators offered to establish "cooperative exchanges" with samples of cooperate goods from different countries to move from episodic trade connections to permanent cooperation. French cooperators offered to develop cooperative wholesale entities with external trade functions in every country. English cooperators stood up for the idea of international trade agency as a part of ICA. Congress adopted a resolution with an offer to all members of ICA – to create, in every country, foreign trade cooperative association to maintain connections with bureau of ICA headquarters in London.

Foreign trade association that had trade connections with cooperative unities in European countries had been working since 1896 in England [Webb 1919]. At the same time, production cooperatives were the most interested in the development of international trade. Cooperative distribution stimulates cooperative production and production cooperatives strived for improvement of theirs position in the competition with big capital by eliminating intermediaries on external market. At the same time, international cooperative trade house provided benefits for consumer and other types of cooperative because the expansion of the trade house improved the perspectives of the whole cooperative movement.

Therefore, legal and political set-up of the single cooperative center resulted in intensification of international economic contacts and the increase in self-government of the society, its economic and social autonomy.

## List of used sources:

1. Machima, P. (1995). Report of the national Seminar on Consumes Cooperative Development, New Delhi: International Co-cooperative Alliance.
2. Watkins, W. (1970). International Cooperative Alliance 1895-1970. – London.
3. Hall, F & Watkins, W. (1934). Cooperation: a survey of the history, principles and organization of the cooperative movement in Great Britain and Ireland – London.
4. Watkins, W. (1970). International Cooperative Alliance 1895-1970. – London.
5. Banner, A. (1929). British Cooperation: the history, principles, and organization of the British Cooperative movement – London, 1970. – 407p.
6. Lozovoi, A. (1929). Cooperation course. Feature of history and theory of cooperation. Kharkiv: Proletariy.
7. Webster's Ninth New College Dictionary (1985).

Merriam-Webster Inc. – Springfield, MS. – 1562p.
8. Martos, B. (1985). Theory of cooperation / B. Martos // Ukrainian economic opinion. – K.: Znannya. – P. 355-364.
9. Munkner, Hans-H. (1981). Cooperative Principles and Co-operative Law. 4th Reprint. Institut fur Kooperation in Entwicklungslandern, Marburg/ Lahn. P. 18
10. Barton, D. (1989). «1. What is cooperative? 2. Principles». Cooperatives in Agriculture. Edited by David Cobia. Englewood Cliff, New Jersey: Prentice Hall. – P. 1–34. , P. 23.
11. Emelianoff, I. (1948). (Reprinted 1995). Economic Theory of Cooperation: Economic Structure of Cooperative Organizations / Ivan V. Emelianoff. – Davis, CA : University of California.
12. Koryakov, I. (1998). Principles of cooperative movement, - Chita: Publishing house ZIP of Siberian university of consumer cooperation.
13. Webb, B. (1919). Cooperative movement in Great Britain / B. Webb. – Kh.: Publishing house of All-Russian central unity of consumer association.

# The Development of Cooperation in Europe During Late XIX – Early XX Century: Structure, Principles

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.014

**Natalia Zemzyulina**
Phd., Professor of the Bohdan Khmelnytsky
National University of Cherkasy

**Key words:**
COOPERATIVE MOVEMENT, ICA, INTERNATIONAL ECONOMIC CONTACTS, SOCIAL RIGHTS, SELF-GOVERNMENT

## Summary

The article refers to the features of the international cooperative movement in the late 19th century. Setting it up as a working economic and social structure, relationships with other international organizations and specific proposals that came out of their cooperation. The basic principles stemming from the nature of cooperation, national characteristics, motivational factors that determine it and goals that it persuaded are stated in the article.

# Администрирование налогов как управленческая деятельность

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.015

**Роксана Паславская**
кандидат экономических наук,
ассистент кафедры финансов, денежного обращения и кредита
Львовского национального университета имени Ивана Франко

**Ключевые слова:**
АДМИНИСТРИРОВАНИЕ НАЛОГОВ, УПРАВЛЕНИЯ СИСТЕМОЙ НАЛОГООБЛОЖЕНИЯ, СУБЪЕКТЫ НАЛОГОВЫХ ОТНОШЕНИЙ, СИСТЕМА АДМИНИСТРИРОВАНИЯ НАЛОГОВ, ФИСКАЛЬНЫЕ ОРГАНЫ, НАЛОГОВЫЙ КОНТРОЛЬ.

На сегодняшний день сбалансированная налоговая политика является одним из инструментов стимулирования экономической активности. Однако формирование налоговой политики невозможно без надлежащего процесса администрирования налогов. От эффективности функционирования системы администрирования налогов зависит наполнение государственного бюджета, социальная защита населения и развитие предпринимательства.

Термин «администрирования налогов» в общественный оборот введен сравнительно недавно, хотя вид деятельности, который он обозначает, в практике государственного управления существует достаточно давно. Отечественные практики начали употреблять этот термин где-то со второй половины 90-х годов прошлого века. Он также часто случается в научной литературе, однако единства среди специалистов относительно трактовки сущности этого понятия нет.

Научные основы управленческой деятельности в сфере налогообложения заложены в трудах В. Андрущенко [2003], А. Воронковой [2014], А. Крысоватого [2012], В. Мельника [2008], Л. Олейникова [2014], К. Проскуры [2014] и многих других. Однако несмотря на значительное количество публикаций по данной проблематике, вопрос о дефиниции администрирования налогов остается открытым.

Поскольку термин «администрирование» происходит от латинского «administration», что означает «управлять», то его применение в сочетании со словом «налоги» образует словосочетание «управление налогами». Таким образом, администрирование налогов можно определить как комплекс взаимосвязанных действий фискальных органов, направленных на организацию налогового процесса и осуществления контроля за соблюдением налогового законодательства, правильностью исчисления, полнотой и своевременностью уплаты в бюджет налогов, сборов и других платежей.

Согласно ст. 14.1.11 Налогового кодекса Украины (НКУ), администрирование налогов, сборов и других платежей определяется как «совокупность решений и процедур контролирующих органов и действий их должностных лиц, которые определяют институционную структуру налоговых и таможенных отноше-

ний, организуют идентификацию, учет налогоплательщиков и плательщиков единого взноса и объектов налогообложения, обеспечивают сервисное обслуживание налогоплательщиков, организацию и контроль за уплатой налогов, сборов, платежей в соответствии с порядком, установленным Законом» [Налоговый кодекс Украины № 2755-VI от 2 декабря 2010].

В «Экономической энциклопедии» этот термин определяется как деятельность органов управления и руководящих лиц, что осуществляется путем издания приказов и распоряжений [Экономическая энциклопедия 2000: 25]. В то же время подчеркивается негативное значение такого управления, которое предусматривает использование методов принуждения, требований беспрекословного выполнения приказов без их обоснования, и отмечается, что используется оно в административно-командной экономике.

По нашему мнению, такое толкование термина «администрирование» ложное, ведь администрирования платежей является не односторонним актом принуждения, а скорее консенсусом, который основанный на осознании ответственности сторон в достижении общественно важных целей. Хотя сегодня мы наблюдаем противостояние между государством и бизнесом, то есть отношения между налогоплательщиками и государственными фискальными органами не являются гармоничными. Причинами этого могут быть:

- отсутствие четкого механизма защиты прав и интересов налогоплательщиков;
- непрозрачность налоговой политики государства;
- превышение служебных полномочий работниками фискальных органов и, как следствие, коррупция;
- низкий уровень налоговой культуры;
- недоверие общества к органам государственной власти, и, как следствие, пренебрежительное отношение налогоплательщиков к своей конституционной обязанности уплаты налогов.

В англоязычных словарях нет таких понятий, как «администрирование налогов» (tax administration), «система администрирования налогов» (tax administration system). А само слово «administration» связано со словами «execution», «management», «performance», «supervision», что означает «организация», «управление», «исполнение», «контроль».

В. Мельник утверждает, что администрирование налогов – это «управленческая деятельность органов государственной власти, которая связана с организацией процесса налогообложения, основывается на государственных законодательных и нормативных актах и использует социально обусловленные и восприняты правила» [Мельник 2008: 4]. Однако этот процесс не всегда основывается на социальном восприятии. Примером являются многочисленные забастовки налогоплательщиков осенью 2010 г. в связи с принятием НКУ.

И все же такая точка зрения достаточно аргументирована, ведь администрирования налогов основывается на соблюдении двух видов правил: тех, что введены государством и зафиксированные в законодательных и нормативных актах, и тех, что выработанные обществом в виде традиций и привычек. Первые – это действующее законодательство, а вторые так и обозначают термином «привычка».

Авторы «Экономической энциклопедии» определяют привычки (обычаи) как «правила поведения в определенных сферах экономической деятельности, деловой жизни, не отражены в законах, нормативных документах и договорах, но которых придерживаются на практике» [Экономическая энциклопедия 2000: 136].

Следовательно, привычки и законодательство служат базовыми источниками для принятия решений в сфере администрирования налогов, ведь именно они координируют деятельность субъектов налоговых отношений. Таким образом, администрирование налогов – это установлена законом, практикой и обычаями система управления налоговыми процессами со стороны государства и его органов.

В научной литературе администрирования налогов часто отождествляют с управлением системой налогообложения. Однако, по нашему мнению, управление системой налогообложения является более широким по своему содержанию понятием, чем администрирование налогов (рис. 1). Эти понятия близки по значению, но не тождественные, так же, как и




**Рис. 1. Соотношение понятий «управление системой налогообложения» и «администрирование налогов»**

*Источник: составлено автором*

понятие «налоговая система» и «система налогообложения». Если налоговая система – это совокупность налогов, сборов, других платежей и взносов в бюджеты и государственные целевые фонды, то система налогообложения - понятие более широкое. Под понятием «система налогообложения» понимается совокупность взаимосвязанных и взаимообусловленных налогов, сборов, других платежей и взносов в бюджеты и государственные целевые фонды, принципы, формы и методы их установления, изменения, исчисления, уплаты и взыскания, администрирования и отмены.

Управление системой налогообложения следует рассматривать как любую деятельность государства, что касается управления каждым элементом, который входит в понятие «система налогообложения». То есть это законодательное установление перечня налогов и сборов, которые справляются на территории Украины; определение на законодательном уровне принципов, форм и методов деятельности уполномоченных органов власти в сфере налогообложения; законодательное определение прав, обязанностей, функций и заданий фискальных органов, которые обеспечивают взыскание налоговых платежей и налоговый контроль.

Исходя из этого, администрирования налогов является органической составляющей управления системой налогообложения, то есть управленческой деятельностью государственных органов, направленной на реализацию законодательных норм. Следовательно, администрирование налогов – это деятельность уполномоченных органов управления, которая направлена, в первую очередь, на обеспечение и реализацию контроля за соблюдением налогового законодательства всеми участниками налоговых отношений. Налоговые отношения, возникающие между субъектами процесса администрирования налогов, делятся на несколько видов (рис. 2).

Администрирование налогов, как следует из приведенных выше определений, является понятием более узким за управление налогообложением, однако шире чем налоговый контроль. Налоговый контроль вместе с налоговым планированием, учетом и регулированием являются основными элементами процесса адми-




**Рис. 2. Виды налоговых отношений**

*Источник: составлено автором*

нистрирования налогов.

Контроль за соблюдением налогового законодательства является центральным элементом налогового администрирования. Согласно ст. 61.1 Налогового кодекса Украины «налоговый контроль – система мер, принимаемых контролирующими органами с целью контроля правильности начисления, полноты и своевременности уплаты налогов и сборов, а также соблюдения законодательства по вопросам регулирования обращения наличности, проведения расчетных и кассовых операций, патентования, лицензирования и другого законодательства, контроль за соблюдением которого возложен на контролирующие органы» [Налоговый кодекс Украины № 2755-VI от 2 декабря 2010].

Налоговое планирование предусматривает разработку системы планов, в основе которых лежит оптимизация налогообложения. В частности, это составление и обеспечение выполнения плана налоговых и неналоговых поступлений, ведения плана проверок налогоплательщиков и т.п.

Учетная работа предусматривает учет налогоплательщиков и учет налоговых поступлений.

Налоговое регулирование осуществляется с помощью комплекса правовых инструментов и специфического стимулирующего механизма. Так, к методам налогового регулирования относятся налоговые каникулы, инвестиционный налоговый кредит, налоговая амнистия, отсрочка и рассрочка налоговых платежей, налоговые вычеты, регистрация бизнеса в зонах с благоприятным налоговым климатом и др.

В. Андрущенко определяет налоговое администрирование как основную функцию управления, которая включает планирование, организацию, руководство, учет и контроль [Андрущенко 2003: 29]. Такое определение достаточно аргументировано, ведь администрирования налогов – это, действительно, управленческая деятельность и ему свойственны все элементы управления, однако такая трактовка сущности данного понятия требует уточнения относительно того, какие именно действия включает в себя администрирование в пределах отдельных функций управления.

Так, составляющими налогового администрирования являются следующие виды деятельности:

- учет налогоплательщиков;
- учет налоговых поступлений;
- сбор, обработка и проверка налоговой отчетности;
- контрольно-проверочная деятельность;

- оперативно-розыскные мероприятия;
- мониторинг процессов налогообложения;
- прогнозно-аналитическая работа;
- нормотворческая деятельность;
- массово-разъяснительная и консультационная работа.

Следовательно, для определения термина «администрирование налогов» следует применять системный подход, который бы учитывал конкретные процессы и функции управления процессами налогообложения. По этому возникает необходимость определения понятия «система администрирования налогов».

Система администрирования налогов предусматривает взаимодействие управляющей (фискальных и других центральных органов исполнительной власти) и управляемой (налоговых платежей) систем, при чем управленческая деятельность управляющей системы направлена на формирование налоговых поступлений в бюджеты разных уровней и государственные целевые фонды, что обеспечивает реализацию функций налогов в порядке, предусмотренном законодательством.

Субъектами системы администрирования налогов является, с одной стороны, уполномоченные государством фискальные органы, а с другой - плательщики налогов, сборов и платежей в бюджеты и государственные целевые фонды, а также другие субъекты, которые влияют на формирование и функционирование системы администрирования налогов.

Под объектом администрирования налогов мы понимаем то, на что направлена деятельность уполномоченных органов, то есть процесс мобилизации налоговых платежей в бюджет. Иными словами, объектом является выполнение налоговых обязательств.

На макроуровне процесс администрирования налогов направлен на выполнение следующих заданий:

- организация налоговых отношений;
- реализация норм налогового законодательства;
- анализ макроэкономических процессов налогообложения и разработка исходных данных для прогнозирования их развития;
- оценка отклонений фактических значений макропоказателей от прогнозных и выяснения причин таких отклонений.

На микроуровне выделяют такие задания:

- регулирования налоговых отношений;
- обеспечения ежедневной деятельности фискальных органов по мобилизации налогов и сборов;
- разработка и реализация организационных мероприятий, повышающих эффективность функционирования фискальных органов. При этом критерием эффективности администрирования налогов следует считать обеспечение мобилизации налогов и сборов в объемах, соответствующих научно обоснованным уровням налоговой нагрузки при минимальных затратах на функционирование налоговой системы.

В конечном итоге, основная цель процесса администрирования налогов предусматривает решение двух главных проблем:

1) обеспечение фискальных потребностей государства;
2) достижение высокого уровня доверия налогоплательщиков.

На основании этого можем выделить соответствующие функции системы администрирования налогов: фискальную и стимулирующую. Однако выполнение фискальной функции невозможно без надлежащего контроля, поэтому система администрирования налогов выполняет три функции: фискальную, стимулирующую и контрольную.

Фискальная функция обеспечивает формирование и мобилизацию поступлений в бюджеты различных уровней и государственные целевые фонды, которые впоследствии будут использоваться для финансирования потребностей общества. Суть стимулирующей функции заключается в создании таких условий налогообложения, которые будут способствовать, с одной стороны, развитию экономических процессов и явлений (например, развитию предпринимательской деятельности), а с другой - повышению уровня добровольности уплаты налогов в стране. Контрольная функция предполагает контроль со стороны государства за финансово-хозяйственной деятельностью субъектов хозяйствования, в частности за источниками их доходов и затратами, с целью обеспечения своевременных и в по-

лном объеме поступлений платежей налогового характера в бюджеты различных уровней.

Поскольку деятельность налогоплательщиков направлена на минимизацию налоговых платежей, а налоговое администрирование – на максимальную мобилизацию доходов для потребностей государства, то возникает конфликт интересов. Главной же целью администрирования налогов является достижение баланса общественных и личных интересов.

На основании изложенного выше, можем сделать вывод, что в современных условиях открытой экономики система администрирования налогов – одна из важнейших составляющих системы налогообложения. Невзирая на это, в теории налогообложения вопрос дефиниции администрирования налогов остается актуальным. До сих пор среди исследователей нет единых и устоявшихся взглядов на эту проблематику, а предложенные определения часто свидетельствуют существенную разницу, а иногда и неопределенность содержания этого понятия.

По нашему мнению, администрирование налогов - это управленческая деятельность фискальных и других центральных органов исполнительной власти, которая обеспечивает формирование налоговых поступлений в бюджеты различных уровней и государственные целевые фонды, а также реализацию функций налогов.

СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННЫХ ИСТОЧНИКОВ:

1. Андрущенко, В. (2003). Фискальная администрирования как наука и искусство / В.Л. Андрущенко // Финансы Украины. . - № 6. - С. 27-35.
2. Воронкова, А. (2014). Формирование понятийного аппарата управления процессом налогообложения / А. Н. Воронкова // Наука и экономика. - Хмельницкий, - Вып. 1 (33). - С. 235-243.
3. Крысоватый, А. (2012). Администрирование налогов в Украине: организация и направления трансформации: монография / А.И. Крысоватый, Т.Л. Томнюк. - Тернополь: ВПЦ «Экономическая мысль ТНЭУ». - 212 с.
4. Мельник, В. (2008). К вопросу формирования теоретических основ администрирования налогов / В.Н. Мельник // Финансы Украины. - № 9. - С. 3-9.
5. Олейникова, Л. (2014). Повышение фискальной и экономической результативности налогового администрирования в Украине / Л.Г. Олейникова // Финансы Украины. - №10. - С. 47-59.
6. Проскура, К. (2014). Налоговое администрирование в Украине в пост кризисный период: эффективность и направления модернизации: монография / К.П. Проскура. - К.: ООО «Эмкон». - 376 с.
7. Налоговый кодекс Украины № 2755-VI от 2 декабря 2010 [Электронный ресурс]. - Режим доступа: http://zakon5.rada.gov.ua/laws/show/2755-17
8. Экономическая энциклопедия (2000): в 3 т. / Отв. ред. С.В. Мочерний. - К.: Академия, Т. 1. - 864 с.

# Tax Administration as Managment Activity

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.015

**ROKSOLANA PASLAVSKA**
Candidate of Economic Sciences,
Assistant of Departments of Finances,
Turnover and Credit of the Ivan Franko National University of Lviv

**Key words:**
TAX ADMINISTRATION, MANAGEMENT OF TAXATION SYSTEM, SUBJECTS OF TAX RELATIONS, TAX ADMINISTRATION SYSTEM, FISCAL AUTHORITIES, TAX CONTROL

## Summary

In the article the main approaches to the interpretation of the essence of the term «tax administration» are considered and authorial interpretation over of this concept is brought. The basic theoretical aspects of functioning of the tax administration system in Ukraine are determined. Author distinguished the types of tax relations that arise up between subjects in the tax administration process.

# თამბაქოს პროდუქციაზე აქციზური გადასახადის ზოგიერთი ასპექტის შესახებ (საქართველოს მაგალითზე)

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.016

**იოსებ არჩვაძე**
*ეკონომიკის დოქტორი,*
*ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი*

**ირაკლი არჩვაძე**
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**საკვანძო სიტყვები:**
აქციზური გადასახადი, აქციზის განაკვეთი, თამბაქოს ფასი

აქციზური გადასახადი საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხოლო საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მზარდი ფისკალური დატვირთვის კომპონენტია. 2011 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოში ახალი გადასახადების შემოღება ან უკვე მოქმედ გადასახადებში საგადასახადო განაკვეთის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე – გარდა აქციზის გადასახადისა. შესაბამისად, მიუხედავად ამ საკანონმდებლო მუხლის არაერთგვაროვანი, ფაქტობრივად, პოპულისტური დატვირთვისა, იგი დღემდე ძალაშია და ნებისმიერ ხელისუფლებას სერიოზულ დისკომფორტს უქმნის საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციაში, საგადასახადო პოლიტიკის და, ზოგადად, ეკონომიკური და ფისკალური ღონისძიებების გატარებაში. ასეთ პირობებში აქციზურ გადასახადს შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესი ფისკალური მაშველი რგოლის ფუნქცია ენიჭება და ბოლო წლებში ფაქტობრივად საგადასახადო შემოსავლების მატების მზარდ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად, თუ ჯერ კიდევ 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, აქციზზე მოდიოდა ბიუჯეტში მობილიზებული **გადასახადების მატების** მხოლოდ 5.8 პროცენტი, 2015 წელს მან უკვე 7.4 პროცენტს მიაღწია, ხოლო 2016 წელს - 33.0 პროცენტს გადააჭარბებს. აქციზის როლისა და მნიშვნელობის ამაღლება სათანადოდ აისახება საერთაშორისო შედარებებშიც, რომლის დროსაც აშკარად იგრძნობა აქციზური საგადასახადო ტვირთის ასიმეტრიულად მაღალი დონე საქართველოში. მაგალითად, **საგადასახადო შემოსავლებში აქციზის წილი აშშ-ში 2.8 პროცენტია, საქართველოში კი თითქმის 4-ჯერ უფრო მაღალი - 11.0 პროცენტი.** მოსახლეობის ერთ სულზე აქციზური გადასახადი საქართველოში აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 28.7% პროცენტია, მაშინ, როცა საგადასახადო შემოსავლების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 7.3 პროცენტი,

ხოლო გადასახადი კორპორაციათა შემოსავლე-ბზე (მოგების გადასახადი) – 7.0 პროცენტია.

ზოგადად, აქციზური გადასახადის შემოღება და ზრდა თამბაქოს ნაწარმზე მიზნად ისახავს რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის გადაწყვეტას:

1) სოციალური – ქვეყანაში თამბაქოს მოხმა-რების შემცირება და ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტივირება;
2) ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და ფის-კალური დატვირთვის გაძლიერება;
3) გარე ფაქტორებისა და სიგარეტის ექს-პორტ-იმპორტისას ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების გადალახვის მასშტაბების რეგულირება.

ასეთი მზარდი ეკონომიკური, ფისკალური ფუნქციის შესრულებაში შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის აქციზს თამბაქოს ნაწარმზე. **საქართველოს ხელისუფლების მიერ ფაქტორივად აღებულია ორიენტაცია თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ყოველწლიურად ორ-ჯერადი მატების თაობაზე,** რის გამოც აქციზის წილი თამბაქოზე აქციზის მთლიან მოცულობაში ყოველწლიურად არანაკლებ 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზრდება. აღნიშნულის შედეგადაც თამბაქოს წილი საქართველოს სახელმწიფო ბი-უჯეტის აქციზურ გადასახადებში 2014 წლის 17.9 პროცენტიდან 2019 წლისთვის 20.9 პრო-ცენტამდე, ხოლო 2025 წლისთვის - სულ ცოტა, 25 პროცენტამდე გაიზრდება.

2015 წლის პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა ადვალური გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე. ეს იყო 5%-იანი აქციზი პროდუქციის ღირებულებაზე, რომლის შემდგომი ზრდის „გარანტია" ოფიციალურად მთავრობის სახელით ხელისუფლებას და საზოგადოებრიობას ფინ-ანსთა მინისტრმა მისცა. კერძოდ, 2016 წლის პირველი იანვრიდან გაიზარდა როგორც სპე-ციალური აქციზი, ისე ადვალური და ამჟამად (2016 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით) აქციზური განაკვეთი შეადგენს ფილტრიან სიგარეტზე (20-ღერიან კოლოფზე) 1.1 ლარს, უფილტრო სიგარეტზე – 0.3 ლარს, ხოლო ად-ვალური გადასახადი – 10%-ს.

მიუხედავად ზრდისა, აქციზის აბსო-ლუტური სიდიდე ერთ კოლოფ სიგარეტზე საქართველოში ჯერჯერობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საშუალო მსოფლიო და მით უფრო, ევროპულ დონეს. – ამჟამად **მსოფლი-ოში აქციზის ღირებულება ერთ კოლოფ ფილ-ტრიან სიგარეტზე დაახლოებით 1 დოლარია, მაშინ, როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი თითქმის 2,3-ჯერ უფრო დაბალია.** მსოფლიო ბან-კის ეტალონური მოდელით კი აქციზის წილი არ უნდა იყოს სიგარეტის საცალო ფასის 67%-ზე ნაკლები. განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნები სიგარეტის დაბეგვრასთან დაკავშირებით ევ-როკავშირში, სადაც მიჩნეულია, რომ ყოველ 1000 ღერ სიგარეტზე აქციზი არ უნდა იყოს 90 ევროზე ნაკლები (ანუ ერთ 20 ღერიან კოლოფ სიგარეტზე არანაკლებ 1,8 ევრო).

საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს, რომ უახლოეს წლებში გაზარდოს აქ-ციზური გადასახადების წილი სიგარეტების საცალო ფასში არა ნაკლებ 60%-მდე, ხოლო ადვალური გადასახადი – ყოველწლიურად დაახლოებით 5 პროცენტული პუნქტით.

ზოგადად, ადვალური გადასახადი მიზნად ისახავს არა მარტო ფისკალური პრობლე-მების მოგვარებას, არამედ სიგარეტის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას, იმის გათვალ-ისწინებით, რომ სპეციფიკური გადასახ-ადის გამოყენებით უფრო მეტი შეღავათით სარგებლობენ ძვირადღირებული სიგარეტის მწარმოებლები, ხოლო იჩაგრებიან შედარე-ბით იაფფასიანი სიგარეტის მწარმოებლები და რეალიზატორები. ადვალური გადასახადის მიზ-ანი არის აღნიშნული უთანასწორობის მაქსიმ-ალური ნიველირება.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც თამბაქოს საშუალო მოხმარება და თამ-ბაქოს მწეველთა კონტინგენტის თანაფარდობა მთლიან მოსახლეობასთან აღემატება საშუ-ალო ევროპულ დონეს, აქციზური განაკვეთის სისტემატური ზრდა წარმოადგენს არა მარტო ფისკალური დატვირთვის კომპონენტს, არამედ გარკვეულწილად თამბაქოს ნაწარმის მოხ-მარების საწინააღმდეგოდ გადადგმული კონკრე-ტული სოციალურ-პოლიტიკური ნაბიჯიცაა.

მართალია, აქციზის წილი საბიუჯეტო სახ-სრებში მუდმივად მზარდია, მაგრამ თუ აღნიშ-ნულ პრობლემას – *თამბაქოს მოხმარებას* – შევხედავთ უფრო გლობალურად, საზოგადოების წევრთა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანმ-რთელობის დაცვის ამოცანებიდან, აღმოვაჩენთ, რომ **ერთობლივი, მთლიანი ზარალი თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისაგან არა თუ ჩამოუვარდება, არამედ საგრძნობლად აღემატება თამბაქოს ინ-**

**დუსტრიასთან დაკავშირებული ყველა სახის საბიუჯეტო შემოსავლების ჯამურ სიდიდეს.** დადასტურებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკაში თამბაქოს ნაწარმის მოხმარებით მიღებული პირდაპირი ზარალი ნახევარ ტრილიონ დოლარს აღემატება, მაშინ როდესაც აქციზური საგადასახადო შემოსავალი მსოფლიოში დაახლოებით 200 მილიარდი აშშ დოლარია, ანუ 2.5-ჯერ ნაკლები. განსაკუთრებით მაღალია ის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ხოლო საქართველოში მოხმარების მასშტაბის გავრცელების არეალისა და მოხმარების სიხშირის გათვალისწინებით, მისგან მიღებული ზარალი, წელზე გაანგარიშებით, არანაკლებ 200 მილიონი ლარის ეკვივალენტურია. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები გარკვეულწილად შეფასებითი დატვირთვისაა, ხოლო რეალური მასშტაბი შეიძლება კიდევ უფრო მეტიც კი იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდების გარკვეული ნაწილი ცდილობს ოჯახის უფროსებს, მშობლებს დაუმალოს თამბაქოს მოხმარება, ხოლო თამბაქოს მოხმარების ლატენტური დონე გოგონებსა და ქალებში, ქართული მენტალობისა და ტრადიციების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაღალია. ოფიციალური სტატისტიკით, 14 წელზე უფროსი ასაკის ქალებში თამბაქოს ნაწარმის მომხმარებელთა რაოდენობა 4 პროცენტს არ აღემატება, რაც ფანტასტიკურად დაბალი ციფრია (მამაკაცებში შესაბამისი მაჩვენებელი 55 პროცენტია).

ბოლო 15 წლის მანძილზე აქციზის განაკვეთი სიგარეტზე დაახლოებით 4.5-ჯერ გაიზარდა, მაგალითად 2001 წელს ადგილობრივი წარმოების ფილტრიან სიგარეტზე იგი მხოლოდ 20 თეთრს შეადგენდა, მაშინ, როცა 2015 წლისთვის მან 90 თეთრს, ხოლო 2016 წელს - 1,10 ლარს მიაღწია. უფილტრო ადგილობრივ წარმოების სიგარეტზე იმავე პერიოდში აქციზი 7 თეთრიდან 30 თეთრამდე გაიზარდა. თუმცა რეზერვი ამ მხრივ ჯერ კიდევ მაღალია იმის გათვალისწინებით, რომ აქციზის საერთო გადასახადის (სპეციფიკური და ადვალური გადასახადის ჯამური მაჩვენებელი) ამჟამად, ფაქტობრივად, ორჯერ ჩამორჩება ევროკავშირის სარეკომენდაციო ნიშნულს. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს წლებში აღნიშნული გადასახადის ზრდა კიდევ გაგრძელდება და საცალო ფასი 2020 წლისთვის 1 კოლოფზე დაახლოებით 6 ლარს, ხოლო 2025 წლისთვის – 10 ლარს მიაღწევს.

დასაბუთებულია, რომ თამბაქოს ნაწარმის ფასსა და მოხმარებას შორის არსებობს გარკვეული უარყოფითი ელასტიური დამოკუდებულება. ფასის ზრდა 10%-ით იწვევს მოხმარების 4%-ით შემცირებას, თუმცა ეს ზოგადი კანონზომიერებაა და ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირ არ ხორციელდება. ბოლო წლების დინამიკის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში თამბაქოს მოხმარების დინამიკა უფრო მაღალ კორელაციაშია შემოსავლების ზრდასთან, ვიდრე თამბაქოს ნაწარმზე ფასების მატებასთან.**

საქართველოში აქციზური განაკვეთის გაზრდა, გარდა ფისკალური ეფექტისა, მიზნად ისახავს, პირველ რიგში მოზარდი თაობის წარმომადგენლების დაცვას თამბაქოს ადრეულ ასაკში მოხმარების დაწყებისგან. კორელაცია თამბაქოს ფასსა და მის მოხმარებას შორის განსაკუთრებით მაღალია, მგრძნობიარეა სწორედ 16 წლამდე ასაკის მოზარდებში, რის გამოც თამბაქოს ფასის ზრდა მისი მოხმარების პრევენციის ერთ-ერთი ქმედითი ღონისძიებაა.

ამჟამად საქართველოში თამბაქოს ნაწარმის საშუალო ფასი არ აღემატება 3.6 ლარს, მაშინ როდესაც ევროპის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ბულგარეთში მისი ფასი დაახლოებით 6,2 ლარია, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში - 23,9 ლარი. ბულგარეთში აქციზის სიდიდე ერთ კოლოფ სიგარეტზე შეადგენს 3,3 ლარს, ხოლო ირლანდიაში სადაც ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია – 15.37 ლარს.

მოტანილი მონაცემები ადასტურებენ, რომ თამბაქოზე აქციზური განაკვეთის აბსოლუტური სიდიდით დასახლებული ქვეყნები საქართველოს გაცილებით მეტად უსწრებენ, ვიდრე ეკონომიკური განვითრების დონით, რაც ამ სახის პროდუქციაზე აქციზის შემდგომი ზრდის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს ადასტურებს.

საქართველოში სიგარეტის ფასზე და აქციზურ განაკვეთზე გავლენას ახდენს არა მარტო მოქმედი კანონმდებლობა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის პროგრამები, არამედ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, მის უშუალო მეზობლებთან თამბაქოს ნაწარმზე არსებული ფასების დონეც. ამჟამად, ვალუტის ოფიციალური კურსის

გათვალისწინებით, სიგარეტის საცალო ფასი საქართველოს სახმელეთო მეზობლებში და ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, გარდა სომხეთისა, რამდენადმე უფრო მაღალია.

საქართველოს ღია, გახსნილი ეკონომიკა აქვს. ამიტომ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში თამბაქოს ნაწარმს განსაზღვრული როლი უკავია. 2015 წელს საქართველომ, საბაჟო სტატისტიკის მონაცემებით, მოახდინა თამბაქოს ნაწარმის 7.3 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი და 109.2 მლნ დოლარის იმპორტი. 2014 წელს საქართველოში ოფიციალურად იმპორტირებული იყო დაახლოებით 400 მლნ კოლოფზე მეტი ფილტრიანი სიგარეტი, ხოლო თამბაქოს ნაწარმის იმპორტის ღირებულებამ 125.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, შიდა ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის წილი საკმაოდ მაღალია. ფაქტობრივად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთდროულად თამბაქოს ექსპორტიორიცაა და იმპორტიორიც, იგი მაინც უფრო იმპორტიორად უნდა იქნას მიჩნეული – **ექსპორტი ფარავს იმპორტის მხოლოდ 2.2 პროცენტს.** 2000 წლის შემდეგ საქართველოში შემოვიდა თითქმის 1.1 მილიარდი აშშ დოლარის და გავიდა მხოლოდ 23 მილიონი დოლარის თამბაქოს პროდუქცია. შესაბამისად, კონტრაფაქტული და კონტრაბანდული პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა – ეს არა მარტო ეკონომიკური, ფისკალური პრობლემაა, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაც.

ამასთან, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის წვრილ პარტიებად შემოტანა-გატანა და მისი კონტრაბანდა, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყანაში აქციზური გადასახადების მობილიზაციის მასშტაბებზე. შესაბამისად, საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე აქციზების გადასახადის დადგენის ან ცვლილებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დამატებით ორი კომპონენტი: *ეროვნული სავალუტო კურსი და საქართველოს მეზობლებში და ძირითად სავაჭრო პარტნიორებში თამბაქოს პროდუქციაზე აქციზური განაკვეთის ფაქტობრივი სიდიდე.*

აღნიშნული პოლიტიკის გატარება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ გარკვეული პროფილაქტიკური ზომები კონტრაბანდის და უკონტროლო პროდუქციის საზღვრის გადაკვეთის მასშტაბების თავიდან ასაცილებლად. გატარებული ღონისძიებების შედეგად უახლოეს წლებში აქციზური კომპონენტის წილად მოვა საცალო ფასის 5-6 ლარი. გათვალისწინებულია, რომ 2020 წლამდე დარჩენილ პერიოდში საშუალოდ აქციზის განაკვეთი ყოველწლიურად გაიზრდება 0,7 ლარით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად უახლოეს წლებში საქართველო მიაღწევს ევროკავშირის მიერ მოთხოვნილ მინიმალურ წილს საშუალო საცალო სარეალიზაციო ფასში (60,5%) ხოლო 2020 წლისთვის საერთო აქციზის მინიმალური მოთხოვნების დონეს (1,8 ევროს ექვივალენტი ლარებში) 1 კოლოფ ფილტრიან სიგარეტზე. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში აქციზური გადასახადის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 2014 წელთან შედარებით 2020 წლისთვის სიგარეტზე აქციზური გადასახადი გაიზრდება 5,2-ჯერ, ხოლო 2016-2020 წლებში თამბაქოს აქციზით მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა გადააჭარბებს 1.2 მილიარდ ლარს. რაც 2016 წლის საგადასახადო შემოსავლების თითქმის 14%-ის ექვივალენტურია. გათვალისწინებულია, რომ თამბაქოს ფასების ზრდის კვალობაზე ადგილი ექნება მისი მოხმარების საგრძნობ შემცირებას – დაახლოებით 22-23%.

საქართველომ უკვე 10 წელიწადზე მეტია, რაც ხელი მოაწერა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციას, რომლითაც განსაზღვრულია თამბაქოს ნაწარმზე სატარიფო და საგადასახადო ზომები და ქვეყნის ვალდებულება საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე, მისი შემდგომი ზრდისა და თამბაქოს მოხმარების შემცირების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზომებს იმ მიმართულებით, რომ მოხდეს თამბაქოს ნაწარმის ჩანაცვლების რისკისა და შედარებით იაფ ნაწარმზე გადასვლის შესაძლებლობის მინიმიზაცია. ამ მხრივ საქართველოში გატარებულია გარკვეული ზომები და ბოლო წლებში ადგილი ფაქტობრივად აღარ აქვს თამბაქოს მწეველთა კონტინგენტის ზრდას.

აქტიური ანტინიკოტინური კომპანიის შედეგად შესაძლებელი იქნება როგორც თამბაქოს ნაწარმის მომხმარებელთა შეზღუდვა, ასევე ფისკალური შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც დიდწილად გამოყენებული იქნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობისა და ქვეყნის მოქალაქეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტივირებისათვის.

# About Some Aspects of Excise Tax on Tobacco Product
## (on the example of Georgia)

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.017

**Joseb Archvadze**
Doctor of Economics,
Kutaisi State University professor

**Irakli Archvadze**
PHD Student of St. Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

**Key words:**
EXCISE TAX, EXCISE TAX RATE, PRICE TAMMBAKOS

## Summary

Considering Georgian reality excise tax is one of the most important and a growing component of the fiscal burden for the formation of budget revenue.

In fact Georgian authorities plan to increase excise tax on tobacco twice each year. Excise share on tobacco, in the total volume of excise will increase not less than 0.6 percentage points each year. Such a step is taken not only for fiscal policy, but also to some extent it is a concrete socio-political step against the consumption of tobacco products. It is aimed to protect younger generation against the consumption of tobacco products at an early age.

The combined total loss caused by the use of tobacco products is not less, but on the contrary, it is considerably more than the total quantity of any kind of budget receipts in connection with tobacco industry.

The dynamic of tobacco consumption in Georgia is in higher correlation with revenue growth, than with the rise in prices of tobacco products.

# მაკროეკონომიკური მოწყვლადობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები: ქვეყნის საბალანსო უწყისი

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.018

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

**ნანა ასლამაზიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი

**საკვანძო სიტყვები:**
ფინანსური სტატისტიკა, მაკროეკონომიკური მოწყვლადობის შეფასება

## შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების მზარდი გლობალიზაცია არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს ეროვნულ ეკონომიკებს. ასეთ გამოწვევათა შორის აღსანიშნავია სხვადასხვა ტიპის წონასწორობის დარღვევა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთა ადრეულ სტადიაზე გამოვლენას და სათანადო პრევენციული ზომების მიღებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა სავალუტო შეუსაბამობებს (currency mismatches) უკავშირდება. საქმე ის არის, რომ როგორც შინამეურნეობები, ისე საწარმოები, ბანკები და სხვა ინსტიტუციური ერთეულები, თავიანთი საქმიანობის პროცესში იღებენ შემოსავლებს და ეწევიან ხარჯებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ვალუტით არის განხორციელებული. შესაბამისად მათი აქტივები და ვალდებულებებიც სხვადასხვა ვალუტაშია და ამდენად, მათი აქტივების წმინდა ღირებულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გაცვლითი კურსის ტენდენციებზე.

როდესაც საქმე ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ეხება, არანაკლებ პრობლემატურია მათი ვადიანობის შეუსაბამობის (maturity mismatches) საკითხი. ასეთ შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ, თუ ინსტიტუციური ერთეული გრძელვადიან აქტივებს (მაგალითად, იპოთეკურ სესხებს) აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით (მაგალითად, მოკლევადიანი დეპოზიტებით).

ფინანსური ბაზრების არნახული ტემპებით ზრდა და გაფართოვება არაერთ რისკს წარმოშობს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია დროული და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. ამა თუ იმ ინსტიტუციური სექტორის ფინანსური სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზებით ახდენს იგი ეკონომიკური აქტივების დაფინანსებას - სავალო ინსტრუმენტებით (debt financing), თუ კაპიტალის ინსტრუმენტებით (equity financing). თუ იგი პირველი სახის ინსტრუმენტებს ანიჭებს უპირატესობას, თავს იჩენს კაპიტალის სტრუქტურის პრობლემები (capital structure problems). ამასთან, ჩნდება გადახდისუნარიანობის პრობლემები (solvency problems), როდესაც აქტივები (მოიცავს მომავალი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასაც) არ არის საკმარისი ვალდებულებების (მოიცავს პირობით ვალდებულებებსაც) დასაფარად.

ზემოაღნიშნული და სხვა ფინანსური საკითხებისადმი ინტერესი, მათი რაოდენობრივი

შესწავლის აუცილებლობა აქტუალურია ისე, როგორც არასდროს. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთი სტატისტიკური პრიორიტეტების რიგში სულ უფრო წინა პოზიციებზე აყენებენ ფინანსური სტატისტიკის წარმოებისა და მისი სრულყოფის საკითხებს.

რას და როგორ შეისწავლის ფინანსური სტატისტიკა? რამდენად მასშტაბურია მისი შესწავლის სფეროები? რა ინსტრუმენტებით ახდენს იგი ზემოაღნიშნული პრობლემატიკის კვლევას? ეს და სხვა მრავალი საკითხი ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სისტემის პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით გაშუქებული არ არის. ჩვენი მიზანია ნაბიჯ-ნაბიჯ გავაშუქოთ ეს პრობლემატიკა. შესაბამისად, წინამდებარე სტატია პირველია ამ მიმართულებით.

## რას წარმოადგენს ფინანსური სტატისტიკა?

ფინანსური სტატისტიკა, მონეტარულ სტატისტიკასთან ერთად, ერთ-ერთია იმ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა) შორის, რომლებიც შეისწავლიან ამა თუ იმ ეკონომიკის ფუნქციონირების პრაქტიკულად ყველა მხარეს: რეალურ, ფინანსურ და საგარეო სექტორებს და მათში მიმდინარე პროცესებს.

ფინანსური სტატისტიკა ამა თუ იმ ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობისა და სისტემური რისკების ანალიზის საკმაოდ კომპლექსური ინსტრუმენტია. რაში მდგომარეობს მისი კომპლექსურობა?

ფინანსური სტატისტიკა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ორგანული შემადგენელი ნაწილია. როგორც ცნობილია, ეროვნული ანგარიშების ლოგიკური თანმიმდევრობა შესაბამისობაშია წარმოების ციკლთან: მიმდინარე ანგარიშების ჯგუფს (წარმოების ანგარიში, შემოსავლების ფორმირების ანგარიში, შემოსავლების განაწილების ანგარიში, შემოსავლების გადანაწილების ანგარიში, შემოსავლების გამოყენების ანგარიში) მოსდევს დაგროვებითი ანგარიშები (კაპიტალის ანგარიში, ფინანსური ანგარიში, გადაფასების ანგარიში, აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიში) და საბალანსო უწყისები (იხ. სქემა 1). სწორედ ანგარიშების ბოლო ორი ჯგუფი წარმოადგენს ფინანსური სტატისტიკის კვლევის საგანს, სწორედ ეს ანგარიშები შეისწავლიან ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას დროის ამა თუ იმ მომენტისათვის (საბალანსო უწყისები), აგრეთვე იმ ნაკადებს, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს საწყის და საბოლოო საბალანსო უწყისებს შორის (დაგროვებითი ანგარიშები). ფინანსური ანგარიში წარმოადგენს ბოლო ანგარიშს, რომლითაც მთავრდება ეროვნული ანგარიშების მწკრივი. იგი ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობების ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებით. ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია წმინდა დაკრედიტება, ანუ „წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხება (-)“, რომელიც ეროვნული ანგარიშების აგების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ტოლია წინა ანგარიშის, ანუ კაპიტალის ანგარიშის, დამაბალანსებელი მუხლისა. სწორედ ამ მუხლით უკავშირდება ფინანსური ანგარიში ეროვნული ანგარიშების ყველა წინა ანგარიშს და ამდენად ასახავს მიმდინარე ანგარიშებსა და კაპიტალის ანგარიშში ასახული ეკონომიკური პროცესების საბოლოო ფინანსურ შედეგებს.

ამდენად, ეკონომიკური ანგარიშების ზემოთ აღწერილი სტრუქტურა და ურთიერთკავშირები ნათლად მიუთითებს ფინანსური სტატისტიკის ღრმა და კომპლექსურ შინაარსზე, რომლის დანიშნულებაა ეკონომიკის ყველა სექტორს და ამ სექტორებსა და დანარჩენ სამყაროს შორის ფინანსური ნაკადების მოძრაობის ასახვა, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობის შესწავლა, მათ შორის შეუსაბამობის გამოვლენა და ამ შეუსაბამობებით განპირობებული მოწყვლადობის ანალიზი.

## უწონასწორობა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის და მისი გამოვლენის სტატისტიკური ინსტრუმენტები

იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია საჭირო მონაცემთა წყაროები, ფინანსური სტატისტიკა მონაცემთა დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. კერძოდ, იგი ისეა ორგანიზებული, რომ საშუალე-




**სქემა 1. ეროვნული ანგარიშების შემოკლებული სტრუქტურა, დამაბალანსებელი მუხლების მითითებით**

ბას იძლევა მონაცემების წარმოება მოხდეს არა მარტო ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთებისა და ნაკადების მიხედვით, არამედ ცალ-ცალკეც: ცალკე ნაშთების და ცალკე - ნაკადების მიხედვით სექტორების ჭრილში, აგრეთვე ინსტიტუციური სექტორების ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებისა და ნაკადების მიხედვით, კონტრაგენტი სექტორების ჭრილში. აქედან გამომდინარე, ფინანსური სტატისტიკის წარმოება შესაძლებელია ორ და სამგანზომილებიან პარამეტრებში, ანუ როგორც შედარებით ნაკლებად, ისე საკმაოდ დეტალურ ჭრილებში.

ორგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა ასახავს: ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთებს და ნაკადებს (ოპერაციები, ღირებულების ცვლილებები, სხვა ცვლილებები ცალ-ცალკე) სექტორების მიხედვით.

საბალანსო უწყისი ფინანსური სტატისტიკის სამგანზომილებიან ჭრილში წარმოდგენის ინსტრუმენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი

„ვისგან-ვის“ (“from-whom-to-whom”) მექანიზმის გამოყენებით ასახავს დებიტორებსა და კრედიტორებს შორის ურთიერთობებს, ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით. შესაბამისი მონაცემების ანალიზი ე.წ. საბალანსო მიდგომის ანალიზის (Balance Sheets Approach; BSA) სახელითაა ცნობილი. იგი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ვინ ვის აფინანსებს, რომელი ფინანსური ინსტრუმენტით და რა მოცულობით. ეს მიდგომა გამოიყენება ქვეყნის საბალანსო უწყისის მდგომარეობისა და მასში წარმოქმნილი შეუსაბამობებით განპირობებული მოწყვლადობის ანალიზისათვის, ისევე როგორც ასეთი შეუსაბამობებით წარმოქმნილი შოკების ერთი სექტორიდან მეორეზე შესაძლო გადაცემის კვლევისათვის. ანალოგიური მიდგომა ფინანსური ნაკადების შემთხვევაში ფონდების ნაკადების სტატისტიკის („flow-of-funds” statistics) სახელითაა ცნობილი.

## საბალანსო უწყისი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბალანსო უწყისი წარმოადგენს ფინანსური სტატისტიკის წარმოდგენის ინსტრუმენტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ სახეობას, რომელიც საკმაოდ ღრმა ეკონომიკური ანალიზის საშუალებას იძლევა. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოდგენილია საბალანსო უწყისის შემოკლებული სქემა, რომელიც ასახავს ეკონომიკის სექტორებს შორის ფინანსურ დამოკიდებულებას, თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისა და დენომინაციის ვალუტების მიხედვით (ად-

| დებიტორი სექტორები / კრედიტორი სექტორები | ცენტრალური ბანკი | | | ... | | | დანარჩენი სამყარო | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოთხოვნა | ვალდებულება | წმინდა მდგომარეობა | მოთხოვნა | ვალდებულება | წმინდა მდგომარეობა | მოთხოვნა | ვალდებულება | წმინდა მდგომარეობა |
| ცენტრალური ბანკი | | | | | | | | | |
| ინსტრუმენტი | | | | | | | | | |
| ადგილობრივი ვალუტა | | | | | | | | | |
| უცხოური ვალუტა | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | |
| დანარჩენი სამყარო | | | | | | | | | |
| ადგილობრივი ვალუტა | | | | | | | | | |
| უცხოური ვალუტა | | | | | | | | | |
| სულ | | | | | | | | | |
| ადგილობრივი ვალუტა | | | | | | | | | |
| უცხოური ვალუტა | | | | | | | | | |

**სქემა 2. საბალანსო უწყისის შემოკლებული სქემა**

გრაფიკი 1. მთლიანი წმინდა უცხოური სავალუტო პოზიცია (მლნ)




გრაფიკი 2. მთლიანი წმინდა უცხოური სავალუტო პოზიცია (მშპ-სთან, %)




გილობრივი და უცხოური). ჩარდა ამისა, იგი ასახავს ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების ფინანსურ ურთიერთობებს საზღვარგარეთთან.

გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსური სტატისტიკის წარმოების რთული და საკმაოდ შრომატევადი საქმე მხოლოდ საწყის ეტაპზეა საქართველოს ეროვნულ ბანკში (სტატისტიკის ამ დარგის მწარმოებელ ორგანოში), ჩვენ შევეცადეთ გრაფიკულად გაგვეანალიზებინა ქვეყნის საბალანსო უწყისის ემპირიული მონაცემები 2001-2015 წლებისათვის (იხ. გრაფიკი 1 და 2).

2001-2015 წლების აგრეგირებული საბალანსო უწყისი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად გამოხატული უარყოფითი წმინდა უცხოური სავალუტო პოზიციით ხასიათდება, რომლის ოდენობამ 2015 წლის მე-3 კვარტლის ბოლოს მთლიანი შიდა პროდუქტის -52.6 პროცენტი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის უცხოური ვალდებულებები მკვეთრად აღემატება უცხოურ აქტივებს. წმინდა უცხოური სავალუტო პოზიციის გაუარესება დაიწყო 2005 წლიდან, როცა ქვეყანამ მნიშვნელოვანი საგარეო ვალდებულებების აღება დაიწყო, ხოლო ამის გასანეიტრალებლად არ იყო საკმარისი საექსპორტო და სხვა სავალუტო შემოდინებები. 2008 წელს განვითარებული სამხედრო კონფლიქტი, ერთი მხრივ, და გლობალური ფინანსური კრიზისი, მეორე მხრივ, ის ფაქტორები აღმოჩნდა, რომელთა შედეგების აღმოფხვრის მიზნით მკვეთრად გაიზარდა საგარეო ფინანსური ვალდებულებები. შესაბამისად, მკვეთრად გაუარესდა წმინდა უცხოური სავალუტო პოზიცია, რომელმაც დღეისათვის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 50 პროცენტს გადააჭარბა.

თუ ანალოგიურად გავაანალიზებთ საბალანსო უწყისებს თითოეული ინსტიტუციური სექტორის მიხედვით, დავინახავთ არაერთ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა იყოს პოლიტიკის გამტარებელთა ხელში შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით.

ამდენად, საბალანსო უწყისის ანალიზის პრაქტიკა მოწოდებულია, მეტად ღირებული ინფორმაცია შექმნას მომხმარებელთათვის. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა მართლაც ახალი ეტაპია ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განვითარებაში.

# Statistical Aspects of the Macrofinancial Vulnerabilities Analysis: Balance Sheet Approach

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.018

**Nana Aslamazishvili**
Doctor of Economics,
National Bank of Georgia, Monetary statistics Head of department

**Key words:**
FINANCIAL STATISTICS, MACROECONOMIC VULNERABILITY ASSESSMENT

## Summary

Recent globalization of financial relations leads to various unbalances of financial assets and liabilities of the emerging economies. However, appropriate statistical tools for facilitating adequate analysis are still under development and implementation. This paper provides practical introduction on how National Bank of Georgia try to design statistical framework to study such kind of unbalances in the economy and represents first attempt of empirical analysis of the balance sheet of the country.

# საინვესტიციო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.019

**მაია გელაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**ხათუნა ბერიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
საინვესტიციო პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მსოფლიო საფინანსო კრიზისის პირობებში საქართველოში ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ გამოწვევების გადასაწყვეტად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებაა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბებით, კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, რომლის დონე გვიჩვენებს, რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც გულისხმობს სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებას და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას. ყველასთვის ცნობილია, რომ საზოგადოებაში ცხოვრების დონის ამაღლების წყარო ინვესტიციებია, რაც პირდაპირ კავშირშია ახალ სამუშაო ადგილთან და შემოსავალთან, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგებია ტურიზმი, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და კვების მრეწველობა. შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა საბანკო სფერომ, ენერგეტიკამ, ვაჭრობამ და სოფლის მეურნეობამ. მძიმე მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარება, მათი აზრით, პერსპექტიული არ

არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში როგორც საბანკო, სადაზღვევო, ასევე ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, სასტუმროებში, ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში. 2008 წელს კი ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტში, კავშირგაბმულობასა და ენერგეტიკაში. მართალია, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მაგრამ, როგორც წესი, უცხოელ ინვესტორს მოაქვს არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მოჰყავს დამსაქმებელიც და ამის მიზეზად ასახელებს ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაციის დონეს ქვეყანაში, სადაც ინვესტიციას ახორციელებს. იმას, რომ უცხოელი ინვესტორები მართვის აპარატში, მაღალანაზღაურებადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და ზოგჯერ მუშების თანამდებობებს თავიანთი კადრებით აკომპლექტებენ, ადასტურებს ბოლო წლების მანძილზე საქართველოში უცხოურ ინვესტიციებზე შემოსული დასაქმებულთა სტატისტიკაც. კერძოდ: საქსტატის ინფორმაციით, 2008 წლის ცნობილი მოვლენების შედეგად დაიწყო ინვესტიციების შემცირება. ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა 2009-2010 წლებში, თუმცა 2011 წლიდან იგრძნობოდა მატება. 2014 წელს, 2007 წელთან შედარებით, ინვესტიციები 1,6-ჯერ არის შემცირებული. შეიცვალა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიც და მათი წილიც. კერძოდ, 2014 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან (331 მლნ $), აზერბაიჯანიდან (302 მლნ $), ჩინეთიდან (195 მლნ $), გაერთიანებული სამეფოდან (114 მლნ $), სერიოზული ინვესტიციები შემოვიდა ლუქსემბურგიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, რუსეთიდან, პანამიდან და მალტიდან. 2014 წლისათვის უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა-27%; მშენებლობა-23%, დამამუშავებელი მრეწველობა-13%; ენერგეტიკა - 8%; უძრავი ქონება - 7%; საფინანსო სექტორი - 6%; სამთომომპოვებელი მრეწველობა -3%; დანარჩენი სექტორი - 12%. [http://geostat.ge/]

2015 წელს საქართველოში $1.3 მილიარდის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) შემოვიდა, რაც 2014 წელთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. ინვესტიციების შემცირებით 2015 წელს საქართველო ათი უმსხვილესი საინვესტიციო დარგიდან ხუთში მოხვდა. ინვესტიციების შემცირება 2015 წელს ექსპორტისა და ფულადი გზავნილების შემცირებასთან ერთად ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სექტორების მიხედვით შემცირება შეიმჩნევა ისეთ სექტორებში, როგორიცაა:

- ენერგეტიკა - $100 მილიონი - 52%-იანი კლება;
- დამამუშავებელი მრეწველობა - $91 მილიონი - 55%-იანი კლება;
- მშენებლობა - $129 მილიონი - 59%-იანი კლება;
- უძრავი ქონება - $48 მილიონი - 65%-იანი კლება;
- სასტუმროები და რესტორნები - $61 მილიონი - 51%-იანი კლება.

ინვესტიციების ზრდა შეიმჩნევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში (+27%), სოფლის მეურნეობაში (+59%), საფინანსო სექტორსა (+40%) და ჯანდაცვის სექტორში (+80%). ქვეყნების მიხედვით კი პირველ ადგილზე აზერბაიჯანია ($542 მილიონი), მეორე ადგილზე კი - გაერთიანებული სამეფო ($198 მილიონი).




*წყარო: http://geostat.ge/*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემადგენელი ნაწილები არის შემომავალი ნაკადები, ანუ სულ რა ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა ქართულ ბაზარზე და ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირება, რაშიც ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირება და დივიდენდების გაცემა იგულისხმება. გარდა ამისა, გამავალ ნაკადებში შედის სავაჭრო კრედიტის

დავალიანების, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდაც. 2015 წელს შემომავალი ინვესტიციების რაოდენობამ შეადგინა $2.4 მილიარდი. ბიზნესმენების მიერ გადახდილმა ვალდებულებებმა, ანუ საქართველოდან უცხოეთში გადინებულმა თანხამ კი - $1.1 მილიარდი.

აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის. ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური

განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020) პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია [5]. მინიმიზებული იქნება ცვლილებების შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ა.შ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია დამატებითი ფინანსების უზრუნველყოფა, ტექნოლოგიისა და ნოუჰაუს შემოტანის სტიმულირება და საექსპორტო ბაზრებში შეღწევის გადაადგილება. ისინი, ასევე, ზემოქმედებენ ადგილობრივ ეკონომიკაზე შიდა მომწოდებელთან კავშირების მეშვეობით და ხელს უწყობენ მწარმოებლობის გაუმჯობესებას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნამდვილად არსებობს კორელაცია. მაგრამ მისი ქმედების მიმართულება არ არის ნათელი: ხშირად შეინიშნება ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედება ბრუნვის სასარგებლო ეფექტით. მთავრობამ ქვეყანა მიმზიდველი უნდა გახადოს („საინვესტიციო კლიმატი“) უცხოური ინვესტორებისთვის და ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდებას იმისთვის, რომ საგადამხდელო ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ეკონომიკური მაჩვენებლები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის, რადგანაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას ენიჭება. სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა ენიჭება: ა) ეროვნულ ეკონომიკაში არსებული ინვესტორის აქტივობას; ბ) ისეთ ეკონომიკურ გარემოს, სადაც მესაკუთრეს გააჩნია კაპიტალის დაცვისა და ზრდის გარანტიები; გ) სანამ არ იქნება გაცნობიერებული, რომ პრობლემა არის არა კაპიტალის სიმწირეში, არამედ ახალი ტექნოლოგიების შექმნის არცოდნაში, რითაც საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, სადაც ცხოვრების დონე მაღალია, ვერასოდეს გამოვალთ ამ კრიზისიდან. ხოლო რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას მათი მოზიდვის შემდეგ აუცილებელია ისეთი ზომიერი მიდგომების შემუშავება, რომელიც თანაბრად იქნება მისაღები, როგორც უცხოელი ინვესტორის, ასევე ქვეყნის ინტერესებისათვის, რაც საქარათველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ე. მაგრაქველიძე, დ. (2009) საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი.
2. ერქომაიშვილი, გ. (2013) საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი.
3. ერქომაიშვილი, გ. (2010) ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა. სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში", თბილისი.
4. შენგელია, თ. (2016) გლობალური ბიზნესის. თბილისი.
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, (საქართველო 2020), საქართველოს მთავრობა (2013). თბილისი.
6. http://geostat.ge/
7. www.mof.ge

# Investment Policy and Direct Foreign Investments in Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.019

**Maia Gelashvili**
Doctor of Economics,
Javakheti State University Associate Professor

**Khatuna Berichvili**
Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

**Key words:**
INVESTMENT POLICY, FOREIGN DIRECT INVESTMENT

## Summary

To improve the investment climate in Georgia it is important to study the tendencies and directions of international business development, to determine their influence on the potentials existing in Georgia for attraction of investments. All this enables us to conclude that for attraction of foreign investments of great importance is: a. intensive activity of an investor existing in national economy; b. such economic environment, in which an owner possesses guarantees for protection and growth of the capital; c. until we get well aware that the problem is not in scarcity of capital, but in that with knowledge of forming the new technologies we are well behind the countries with far higher level of life than in our country, we'll never manage to overcome the crisis. As for regulation of foreign investments, after their attraction it is necessary to elaborate such moderate approaches, which will be equally acceptable both for a foreign investor and for the interests of the country. This, in our opinion, should be one of the priority directions of the government of Georgia.

# საგადასახადო აუდიტის ზოგიერთი ასპექტი

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.020

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

**ნაზი გვარამია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ნანული ქიმცეიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
საგადასახადო აუდიტი, აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა, საგადასახადო მონიტორინგი

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუდიტორული საქმიანობა მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. კერძო მეწარმეობის და კაპიტალის ბაზრის მზარდმა განვითარებამ, ეკონომიკური სუბიექტების სწრაფვამ თვითრეგულაციისაკენ, მესაკუთრეთა და კრედიტორთა დაბანდებული სახსრების დაცვის გარანტის მოთხოვნებმა წარმოშვეს აუცილებლობა, ჩამოყალიბებულიყო და განვითარებულიყო აუდიტორული საქმიანობის სისტემა, რაც, ცხადია, თავის მხრივ ეკონომიკურ ალმავლობას უზრუნველყოფს. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს დასკვნა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხა და მისი სრულყოფის გზებზე. როგორც ცნობილია, აუდიტს ყოფენ ორ სახედ: გარე და შიდა აუდიტი. ამავე დროს "აუდიტის" ცნებას აკავშირებენ ისეთ შემოწმებასთან, რომელსაც ახორციელებენ ეკონომიკური სუბიექტის მესაკუთრეებისაგან, აქციონერებისაგან და სააღმსრულებლო ორგანოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი აუდიტორები ანგარიშგების სარწმუნოობაზე ობიექტური აზრის გამოხატვის მიზნით. გარე აუდიტი უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, მისი დამოუკიდებლობა კი განისაზღვება როგორც საკანონმდებლო, ასევე ეთიკის ნორმებით. აუდიტორის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გარე აუდიტი იყოფა სავალდებულო და საინიციატივო აუდიტად. სავალდებულო აუდიტი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა მისი ვადები და მოცულობა განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით. საინიციატივო აუდიტი კი ტარდება ნებისმიერ დროს იმ მოცულობით, რომელიც განისაზღვრება კომპანიის მოთხოვნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. სავალდებულო აუდიტის ჩატარებისას აუდიტორის წინაშეა ერთადერთი მიზანი-შესამოწმებელი ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი ასპექტების უტყუარობის შესახებ აზრის ფორმირება და შემდგომ გამოხატვა. ამ პროცესში აუდიტორს შეუძლია გადაწყვიტოს შუალედური ამოცანები: განსაზღვროს კომპანიის მიერ განხორციელებული გარიგებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, შეამოწმოს საგადამხდელო-საანგარიშსწორებო დოკუმენტები, საგადასახადო ანგარიშსწორე-

ზები და ა.შ. საინიციატივო აუდიტის პროცესში კი აუდიტორის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ემსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევას. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს: კონსულტაციები, ფინანსური მდგრადობის ანალიზი, მიმოხილვითი შემოწმება, ანგარიშსწორებათა შემოწმება და ა. შ. ამ დროს დასახული მიზნები შეიძლება იყოს მრავალმხრივი: გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, პერსონალის სწავლება, სტრატეგიული დაგეგმვა, აქტივების უზრუნველყოფის შემოწმება და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული საქმიანობის როლი ეკონომიკურ საქმიანობაში საკმაოდ აქტუალურია და შესაბამისად, ინტერესს იწვევს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდება აღნიშნული სფერო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ ხორციელდება თანამედროვე ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის რეგულირება საქართველოში, მათ შორის, საგადასახადო აუდიტის, როგორ არის განსაზღვრული ასევე საჯარო ზედამხედველობის მიზანი ამ სფეროში. ჩვენს სამეცნიერო ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკითხებს დავუთმობთ ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის მრავალგვარი სისტემა არსებობს, რომელთა დახვეწა, ცხადია, მუდმივად მიმდინარეობს ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა წარუმატებელი ფინანსური ანგარიშგებები, თვითრეგულირებად სისტემებში აღმოჩენილი სისუსტეები, ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა. ისტორიულად, აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა თვითრეგულირების ფორმას იღებდა. ასეთი მიდგომების დროს ხშირად გამოიყენებოდა ექსპერტული მიმოხილვა კომპანიის საქმიანობის გარე შეფასების პარალელურად, რომელსაც სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები ასრულებდნენ და შესაბამის ანგარიშს წარუდგენდნენ თვითრეგულირებადი კომპანიის საბჭოს. უკანასკნელ პერიოდში რეგულირების სისტემები განვითარდა დამოუკიდებელ ზედამხედველობაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, რამაც განაპირობა ეროვნული რეგულატორების ჩამოყალიბების ტენდენცია უფრო თანმიმდევრული და გლობალური მასშტაბებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წლიდან სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტი (AICPA) ხელმძღვანელობდა ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) პრაქტიკის განყოფილებას (SECPS), რომელიც იყო თვითრეგულირებადი ორგანო ფასიანი ქაღალდების კომისიაში რეგისტრირებული აუდიტორული კომპანიების საქმიანობაზე ზედამხედველობისათვის. აღნიშნული სტრუქტურა ატარებდა აუდიტის სამუშაოების პერიოდულ ექსპერტულ შეფასებებს ნაკლოვანებათა გამოსავლენად და შესაბამისად, მათ აღმოსაფხვრელად, რაც ცხადია, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აუდიტორულ კომპანიებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2002 წელს კომპანიების ბუღალტრულ აღრიცხვაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი საბჭო გახდა აუდიტის პროფესიის ზედამხედველობის ძირითადი ორგანო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საბჭოსა და მისი თანამშრომლებისაგან, რომელთა როლი რიგ სხვა საკითხებთან ერთად რეგულარული აუდიტორული ინსპექციების ჩატარებით შემოიფარგლება. აღნიშნული ტენდენცია გაძლიერდა ევროკავშირის მე-8 (სავალდებულო აუდიტის) დირექტივის მიღების შემდეგ 2006 წლის ივნისში. იგი შეეხება სავალდებულო აუდიტის ჩატარების, საჯარო ზეადმხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. მე-8 დირექტივა ხელს უწყობს და შესაბამისობაში მოჰყავს სავალდებულო აუდიტის საკითხები ევროკავშირის მასშტაბით და ადგენს აუდიტორულ საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

კაპიტალის ბაზრის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სისტემაში მონაწილე თითეული დაინტერესებული პირი გონივრულად უნდა მოქმედებდეს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის ბაზრებზე აუდიტორები დაინტერესებული მხარეების მხოლოდ ერთი ჯგუფია, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველყოფაში, კერძოდ, ხარისხიან აუდიტს შეუძლია პირდაპირ გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესის და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა მნიშვნელოვანი საშუალებაა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამოუკიდებელი ზედამხედველობა დაინერგა მსოფლიოს მზ-

არდი კაპიტალის ქვეყნებში და ბევრ ქვეყანაში ამჟამადაც მიმდინარეობს ეს პროცესი. საჯარო ზედამხედველობის პირობებში კომპანიებს, რომელთაც სურთ კლიენტებს შესთავაზონ გარკვეული ტიპის აუდიტორული მომსახურება (საზოგადოდ, სავალდებულო აუდიტი ან საფონდო ბირჟებზე კოტირებული კომპანიების აუდიტი), მოეთხოვება დარეგისტრირდნენ მათი პროფესიისაგან დამოუკიდებელ ორგანოში. ამრიგად, რეგისტრაცია და შესაბამისად მისი შენარჩუნება წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობის განხორციელების წინაპირობებს. ამ ორგანოს წევრების დანიშვნა გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს კვალიფიციური პირების შერჩევა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს მოემსახურებიან.

საგადასახადო აუდიტის ცნებაში იგულისხმება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თუ სახელმწიფოსგან ნებადართული პირების მიერ ნებისმიერი გადასახადის გადამხდელის შემოწმება, კონტროლი და მონიტორინგი. იგი უკავშირდება მხოლოდ დაბეგვრისა და ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების შემოწმების ასპექტებს. ისტორიულად დამოუკიდებელი აუდიტორების გამოჩენა ცხადია დაკავშირებულია არა საგადასახადო აუდიტთან, არამედ ზოგადად აუდიტთან. ოფიციალურად აუდიტის წარმოშობის თარიღად ითვლება 1844 წ. როდესაც ინგლისში მიიღეს კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ, რის საფუძველზეც სააქციო საზოგადოებებს უნდა მოეწვიათ დამოუკდებელი პირი, რომელიც ყოველწლიურად წარმოადგენდა ამ საწარმოს შესახებ შესაბამის ფინანსურ დასკვნას, რაც თავისთავად განიხილებოდა როგორც სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა აქციის მფლობელების მიმართ.

საგადასახადო აუდიტი გულისხმობს არა დამოუკიდებელ აუდიტორულ სარეკომენდაციო ხასიათის შემოწმებას, არამედ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კონტროლს, რომელსაც შეიძლება სახელმწიფო იძულების ფორმა ჰქონდეს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საგდასახადო აუდიტი, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, ცალკე, დამოუკიდებელ ასპექტად არ განიხილება და ანალოგიურია ამ კუთხით უცხოური პრაქტიკაც. საგადასახადო აუდიტი მოიცავს საგადასახადო კონტროლსა და მონიტორინგს. აქედან გამომდინარე, საგადასახადო აუდიტის შესწავლის საგანია გადასახადის გადამხდელთა და სახელმწიფოს შორის საგადასახადო ურთიერთობათა კონტროლი და პრევენცია სახელმწიფოსა და მის მიერ უფლებამოსილ პირთა მიერ, რაც, ცხადია, დაკავშირებულია გადასახადის გადამხდელ პირთა მიერ გადასახადის გაანგარიშებასთან, გადახდასთან და ამ პროცესში დაბეგვრის სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებთან. ამასთან ერთად საგადასახადო აუდიტი მოიცავს სახელმწიფოს მიერ დაბეგვრის სუბიექტის იძულებას, გადაიხადოს კუთვნილი გადასახადები, მასთან დაკავშირებული ჯარიმები და საურავები.

საქართველოში აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს კანონით “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, რომელიც ადგენს ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივ საფუძვლების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობებისა და წესების განსაზღვრა. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

საგადასახადო აუდიტი, როგორც წესი, არ არის ნებაყოფლობითი საგადასახადო შემოწმება, თუმცა იგი შეიძლება ჩატარდეს გადასახადის გადამხდელის ინიციატივით. აქედან გამომდინარე, საგადასახადო აუდიტის ჩატარების ბაზა საგადასახადო აღიცხვას ეფუძნება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ასევე საგადასახადო რისკების სისტემის გამოყენება. საგადასახადო რისკი განისაზღვრება როგორც საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის დიდი ალბათობა. საგადასახადო ორგანოში მუშავდება გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაცია და განისაზღვრება რისკის კრიტერიუმები, რომლებიც განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ასე მაგალითად, გადამხდელის მიერ დოკუმენტების გაყალბება, საეჭვო გარიგებები, საგადასახადო დეკლარაციების ან ანგარიშ-ფაქტურების ხშირი კორექტირების ფაქტები და ა. შ. შესამოწმე-

ბელი პირების გამოვლენა ხდება ელექტრონულად (პროგრამულად), მაღალი საგადასახადო რისკების მონაცემების მატარებელი ნიშნით და შესაბამისი რისკის ქულების მითითებით.

აუდიტორი ვალდებულია, დაიცვას საგადასახადო კანონმდებლობა ყველა ასპექტში. მან უნდა დაიცვას დამკვეთის ინტერესები, ამავე დროს შეგნებულად არ უნდა დამალოს მისი შემოსავლები, აღკვეთოს საგადასახადო სამსახურის შეცდომაში შეყვანის და დამკვეთის მიერ გადასახადებისათვის თავის არიდების მცდელობა. აუდიტორს შეუძლია შეწყვიტოს საქმიანობა იმ ანგარიშგების შემოწმებისას, რომელშიც აღმოჩენილია მცდარი ინფორმაცია, ან ადგილი აქვს ინფორმაციის გამოტოვებას ან დაფარვას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების, გადასახადების გაანგარიშებასა და გადახდაში შეცდომების აღმოჩენისას აუდიტორი ვალდებულია, ამის თაობაზე წერილობით აცნობოს დამკვეთის ადმინისტრაციას, სამეთვალყურეო საბჭოს და მისცეს მათ რეკომენდაციები აღმოჩენილი დარღვევებისა და შეცდომების გასწორების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია საგადასახადო აუდიტის საკითხებისადმი ჯეროვანი ყურადღების დათმობა და ცხადია, მისი შემდგომი სრულყოფა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ურიდია, გ. (2012). საგადასახადო აუდიტი. თბილისი.
2. ყამარაული, ს., ჩოკოლაშვილი, მ.,
3. ყამარაული, ლ. (2010). გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი.
4. ვერულიძე, ვ. (2008). გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, სახელმძღვანელო. თბილისი.
5. მონტგომერი, რ. (2006). აუდიტი. თბილისი.საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 17.02/2015
6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2012 წ. 29 ივნისი.
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წ. 31 დეკემბრის ბრძანება №5568 საგადასახადო აუდიტის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.
8. http://rs.ge/
9. http://sao.ge/

# Some Aspects of the Taxation Audit

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.020

**Nazi Gvaramia**
Doctor of Economics,
Sokhumi State University Associate Professor

**Nanuli Dzimtseishvili**
Doctor of Economics,
Sokhumi State University Associate Professor

**Key words:**
TAX AUDIT, AUDITOR OVERSIGHT, MONITORING TAX

## Summary

The paper highlights the key issues, which are at the present stage in our country in general audit, namely the taxation audit on the legislative and practical levels. The paper studies the taxation audit role and importance in economic relations, its important issues and peculiarities. The paper also focuses on the auditor's professional responsibility and ethics important aspects, as provided in legislation.

# საჯარო ფინანსების მართვის სისტემა თანამედროვე საქართველოში

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.021

**მერაბ ვანიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი

**ლექსო ლემონჯავა**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
საჯარო ფინანსები, ფინანსების მართვა, კონტროლი

## შესავალი

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ფინანსების მართვის სისტემა საქართველოში. ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურებია: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, დამოუკიდებელი აუდიტორული ფინანსური კონტროლის სამსახურები და ა.შ.

ცენტრალიზებული საბიუჯეტო სისტემა შეცვალა ახალმა საბიუჯეტო სისტემამ, რომლის ამოსავალი საფუძველი სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ერთმანეთისაგან რეალური დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობაა. იგულისხმება საკუთარი თუ მარეგულირებელი გადასახადებით შემოსავლების ფორმირება და მათ გახარჯვაში (კანონით განსაზღვრული) თავისუფლება. ამასთან, მათ შორის ახალი ურთიერთობები და ვალდებულებებიც ჩამოყალიბდა. სახელმწიფო ბიუჯეტი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივ ბიუჯეტებს გადასცემს ტრანსფერებს.

## კვლევის შედეგები

საქართველოში ფინანსების მართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრემიერმინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანი, ამოცანები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი ჩამოყალიბებულია სამინისტროს დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერმინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების

სამინისტროებია: 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია:

- სახაზინო სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

- შემოსავლების სამსახური;
- საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემია;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი „საქართველო".

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და სააღრიცხვო კანონმდებლობის შემუშავებას და დაცვას; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

ფინანსთა სამინისტროს ძირითადი კომპეტენციები და უფლებამოსილებებია:

- საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება, ასევე მომდევნო 4 წლისათვის მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, შესრულების ანგარიშის მომზადება და წარდგენა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის;
- მთავრობის ფულადი სახსრების მართვა;
- ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია;
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობა ქვეყნის სუვერენულ რეიტინგთან დაკავშირებით;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საწარმოების, იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმების მიუხედავად;
- სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

ამრიგად, სამინისტრო შეიმუშავებს ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტებს, საქართველოს კონსტიტუციასა და საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონზე დაყრდნობით განიხილავს წინადადებებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული ბიუჯეტების შეწონასწორების საკითხს. ამასთან, სამინისტრო შეიმუშავებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ამ ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ან მათ მიერ გადმოსაცემი ტრანსფერების საპროექტო სიდიდეებს, ხელმძღვანელობს საბიუჯეტო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ფულადი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფინანსთა მინისტრი: წარმოადგენს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს; პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და განკარგულებების, საქართველოს პრემიერმინისტრის ბრძანებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს მმართველობას განეკუთვნება.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობას. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე, სხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე სპეციალისტებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო მუდმივ სრულყოფას განიცდის. დღეისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი; საბიუჯეტო დეპარტამენტი; შიდა აუდიტის დეპარტამენტი; საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი; ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი; ანალიტიკური დეპარტამენტი; მინისტრის აპარატი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; დავების განხილვის სამსახური; პარლამენტთან ურთიერთობის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური.

ფინანსების მართვის დონე სისტემატურ სრულყოფას განიცდის. იგი დიდადაა დამოკიდებული საფინანსო აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, საფინანსო მუშაკების კვალიფიკაციაზე, პასუხისმგებლობასა და დისციპლინაზე, იმ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება ფინანსური მართვის პროცესში.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-1017") თანახმად, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განსახორციელებელი რეფორმები მოიცავს შემდეგ ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას:

- ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება და ფისკალური პროგნოზირების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვის გაუმჯობესება;
- სახელმწიფო სახსრების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;
- სახელმწიფო შიდა კონტროლი;
- სახელმწიფო ელექტრონული სერვისების განვითარება საჯარო ფინანსების მართვაში და დონორების კოორდინაცია.

## დასკვნა

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის") თანახმად:

სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მართვის სრუყოფას იმისათვის, რომ ბიუჯეტით, ერთი მხრივ, ხორციელდებოდეს პრიორიტეტული სფეროებისა და სოციალური ხარჯების ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და ამავე დროს შენარჩუნებულ იყოს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად

ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

შემუშავდება დაგეგმვის ერთიანი სტანდარტები, რომელიც დაუკავშირდება როგორც ეროვნულ, ისე დარგის და სხვა სექტორულ საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს. საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იქნება როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია, კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება მისი დაბალი მაჩვენებელი. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ისეთ მაჩვენებლებში შენარჩუნება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სარეიტინგო კომპანიების შეფასებები და ქვეყანა იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით.

დაიხვეწება ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მიმართულება. საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაუმჯობესდება სახელმწიფო და ნაერთი ბიუეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალოვადიანი პროგნოზირების პროცესი;

მოხდება პროგნოზების არეალის გაფართოება იმისათვის, რომ ეკონომიკის სექტორები უფრო ფართოდ იყოს მოცული; გაიზრდება პროგნოზების დროითი არეალი, რაც გაზრდის ფისკალური სექტორის გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ვალის ფორმირებისას უზრუნველყოფილი იქნება ვალის პორტფელის მდგრადობა. სესხების მოზიდვა მოხდება მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, აუცილებლობიდან გამომდინარე. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით, მათ შორის, შემუშავდება მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება.

უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა. ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების, აგრეთვე მათი მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენის მექანიზმები მიუახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით და უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ანგარიშები გაიხსნება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში და მათი მართვა განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ფინანსების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, რითაც მიიღწევა ყველა დონის ბიუჯეტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განხორციელებული ოპერაციების სრული და დროული ანგარიშგება და გაუმჯობესდება ანგარიშვალდებულების ხარისხი.

ეტაპობრივად დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები, რომელთანაც სრული შესაბამისობის მიღწევის შემდეგ, ყოველწლიურად გამოქვეყნდება მთავრობის ფინანსური ანგარიშგება, დაფუძნებული დარიცხვის მეთოდზე.

დაბოლოს, დაიხვეწება როგორც შიგა, ისე გარე კონტროლისა და აუდიტის მექანიზმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ": http://www.mof.ge /4585.
2. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017: http:// www. mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=11148.
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის: www. parliament. ge/ge/law/6881.
4. Финансы (2012). Учебник /А.С. Нешитой, Я.М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Дашков и К. С.107-121.

# Public Financial Management System in Modern Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.021

**Merab Vanishvili**
Doctor of Economics,
Europian Education University Professor

**Lekso Lemonjava**
Doctor of Economics,
Europian Education University, Assistant Professor

**Key words:**
PUBLIC FINANCES, FINANCIAL MANAGEMENT, CONTROL

## Summary

After the transition to market economy, drastically sheivala finance management systems in Georgia. Ministry of Finance, together with the financial management of the organizational structures of the State Audit Office, an independent audit of the financial control services, etc.

Centralized budget system was replaced by the new budgetary system, starting with the budgets of various levels are the basis for real independence and equality. If your taxes are meant to regulate the formation of the revenue and expenditure of freedom. At the same time, including new relationships and responsibilities established. State budget of the Autonomous Republic and local budgets to hand transfers.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

# გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური ზრდა თანამედროვე გამოწვევების ფონზე

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.022

**მაია ჭანია**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:**
გლობალიზაცია, პოსტინდუსტრიული საზოგადოება, ეკონომიკური ზრდა

გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელს მსოფლიოს, მასში სულ უფრო მეტი ახალი სახელმწიფო ერთვება და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებით კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება თანამედროვე გლობალიზაციური პროცესებისა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია, ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არაა ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მაღალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველი.

ინტეგრაციის პროცესში კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთი მხრივ, ნატოს წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, მეორე მხრივ, რუსეთი, ირანი და ჩინეთი.

ამ ფონზე საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელია გლობალიზაციის მეტწილად დადებითი მხარეების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი საწინდარია. გაზრდილი საგარეო ვაჭრობა; ინფორმაციის მოძრაობის მაღალი ტემპი; ახალი იდეების ტექნოლოგიების, "ნოუჰაუს" თავისუფალი გადაადგილება; საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკასთან ინტეგრირების შესაძლებლობა; ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

## მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მისი დინამიკა

(მიმდინარე ფასებში; მლნ. ლარი) მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

| | 2010 | 2011 | 2012 | I 13 | II 13 | III 13 | IV 13 | 2013 | I 14* | II 14* | III 14* | IV 14* | 2014* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი | 20743.4 | 24344.0 | 26167.3 | 5776.8 | 6544.5 | 6835.0 | 7691.0 | 26847.4 | 6307.2 | 7162.8 | 7540.1 | 8176.8 | 29187.0 |
| მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ. ლარი | 12835.0 | 13757.2 | 14637.7 | 3269.30 | 3725.0 | 3886 4 | 4243.0 | 15123.7 | 3504.1 | 3919.4 | 4102.2 | 4318.8 | 15844.6 |
| მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება | 6.2 | 7.2 | 6.4 | 2.4 | 1.6 | 1.4 | 7.6 | 3.3 | 7.2 | 5.2 | 5.6 | 1.8 | 4.8 |
| მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება | 8.6 | 9.5 | 1.0 | -0.5 | -0.6 | -1.1 | -0.7 | -0.7 | 1.9 | 4.0 | 4.5 | 4.4 | 3.8 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი | 4675.7 | 5447.1 | 5818.1 | 1288.4 | 1459.6 | 1524.4 | 1715.3 | 5987.6 | 1404.6 | 1595.1 | 1679.1 | 1820.9 | 6499.7 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი | 2623.0 | 3230.7 | 3523.4 | 777.0 | 884.5 | 918.6 | 1017.6 | 3599.6 | 802.9 | 905.0 | 962.1 | 1008.3 | 3680.8 |
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი | 11636.5 | 14438.5 | 15846.8 | 3483.9 | 3965.7 | 4118.9 | 4562.8 | 16139.9 | 3605.3 | 4064.1 | 4320.4 | 4527.8 | 16528.5 |

*წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo*

საქართველო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა ეროვნულ თვითმყოფადობას, თავისებურებებს, კულტურას, ტრადიციებს, გამორჩეულობას, ეკონომიკურ სიძლიერეს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს ვერ შეინარჩუნებს, თუ იგი გლობალიზაციის მიერ შექმნილი საკაცობრიო სიმდიდრის მხოლოდ პასიურ მომხმარებლად იქცა. საქართველო უნდა გახდეს შემქმნელი მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტის, ინოვაციების, გამოგონებების, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იქნება მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, მაგრამ ეს ბუნებრივია, არაა საკმარისი იმისათვის, რომ საქართველომ თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას მსოფლიო ბაზარზე, დაძლიოს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა წინააღმდეგობრივია, დაუბალანსებელია. მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლისა და გაანალიზებისას აქცენტირებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭებას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ზრდის ხარისხი, რომელიც მიიღწევა სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური,, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებით, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ადამიანური კაპიტალის განვითარებით.

ზემოთ აღნიშნული ცხრილიდან ჩანს მშპ-ის ზრდის ტენდენცია. თუმცა, ბუნებრივია, ეს არაა საკმარისი და აუცილებელია უფრო რადიკალური, უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება. მშპ-ის მაღალი ტემპით ზრდა ტრადიციული მიდგომებით, უპირატესად ფიზიკური კაპიტალის გამოყენებითაც შეიძლება. ასეთი მაღალი ტემპების მიღწევას მრავალი ქვეყანა ახერხებდა, მაგრამ თანამედროვე

პირობებში ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემები ვერ გადაწყდება, რადგანაც სასურველი სტრუქტურული გარდაქმნები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის სერიოზული გადიდება მაინც მიუღწეველი რჩება. ეკონომიკურ ზრდას საქართველოში აფერხებს არა თავისთავად მხოლოდ ინვესტიციების უკმარისობა, არამედ დანაზოგების, მოსახლეობისა და საწარმოების შემოსავლების სიმცირეც, რაც, ძირითადად, სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მომზადების, გამოშვებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობის შედეგია. ამიტომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მთავარი ფაქტორია კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილების შექმნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით, ანუ განათლების სისტემის პრიორიტეტული განვითარებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლებით.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემების გადაწყვეტის მთავარი და ყველაზე ეფექტიანი გზა არის მომუშავეთა კვალიფიკაციის, განათლების, ცოდნის ამაღლება, ანუ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინოვაციური სფეროს განვითარება. ინტელექტუალური და ინოვაციური განვითარება ფიზიკური კაპიტალის ხარისხის ამაღლებასაც იწვევს და ეკონომიკური ზრდაც კიდევ უფრო სტიმულირდება. პრიორიტეტი თავიდანვე უნდა მიენიჭოს ინვესტიციებს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, სოციალურ ინფრასტრუქტურაში.

აუცილებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში, მომსახურების სფეროში. მცირე ბიზნესის განვითარების უპირატესობა ის არის, რომ იგი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქ ინვესტიციები, სამუშაო ადგილების ღირებულება შედარებით მსხვილ საწარმოებთან საგრძნობლად მცირეა, ხოლო უკუგება, შემოსავლიანობა და ეფექტიანობა – მაღალი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას იწვევს. ამასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული ძვრების განხორციელებას რეალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით ინფორმაციული და პოლიტიკური სექტორების განვითარების დაჩქარებას. ეს აუცილებელია არა მარტო ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის, არამედ აგრეთვე განათლების, ინოვაციური სფეროს, ტელე-კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის. მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარების უზრუნველყოფისათვის.

დღეს ყველაზე უფრო მთავარ საკითხად სწორედ ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება გვესახება, კერძოდ, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის აღდგენა, მათი შემცირებისა და გამარტივების გზით, ხელფასების მატება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მინიმალურ ზომამდე დაყვანა. ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის, კონტრაბანდის დაძლევის გარეშე ქვეყანა ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს სიღარიბის პრობლემას, შესაბამისად, დანაზოგების, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სერიოზულად დაჩქარების პრობლემას.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება პროფიციტული ბიუჯეტით, მარტივი და დაბალი გადასახადებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, საკუთრების უფლების დაცვით, ლიბერალური სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკით, ექსპორტის ზრდით, სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაციით, დასაქმებისა და დაგროვების სტიმულირებით, "მომავალი თაობების ფონდისა" და "სტაბილური განვითარების ფონდის შექმნით".

მეტად მნიშვნელოვანია ასევე საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა, რომლისთვისაც აუცილებელია მისი კომპენსაციური პოტენციალის ამაღლება, პირველ რიგში ექსპორტის პრიორიტეტული გაფართოებით, საგარეო ვალის შემცირებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვით.

ექსპორტის სწრაფი ზრდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ზრდის მიღწევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ბაზრებზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება, ასევე საჭიროა ექს-

პორტის დივერსიფიკაცია - ლითონის ნაწარმის, მარგანეცის, ეკოლოგიურად სუფთა სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის, სურსათის, ფარმაკოლოგიური, ინფორმაციული, მეცნიერებატევადი, ტექნოტევადი პროდუქციის საექსპორტო წარმოების თანდათან შექმნა ინოვაციური ფირმების ჩამოყალიბებით, მათი საქმიანობის ორგანიზაციით სპეციალური მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე. ექსპორტის ყოველმხრივი ხელშეწყობის პოლიტიკა არ გამორიცხავს იმპორტშემცვლელი მიმართულებების მხარდაჭერას იქ, სადაც კონკურენტული უპირატესობა გვაქვს და ეფექტიანი წარმოების სწრაფი ზრდა შესაძლებელია. ფისკალური, ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკა სწორედ ამ ამოცანების გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს მასტიმულირებელი დაბეგვრის, დაკრედიტების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მეშვეობით.

მაგრამ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური შესაძლებლობანი ძალიან მოკრძალებულია, ამიტომ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება მხოლოდ საკუთარი ინვესტიციებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საჭიროა აგრეთვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფართოდ შემოსვლა, რომელსაც თან ახლავს ყოველთვის უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი. ასეთი შემოსავლების მთავარი პირობაა ქვეყანაში ინსტიტუციური წესრიგის არსებობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დაძლევა, ინვესტიციური გარემოს ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში არ შემოვა, შესაბამისად ზრდის დაჩქარებისა და საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორების პირობები არ გადაწყდება.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველმყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში. განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობა იქნება.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების რეალიზაციას შეუძლია მოიტანოს სისტემური მაკროეკონომიკური ეფექტი ზრდის ტემპისა და ხარისხის ამაღლების სახით. მრავალი ქვეყნის უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების განვითარებით შესაძლებელია ქვეყნის მშპ-ის ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტემპებით, ხოლო ინტიტუციური განვითარებით, კიდევ უფრო მაღალი ტემპებით დაჩქარდეს. ბოლო ათწლეულში მრავალი ქვეყანა ვითარდება ძალიან მაღალი ტემპებით. საქართველოსაც შეუძლია, თუ იგი სისტემურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებს.

# Globalization and Economic Growth of Georgia in Conditions Modern Challenges

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.022

**Maia Chania**
Doctor of Economics,
Sokhumi State University Professor Assistant

**Key words:**
GLOBALIZATION, POST-INDUSTRIAL SOCIETY, ECONOMIC GROWTH

## Summary

The lack of social end intellectual development directly determines a low of economic growth and its quality in Georgia. Georgia is characterized with world competitiveness, competitiveness of growth, and current competitiveness, product efficiency, including low level of territorial intensification of industry. Insufficient institutional end structural development, high level of shadow economy end corruption, significant disproportion between the factors of economic growth are obviously watched in the country.

In our opinion, it is necessary to assign highest priority of macroeconomic policy to the investments into the human capital, development of education, science, public health, increase of an index of technological achievements.

# ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებანი საქართველოში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.023

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

მაკროეკონომიკა, ფინანსები და ინვესტიციები

**ვასილ ხუციშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ბირჟა, საფინანსო ბაზარი

90-იანი წლებიდან, როცა საქართველო კვლავ დაადგა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის გზას, საჭირო გახდა საბაზრო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტის – ფასიანის ქარალდების ბაზრის ფორმირება. დღეს უკვე სადავო აღარაა ის, რომ მეურნეობის საბაზრო მეთოდების აღდგენისა და დამკვიდრების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება და ნორმალური ფუნქციონირება. ფასიანი ქარალდების ბაზარი მისი თანმხლები საფინანსო ინსტიტიუტებით ის სიტემაა, სადაც რეალიზირდება საკუთრებითი ურთიერთობები, ფორმირდება ეკონომიკური ზრდის ფინანსური წყაროები, თავს იყრის და ნაწილდება საინვესტიციო რესურსები. ინვესტიციების გადიდება კი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების გამოსაცოცხლებლად, ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ფასიანი ქაღალდების მეშვეობით ხორციელდება ინვესტიციების პროცესი, რადგან ეს უკანასკნელი ისეა მოწყობილი, რომ ინვესტიციები მიემართება სახალხო მეურნეობის ყველაზე ეფექტური სფეროებისკენ. მას იღებენ ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი საბაზრო სტრუქტურები.

1995 წლის დეკემბერში პირველი ლიცენზია მიეცა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის საფონდო განყოფილებას.

1995 წლის სექტემბერში „კავკასიის ბირჟამ“ და „თბილისის საფონდო ბირჟამ” ვაუჩერებით ერთობლივი ვაჭრობა მოაწყვეს. ბირჟაზე ვაჭრობები თავდაპირველად ღია წესით მიმდინარეობდა და მასში ნებისმიერ ადამიანს შეეძლო მონაწილეობის მიღება. შემდეგ ვაჭრობები დაიხურა და მხოლოდ თბილისის საფონდო ბირჟისა და კავკასიის ბირჟის საბროკერო კანტორები მონაწილეობდნენ.

1995 წლის მეორე ნახევრისთვის (ლარის შემოღების პერიოდში) თბილისში სამი ბირჟა მოქმედებდა: „თბილისის საფონდო ბირჟა”, „კავკასიის საფონდო ბირჟა” (რომლებიც ერთობლივ ვაჭრობებს აწყობდნენ), ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა და „მთავარი საფონდო ბირჟა”. ვაჭრობები ძირითადად ვაუჩერებით მიმდინარეობდა.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბრუნვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები თითქმის არ არსებობს, ვინაიდან სააქციო საზოგადოებები თავად აწარმოებენ სარეგისტრაციო წიგნებს და ინფორმაციის თავმოყრა არსად არ ხდება. ასევე ძალიან მცირეა ახალი ფასიანი ქაღალდების

საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური სრულყოფა ამცირებს მგზავრობის ხანგრძლივობას და ტურისტს მეტი დრო რჩება ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად და დასასვენებლად, ამიტომ საჰერო ტრანსპორტის როლი ტურების ორგანიზაციისა და მოგზაურობის საქმეში აქტუალური ხდება.

საბაზრო პროცესის გლობალიზაციის და ტურიზმის ბიზნესის განვითარების პირობებში საქართველოს ავიატრანსპორტი ასრულებს განსაკუთრებულ როლს. მხედველობაში მიიღება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა მსოფლიო რუკაზე. ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს სატრანსპორტო მომსახურება ამიერკავკასიის რეგიონში და საერთაშორისო ხაზებზე განუწყვეტლივ გაიზრდება, რაც შექმნის წინაპირობებს კონკურენციული ბრძოლის გამწვავებისა და ტურისტული ნაკადების მოზიდვას.

საქართველომ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მოდერნიზაციისა და ნაციონალური ავიაკომპანიების ავიაგადაზიდვების მოცულობის გაუმჯობესების მიმართულებით. სამგზავრო საჰაერო გადაზიდვების ზრდამ 2014 წელს 2010 წელთან შედარებით შეადგენა 51.97% მარტო 2014 წლის იანვარ-აგვისტოში მთლიანად საქართველოს 1793449 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 43%-ით აღემატება. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წელს ჩატარდა უცხოელი მოგზაურების კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ვიზიტორების მიერ ტურპაკეტის ფასის (1784$) - 600$ - ტრანსპორტის სახეობების მიხედვით მოდის საავიაციო ტრანსპორტზე.

რაც შეეხება ქართულ ავიაბაზარს აუცილებელია, მოხდეს ფოკუსირება მთავარ და დამხმარე მიმართულებებზე. შესაბამისად, შევამციროთ ხარჯები იმ ავიაკომპანიებზე, რომლებიც ნაკლებ მოგებას იძლევიან და ძალები უფრო მნიშვნელოვანი მიმათულებით გავწიოთ, ორიენტირება გავაკეთოთ ხარისხზე მგზავრთა

მეტი ნაკადის მოზიდვისათვის. ამისათვის აუცილებელია მარკეტინგული კამპანიის დაწყება დაკარგული მომხმარებლების, განსაკუთრებით, ბიზნეს - მგზავრების უკან დასაბრუნებლად. ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად უცხოური ავიაკომპანიებისათვის ბილეთის დაბალი ფასი რჩება, თუკი ეროვნული ავიკომპანიების ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ ბონუსებს და ფასდაკლებებს. შესაძლოა, ეს მოხდეს დღესასწაულებზე, რაიმე კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით. თუ ადგილობრივ ბაზარზე მომხმარებელთა მოთხოვნას დავაკვირდებით და მოვახდენთ მათ სეგმენტაციას ზუსტად გვეცოდინება რა მიმართულებით დავნიშნოთ მეტი ფრენები.

ბაზარზე დღეს არსებული ქართული ავიაკომპანიები ტურისტულ სააგენტოებთან ერთად გაერთიანდნენ ერთი კლასტერის (კლასტერი, როგორც ფირმათაშორისი ურთიერთობის ორგანიზაციის ქსელური ფორმა, იძლევა გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას) ქვეშ. ამით მათ საშუალება ექნებათ, სრული პაკეტი შესთავაზონ ტურისტებს. ეს საკმაოდ ძლიერი მექანიზმია კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. თავის მხრივ ეს პოლიტიკა დადებითად იმოქმედებს როგორც ავიაკომპანიებზე, ასევე ტურიზმზე და რაც მთავარია ქვეყნის ეკონომიკაზე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართულ ბაზარზე ამ მხრივ მოთამაშეთა რიცხვი აგრძელებს ზრდას, ადგილი კი საკმაოდ მცირეა, კარგი გამოსავალი იქნებოდა მათი ერთად მოქმედება, ამით უფრო სრულყოფილი მომსახურების და ერთი ძლიერი სისტემის ჩამოყალიბებაა შესაძლებელი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჩუაშვილი, ნ. (2012). სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „საქართველოს ავიასაწარმოების სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები" თბილისი.
2. გეფერიძე, დ. (2009). „საერთაშორისო საჰაერო სამართალი" თბილისი.
3. დანგაძე, ი., გიგოლაშვილი, მ. (2009). მენეჯმენტი ტრანსპორტზე. ქუთაისი.
4. კოჭლამაზაშვილი, ლ., ყანდაშვილი, თ. (2008). ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია. თბილისი.
5. კანდელაკი, ზ. (2009). საჰაერო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაცია. თბილისი.

## ინტერნეტ-რესურსები:

- www.questa.com/librerry/
- www.orient-express.com
- www.aeroflotbonus.ru
- www.cruiseweb.com
- www.unwto.org
- www.tourism.org
- www.travel.ru

# Tourism Industry and its Role in the Air Transport of Tourists a Transfer / Transport

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.026

**Manana Aladashvili**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

**David Lolua**
Doctor of Technical Sciences,
Associate Professor

**Key words:**
THE TOURISM INDUSTRY, AIR TRANSPORT, GEORGIAN AIRLINES

## Summary

The Georgian economy is significantly progressing due to market transformation, and the important role in it is assigned to the air transport. After transition of our country to the market economy the new approach to the functioning of the air transport became a necessity. The thesis work is devoted to the mechanisms of strategic management of air entities. The origination and development of civil aviation, current state of air entities are considered, and basic Georgian airports and navigational support of flying are reviewed in the work. Special consideration is given to the review of Georgian aviation market and its general characteristics. The essence, content of strategic management and current status of its action in the Georgian air entities is considered in the work. In the modern age, for which high scientific and technical level and competition are characteristic, companies are forced to operate in quick-change environment, and elaborated long-term strategies will assist to adjust to it. The strategy itself contains the unity a variety of different ideas, which provide a commercial success of the companies. Elaboration of long-term objectives and the determination of strategy of their achievement should be based on the real opportunities of the airline company, in such case the intended objective will be implemented and the task will be executable. Strategic management of the airline company should be of marketing nature and should contain market estimation of business direction. Leading world-wide airline companies actively use the methodology of strategic planning in their activity that allows them to take and preserve dominant position in the segment of air service market under conditions of fierce competition. Correct coordination of the global experience and national specificity amplifies the application of general scientific methods and contains the potential of successful market activity of average airline companies and promotes the gradual expansion of competitive advantages. All this sustains the importance of strategic planning and modern methods of management, which are used by foreign airline companies in order to obtain high indices of effectiveness.

# ადამიანი და ეკოლოგია გარემოს მენეჯმენტის სისტემაში

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.027

**ნაირა გალახვარიძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ელდარ გუგავა**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ადამიანი, ეკოლოგია, გარემოს მენეჯმენტი

*„გარემოს ანალიზი უნდა კეთდებოდეს არა მარტო მაშინ, როდესაც ცვლილებები შეუქცევადი ხდება“*

*/კენეტ რ. ენდრიუსი/*

ადამიანის ეკოლოგია - სოციალური ეკოლოგია, თუ ანთროპოეკოლოგია ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია გლობალური ეკოლოგიისა.

ცნობილმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ა. ბ. იაბლოკოვმა თანამედროვე ეკოლოგიას „კაცობრიობის გადარჩენის სტრატეგია“ უწოდა. არსებული მეცნიერებების (გეოგრაფიის, ქიმიის, ფიზიკის, მედიცინის, სოციოლოგიის, თეოლოგიის და კულტურის თეორიის) მეთოდოლოგიური შერწყმითა და ახალი თვალთახედვის შექმნით ეკოლოგია ბილოგიური მეცნიერების ვიწრო ჩარჩოებიდან გამოიყო და გადაიქცა ცოდნის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად.

XXI საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო რთული გლობალური პრობლემები - შიმშილთან და სილატაკესთან ბრძოლა, ბუნებრივი რესურსების მზარდი დეგრადაცია და ამოწურვასთან ბრძოლა; ეკოლოგიური პრობლემები - ატმოსფეროსა და წყლის რესურსების დაჭუჭყიანება, მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება, ტყის ფართობების შემცირება - ეს ნუსხა, ფაქტობრივად, წარმოადგენს „ადამიანის ეკოლოგიის“ ერთ მთლიან გლობალურ პრობლემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გარემოს დაცვით თემატიკაზე მიღებულ მრავალ დოკუმენტს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „კონფერენცია მდგრადი განვითარების“ შესახებ, რომლის დებულებებს შორის ყურადღების ცენტრში მოსახლეობაა, რომელსაც აქვს უფლება ჯანმრთელი და ნაყოფიერი ცხოვრების ბუნებასთან ჰარმონიაში. ამასთანავე, გარემოს დაცვა უნდა გახდეს განუყოფელი კომპონენტი განვითარების პროცესისა და არ უნდა განიხილებოდეს განცალკევებულად. გარემოს დაცვისა და განვითარების მოთხოვნები უნდა ვრცელდებოდეს არა მარტო ახლანდელ თაობებზე, არამედ მომავალ თაობებზეც. ამ საკითხებზეა გაეროს შემდგომი კონფერენციები - ბონის მესამე კონფერენცია კლიმატზე და 2002 წლის „გაეროს მეოთხე სამიტი“ იოჰანესბურგში. ასევე აღსანიშნავია 1977

წელს ჩატარებული თბილისის საერთაშორისო კონფერენცია გარემოს დაცვითი განათლების შესახებ, კიოტოს 1997 წლის კონფერენცია.

ამ შეხვედრებმა, პრობლემების გადაჭრის მიზნით, საფუძველი ჩაუყარეს ერთობლივ ქმედებებს, გარემოს დაცვითი საქმიანობის აუცილებლობის აღიარებას, როგორც თითოეული ქვეყნის შიგნით, ასევე აღნიშნულ პრობლემებზე ქვეყნების კორდინაციას.

ეკოლოგია ესაა მეცნიერება ცალკეულ ორგანიზმებსა ან ჯგუფების ურთიერთობებზე მათ შორის და გარემომცველ გარემოსთან.

პრობლემათა უმრავლესობა ინტენაციონალურ ხასიათს ატარებს. მათ მიეკუთვნება:

- საერთაშორისო წყლების დაბინძურება ნავთობით;
- სასაზღვრო რეგიონების ჰიდრორესურსების გამოყენება;
- მდინარეებში, რომლებიც მიედინება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დაბინძურებული წყლების ჩადინება;
- ატმოსფეროში გამონაბოლქვის ტრანსსასაზღვრო გადატანა;
- ატმოსფეროს ოზონის ფენის დაზიანება;
- იშვიათი ცხოველებისა და მცენარეების გაქრობა;
- ატმოსფეროს სითბური და რადიაციოული დაბინძურება და სხვა.

თანამედროვე პირობებში მიწის წიაღიდან ყოველწლიურად ამოაქვთ 100 მილიარდი ტონა მადნეული. მინდვრებზე მიმოიფრქვევა 92 მლნ. ტონა სასუქი, 2 მლნ შხამქიმიკატი, ატმოსფეროში გამოიფრქვევა 200 მლნ ტონა ნახშირბადის ოქსიდი, 53 მლნ ტონა აზოტის ოქსიდი, 250 მლნ. ტონა მტვერი და სხვა.

გარემომცველი გარემოს ზრდადი დაბინძურება დაკავშირებულია მრეწველობისა და ენერგეტიკის განვითარებასთან. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს განზოგადებულ ინტეგრალურ მაჩვენებელს, სადაც მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს ხარისხი და მისი ზეგავლენა ადამინის ცხოველქმედებაზე.

ადამიანის ეკოლოგია წარმოადგენს ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ ცოდნის დარგს, სადაც ყველა სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები განიხილება, როგორც ადამიანის სიცოცხლის ერთმნიშვნელოვანი შემადგენელი გარემო და მისი მოთხოვნილებების სხვადასხვა მხარის უზრუნველმყოფელი. ამასთან დაკავშირებით დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ეკოლოგიის ბლოკურ მოდელად შემდეგი: [ა.ს. ლევინი:1996]

1. ქიმიური ეკოლოგია - ესაა კომპლექსური დისციპლინა, რომელიც იკვლევს ქიმიური კავშირების მთელ ერთობლიობას ცოცხალ ბუნებაზე და მათ ქიმიურ ურთიერთკავშირს სიცოცხლესთან. ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა პლანეტა დედამიწის ბიოსფეროს ანთროპოგენური გეოქიმიური დაბინძურება.
2. სოციალური ეკოლოგია - ესაა მეცნიერული დისციპლინა, რომელიც განიხილავს საზოგადოების შესაბამისობას გეოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან ე.ი. ადამიანის გარემომცველ გარემოსთან.
3. გამოყენებითი ეკოლოგია მოიცავს ადამიანის მიერ ბიოსფეროს ნგრევის მექანიზმების შესწავლას ამ პროცესების თავიდან აცილების საშუალებით და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპების შემუშავებით სასიცოცხლო გარემოს დეგრადაციის გარეშე.

აქვე მოიაზრება

3.1. საინჟინრო ეკოლოგია, კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სამრეწველო წარმოების ურთიერთზემოქმედებას ბუნებრივ გარემოსთან და სხვადასხვა რანგის ბუნებრივ სამრეწველო სისტემის რაციონალურ და უზრუნველმყოფელი ფუნქციონირების შექმნას. ძირითადი ამოცანაა, შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად აუცილებელი ღონისძიებების, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას თანამედროვე და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

3.2. სასოფლო სამეურნეო ეკოლოგია შეისწავლის კულტურული მცენარეებისა და შინაური ცხოველების ერთმანეთშორის ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე.

3.3. სამედიცინო ეკოლოგია, ესაა სამეცნიერო ცოდნის სფერო ინტეგრირებული ადამიანის ჰიგიენის, ტოქსიკოლოგიის, ანატომი-

ისა და ფიზიოლოგიის მთლიან კომპლექსში.

3.4. ქალაქის ეკოლოგია მოიცავს მის საცხოვრებელ და სამრეწველო ზონების ფორმირების შეფასებისა და პროგნოზირების პროცესებს, განსახლების სისტემებს. ბუებრივი გარემოს შესაძლებელი ლოკალური ანდა რეგიონული ნეგატიური ცვლილებებისა და ადამიანზე ამ ცვლილებების ზეგავლენა. ბუნების დაცვითი ღონისძიებების შემუშავება ამ ნეგატიური შედეგების ლიკვიდაციისა ანდა შეზღუდვისათვის.

ამგვარად, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც ადამიანის ეკოლოგიის საგანი, განისაზღვრება კონკრეტული რეგიონის ეკოლოგიური ფონის ბუნებრივი და ანტროპოგენური ურთიერთკავშირით.

მეცნიერი პ.გ. ტკაჩევი ადამიანის ეკოლოგიას განსაზღვრავს, როგორც მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას გარემომცველ ბუნებრივ გარემოს ყველა ფაქტორთან და ადგენს ადამიანის ორგანიზმზე ამ ურთიერთდამოკიდებულების ოპტიმალურ ნორმატივებს ეკოლოგიური ფაქტორების კომპლექსური შეფასებით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მოითხოვს ბუნებრივი გარემომცველი გარემოს დაცვის მდგომარეობის შესწავლასა და ბრძოლის მეთოდებს მისი ტექნოგენური წარმოშობის პროდუქტებით დაბინძურებისაგან ბუნებრივი რესურსების გაქრობის საფრთხეზე გაფრთხილებით და ა.შ. თავის მხრივ, გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუარესების მიზეზების ანალიზი და ბუნებათსარგებლობის რეგულირების ეკონომიკური ინსტრუმენტები საფუძვლად უდევს სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკის შექმნას მიმართულს ხარისხის გაუმჯობესებაზე.

გარემომცველი გარემოს ხარისხის მართვის გამოყენებული მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ჯფგუფად, რომლებიც ისტორიული, პოლიტიკური, ეთნოკულტურული და სხვა ფაქტორების ძალით განსაზღვრული თანაფარდობით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში. ეს მეთოდებია: ადმინისტრაციული, ეკონომიკური და საბაზრო მეთოდები.

ეს მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ საწარმოო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე და განხილულ გარემომცველ გარემოზე მისი შესაძლო ზემოქმედების ურთიერთობაში. მოცემული ზემოქმედება დამოკიდებულია პირველადი რესურსების შემადგენლობაზე, საწარმოო პროცესების სპეციფიკაზე, გამოყენებულ ბუნებადაცვით ტექნოლოგიებზე, რომლებიც გარემომცველ გარემოში აყალიბებენ გამონაბოლქვსა და ნარჩენებს.

ადმინისტრაციულ რეგულირებაში იგულისხმება ნორმატიული სტრატეგიებისა და შეზღუდვების შემოღება. აგრეთვე, პირდაპირი კონტროლი და ბუნებათსარგებლობის პროცესების ლიცენზირება, რომელიც მიუთითებს მწარმოებლის იმ ჩარჩოებზე, რომელიც მან უნდა დაიცვას, გაითვალისწინოს.

ძირითადი სტანდარტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ადმინისტრაციული მიდგომის ჩარჩოებში წარმოადგენს:

- გარემომცველი გარემოს ხარისხის სტანდარტები და გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები;
- ტექნოლოგიური სტანდარტები, რომლებიც საწარმოო პროცესისათვის ანდა გამწმენდი ტექნოლოგიებისათვის აწესებენ განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- პროდუქციის ხარისხის სტანდარტები (მაგალითად საბავშო სათამაშოების წარმოებისათვის გამოყენებული პლასმასის სახეების შეზღუდვა).

აღნიშნულის პარალელურად შეიძლება გამოვიყენოთ პირდაპირი აკრძალვები იმ შემთხვევაში თუ გარკვეული წარმოება ანდა პირველადი რესურსები გარემომცველ გარემოზე ახდენენ ისეთ არასასურველ ზემოქმედებას, რომ სრული აკრძალვა ხდება ერთადერთ ეფექტურ საშუალებად.

თუ ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ ზემოქმედების მაშტაბების შეზღუდვაში, მაშინ მიიღება ლიმიტები და კვოტები. ზოგჯერ ლიმიტების შემოღება წინ უძღვის მთლიანი აკრძალვების მიღებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1985 წლის ვენის კონვენცია და 1987 წლის მონრეალის ოქმი, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას, სახელმწიფოებისათვის შემცირებისა და აკრძალვის ამოცანებს ოზონო დამშლელი ნივთიერებების წარმოებასა და მოხმარებაზე. ამ დოკუმენტების შესაბამისად მოცემული ნივთიერებების გამოშვება ეტაპობრივად უნდა შემცირდეს, ხოლო ცალკეული მათგანის გამოშვება უნდა აიკრძალოს.

### ეკოლოგიური დაზღვევის არსი (სქემა 1)




მართვის ეკონომიკური მეთოდები გვთავაზობენ გამოვიყენოთ დაბინძურებაზე ზემოქმედების ირიბი ბერკეტები გადასახადებისა და საფასურის ასევე ჯარიმის სახით. ე.ი. ეკონომიკური იძულების სისტემით.

საფასურის დონე ნარჩენებსა და გამონაბოლქვზე განისაზღვრება ან დაბინძურების სოციალურ-ეკონომიკური ზარალიდან ან ტერიტორიის ასიმილაციური პოტენციალის ეკონომიკური შეფასებიდან, ანდა სხვა რომელიმე მაჩვენებლის საფუძველზე.

ამგვარად, გარემომცველი გარემოს დაბინძურებაზე და სხვა სახის საზიანო ზემოქმედებაზე საფასური წარმოადგენს ეკონომიკურ სტიმულს იმაზე, რომ საწარმოები რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გარემომცველი გარემოს მავნე ზემოქმედებაზე დამოუკიდებლად მიიღონ ღონისძიებებიმისი დაბინძურების შემცირებაზე ეკოლოგიური კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

**სავალდებულო პასუხისმგებლობის სისტემა.** თუ ჩავთვლით, რომ გარემოცველი გარემოს საკუთრების უფლება ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, მაშინ ფირმა დამაბინძურებებლებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა მიღერბულ ზარალზე. თუ გადასახადი დაბინძურებაზე ანდა საფასური ნარჩენებზე ასახავს ზღვრულ ზარალს დაბინძურებიდან განსაზღვრული ნარჩენებისა და გამონაბოლქვის ფაქტამდე, მაშინ სავალდებულო პასუხისმგებლობის სისტემაში ზარალი გაიანგარიშება გადმონაყარის ფაქტის თითოეული შემთხვევისათვის.

პასუხისმგებლობის დაზღვევა და საკომპენსაციო ფონდები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ნებაყოფლობით საწყისებზე, ასევე აუცილებელი დაზღვევისა და რეზერვირების თანმიმდევრობით (იხ სქემა 1). საშუალებათა რეზერვირების მიზნობრივი სისტემა ნარჩენების უტილიზაციაზე (გირაო) და შენატანების დაბრუნება (გადასახადი-გირაო) მიმართულია მომხმარებლის სტიმულის შექმნაზე დამატებითი ხარჯების განხორციელებაზე: საქონლის შეძენის მომენტში, წინასწარ განსაზღვრული მოსალოდნელი დაბინძურებისას ხორციელდება შენატანი, რომელიც ბრუნდება ნარჩენების უტილიზაციის გამოყენების შემდეგ. რეგულირების ეკონომიკური მეთოდის გამოყენება ისევე როგორც ადმინისტრაციული მეთოდისა მოიაზრებს საწარმოს შემდეგ ხარჯებს:

გამონაბოლქვისა და ნარჩენების სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა ადმინისტრაციული მეთოდით, გადასახადის შენატანითა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების განხორციელება რეგულირების ეკონომიკური მეთოდით, ასეთმა მდგომარეობამ მიილო „დამაბინძურებელი იხდის" პრინციპის სახელწოდება.

ბუნების სარგებლობის საბაზრო რეგულირების ძირითად ბერკეტად უნდა გამოვიდეს გამოყენებული რესურსების ფასწარმოქმნის ისეთი მექანიზმი, რომლის შემთხვევაში ნებისმიერი მწარმოებლისათვის მომგებიანი იქნებოდა რესურსების რაოდენობის შემცირება ერთეულ წარმოებულ პროდუქციაზე ამ შემთხვევაში ქრება ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების შესაძლებლობა, მცირდება ნარჩენების რაოდენობა. წარმოიქმნება მისწრაფება სრულყოფილი ტექნოლოგიების შემუშავებაზე, მათ შორის, ჩაკეტილი ციკლის ტექნოლოგიებისა, საბოლოო ანგარიშით გარემოზე ზეწოლის შემცირებაზე, აგრეთვე ბუნების დაცვითი ხარჯების ეკონომია მოცემული გარემომცველი გარემოს ხარისხზე.

გამომდინარე საბაზრო მიდგომა არ ნიშნავს საბაზრო იძულების უქონლობას ბაზარი უნდა გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანი მიღწევებისათვის გარემომცველი გარემოს მოცემულ ხარ-

**ბუნების დაცვითი საქმიანობის მართვის მეთოდების შედარება**

(ცხ.1)

| კრიტერიუმები | ინსტრუმენტები | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნორმატივები | კვოტებით ვაჭრობა | საფასური | გადასახადი |
| გარემოს ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფა | + | + | +/- | - |
| ერთეულ პროდუქციაზე ნარჩენების შემცირება | + | + | + | + |
| ნარჩენების აბსოლუტური მნიშვნელობის შემცირება | - | ++ | + | + |
| ბუნებრივი გარემოს მოცემული ხარისხის მიღწევაზე ხარჯების მინიმიზაცია | - | ++ | + | +/- |
| წარმოების განვითარების შესაძლებლობა | - | ++ | + | + |
| სახელმწიფო მართვაზე მოთხოვნა | ++ | +/- | + | +/- |
| ასიმილაციური პოტენციალის ექსპლუატაციიდან შემოსავლის მიღება | - | +/- | + | + |
| სტიმული ინოვაციებზე | +/- | +/- | +/- | +/- |

„-" ნეგატიური წილი;
„+" პოზიტიური;
„+/-" ზემოქმედების არაერთმნიშვნელობა;
„++" ძლიერი პოზიტიური ზემოქმედება

ისხზე. სახელმწიფოს როლია დაბინძურების მაქსიმალური დონის რეგულირება დადგენის გზითა და კონტროლით, ხოლო ბაზრისა კი - მისი მიღწევის უკეთესი მეთოდების ძიებაა.

მართვის საბაზრო მეთოდები გულისხმობენ ბაზრის ფორმირებას ერთეული დაბინძურებისათვის, რაც გულისხმობს საბაზრო ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტის შექმნას, ნარჩენებზე მომსახურებისა და უზრუნველმყოფი გარიგებების ვაჭრობაზე უფლება. (იხ. ცხ. 1.)

ამრიგად, გარემოს ხარისხის რეგულირების თითოეულ მეთოდს აქვს თავისი ეფექტიანად გამოყენების სფერო. ზოგიერთი პრობლემა შეიძლება ეფექტიანად გადაჭრას, მაგრამ რიგ შემთხვევაში მისი გამოყენება არამიზანშეწონილია, ამიტომ აუცილებელია გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ხარისხის რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების რაციონალური შეხამება.

## რეზიუმე
## ადამიანი და ეკოლოგია გარემოს მენეჯმენტის სისტემაში

ოცდამეერთე საუკენემ მემკვიდრეობით მიიღო რთული გლობალური პრობლემები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენს „ადამიანის ეკოლოგიის" ერთ მთლიან გლობალურ პრობლემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გარემოს დაცვით თემატიკაზე ჩატარებულმა შეხვედრებმა პრობლემების გადაჭრის მიზნით საფუძველი ჩაუყარეს ერთობლივ ქმედებებს, როგორც თითოეული ქვეყნის შიგნით, ასევე აღნიშნულ პრობლემებზე ქვეყნების კოორდინაციას, რადგან ეკოლოგიურ პრობლემათა უმრავლესობა ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს.

მეცნიერი ა. ს. ლევინი „ადამიანის ეკოლოგიას" განიხილავს ბლოკურ მოდელად, რომელიც მოიცავს ქიმიურ ეკოლოგიას, სოციალურ ეკოლოგიას, გამოყენებით ეკოლოგიას, სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიას, სამედიცინო ეკოლოგიას, ქალაქის ეკოლოგიას.

გარემოს ხარისხის მართვით გამოყენებული მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად, რომლებიც ისტორიულ, პოლიტიკურ, ეთნოკულტურული და სხვა ფაქტორების ძალით განსაზღვრული თანაფარდობით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში. ეს მეთოდებია: ადმინისტრაციული, ეკონომიკური და საბაზრო მეთოდები.

გარემოს ხარისხის რეგულირების თითოეულ მეთოდს აქვს თავისი ეფექტიანად გამოყენების სფერო - მას შეუძლია ზოგიერთი პრობლემა ეფექტიანად გადაჭრას, მაგრამ რიგ შემთხვევაში მისი გამოყენება არამიზანშეწონილია, ამიტომ აუცილებელია გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ხარისხის რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების რაციონალური შეხამება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები (2012). თბილისი.
2. Анисимов, А. В. (2009). Экономический менеджмент.Ростов на Дону: Феникс.
3. Келина, И. Ю. Безручко, Н. В. (2009). Экология человека" Ростов на Дону: Феникс.
4. Глухов, В. В. Некрасова, Т. П. (2003). Экономические основы экологии. Питер.

# Human and Ecology in the Environmental Management System

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.027

**Naira Galakhvaridze**
Doctor of Economics,
European University Associate Professor

**Eldar Gugava**
Doctor of Agricultural Sciences,
Agricultural University Professor

**Key words:**
PEOPLE, ECOLOGY, ENVIRONMENTAL MANAGEMENT

## Summary

Twenty one century inherited a difficult global problems, which actually represents a "human ecology" a whole one global problem.

United Nations environmental issues in order to solve the problems of the meetings laid the foundation for joint actions, as each country, as well as the problems of coordination, because environmental problems are international in nature.

A scientist C. Levin "human ecology" is considering a block model, which includes chemical ecology, social ecology, using ecological, agricultural ecology, medical ecology, urban ecology.

Environmental quality control methods can be divided into three groups, which are historical, political and cultural, and other factors identified in the ratio used in different countries. These include administrative, economic and market methods.

Each method has its effective use in the field of environmental quality regulation can effectively solve some problems, but in some cases it is not reasonable to use, so it is necessary to regulate the quality of the surrounding natural environment, the rational combination of methods and tools.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

# ქართული ბრაუზერი "Browser G"

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.028

**ანდრო გაფრინდაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი,
ჟიული შარტავას სახელობის პოლიტიკოსთა სადოქტორო სკოლა,
ვებ-დეველოპერი

**თეიმურაზ სტურუა**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ქართული ბრაუზერი, ვებსტანდარტები, ინფორმაციული ტექნოლოგიები

დღეისათვის, ინფორმაციული საუკუნის ეპოქაში, ინტერნეტის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელია. კომპიუტერი და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, თუმცა ინტერნეტის გარეშე თანამედროვე კომპიუტერების გამოყენება აზრს კარგავს. ინტერნეტ სივრცეში ჩვენს „მოგზაურობას" მთელი რიგი ტექნიკურ საშუალებათა კრებული და პროგრამული საშუალებები უზრუნველყოფს. პირველი ბრაუზერი 1990 წელს სერ ტიმ ბერნერს ლის მიერ შეიქმნა და მისი სახელი იყო WorldWideWeb. თუმცა, პირველი ყველაზე გავრცელებული ბრაუზერი, რომელსაც გრაფიკული ინტერფეისი გააჩნდა NCSA Mosaic იყო, რომელიც ღია პროგრამული კოდის რეჟიმში გავრცელდა. შემდგომში Netscape Navigator და Internet Explorer (IE) ბრაუზერებმა საწყისი პროგრამული კოდები სწორედ NCSA Mosaic-საგან აიღეს. NCSA Mosaic-ს თავის უარყოფითი მხარეები გააჩნდა, რაც შემდგომ Netscape-ის მიერ შემუშავებულ Netscape Navigator ბრაუზერში იქნა გამოსწორებული. შემდგომი პერიოდი კი კორპორაცია Microsoft-ისთვის აღმოჩნდა წარმატებული, რომელმაც Windows ოპერაციული სისტემისთვის ბრაუზერი სახელწოდებით Internet Explorer შექმნა. იგი, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, დღესაც აქტიურად გამოიყენება და თითქმის ყოველწლიურად, უფრო დახვეწილი სახით წარმოგვიდგება. IE-ი Windows ოპერაციულ სისტემაში ჩაშენებული ბრაუზერია, ისევე როგორც ბრაუზერი Safari Apple-ის Mac OS ოპერაციული სისტემისათვის. უფრო მოგვიანებით კომპიუტერულ სამყაროს Mozilla Firefox მოევლინა, რომელსაც IE-თან შედარებით უფრო გაუმჯობესებული შესაძლებლობები გააჩნდა, რაც მისი პოპულარობის საწინდარი გახდა. დღეისათვის კი კომპანია Google-ის ბრაუზერმა სახელწოდებით Google Chrome ძალზედ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ამჟამად, როგორც IE, ასევე Mozilla Firefox, Apple Safari და Google Chrome მომხმარებლების მიერ აქტიურად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი უფასო პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს. ზემოთ ჩამოთვლილი ბრაუზერების გარდა უამრავი სხვა დასახელების ბრაუზერი შეგიძლიათ დააინსტალიროთ თქვენს კომპიუტერში და მათი ფუნქციებით ისარგებლოთ.

ალბათ ყველას ჰქონია შემთხვევა, როდესაც Mozilla Firefox-ის ლოგოზე მაუსის დაჭერის შემდეგ კომპიუტერს შედარებით უფრო დიდი დრო დასჭირვებია პროგრამის ჩასატვირთად, ვიდრე მაგალითად, Google Chrome-ს. სხვადასხვა ბრაუზერები სხვადასხვა პროგრამულ კოდზეა დაწერილი და შესაბამისად სისტემური რესურსების მიმართ მათი მოთხოვნები განსხვავებულია. დღეს ბრაუზერების ტესტირების უამრავი გრაფიკი არსებობს, სადაც ინფორმაცია დროის მიკროწამების და პროცენტების მაქსიმალური სიზუსტითაა ასახული, თუმცა მათი ეჭვქვეშ დაყენება ყოველთვის შეიძლება. შევეცდებით ზოგადი სტატისტიკის მიხედვით ვიხელმძღვანელოთ და ბრაუზერების სწრაფქმედების შესახებ ზოგადი სურათი წარმოგიდგინოთ. ტესტირებები, რომლებიც ზოგად სურათს იძლევა, ერთი და იმავე კომპიუტერზეა ჩატარებული, სადაც ზუსტად ერთი და იგივე ბრაუზერებია დაყენებული და სისტემის კონფიგურაციაც ერთნაირია.

ტესტირება Windows ოპერაციულ სისტემაზე განვიხილოთ, რადგანაც იგი მომხმარებელთა რიცხვის მიხედვით დღემდე პირველ ადგილზეა.

IE – პირველ რიგში ის ფაქტია გასათვალისწინებელი, რომ IE Windows ოპერაციულ სისტემაშია ჩაშენებული და net framework-ის ვერსიის შესაბამისია, ანუ ამ ბრაუზერის სისტემასთან ინტეგრაცია უფრო წარმატებულად უნდა განხორციელდეს, თუმცა ჩატვირთვის დროს იგი სხვა ბრაუზერებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირად „ჩამოეკიდება" ხოლმე. მისი ხანგრძლივი ჩამოტვირთვის ე.წ. „ჩამოკიდების" მიზეზი სისტემური რესურსების მიმართ მაღალი მოთხოვნა კი არ გახლავთ, არამედ ვებ-გვერდის HTML, CSS და JavaScript კოდის ჩამოტვირთვის სტილია. კერძოდ, ვებგვერდის კოდში შეცდომის არსებობის შემთხვევაში ან გვერდზე განთავსებული დიდი მოცულობის ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ბრაუზერი გარკვეული დროით ჩერდება, ეკრანი თეთრი ფონით იფარება და შემდეგ ვებგვერდი მონიტორზე ერთიანად აისახება. ამასთანავე, თუ ვებგვერდის სტილი ერთ მონაკვეთშია დარღვეული – IE-ს შემდგომი მონაკვეთებიც შეცდომით გამოაქვს და ვებგვერდის მთლიანი სტილი ირღვევა. ბრაუზერის ხანგრძლივი „ჩამოკიდების" შემთხვევაში თუ ბრაუზერს „იძულებით" გათიშავთ მომდევნო ჩართვისას იგი იმ გვერდის გახსნას შემოგთავაზებთ, რომლის დროსაც მისი „იძულებითი გათიშვა" მოხდა, მაშინაც კი თუ კომპიუტერს გათიშავთ და თავიდან ჩართავთ, რაც ერთგვარად მის დადებით თვისებად შეიძლება შეფასდეს.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს IE-ის განსაკუთრებული აქტივობა ძალიან დაბალი სიჩქარის ინტერნეტ შეერთების დროს. კერძოდ, გვერდიდან გვერდზე გადასვლისას, სხვადასხვა ბმულების მონახულების დროს, ბრაუზერი ერთი ბმულიდან მეორეზე სწრაფად გადადის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბმულზე გადასვლისას ბრაუზერი მაშინვე წყვეტს მიმდინარე გვერდის ჩამოტვირთვას და ახალ ბმულზე გადასვლას იწყებს, რაც ლოდინის დროს ამცირებს. ასეთი შემთხვევის დროს სხვა ბრაუზერები გაცილებით უფრო დიდ მოლოდინის რეჟიმს მოითხოვენ, რადგანაც ახალ ბმულზე გადასვლისას Mozilla Firefox, Google Chrome, Opera მიმდინარე გვერდის ჩამოტვირთვას მაშინვე არ წყვეტენ, შესაბამისად მიმდინარე დოკუმენტის ჩამოტვირთვა გარკვეული პერიოდის მანძილზე ისევ გრძელდება და შემდეგ ხდება ახალ ბმულზე გადასვლა.

IE 8, რომელიც ოპერაციულ სისტემა Windows 7-ს თან მოჰყვება თანამედროვე HTML5, CSS3-ის მხარდაჭერით არაა აღჭურვილი, ასევე ვებგვერდის სტილის წარმოსახვისას ვებდეველოპერები ამ ბრაუზერისათვის ვებგვერდის სტილს ცალკე წერენ, რადგან ხშირად IE ვებგვერდის სტილს არასწორად გამოსახავს. აღმოჩნდა, რომ პირველი ჩატვირთვისას (სანამ პროგრამის კეშირება მოხდება, რომელიც ხელმეორედ ჩატვირთვას 20%-ით აჩქარებს) IE ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე Mozilla Firefox, Google Chrome ან Opera, იგივე შედეგია მეორე ჩართვისას, ხოლო ჩართვის შემდეგ ბრაუზერის „ჩამოკიდებას", მისი ვებგვერდის კოდის ჩამოტვირთვის სტილი განსაზღვრავს. ოპერატიულ მეხსიერებასთან ურთიერთობის მხრივ ტესტირებების პროცესში ვლინდება, რომ Mozilla Firefox, Google Chrome, Opera ანუ Chromium ძრავზე მომუშავე ბრაუზერები გაცილებით უფრო „მომთხოვნები არიან". უნდა აღინიშნოს, რომ IE 9, 10, 11 ვერსიებს HTML5, CSS3-ის მხარდაჭერა უკვე გააჩნიათ და მათი ინეტრფეისიც შედარებით გაუმჯობესებულია.

ბრაუზერ Opera-ს სპეციალური ფუნქცია „დააჩქარე ჩამოტვირთვა დაბალი ინტერ-

ნეტ შეერთების დროს“ გააჩნია. ეს ფუნქცია დაბალი ინტერნეტ შეერთების დროს მართლაც მოსახერხებელია, რადგან HTML კოდის შედეგი ჯერ მონიტორზე აისახება, შემდეგ ვებგვერდის სტილი, შემდგომ JavaScript სცენარები და ბოლოს გრაფიკული გამოსახულებები იტვირთება, რაც იმის საშუალებას იძლევა რომ ეკრანზე ვებგვერდის ტექსტი და ბმულები სწრაფად აისახოს. ასევე, ვებგვერდის კეშირების დროს, როდესაც გვერდი უკვე კეშირებულია და შედარებით სწრაფად იტვირთება ბრაუზერში, განახლების შემთხვევაში ბრაუზერ Opera-ში არა მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებები, არამედ ტექსტიც კი ისევ ძველი სახით ჩანს, რაც გვერდის ბრაუზერიდან განახლებას (Refresh) საჭიროებს.

Mozilla Firefox, Google Chrome, Opera – ტესტირებებმა აჩვენა, რომ პირველი ჩატვირთვისას Google-ის ბრაუზერი უფრო სწრაფია ვიდრე ბრაუზერი Opera, ხოლო Mozilla ამ მხრივ ორივეს ჩამორჩება. განმეორებით ჩატვირთვის დროს, მაშინ როდესაც პროგრამები კეშირებულია, ბრაუზერი Opera უფრო სწრაფად იტვირთება, ვიდრე Google-ი, ხოლო Mozilla ამ მხრივაც ჩამორჩება მათ. ოპერატიულ მეხსიერებასთან მიმართებაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს ბრაუზერები სხვებთან შედარებით „უფრო მომთხოვნები“ არიან.

ბრაუზერების Mozilla Firefox, Google Chrome, Opera – უსაფრთხოების მხრივ შემდეგი ფაქტებია აღსანიშნავი: IE-ს გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია ინტერნეტში უსაფრთხოთ „მოგზაურობის“ უზრუნველსაყოფად, ვიდრე აქ განხილულ სხვა ბრაუზერებს. ამასთანავე, „პროქსი-სერვერების“ გაწერა ამ უკანასკნელში უფრო მოსახერხებელი და სრულყოფილია. ამ მხრივ Mozilla-ც გამოირჩევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სრულ დამაკმაყოფილებელ შედეგებს ზოგად საკითხებში ვერცერთი ბრაუზერი ვერ იძლევა. საერთო ჯამში კი უფრო დამაკმაყოფილებელ შედეგებს Google Chrome, შემდეგ Opera, Mozilla, Safari და ბოლოს IE-ი იძლევა. ბრაუზერ Safari-ს რაც შეეხება, ეს ბრაუზერი Windows-ის პლატფორმაზე აქტიურად არ გამოიყენება.

დღესდღეობით HTML5 და CSS3-ის მხარდაჭერა თითქმის ყველა ბრაუზერის ახალ ვერსიას გააჩნია. მაგრამ საინტერესოა როგორი წარმადობით ახდენენ თანამედროვე ბრაუზერები HTML5, CSS3 კოდის და JavaScript სცენარების შესრულებას. ზოგადმა ტესტირებებმა ამ მხრივ საინტერესო შედეგები აჩვენა. აღმოჩნდა, რომ HTML5 და CSS3-ის წარმადობა Google-ის ბრაუზერში ყველაზე კარგად აისახება, მას Opera და Mozilla მოსდევს. ამ მხრივ IE 9 მათ ჩამორჩება, ხოლო IE 10 პირველ ადგილს იკავებს.

JavaScript-ის სცენარების შესრულება PHP სცენარებისაგან განსხვავებით მთლიანად ბრაუზერზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც მაგალითად, PHP სცენარებს სერვერი ამუშავებს და შედეგი HTML-ის სახით მიეწოდება ბრაუზერს. JavaScript-ის სცენარების საშუალებით ვებგვერდის დინამიურ რეჟიმში აწყობაა შესაძლებელი, ამიტომაც JavaScript-ის სცენარების წარმადობით და უსაფრთხოდ შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. JavaScript-ის უსაფრთხო შესრულების მხრივ IE 8-ს საინტერესო უარყოფითი მხარე აქვს. კერძოდ, JavaScript-ის შეტყობინება alert(), რომელიც შეტყობინების მცირე ფანჯარას წარმოადგენს, IE 8-ში ფაქტიურად იმდენჯერ გამოდის რამდენჯერაც იგი სცენარშია მითითებული, ისე რომ განმეორებით გამოტანის შემთხვევაში გათიშვის საშუალება არა აქვს. მაგალითად, თუ alert() შეტყობინებას სცენარის საშუალებით 100-ჯერ გამოიტანთ, მაშინ IE 8-ის გათიშვა შეუძლებელი ხდება ვიდრე გამოტანილი შეტყობინება 100-ჯერ არ დადასტურდება. ეს თავისთავად დიდ უხერხულობას ქმნის, ასეთ დროს, საჭირო ხდება IE-ის პროცესების მართვის მენეჯერიდან გათიშვა. JavaScript-ის სცენარების წარმადობით შესრულების მხრივ ტესტირებამ პირველი ადგილი Google-ის ბრაუზერს მიუჩინა, მას Opera მოჰყვება, შემდგომ IE 10 და ბოლოს Mozilla.

და ბოლოს, WebGL ბიბლიოთეკა განვიხილოთ. WebGL JavaScript-ის პროგრამულ ბიბლიოთეკას წარმოადგენს, რომელიც Mozilla Foundation-მა შეიმუშავა. ეს ბიბლიოთეკა თანამედროვე ვებ-სტანდარტებში აქტიურად გამოიყენება. WebGL საშუალებას იძლევა JavaScript-ის საშუალებით ინტერაქტული სამგანზომილებიანი გრაფიკული ინტერფეისები ავაწყოთ. გამომდინარე იქედან, რომ WebGL აქტიურად გამოიყენება და დიდი პერსპექტივა აქვს, მასთან მიმართებაში ტესტირების შედეგები წარმოვადგინოთ. ტესტირებამ ამ მიმართულებით Google-ის ბრაუზერისაგან საუკეთესო შედეგები მიიღო. ასევე კარგი შედეგები აჩვენეს ბრაუზერებმა Opera-მ და Mozilla-მ.

## Browser G ქართულენოვანი ვებბრაუზერი, ზოგადი მიმოხილვა და შეფასება

თანამედროვე ბრაუზერების დახვეწილი გრაფიკული დიზაინი, ფუნქციონირების სტილი და მათი უფასო ლიცენზიის პირობებში გავრცელება გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით რაიმე ახალი პროდუქტის შექმნა და განვითარება განსაკუთრებით დიდ სირთულეებთან და ინოვაციურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული.

დღეისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დაპროგრამების ენებიც ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დაპროგრამების ენებიც კი, მოუქნელია და ხშირად მცირე პროგრამული პროცედურის ჩასატარებლად გრძელი სკრიპტების დაწერაა საჭირო, საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს, რომელიც იმ კონკრეტულ პრობლემატურ ამოცანაზე იქნება ორიენტირებული, რომლის გადაწყვეტაც კომპიუტერის საშუალებით მარტივად მოხერხდება. ასეთი სახის პროგრამები განსაკუთრებით იმ ვიწრო სფეციფიკაში ფუნქციონირებენ კარგად, რომლისთვისაც მათი დაპროექტება ხდება, ვიდრე ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გაცილებით ფართო სპეციფიკის ამოცანების გადაწყვეტაზეა გათვლილი, რაც თავისთავად უფრო მაღალი კვალიფიკაციის პერსონალს და მეტ სისტემურ რესურსს მოითხოვს. სწორედ, ამიტომაც მსურს ჩვენს მიერ დაპროექტებული ბრაუზერი წარმოგიდგინოთ, რომელიც კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზეა გათვლილი და ძალიან მცირე სისტემურ რესურსს მოითხოვს. რაღა თქმა უნდა ისევე როგორც ყველა ახალი პროექტი, ასევე ჩვენი ბრაუზერიც შემდგომ განვითარებას საჭიროებს. დასაწყისისათვის კი რამოდენიმე ტექნიკური დეტალი განვიხილოთ:

ბრაუზერი IE-ს ძრავს იყენებს, რომლიდანაც ის კომპონენტებია ამოღებული, რომელიც ხშირად Windows ოპერაციულ სისტემაში ჩაშენებული ბრაუზერის IE-ის სწრაფქმედებას „უშლის ხელს". შედეგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ბრაუზერი გაცილებით სწრაფად მუშაობს და ყველა იმ საიმედო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი, რომელსაც Microsoft IE იყენებს. რატომ მაინცდამაინც IE-ს ძრავი და არა WebKit, რომელზედაც აგებულია Google Chrome, Apple Safari და Mozzila Firefox? იმიტომ, რომ IE-ს ძრავი კორპორაცია Microsoft-ის მიერაა წარმოებული და მოდიფიცირებული, შესაბამისად მისი პროგრამული კომპონენტები Windows ოპერაციულ სისტემასთან (net framework-ის შესაბამის პლატფორმაზე, ისევე როგორც ძველზე, ასევე ახალზეც გამართულად ფუნქციონირებს) სრულ თანხვედრაშია. ამასთანავე, IE დაცვის მაღალი დონის ინსტრუმენტების სიუხვით (სხვა ბრაუზერები ხშირად სწორედ IE-ს დაცვის პარამეტრებს იყენებენ ინტერნეტში მოგზაურობისას) გამოირჩევა. აღსანიშნავია ისიც, რომ Microsoft Visual Studio-ში (რომელშიც აგებულია ჩვენი ბრაუზერის პროგრამული და გრაფიკული მხარე) ყველა IE-ს ძრავზე მომუშავე ის ინსტრუმენტებია ჩაშენებული, რომლებიც ბრაუზერის ასაგებადაა საჭირო.

ბრაუზერის გრაფიკული ინტერფეისი Microsoft Visual Studio 2008-შია აგებული. დაპროგრამების ენებად გამოყენებულია Visual Basic NET და C#. საბოლოოდ, პროექტის როგორც პროგრამული, ასევე მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი Microsoft Visual Studio NET 2008-შია დაპროექტებული და Windows ოპერაციულ სისტემაში არსებული Net Framework-ის როგორც ძველ ასევე, ახალ ვერსიებს შეესაბამება (მინიმალური Microsoft Net Framework 3.0). პროგრამა Windows ოპერაციული სისტემის გარემოში ფუნქციონირებს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ბრაუზერის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დადებით მოვლენად ბრაუზერის სწრაფქმედებას და დაცულობას, ასევე სისტემური რესურსების მიმართ ძალიან მცირე მოთხოვნებს ვასახელებთ, რაც მისი სწრაფად ჩატვირთვისა და სხვა პროგრამებთან ერთად სწრაფად მუშაობის საწინდარია. ამასთანავე, ყველა იმ დეტალსაც ავღნიშნავთ, რომელიც შემდგომ დახვეწას და განვითარებას საჭიროებს (უმეტესწილად იგულისხმება გრაფიკული ინტერფეისი). მთავარი შემფასებელი კი რაღა თქმა უნდა მომხმარებელია.

სამომავლოდ ვგეგმავთ ბრაუზერში ის დამატებითი ფუნქციური და საჭირო ინსტრუმენტები ჩავაშენოთ, რომლებიც ამ ეტაპზე სხვა ბრაუზერებს არ გააჩნიათ და ასეთ შემთხვევებში მომხმარებლებს ხშირად სხვა პროგრამების გამოყენება უწევთ. მაგალითად, ტორენტების გადმოწერის დროს მომხმარებელი ჩვეულებრივი ბრაუზერით ვერ ახერხებს ამ პროცედურის განხორციელებას და საჭიროა სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. ასევე კარგი იქნება ამავე ბრაუზერში დამატებით, ვებდაპროგრამებისათვის საჭირო ინსტრუმენტების ჩაშენებაც.

# Georgian Browser "Browser G"

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.028

**Andro Gaprindashvili**
Georgian Technical University MA,
Jules Shartava Phd school of State Policy and Management,
Web Developer

**Teimuraz Sturua**
Doctor of Technics,
European Teaching University Professor,
Georgian Technical University Associated Professor

**Key words:**
GEORGIAN BROWSER, WEB STANDARDS, INFORMATION TECHNOLOGY

## Summary

The browser is one of the most important positive developments in the browser speed switching and security, as well as energy systems are very small more resources are stored anonymously, its fast loading, and other programs to work with the business. At the same time, all the details of the note, which needs to be further developed and developing (mostly meant GUI). The main user of the course evaluation.

In the future, we are planning to build additional functional web browser with the necessary tools with which no other browser have been furnished so far and because of which users have to use other programs.

# ტექნოლოგიური პარკები და „ბიზნეს-სათბურები“ – მეცნიერების წარმოებასთან შერწყმის თანამედროვე ფორმები

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.029

**ლუარა გვაჯაია**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ინოვაციური საქმიანობა, ტექნოლოგიური პარკი, მეცნიერება, მცირე ბიზნესი, “ბიზნეს-სათბური”, სახელმწიფო, კვლევითი პროექტი

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საინჟინრო-ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალის რაციონალურად გამოყენებაზე, საინოვაციო-ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებაზე; საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ ეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ახალი ტექნოლოგიების შემუშავების, მათი კომერციალიზაციის აქტიურ ფაქტორს.

დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების საინოვაციო რეჟიმზე გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს. ამ მიმართულებით საინტერესოა აშშ-ის, იაპონიის, ჩინეთის, ისრაელის და სხვათა გამოცდილებები, სადაც საინოვაციო საქმიანობის სტიმულირება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და მიმართულებას წარმოადგენს. პირველი სამეცნიერო პარკები წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, მისი სწრაფი ზრდა დაიწყო 80-იანი წლებიდან. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, ვინაიდან მათი შექმნა და შემდგომი ქმედითუნარიანობა სერიოზულ სუბსიდირებასა და სხვა სახის სახელმწიფო დაფინანსებასთან არის დაკავშირებული. ასევე საყურადღებოა, რომ “ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში” ამ ტიპის ზონები ყალიბდება საექსპორტო საწარმოო ზონების საინოვაციო ცენტრებად, მრავლად იქმნება სამრეწველო-ტექნოლოგიური პარკები აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ასე მაგალითად, უნგრეთში, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის უკვე მოქმედებდა 160 სამრეწველო პარკი, სადაც განლაგებული იყო 1000-მდე საწარმო მომუშავეთა რაოდენობით - 110 ათასი კაცი. უშვებდნენ ახალი ტექნოლოგიებით დამზადებულ საექსპორტო პროდუქციას (80%-მდე), რაც მთელი ქვეყნის სამრეწველო ექსპორტის 40%-ს შეადგენდა.

ამჟამად მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები, რომლებიც სამუშაოებს ასრულებენ მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი პარკები ახორციელებენ სამეცნიერო-ექსპერიმენტულ ტრანსფერებს, მოქმედებენ უმეტეს წილად გამოყენებითი-კვლევითი სამუშაოების სტადიიდან ახალი პროდუქტის საცდელ-ექსპერიმენტული

პარტიის წარმოების ან ახალი ტექნოლოგიების დამუშავების სტადიამდე. პარკის კომპანიები გამოსცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას და ამზადებენ პროდუქტს (ტექნოლოგიას) წარმოებაში ასათვისებლად. ამ საქმეში არსებობს პარიტეტული მხარდაჭერა სახელმწიფოს და ბიზნესის მხრიდან.

ინოვაციური პროცესების მსოფლიო ტენდენციის შესაბამისად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ე.წ. ინდუსტრიული ანუ ტექნოლოგიური პარკები, ისინი წარმოადგენენ მეცნიერების წარმოებასთან შერწყმის ახალ ეფექტურ ფორმას და ხელს უწყობენ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ტექნოლოგიური პარკი ახორციელებს მომგებიან ექსპერიმენტულ-საწარმოო ტრანსფერს, მოქმედებს უპირატესად საცდელ-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული სამუშაოების სტადიიდან ახალი პროდუქტის (ახალი ტექნოლოგიის) ათვისების სრული წარმოების ორგანიზაციამდე, რომელსაც თითქმის გარანტირებული მოთხოვნა გააჩნია ბაზარზე. ტექნოლოგიური პარკის კომპანიები რეალიზებას უკეთებენ ტექნიკურ დოკუმენტაციას ("ნოუჰაუ"), აწარმოებენ მცირე პარტიებით ახალ პროდუქტს და მონაწილეობენ საწარმოებში მის სერიულ წარმოებაში. ტექნოპარკების ფუნქციონირებაში გამოკვეთილია ბიზნესის მხარდაჭერის მთავარი როლი.

როგორც ცნობილია, მიმდინარე გარდამავალ პერიოდში საქართველოს რაიმე წინსვლა, წარმატება ქვეყნის ინოვაციური განვითარების კუთხით არ ჰქონია, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება მკვეთრად დაქვეითებულია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ მიმართულებით განხორციელდა, ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ მ/წელს საქართველოში (ოქროყანაში) პირველი ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა დაასრულა და მოხდა ტექნოპარკის გახსნის პრეზენტაცია. ტექნოპარკი ქმნის ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობს ინოვაციური იდეების განვითარებას. ეს არის უნიკალური შესაძლებლობების სივრცე, პროგრესული სვლის საშუალება, მომავლის პროფესიების ფორმირების ადგილი და ინოვაციური ბაზრის გაფართოების პლატფორმა. ტექნოლოგიურ პარკს შეუძლია დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზოს ისეთი რესურსები, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად მისაწვდომი იყო. მან განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ახალი ბიზნესისა და ახალი კომპანიების შექმნის საქმეში, არსებული ბიზნესის შემდგომ განვითარებაში, ინოვაციების კომერციალიზაციასა და მაღალ ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში.

განსაკუთრებით საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისრაელის სახელმწიფოს გამოცდილება მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის ე. წ. "ინკუბატორების" ანუ "ბიზნეს-სათბურების" დაფუძნების თაობაზე. ეს საქმიანობის განსაკუთრებული ფორმებია, რომლებიც წარმოადგენენ მცირე კვლევით კოლექტივებს და გააჩნიათ აუცილებელი ინფრასტრუქტურა, საკვლევი საშუალებები და საცდელ-დანერგვითი დანადგარები ინოვაციური პროექტის მინიმალური დანახარჯებით განხორციელებისათვის. ამ საქმეში იყენებენ მეცნიერებისა და სპეციალისტების ცოდნას და გამოცდილებას ქვეყნის ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის განმტკიცებაში და ახდენენ მათ ინტეგრაციას სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში. ბიზნეს-სათბურების მუშაობა შედის ქვეყნის ეროვნულ პროგრამაში და ხორციელდება ისრაელის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მთავარი მეცნიერის განყოფილების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით.

სათბურების დაფუძნების პროგრამის განხორციელება დაიწყო 1991 წლიდან და დღეისათვის ამ გზით ისრაელმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. პროგრამის მიზანია დამწყები მეწარმეების მხარდაჭერა ახალი ტექნიკური გადაწყვეტების საწყის ეტაპზევე, დახმარების გაწევა მათი სასაქონლო პროდუქტამდე მისაყვანად და აღნიშნული პროდუქტის კომერციულ საფუძველზე დასაყენებლად. ეს ბიზნესის ყველაზე სარისკო სტადიაა, ამიტომ სახელმწიფო, რომელსაც არ სურს დაკარგოს კარგი იდეები, პროგრამის მეშვეობით იღებს თავის თავზე იმ რისკს, რომელსაც კომერციული ინვესტორები ვერ იღებენ და აფინანსებს დამუშავების ამ კრიტიკულ ეტაპს.

ტექნოლოგიური სათბურების მეშვეობით პროგრამა სთავაზობს პროექტის ინიციატორებს ფინანსირებას, პროფესიონალურ, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, სამუშაო ადგილებს, დანადგარებს, ე.ი. ყველაფერს იმისათვის, რომ სათბურში ყოფნის პერიოდში მათ შეძლონ ტექნიკური გადაწყვეტის გარდაქმნა სიცოცხლისუნარიან პროდუქტად, რომელიც გამოირჩევა სიახლით, უპირატესობებით და მოთხოვნადი იქნება საერთაშორისო ბაზრისათვის.

ტექნოლოგიური სათბური წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც, როგორც წესი, რეგისტრირებულია არამომგებიან ორგანიზაციად. ხელმძღვანელობას ახორციელებს სათბურის დირექტორი, ხელმძღვანელი კომიტეტი და პროექტების კომიტეტი, მათში გაერთიანებულია მაღალი დონის პროფესიონალები მრეწველობის, ბიზნესის და მეცნიერების სფეროდან. ესენი არიან მსხვილი სამრეწველო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფესორები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განყოფილებათა უფროსები, საზოგადოებრივი მუშაკები, მუშაობენ ნებაყოფლობით საწყისებზე, ენთუზიაზმზე. თავიანთი უდიდესი გამოცდილებით, კავშირებით დიდი წვლილი შეაქვთ ახალი, თანამედროვე ტიპის საწარმოს დაბადებასა და ფუნქციონირებაში.

ტექნოლოგიური სათბურების სტრუქტურა საშუალებას იძლევა ერთდროულად შესრულდეს 10-15 კვლევითი პროექტი. იგი აღჭურვილია პროექტის შესასრულებლად საჭირო ყველა საშუალებით და, რაც მთავარია, სახელმწიფო აძლევს მათ ფინანსირებისათვის თავისი ოპერატიული ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს სათბურში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში. სათბურების ძირითადი მიზანია, დაეხმაროს მეწარმეებს მათი იდეების, პროექტების წარმატებით დამთავრებაში, რათა ისინი გადაიქცნენ კომერციულად რეალიზებად, სიცოცხლისუნარიან საწარმოებად. კერძოდ, ეს დახმარება წარმოებს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: გამოკვლევების ჩატარება იდეის ტექნოლოგიურ აღწარმოებაზე, საპროექტო პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიება, პროექტზე სამუშაოდ მუშაჯგუფის შერჩევა-დაქირავება, სწავლება, პროფესიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, იურიდიული მომსახურეობა, ბუღალტრული აღრიცხვიანობა, საინვესტიციო კაპიტალის მოძიება, პროდუქციის რეალიზაცია, მარკეტინგი.

სათბურში ყოფნის დრო დაახლოებით ორი წელია. ამ პერიოდში მეწარმემ თავისი ტექნიკური გადაწყვეტა უნდა მიიყვანოს სტადიამდე, როდესაც პროექტი განსაზღვრულია და ნაჩვენებია მისი ტექნიკური აღწარმოება და ბაზრის მოთხოვნილება, გაფორმებული უნდა იყოს ბიზნეს-გეგმა. ერთი სიტყვით, პროექტი მზად უნდა იყოს კაპიტალდაბანდებისათვის, რაც უზრუნველყოფს მის კომერციულ საფუძველზე დაყენებას და სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობას. აღსანიშნავია, რომ ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაცია შეადგენს დამტკიცებული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ღირებულების 85%-ს. ასევე სახელმწიფო ცალკე გამოყოფს დოტაციას სათბურების მართვისათვის: სათბურის დირექტორის ხელფასის, მიმდინარე ხარჯების, პროექტის შერჩევა-შემოწმების და სხვა ორგანიზაციული ხარჯებისათვის. ორი წლის გასვლის შემდეგ მეწარმეებმა უნდა შეძლონ დამოუკიდებლად მუშაობის გაგრძელება, მათ შეუძლიათ მიმართონ განვითარების პროგრამების მხარდაჭერისა და თანამშრომლობის ნებისმიერ სტანდარტულ სახეობას, რასაც აწარმოებს სახელმწიფო და, რა თქმა უნდა, საგარეო ინვესტიციებს.

გარდა ამისა, არსებობს არასამთავრობო მხარდაჭერაც. ებრაული სააგენტო («სოხნუტი») ჩართულია სათბურის მუშაობაში მისი შექმნის მომენტიდან, დებს სახსრებს შენობის, დანადგარების ასანაზღაურებლად, აგრეთვე სათბურის ადმინისტრაციული საქმიანობის განვითარებისათვის. ასევე ამ მხრივ აღსანიშნავია საზღვარგარეთული ებრაული თემების მონაწილეობა, ისინი პირდაპირ კავშირებს ამყარებენ სამზრუნველო სათბურებთან, ეხმარებიან მათ როგორც რჩევებით, ისე საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან პროფესიული და საქმიანი კავშირების დამყარებაში.

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისრაელის სახელმწიფოს ზემოთ განხილული გამოცდილება უაღრესად საინტერესო და ყურადსაღები უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვისაც, მისი დანერგვა უთუოდ ხელს შეუწყობს გამოუყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური პო-

ტენციალის ამოქმედებას და მის ჩაყენებას ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების სამსახურში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქმეში. ჩვენი აზრით, ამ მეთოდის გამოყენება სავსებით შესაძლებელია ფართო მოხმარების საქონლის (მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია) გამოშვების უზრუნველსაყოფად. ასეთი "სათბურების" განთავსება შესაძლებელი იქნება საქართველოში ახლადგახსნილი ტექნოლოგიური პარკის ტერიტორიაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბრალავა, ა., გვაჯაია, ლ., ქუთათელაძე, რ. (2015). საინოვაციო მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. თბილისი.
2. გვაჯაია, ლ. (2014). ინოვაციური ინფრასტრუქტურის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები. ჟ. "სოციალური ეკონომიკა".№5.
3. გალახვარიძე, ნ., ზარგინავა, ნ., ბარათაშვილი, ე. (2015). ინოვაციათა მენეჯმენტი. თბილისი.
4. Медынский, В. (2008). Инновационный менеджмент. Москва.


# Technologic Parks and "Business Incubators" – The Modern Forms of Merging of Science and Entrepreneurship

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.029

**Luara Gvajaia**
Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian Technic Univercity

**Key words:**
INNOVATIVE ACTIVITIES, TECHNOLOGIC PARK, SCIENCE, SMALL BUSINESS, "BUSINESS INCUBATOR", STATE, RESEARCH PROJECT

## Summary

The author considers a rich international experience in transformation of economy to the innovative mode. The problem of technologic parks of developed countries are considered, as an example of distribution of new and efficient form of merging of science and entrepreneurship.

Significant part of the article is related to experience of Jewish state in stimulation of innovative activities of small and middle-scale businesses, as well as state's role and support for establishment of so-called "business incubators". The process of establishment of "business incubators" and their particular activities are described.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

# საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის (გადაზიდვა-გადაყვანის) მართვის ეფექტიანობის მათემატიკური მოდელის დამუშავება და შეფასება

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.030

**ია გოდერძიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**დარეჯან ბიწაძე**
მათემატიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტი, გადაზიდული ტვირთები, გადაყვანილი მგზავრები

საქართველო მდებარეობს ევროპა-აზიის გასაყარზე და მის ტერიტორიას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატრანსპორტო გზების არსებობისთვის. იგი არის უმოკლესი გზა, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ ევროპას აზიასთან. სწორედ საქართველო, როგორც მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის შემადგენელი ნაწილი, გადაიქცა საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების მეტად საჭირო ქვეყნად. უნდა აღინიშნოს, რომ საავტომობლო ტრანსპორტის მაჩვენებლები მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება. 2003-2012 წლებში საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა მოცემულია ცხრილში.

*ცხრილი*

**2003-2012 წლებში საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა**

| № | წლები | საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (ათასი ტონა) | საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (მლნ. კაცი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2003 | 24500,0 | 257,0 |
| 2 | 2004 | 25700,0 | 260,0 |
| 3 | 2005 | 26959,3 | 263,1 |
| 4 | 2006 | 27261,3 | 285,7 |
| 5 | 2007 | 27561,2 | 293,5 |
| 6 | 2008 | 27864,4 | 301,4 |
| 7 | 2009 | 28170,9 | 309,5 |
| 8 | 2010 | 28480,8 | 317,9 |
| 9 | 2011 | 28794,1 | 326,5 |
| 10 | 2012 | 29110,8 | 335,3 |

**გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორები**

| № | ფაქტორები | 2003 წ. | 2004 წ. | 2005 წ. | 2006 წ. | 2007 წ. | 2008 წ. | 2009 წ. | 2010 წ. | 2011 წ. | 2012 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ. ტ.კმ) | 562,0 | 570,0 | 578,0 | 586,1 | 594,3 | 602,6 | 611,1 | 619,7 | 628,4 | 673,3 |
| 2 | საავტომობილო ტრანსპორ-ტით გადატანილი ტონა ტვირ-თის საშუალო მანძილი (კმ) | 23 | 22 | 21 | 21 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 |
| 3 | მგზავრთბრუნვა (მლნ. მგზ. კმ) | 5150,0 | 5200,0 | 5252,0 | 5269,2 | 5416,7 | 5568,4 | 5724,3 | 5884,6 | 6049,4 | 6218,8 |
| 4 | ერთი მგზავრის გადაყვანის საშუალო მანძილი საავტო-მობილო ტრანსპორტის მიხედვით (კმ) | 20,0 | 20,0 | 20,0 | 18,4 | 18,5 | 18,5 | 18,5 | 18,5 | 18,5 | 18,5 |
| 5 | მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ.ლ) | 9065,4 | 9824,3 | 11620,9 | 13789,9 | 16993,8 | 19074,9 | 17986,0 | 20743,4 | 24344,0 | 26167,3 |
| 6 | მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე (მიმდ. ფას) ლარი | 2087,5 | 2276,7 | 2689,1 | 3133,1 | 3866,9 | 4352,9 | 4101,3 | 4675,7 | 5447,1 | 5818,1 |
| 7 | მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მილიონი ლარი) | 9884,5 | 10004,9 | 11791,7 | 14102,4 | 17060,5 | 18930,2 | 17789,5 | 20102,8 | 23631,7 | 29925,6 |
| 8 | პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი) | 401,5 | 438,3 | 449,8 | 1190 | 2014,8 | 1564,0 | 658,4 | 814,5 | 1117,2 | 911,6 |
| 9 | საშ. თვიური ნომინალი ხელ-ფასი (ლარი) | 148,0 | 156,6 | 204,2 | 277,9 | 368,1 | 534,9 | 556,8 | 597,6 | 636,0 | 712,5 |
| 10 | ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი) | 2050,4 | 2041,0 | 2023,9 | 2021,8 | 1965,3 | 1917,8 | 1991,8 | 1944,9 | 1959,3 | 2029,1 |
| 11 | მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი) | 4342,6 | 4315,2 | 4321,5 | 4401,3 | 4394,7 | 4382,1 | 4385,4 | 4436,4 | 4469,2 | 4497,6 |
| 12 | სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) | 104,8 | 105,7 | 108,2 | 109,2 | 109,2 | 110,0 | 101,7 | 107,1 | 108,5 | 99,1 |
| 13 | ბიზნეს სექტორში ფიქსირებ-ული აქტივები (მლნ. ლარი) | 4863,2 | 4942,8 | 5415,1 | 6040,5 | 7935,9 | 9257,1 | 12025,8 | 13386,1 | 15538,7 | 18625,8 |
| 14 | რესურსები ტრანსპორტში (მიმდინარე ფასი ლ.) | 1271,3 | 1387,1 | 1453,1 | 1672,1 | 1889,5 | 1811,2 | 1922,4 | 2351,9 | 2619,6 | 2792,0 |
| 15 | დასაქმებულთა საშ. წლიური რიცხოვნობა ტრანსპორტის და კავშირგაბ. მიხ. (ათასი კაცი) | 40,1 | 41,3 | 42,5 | 45,4 | 49,6 | 50,3 | 51,4 | 50,4 | 51,3 | 55,1 |
| 16 | ბრუნვის მოცულობა ტრანს-პორტის და კავშირგაბმულო-ბის მიხედვით (მლნ ლარი) | 1993,5 | 2006,5 | 2135,0 | 2442,0 | 2766,4 | 3004,7 | 2558,1 | 3313,6 | 4045,8 | 4519,1 |
| 17 | გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ტრანსპორტსა და კაშვირგაბმულობაში (მლნ. ლ) | 1478,8 | 1585,4 | 1724,5 | 1806,7 | 1936,2 | 2043,6 | 2016,5 | 2388,0 | 2770,2 | 3170,3 |
| 18 | დამატებული ღირებულების მოცულობა ტრანსპ. და კავშ. სფეროში (მლნ. ლარი) | 680,6 | 783,6 | 896,1 | 1129,0 | 1157,6 | 1204,3 | 1215,3 | 1393,3 | 1610,8 | 1880,4 |
| 19 | ძირითადი აქტივები ტრანს-პორტსა და კაშვირგაბმუ-ლობაში (მლნ. ლარი) | 1520,3 | 1632,6 | 1759,8 | 2289,4 | 3036,3 | 3084,1 | 4395,3 | 4580,5 | 5230,9 | 5594,8 |
| 20 | ტრანსპორტსა და კავ-შირგაბმულობის სფეროში ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (მლნ. ლარი) | 724,3 | 853,8 | 900,0 | 965,9 | 1057,8 | 1039,7 | 266,1 | 450,8 | 245,9 | 348,6 |
| 21 | ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი) | 644902 | 646903 | 865454 | 936172 | 1232371 | 1495345 | 1133622 | 1677472 | 2189136 | 2377455 |
| 22 | იმპორტი (ათასი აშშ დოლარი) | 1785441 | 1845555 | 2489953 | 3677745 | 5214883 | 6301540 | 4500244 | 5257122 | 7057760 | 7842109 |

გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის ცვლილებაზე მოქმედებს ავტოსატრანსპორტო კომპანიის როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები. მათ შორის კავშირურთიერთობის განსაზღვრისთვის ჩვენ გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს, მის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებს და რაოდენობრივ დახასიათებას მრავალფაქტორიანი რეგრესიის მოდელის გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით.

ანალიზის ჩასატარებლად მოვიძიეთ სტატისტიკური მასალები 10 წელზე 22 ფაქტორის მიხედვით.

კორელაცია ასახავს კავშირის ფორმას, რეგრესია კი კავშირის ფორმის გამომსახველი განტოლებაა.

მათემატიკური მოდელი გამოისახება შემდეგნაირად:

$$y = f(x_i)$$

სადაც $y$ ფუნქციაა, $x_i$ - რომელიმე $i$ არგუმენტი.

ჩატარებულ კვლევაში ავიღეთ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა მათემატიკური მოდელის მიზნის ფუნქციად და აღვნიშნეთ $y_1$-ით და მასზე მოქმედი ფაქტორები არგუმენტებად, რომლებიც აღვნიშნეთ $x_1; x_2; x_3 \ldots\ldots x_{22}$.

ასევე ავიღეთ მათემატიკური მოდელის მიზნის ფუნქციად გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა, რომელიც ავღნიშნეთ $y_2$-ით და მასზე მოქმედი ფაქტორები არგუმენტებად, რომლებიც აღვნიშნეთ $x_1; x_2; x_3 \ldots\ldots x_{22}$.

მიზნის ფუნქციისა და ფაქტორებს შორის კავშირის სიმჭიდროვის დასადგენად გამოიყენება კორელაციის კოეფიციენტი. $y_1$ ფუნქციისა და $x_1$ არგუმენტის კორელაციის კოეფიციენტი აღვნიშნეთ $R_1$-თ, შესაბამისად, $y_1$ ფუნქციისა და $x_2$ არგუმენტის კორელაციის კოეფიციენტი $R_2$-თ და ა.შ. ჩატარებული გამოთვლის შემდეგ ვიანგარიშეთ $R_1; R_2; R_3 \ldots\ldots R_{22}$.

სტატისტიკურ გამოთვლებში, რაც უფრო უკავშირდება კორელაციის მნიშვნელობა 1-ს, მით უფრო ძლიერია დამოკიდებულება ცვლადებს შორის. აგრეთვე, გამოთვლებში კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა თუ აღემატება 0,5-ს, მაშინ მიზნის ფუნქციასა და ფაქტორს შორის არსებობს კავშირი, ხოლო მასზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში კავშირი უმნიშვნელოა და შემდგომ გამოთვლებში ასეთი ფაქტორები არ გაითვალისწინება.

გაზომვის რაოდენობრივი დონის კოეფიციენტებს შორის ინტენსიურად იყენებენ „პირსონის" კოეფიციენტებს, რომლის მეშვეობითაც მოწმდება სტატისტიკური ჰიპოთეზა გენერალურ ერთობლიობაში ორ ცვლადს შორის წრფივი დამოკიდებულების შესახებ. როდესაც „პირსონის" კოეფიციენტი იღებს ზღვრულ მნიშვნელობას, (-1 ან 1), ითვლება, რომ ორ ცვლადს შორის წრფივი ფუნქციური დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი (R) ორ $x$ და $y$-ს შორის ($Rxy$) გამოითვლება ფორმულით:

$$R_{xy} = \frac{M(xy) - mx\,my}{\sqrt{(M(x^2) - (MX)^2 - \sqrt{(M[y^2] - (my)^2)^2}}}$$

სადაც M მათემატიკური ლოდინია.

$$M_{[x]} = \sum_{i-1}^{n} xipi$$

n ჩვენი შემთხვევისთვის სტატისტიკურ მონაცემთა რიცხვია, $x_i$ - პერიოდისთვის მონაცემების სიდიდე, R - ცდომილების ალბათობა.

კოეფიციენტის დადებითი მნიშვნელობა ორ ცვლადს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების არსებობაზე მიუთითებს, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობა უკუპროპორციული დამოკიდებულების არსებობაზე.

ჩატარებულ კვლევაში მოცემული გვქონდა გადაზიდული ტვირთების მოცულობის ცვლილება 10 წლის განმავლობაში.

$y_1$ ფუნქციისა და $x_1$ არგუმენტის კორელაციის კოეფიციენტი ავღნიშნეთ $R_1$-თ, შესაბამისად, $y_1$ ფუნქციისა და $x_2$ არგუმენტის კორელაციის კოეფიციენტი $R_2$-თ და ა.შ. ჩატარებული გამოთვლის შემდეგ ვიანგარიშეთ $R_1; R_2; R_3 \ldots\ldots R_{22}$.

გაანგარიშებული კორელაციის კოეფიციენტებიდან შევარჩიეთ:

$R_1$=0,870377; $R_3$=0,86686; $R_5$=0,922635;
$R_6$=0,926709; $R_7$=0,878134; $R_9$=0,910914;
$R_{14}$=0,88378; $R_{15}$=0,930814; $R_{18}$=0,914013;
$R_{22}$=0,88817.

ამ კოეფიციენტების მიხედვით, $y_1$ ფუნქციაზე – მოცემულ ცხრილში გადაზიდული ტვირთების რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორებიდან ათი წლის მონაცემების მიხედვით, შევარჩიეთ ათი ფაქტორი: 1; 3; 5; 7; 9; 14; 15; 18; 22.

მოცემული გვქონდა აგრეთვე გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის ცვლილება 10 წლის განმავლობაში. $y_2$ ფუნქციის და $x_1$ არგუმენტის კორელაციის კოეფიციენტი აღვნიშნეთ $R_1$-თ და შესაბამისად, $y_2$ და $x_2$-ის კორელაციის კოეფიციენტი $R_2$ და ა.შ. ჩატარებული გამოთვლებით ვიანგარიშეთ $R_1, R_2, R_3, \ldots, R_{22}$.

გაანგარიშებული კორელაციის კოეფიციენტებიდან ჩვენს შემთხვევაში შევარჩიეთ:

$R_3$=0,958986; $R_5$=0,982394; $R_6$=0,982669;
$R_7$=0,953283; $R_9$= 0,982292; $R_{13}$=0,954283;
$R_{14}$= 0,960867; $R_{15}$=0,955347; $R_{18}$=0,962066;
$R_{22}$= 0,939835.

ამ კოეფიციენტების მიხედვით, $y_2$-ფუნქციაზე გადაყვანილ მგზავრების რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორებიდან ათი წლის მონაცემების მიხედვით შევარჩიეთ ათი ფაქტორი: 3; 5; 6; 7; 9; 13; 14; 15; 18; 22.

მათემატიკური მოდელირებისთვის საჭიროა დაზუსტდეს დამოკიდებულების წესი ფუნქციასა და მათზე მოქმედ ფაქტორებს შორის. პრაქტიკაში გამოიყენება ჰიპერბოლა, პარა-

ზოლა და წრფივი დამოკიდებულება.

რამდენადაც ფუნქციაზე მოქმედი ფაქტორები ჩვენს შემთხვევაში სიმრავლით გამოირჩევა, მიზანშეწონილია, ავირჩიოთ წრფივი დამოკიდებულება, ანუ ფუნქციას ექნება სახე:

$$y=a_1x_1+a_2x_2+.....a_{10}x_{10}$$

კორელაციური კავშირის განსაზღვრის შემდეგ მათემატიკური მოდელისათვის ჩავატარეთ გამოთვლები. განტოლებათა სისტემა ამოვხსენით „კრამერის“ მეთოდით.

შესწავლილი მაჩვენებლების მიხედვით $y_1$ ფუნქციის მიხედვით პირველ განტოლებათა სისტემის ამონახსნი შემდეგია:

მოცემული მართვის სისტემის გადაწყვეტილებას აქვს შემდეგი სახე:

$x_1$=118,6056458; $x_2$=-8,432797323;
$x_3$=2,958619345; $x_4$=-3,574842381;
$x_5$= -0,776950278; $x_6$= -6,337316812;
$x_7$= -4,8701984; $x_8$=1,544746151;
$x_9$=-0,918593775; $x_{10}$= -0,001519865.

შესასწავლი მაჩვენებლების მიხედვით, $y_2$ ფუნქციის მიხედვით მეორე განტოლებათა სისტემის ამონახსნი შემდეგია:

მოცემული მართვის სისტემის გადაწყვეტილებას აქვს შემდეგი სახე:

$x_1$= 0,030727686; $x_2$= 0,061934919;
$x_3$= -0,26811071; $x_4$=-0,003729891;
$x_5$= 0,073879707; $x_6$= -0,002708699;
$x_7$= -0,008817877; $x_8$=3,344335438;
$x_9$=0,022242641; $x_{10}$=-0,0000109.

მათემატიკური მოდელი საავტომობილო ტრანსპორტის მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობისთვის იქნება:

$$y_1=118,61x_1-8,43x_2+2,96x_3-3,57x_4-0,78x_5-6,34x_6-4,87x_7+1,54x_8-0,92x_9-0,00x_{10}$$

ხოლო მათემატიკური მოდელი საავტომობილო ტრანსპორტის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობისათვის იქნება:

$$y_2=0,03x_1+0,06x_2-0,27x_3-0,00x_4+0,07x_5-0,00x_6-0,01x_7+3,34x_8+0,02x_9-0,00x_{10}$$

სადაც $y_1$ არის გადაზიდული ტვირთების რაოდენობა, $y_2$ კი გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა.

გადაზიდული ტვირთების რაოდენობის მოდელი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობაზე დადებით გავლენას ახდენს: $x_1$, $x_3$ და $x_8$ ფაქტორი. ყველაზე მეტ გავლენას ახდენს საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა, რომლის გაზრდა გადაზიდული ტვირთების რაოდენობას გაზრდის 118 ათასი ტონით.

აღსანიშნავია აგრეთვე $x_3$- ფაქტორი – მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა, რომლის ერთი მილიონი ლარით გაზრდა, გადაზიდული ტვირთების რაოდენობას მკვეთრად გაზრდის.

ზემოთ აღნიშნული ორივე ფაქტორი მეტად საინტერესოა.

ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ფაქტორების უარყოფით მაჩვენებლებს, იგი მიუთითებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მოდელი კი საშუალებას გვაძლევს ჩამოვთვალოთ ის $x_1$, $x_2$, $x_5$, $x_8$, $x_9$-ფაქტორები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე, რომელთაგან აღსანიშნავია $x_8$-ფაქტორი, დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, რომლის ათასი კაცით გაზრდა გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას საგრძნობლად გაზრდის. გასათვალისწინებელია დანარჩენი უარყოფითი ფაქტორები, რომელთა მოქმედების შესუსტებისათვის უნდა დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები.

ამგვარად, ამ ორი მიზნის ფუნქციის ანალიზმა საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელებული ტვირთთა გადაზიდვების და მგზავრთა გადაყვანის მოცულობების დაგეგმვისას მენეჯმენტის მიერ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გადაზიდვა-გადაყვანების მოცულობების ზრდას. ამავე დროს, გაიზომოს და შეფასდეს უარყოფითი ფაქტორების გავლენა და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები მათი მოქმედების შესუსტებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Леонтьев, Н. А. (1966). Техника статистических вычислений. М.:Лесная промышленность.
2. გაბიძაშვილი, ბ. (1994). სტატისტიკის ზოგადი თეორია. თბილისი..
3. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Statistical%20Yearbook%20Georgia2009.pdf 15.02.2012w.
4. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Statistical%20Yearbook_2010.pdf 10.06.2012
5. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_Geo_2011.pdf 09.09.2012
6. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_Georgia_2012.pdf 12.02.2013
7. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_Geo_2013.pdf 17.01.2014

# Elaboration and Assessment of Mathematical Model of Efficient Management of Activity (Conveyance) of Automonile Transport of Georgia

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.030

**Ia Goderdzishvili**
Doctor of Economics,
European Teaching University Assistant Professor

**Darejan Bitsadze**
Doctor of Mathematics,
European Teaching University Professor

**Key words:**
THE MOTOR TRANSPORT, CARGO, PASSENGERS

## Summary

Considered analysis of double-purpose function gives us a possibility to make conclusion that during planning of volumes of cargo transportation and passenger carriage carried out by automobile transport the management has necessarily to take into account the factors which will promote the transportation volume growth. At the same time it is necessary to measure and assess the effect of negative factors and to set out specific measures on mitigation of their action.

# ორგანიზაციულ სისტემებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და მოდელის დამუშავება რეგიონის მდგრადი განვითარების მაგალითზე

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.031

**მზია კიკნაძე**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ზურაბ გასიტაშვილი**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ლილი პეტრიაშვილი**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ორგანიზაციული სისტემა, ფაქტორული ანალიზი, რეგიონის მდგრადი განვითარება

ორგანიზაციულ სისტემებში მართვის პროცესში იქმნება გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა, ასეთ სისტემებში სიტუაციის განვითარების კანონები და კანონზომიერებები აღიწერება ხარისხობრივად. მათში იქმნება სიტუაციები, სადაც სიტუაციების განვითარების დინამიკა არ ექვემდებარება კანონზომიერებებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ ექსპერტები და ანალიტიკოსები. ისინი გადადაწყვეტილების მიღებისთვის ეყრდნობიან საკუთარ გამოცდილებას და ინტუიციას.

ორგანიზაციული სისტემის შექმნის, განვითარების და რეალიზაციისთვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დაპროექტების წინ მისი ანალიზი და მოდელირება. თანამედროვე დიდ მასშტაბიანი რთული სისტემების განვითარებამ გამოიწვია მათი მოდელირების მეთოდოლოგიისადმი დიდი ინტერესი. მასში იგულისხმება სისტემის მოდელის აგება და ანალიზი.

რთული ორგანიზაციული სისტემების ანალიზისას შეიძლება ჩამოვაყალიბოთ იმ მიზნებისა და ფაქტორების სიმრავლე, რომელიც დგას სისტემის წინაშე.

სისტემის მიზნების ოპტიმალური ნაკრების არჩევა და სისტემის ფუნქციონირების მიღწევის ინფორმაციული ტექნოლოგია შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

**სისტემის მიზნის სტრუქტურირება.** რაც ნიშნავს, რომ გამოიყოფა სისტემის ფუნქციონირების მთავარი ანუ გლობალური მიზანი. მას მიენიჭება ნულოვანი დონე, რომლის დეკომპოზირება ხდება ქვემიზნებად.

*ცხრილი 1*

| აღნიშვნა | მნიშვნელობა |
|---|---|
| $C_0$ | რეგიონის მდგრადი განვითარება |
| **$C_1$** | **სოციალური ინდიკატორი** |
| $C_{11}$ | სიღარიბესთან ბრძოლა (%) |
| $C_{12}$ | დემოგრაფიული დინამიკა (%) |
| $C_{13}$ | განათლების, კადრების მომზადების და საზოგადოების ინფორმაციულობისთვის ხელშეწყობა (%) |
| $C_{14}$ | მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა (%) |
| $C_{15}$ | მოსახლეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (%) |
| **$C_2$** | **ეკონომიკური ინდიკატორი** |
| **$C_3$** | **ეკოლოგიური ინდიკატორი** |
| **$C_4$** | **ორგანიზაციული ინდექსი** |

მთავარი მიზანი (რომელიც გახლავთ გლობალური მიზანი) რეგიონის მდგრადი განვითარება, რომელიც ავღნიშნოთ - $C_0$ და რომელსაც მივანიჭებთ ნულოვან დონეს. შემდეგ ანუ პირველ დონეზე მოვახდინოთ ამ მიზნის დეკომპოზიცია $C_1$, $C_2$, $C_3$ და $C_4$ ქვემიზნებად, მეორე დონის ქვემიზნები იყოფა ($C_{11}$, $C_{12}$, ..., $C_{21}$, ... $C_{31}$, ...) ქვემიზნებად. ცხრილი 1-ში მოყვანილია რეგიონის მდგრადი განვითარებზე მოქმედი ფაქტორების – მიზნების და მისი ქვემიზნების მნიშვნელობების (ნაწილი).

აღნიშნული მიზნების და ქვემიზნების მიზნის ხეს ექნება სახე (ნახ.2).




ნახ.2 მიზნების და ქვემიზნების მიზნის ხე

**სისტემის მიზნისთვის წონის მინიჭება.** მიზნის რანჟირებისათვის თითოეული მათგანის შეფასება ხდება რიცხვითი სიდიდით - მათი „წონებით", რომლებსაც ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი განათავსებს და ნიშნავს. ასეთი შეფასება სუბიექტურია. მიზანი ტექსტური წინადადებით აღიწერება და შესაძლებელია მოიცავდეს რიცხობრივ მაჩვენებელსაც. ამ მეთოდს ეწოდება იერარქიის ანალიზის მეთოდი,

მიზნების ურთიერთქმედების შეფასებისთვის (ხეზე წვეროების წონების შემოსაღებად) იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიზანი ექსპერტთან შეთანხმებით შემოვიღოთ შეფასების ქულები. Ci და Cj მიზნების ურთიერთქმედების ძალა შევაფასოთ სიტყვიერი (ლინგვისტური) ფორმულირებით და გამოვხატოთ რაოდენობრივად [1-10] ინტერვალში.

მიზნის ხის ყოველი ფრაგმენტისთვის დაწყებული ნულიდან შევადგინოთ კვადრატული მატრიცა $R=||r_{ij}||$.

მატრიცის სვეტები შეესაბამება ხის წვეროებს. მარცხენა სვეტში სულ ზედა უჯრაში მოცემულია ძირეული წვეროს წონა ($C_0$ გლობალური მიზნისთვის წონა $W_0=1$). Ci სტრიქონის და Cj სვეტის გადაკვეთაზე ეთითება $r_{ij}$-ის მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა ტოლია 1-ის თუ Ci=Cj. თუ Ci უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე Cj მაშინ ეთითება $b_{ij}$, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ Ci ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე Cj და ეთითება $1/b_{ij}$.

გამოყოთ ზემოდან ქვემოთ ორდონიანი ფრაგმენტები, რომლებიც შედგება ძირეული

წვეროსგან და ამ წვეროს ინციდენტური წვეროებისგან. იმ ფრაგმენტს, რომელშიც შედის ხის ძირეული წვერო მივანიჭოთ ნულოვანი რანგი. ამ ფრაგმენტის ქვედა დონის წვეროები წარმოადგენენ ძირეულს პირველი რანგის წვეროებისთვის.

ნულოვანი რანგი აქვს მიზნის ხიდან ფრაგმენტს ($C_0$, $C_1$, $C_2$, $C_3$, $C_4$). პირველი რანგი აქვს მიზნის ხიდან ფრაგმენტებს: ($C_1$, $C_{12}$, $C_{13}$, $C_{14}$, $C_{15}$), ($C_2$, $C_{21}$, $C_{22}$, $C_{23}$), ($C_3$, $C_{31}$, $C_{32}$, $C_{33}$, $C_{34}$, $C_{35}$), და.ა.შ.

განხილულ მაგალითში 0-ვანი ფრაგმენტის შესაბამის განტოლებათა სისტემებს აქვს სახე

$$w_1 = \frac{1}{4}(w_1 + 3w_2 + 3w_3 + 3w_4)$$

$$w_2 = \frac{1}{4}\left(\frac{1}{3}w_1 + w_2 + 3w_3 + 3w_4\right)$$

$$w_3 = \frac{1}{4}\left(3w_1 + \frac{1}{3}w_2 + 3w_3 + 3w_4\right)$$

$$w_4 = 1 - (w_1 + w_2 + w_3 + w_4)$$

ამ განტოლებათა სისტემის ამოხსნი შედეგად მიიღება $C_1$, $C_2$, $C_3$, $C_4$ მიზნებისათვის მიზნის წონები.

ასეთი განტოლებათა სისტემები დგება სხვა ფრაგმენტებისთვისაც პირველი რანგის ფრაგმენტისთვის ($C_1$, $C_{12}$, $C_{13}$, $C_{14}$, $C_{15}$) და ა.შ. განტოლებათა სისტემის ამოხსნის შედეგად მიიღება $C_{11}$, $C_{12}$, $C_{13}$, $C_{14}$, $C_{15}$ მიზნებისათვის მიზნის წონები.

**სისტემის ლოკალური მიზნების მინიმიზება**. რადგან მარტივი მიზნები და ფაქტორები შეიძლება ძალზე ბევრი გახლდეთ, საჭიროა, ჩატარდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნებისა და ფაქტორების რიცხობრივი შეფასებები და რანჟირება, რათა მოხდეს ყველაზე ეფექტურის (მიზნის და ფაქტორის) შერჩევა. ლოკალური მიზნების ურთიერთდამოკიდებულების კოგნიტური რუკის შესადგენად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ცხრილში სვეტები

| მიზნები | C1 | C2 | C3 | C4 | C11 | C12 | C13 | C14 | C15 | C21 | C22 | წონები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| C1 | +1. | | | | +0. | -0.7 | +0. | +0. | +0. | | | 0.5000 |
| C2 | | +1. | | | | | | | | +0. | 0 | 0.2778 |
| C3 | | | +1. | | | | | | | | | 0.1543 |
| C4 | | | | +1. | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | | | 0.0679 |
| C11 | -0.5 | 0 | 0 | 0 | +1. | 0 | 0 | 0 | 0 | | | 0.2143 |
| C12 | +0. | 0 | 0 | 0 | | +1. | | | | | | 0.1327 |
| C13 | +0. | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | +1. | | | | | 0.0821 |
| C14 | +0. | 0 | 0 | 0 | | 0 | | +1. | | | | 0.0508 |
| C15 | +0. | | | | 0 | 0 | 0 | 0 | +1. | | | 0.0201 |

ნახ.3 კოგნიტური რუკის ფრაგმენტი

და სტრიქონები შეესაბამებიან ლოკალურ მიზნებს. ანალიზის შედეგად და ექსპერტებთან შეთანხმებით მიღებულ კოგნიტურ რუკა, რომელსაც მოცემული ფრაგმენტისათვის აქვს სახე (ნახ.3)

კოგნიტურ რუკაზე მიზნების შორის ურთიერთგავლენის დასადგენად შემოგვაქვს რიცხობრივი მაჩვენებლები - გლობალური ($C_0$) და ლოკალური მიზნების (Cj) მიღწევადობის ხარისხი, რომელსაც განხილული ნულოვანი რანგის მიზნის ხის ფრაგმენტისათვის აქვს სახე:

$$(C_0) = \sum_{j=1}^{N} (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W \; + \alpha_{14}) \cdot W_3 +$$

$$= (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_1 + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_2 + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_4 = 3{,}5101$$

აღნიშნული გამოთვლების შესრულების შემდეგ $J(C_0)$=3,501

მიზნის ქვესიმრავლეების მიღწევის ხარისხი, მათი ურთიერთგავლენის გათვალისწინებით გამოისახება ფორმულით;

$$J(C^*) = J(c_{ji}) + \cdots + J(c_{jk})$$
$$J(C^*) = J(c_{ji}) + \cdots + J(c_{jk})$$

$J(C^*)$ მაქსიმალური დასაშვები მნიშვნელობა ავღნიშნოთ Δ. და ის განხილულ შემთხვევაში ტოლია 0.2101

მინიმიზაციის ამოცანა ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად უნდა ვიპოვოთ C* C, ისე რომ ერთდროულად შესრულდეს შემდეგი პირობები $J(C^*) \leq \Delta J(C^*) \leq \Delta$

$$|C^*| = max$$

აღნიშნული გათვლების გათვალისწინებით მივიღებთ ლოკალური მიზნების მინიმიზების შედეგს E={$b_1$, $b_2$, $b_3$, $b_4$, $b_5$, $b_6$, $b_7$, $b_8$}, რაც ნიშნავს რომ 150-ზე მეტი ფაქტორიდან შერჩეული იქნება უფრო მნიშვნელოვნები, ანუ ისინი, რომლებიც მეტ გავლენას ახდენს რეგიონის მდგრად განვითარებაზე $b_1$, $b_2$, $b_3$, $b_4$, $b_5$, $b_6$, $b_7$, $b_8$.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Владиславлев, П. (2005).Выбор оптимального сценария поведения организационных систем // «Управление большими проектами». Сборник трудов. Под ред. Д.А. Новикова ИПУ РАН, М.
2. Буч, Г. (1998). Объектно-ориентированный анализ и проектирование с примерами приложений на С++. 2-е изд-е: Пер. с англ. М.: Издательство Бином. СПб.: Невский диалект.
3. Губко, М., Новиков, Д. (2002). Теория игр в управлении организационными системами. М. :СИНТЕТ.
4. Ларичев, О. (2000). Теория и методы принятия решений, а также хроника событий в Волшебных Странах. М.: Логос.

# Development of Organizational Model of Effective Management of Region's Sustainable Development

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.031

**Mzia Kiknadze**
Doctor of Technics,
Professor of Georgian Technical University

**Zurab Gasitashvili**
Doctor of Technical Sciences,
Professor of Georgian Technical University

**Lili Petriashvili**
Doctor of Technics,
Professor of Georgian Technical University

**Key words:**
ORGANIZATIONAL SYSTEM, FACTOR ANALYSIS, THE REGION'S SUSTAINABLE DEVELOPMENT

## Summary

Regional economics considerably determines the regional development. Regional development is characterized with factors of such development. Therefore, degree of impact of factors (indicators) of regional development on the criterions of regional development should be studied to determine the problems of management of regional development. Criterions of regional development are many, so we have inconceivably large range of scenarios in simulated experiment. The work tries to develop the sub-range of factors with high magnitude (high degree of impact) from the range of factors of regional development. This sub-range will be basis for studying economics of regional development and it's very actual problem. Simulation of social-political situations is effectively used for studying these problems. The work considers the tasks of modeling and studying economical sustainability on the basis of control impact and different types of experiments.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

# ინოვაციები - ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.032

**ნინო მაზიაშვილი**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:**
ინოვაციები, მსოფლიო ეკონომიკა, ახალი ტექნოლოგიები

მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი, რადგან ისინი არსებითად ცვლიან მსოფლიო მეურნეობას და ხელს უწყობენ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას. ინოვაციები ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაცია პრაქტიკაში ალიქმება როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში და გულისხმობს შემოქმედებითი (ინტელექტუალური) საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას. ინოვაციური პროცესი, როგორც ერთიანი სისტემა, საწარმოო-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობით ხასიათდება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ამას ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომელთაც თავიანთი სიძლიერე რადიკალური ინოვაციების საფუძველზე მოიპოვეს. ასე მაგალითად, ინგლისისთვის ეს იყო ინდუსტრიული მანქანა და აქტიური ქვეყანათაშორისი ვაჭრობა, ამერიკისთვის - ფორდის კონვეიერი და ყოვლისმომცველი ინფორმატიზაცია, იაპონიისთვის - მაგნიტოფონი „სონი" და ხარისხის უმკაცრესი კონტროლი.

იაპონური კორპორაციები წარმოადგენენ მსოფლიო ლიდერებს ინოვაციების თვალსაზრისით. იაპონიაში გამოშვებული მანქანები ყველაზე ეკონომიურია მსოფლიოში საწვავის მოხმარების მიზნით, ხოლო საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ყველაზე ეკონომიური ელექტროენერგიის თვალსაზრისით. ეს კი ინოვაციის შედეგია.

ინოვაციები ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტის შექმნაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, შეუძლებელია ახალ ეკონომიკაში გადარჩენა მის გარეშე. საწარმოების ინოვაციური საქმიანობა მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული და მისი მამოძრავებელი ძალაა. ნებისმიერი სახის ინოვაციური საქმიანობა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერასა და წახალისებას საჭიროებს. დასავლეთის ქვეყნებში ამას ახორციელებენ. მაგ. აშშ, ისრაელი, იაპონია. აქ არსებობენ მთელი რიგი ორგანიზაციები, ცენტრალურ და კომერციულ ბანკებთან და სადაზღვევო ფონდებთან ერთად, რომლებიც მხარს უჭერენ ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას.

ინოვაციური ბიზნესი მიმზიდველია, რადგან იგი აუმჯობესებს მეწარმეობის ყველა სფეროს საქმიანობას, ორიენტირებულია მომხმარებელთა კონკრეტულ მოთხოვნილებაზე და აქვს შეჯიბრებითი ხასიათი. იგი კაპიტალტევადი პროცესია. მისი დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს რო-

გორც საკუთარი, ისე მოზიდული და ნასესხები. ინოვაციების ეფექტიანობა ინვესტიციების პორტფელის ოპტიმალურად შედგენაზეა დამოკიდებული, რის გამოც საწარმოებს ამ წყაროების გონივრულად კომბინირება უწევთ. მსხვილ კორპორაციებს აქვთ იმის მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობები და ჰყავთ იმ დონის კვალიფიკაციური პერსონალი, რომ უზრუნველყოფენ ინოვაციური პროცესის უწყვეტობას და ლიდერობას საკუთარ და მსოფლიო ბაზარზე.

ინოვაციური ბიზნესია „ვენჩური". მას რისკიან ბიზნესს უწოდებენ. „ვენჩური," ერთი მხრივ, გამოხატავს საწარმოს, ხოლო მეორე მხრივ, რისკს, ასეთი ორმაგი გაგება სიმბოლურია, რამდენადაც სახსრების გარკვეული რაოდენობა ჩაიდება არც ისე ცნობილ საწარმოში, რაც ბუნებრივია ძალიან მაღალი რისკის შემცველია. თავის მხრივ, ახალი კომპანიის დასაფინანსებლად ხდება კაპიტალის მოზიდვა არა ბიუჯეტიდან, არამედ კერძო მეწარმისგან. ძირითადი მიზანი ვენჩურული დაფინანსებისა, მდგომარეობს იმაში, რომ ერთი, მეწარმის კაპიტალი და მეორე, მეწარმის ინტელექტუალური კაპიტალის რეალურ სფეროში გაერთიანების შედეგად მიღებული იქნას მოგება.

"ინოვაცია" - ყველა ფირმის წარმატების ნიშანია, ინოვაცია შეიძლება ვუწოდოთ, როგორც ბიზნესის წარმოების პროცესის გაუმჯობესების ცალკეულ წინადადებას, ასევე იმ ახალ პროდუქციას, რომელიც ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შესაბამისად, ინოვაცია გაზომვადი სასიცოცხლო ციკლის საწყის და საბოლოო წერტილს შორის არსებობს. აქედან გამომდინარე, ის ფირმები არიან წარმატებულნი, რომლებიც თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე ინოვაციის დანერგვისაკენ მიისწრაფვიან. დღეს, როდესაც მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტემპი მუდმივად მზარდია, ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავლისათვის ინოვაცია სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ინოვაციებსა და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ კონცეფციებში, ხოლო ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება დღეს ყველა ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა. თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე გაწეული ხარჯები, ვითარდება მსოფლიო ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური სექტორი, ყალიბდება კომპანიების ახალი ტექნოლოგიური საფუძვლები.

ინვესტიციები ინოვაციებში უაღრესად აქტუალური პრობლემაა, რადგან ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპებზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს. ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისთვის მიზანშეწონილ დონემდე, ანუ კომერციალიზაციას. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია". ვენჩურულმა ბიზნესმა დაანგრია სტერეოტიპი, რომ მსოფლიოში ყველაზე მომგებიანი და რისკიანი ბიზნესია, ნავთობის, იარაღის და ნარკოტიკის ბიზნესი.

ვენჩურული ბიზნესის პრინციპები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ვენჩურული კომპანიები არ არსებობდნენ, მაგრამ მარტოხელა მევახშეები, იღბლიანი ნეგოციანტები და მდიდარი ფეოდალები (მათი ადგილი შემდგომ ბანკებმა დაიკავეს) საზღვაო სავაჭრო ოპერაციებს აფინანსებდნენ.

ვენჩურული ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ცენტრალურ კალიფორნიაში შექმნილმა „სილიკონის (კაჟბადის) ველმა" ითამაშა. „სილიკონის ველში" 1950 წელს 300 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა. ეს ადგილი ხილის ბაღებით იყო ცნობილი, რომელთაც ადგილობრივი ფერმერებისთვის 65 მლნ შემოსავალი მოჰქონდათ. ინტენსიური მებაღეობის შედეგად ცენტრალური კალიფორნია XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის სწრაფად მზარდი რეგიონების ათეულში შედიოდა. აქ იკრიფებოდა შავი ქლიავის მსოფლიო მოსავლის დაახლებით 1/3. „სილიკონის ველის" ჩამოყალიბებაში პრინციპული როლი ამ ტერიტორიაზე მდებარე სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტმა ითამაშა. მისი „პირველი საპატიო მამა" გამოჩენილი ელექტროტექნიკოსი პროფ. ფრედერიკ თერმანია (XX საუკუნის 50იანი წლების დასაწყისში ფრედერიკ თერმანი სტენდფორდის უნივერსიტეტის რექტორი გახდა და „სილიკონის

ველის" ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ითამაშა). ეს კითხვა ძალიან ბევრ ადამიანს მოსდის თავში ტერმინის, "სილიკონის ველი", გაგონებაზე. ძალიან ცოტამ თუ იცის რა იმალება ამ სახელის უკან, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველაზე რევოლუციური გამოგონებები, რომლებიც ყოველდღიურად ახდენენ ზეგავლენას ჩვენს ცხოვრებაზე, ამ "ველზე" ხდება. რთულია, წარმოვიდგინოთ თანამედროვე ცივილიზაცია სილიკონის მდელოს გარეშე. ეს არის ნახევარგამტარებზე დაფუძნებული მიკროელექტრონიკის ინდუსტრიის სამშობლო. ეს რეგიონი წლების განმავლობაში იქცა მსოფლიოს უდიდესი ტექნოლოგიური კორპორაციებისა და სტარტაპების სამშობლოდ. თავად ტერმინი ამ რეგიონში სილიკონისაგან დამზადებული ჩიპების გამომგონებლებისა და მწარმოებელთა დიდმა რაოდენობამ წარმოშვა. დღეისათვის ტერმინი "სილიკონის ველი" ამერიკის მაღალტექნოლოგირი სექტორის სინონიმად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ზოგადად, მთელ მსოფლიოში, უამრავი მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური ცენტრი წარმოიშვა, სილიკონის ველი მუდამ რჩება ტექნოლოგიური ინოვაციების მთავარ ძალად.

ფრედერიკ ტერმანი საკუთარ სტუდენტებს გამუდმებით უბიძგებდა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საკუთარი ბიზნესი დაეარსებინათ. სტუდენტების უმეტესობა დეკანის რჩევას ითვალისწინებდა და შედეგად, სტენფორდის უნივერსიტეტის კამპუსის გარშემო სტარტაპების დიდმა რაოდენობამ დაიწყო გამოჩენა. სწორედ აქედან წარმოიშვა ისეთი მაღალტექნოლოგიური კომპანიები, როგორებიცაა "ჰიულეტ-პაკარდი" (Hewlett-Packard) და "ვარიან ასოსიეიტს" (Varian Associates) სწორედ აქედან იღებს სათავეს სილიკონის ველი. ფრედერიკ ტერმანს ხშირად "სილიკონის ველის მამასაც" კი უწოდებენ ამ ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ცენტრის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის.

დღეისათვის, სილიკონის ველზე განთავსება სტრატეგიულ მიზნად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანებისათვის. აქ თავს იყრის ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Facebook, Google, Cisco, Yahoo!, Oracle, Apple, Adobe Systems, eBay, Intel, Twitter და ა.შ გარდა იმისა, რომ აქ მიიღება მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური გამოგონებები, სილიკონის ველი ცნობილია ინკუბატორებისა და ბიზნესის ხელშემწყობი დამაჩქარებლების დიდი რაოდენობით.

ინოვაციური ბიზნესისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური თავისებურებები: კაპიტალდაბანდებათა ობიექტების როლში სარისკო პროექტების წარმოდგენა; კაპიტალის პორტფელური მართვა; სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბანდება ინოვაციური ფირმის საწესდებო კაპიტალში; ვენჩურული კაპიტალისტის აქტიური მონაწილეობა პროექტის მართვაში ან მის მიერ საიმედო კონტროლის უზრუნველყოფა; პროექტის სიმწიფის ფაზაში ბიზნესიდან ვენჩურული კაპიტალისტის წინასწარ განსაზღვრული გამოსვლა. დაფინანსების მოცულობები განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ მოცულობებს აღწევს. მაგალითად, აშშ-ში უკანასკნელ წლებში ვენჩურული ინვესტიციების წლიური მოცულობა საშუალოდ 50 მლრდ დოლარის დონეზეა, ევროპულ ქვეყნებში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ – მათი მოცულობა 10 მლრდ $-ს არ აღემატება. ევროპაში ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის ეს სახეობა ჯერჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან, არ გაგვაჩნია ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე, ფინანსური ინფრასტრუქტურა. ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობა - განვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალისტის მუშაობის მთავარი პრინციპი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ვენჩურული ბიზნესის განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია. საამისოდ, უპირველესად, უნდა ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი და შეიქმნას ვენჩურული ფონდები. გასათვალისწინებელია აშშ-ს გამოცდილება. საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან მიზანშეწონილია შეიქმნას ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული ფირმების პროტოტიპები იქნებიან. ბიზნესინკუბატორები უზრუნველყოფენ დასაქმებას.

საქართველოს, როგორც ადამიანისეული კაპიტალით მდიდარ ქვეყანას, გააჩნია ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი

რესურსი, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელია სერიოზული აღმავლობა. უკვე დღეს საჭიროა იმის გაგება, რომ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ვექტორი ადამიანისეული კაპიტალით უნდა განისაზღვროს. საქართველოს სჭირდება ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას. ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ბაზარზე თავისი ღირსეული ადგილი სწორედ ამ სექტორით უნდა დაიმკვიდროს.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის უნდა გამოიძებნოს სათანადო სახსრები. სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა კერძო სექტორმა უნდა მიიღოს. უნდა ვიზრუნოთ, რომ დარგობრივი ინსტიტუტები გადაიქცეს კერძო კომპანიების საკუთრებად, მათი ბიზნეს სქემების ნაწილად, რომელთა საქმიანობა ბაზრის მოთხოვნაზე იქნება ორიენტირებული. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა უნდა ავიყვანოთ ეროვნული იდეოლოგიის რანგში.

საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას „ტვინების გადინება", ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი ხელფასები, რადგან განვითარებული ქვეყნები ცდილობენ საუკეთესო მეცნიერების, სპეციალისტების მიზიდვას და ასეთი სახით ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვებას. უფრო განვითარებული სამყაროს პროგრესი მიმდინარეობს „ასათვისებელი" ქვეყნების დეგრადაციის ხარჯზე. საქართველოს წინაშეც დგას ასეთი საშიშროება და მისი თავიდან აცილება პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითაა შესაძლებელი. ამაში კი თავისი წვლილი ვენჩურულმა ბიზნესმაც უნდა შეიტანოს.

ასევე საინტერესოა ბიზნეს-ანგელოზები, როგორც ინოვაციურ პროექტებში კერძო ინვესტორები, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ სარისკო ინოვაციურ ბიზნესებში, მისი განვითარების ადრეულ, ჩათესვის სტადიაზე. ამასთან, ერთ პროექტში ინვესტიციების მოცულობა, როგორც წესი, მილიონ დოლარს არ აღემატება. ყველაზე ხშირად „ანგელოზებად" ფიზიკური პირები გვევლინებიან, თუმცა, შეიძლება იურიდიული პირებიც იყვნენ. ამ უკანასკნელთ, ძირითადად, მცირე ზომის საინვესტიციო ფირმები წარმოადგენენ, რომლებიც საკუთარ კაპიტალს პროექტის ჩათესვის სტადიაზე აბანდებენ. „ანგელოზურ" ფორმატში ასევე ვხვდებით მსხვილი კორპორაციების ინვესტიციებსაც - ამ შემთხვევაში საუბრობენ „კორპორატიულ ბიზნეს-ანგელოზებზე". როგორც წესი, ბიზნეს-ანგელოზი უნდა ფლობდეს ინვესტირებულ კაპიტალზე მნიშვნელოვნად მეტ დანაზოგს, რათა პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში შეინარჩუნოს ცხოვრების არსებული დონე და შესძლოს შემდგომი კომერციული აქტივობა.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად უზრუნველყოფს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. ინოვაციების დანერგვა არის ბიზნესის მართვის უმაღლესი კატეგორიის პროცესი, რომელშიც ჩართულია მაღალი ინტელექტით გამორჩეული მეწარმეები. ასეთები კი ცოტაა. საჭიროა ასეთი კადრების მომზადება, მათთვის ტრენინგების ჩატარება.სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამისათვის შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები (ეკონომიკური განვითარების ოფისი, ინოვაციური ცენტრი, სააგენტოები), რომელთა საქმიანობა მიმართულია ახალი კომპანიების დაარსებისა და მათი წარმატებული საქმიანობის ხელსაყრელი პირობების ხელშეწყობისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან სამუშაო ადგილებს და აწარმოებენ კონკურენტულ პროდუქციას. ფართო გაგებით სილიკონის ველი (ტექნოპარკი, სამეცნიერო პარკი, მაღალი ტექნოლოგიების პარკი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ზონა, ინდუსტრიული პარკი, ინოქალაქი, ტექნოპოლისი დაა.შ.) არის მაღალტექნოლოგიური ზონა, სადაც კონცენტრირებულია მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის ობიექტები. ეს არის ინოვაციური კომპანიების აგლომერაცია, რომლებიც განთავსებულნი არიან მსხვილ უნივერსიტეტებთან და კვლევით ლაბორატორიებთან. ეს ყველაფერი ერთად იძლევა ინოვაცური ბიზნესის განვითარების საშუალებას,რაც ჩვენი მომავალი წარმატებული ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://siliconvalley.com
2. ჯავრიშვილი, ი. საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.
3. მესხია, ი. (2011). ბიზნესის საფუძვლები. თბილისი.

# Innovations as the Main Driving Force for the Development of National and World Economy

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.032

**Nino Maziashvili**
Doctor of Economics,
Associate Professor

**Key words:**
INNOVATIONS, THE WORLD ECONOMY, NEW TECHNOLOGIES

## Summary

Due to the growth of the population and their needs is increased role of scientific and technical advances and technological innovation. As they are changing and are promoting world of economy and economic growth. Innovation is the main driving force for the development of national and world economy. Innovative process as a unified system, characterized by unity of industrial-technological, organizational and socio-economic. The conditions of market economy, without innovation there is no growth. This is confirmed by Example of the developed countries, Who gained their strength based on radical innovations . Innovation is focused on creating new technologies and products. Any kind of activity needs to support and encourage innovation by the state, 'cause innovative business activity improves Entrepreneurship in all areas, it's focused on specific customer needs and have a competitive character. It includes the process of capital. Innovation depends on the effectiveness of optimally designing investment portfolio. Innovation depends on the effectiveness of optimally designing investment portfolio, Which is why companies have to combine these sources wisely. Large corporations have the material and financial resources and have qualified staff to ensure the continuity of the process of innovation and leadership in the world and in their own market.

Also is the problem of investment in innovation, As it is difficult to attract investment in innovative projects. Investing is a long-term nature and the lack of profitability in the first stages, as well as the risk that these investments may prove to be futile.

Georgia is a country rich in human capital. It has a very important resource for economic development, and use reasonable of it makes serious development. Georgia needs a national policy, which leads to the formation of a powerful innovative sector. In this sector, our country should establish their place in the world market. We should find the necessary funds for the formation of the national innovation system. In this process should take an active part of the private sector with the government. We should take care that the sectoral institutions become private of property companies, have become part of their business schemes, whose work will be focused on market demand. The country's innovation policy should take the capacity of the national ideology.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

# ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი საკითხები გლობალიზაციის პირობებში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.033

**ლამარა ქოქიაური**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**საკვანძო სიტყვები:**
ინოვაციები, ინოვაციური პოლიტიკა, ფუნდამენტური კვლევა, სამეცნიერო-კვლევითი, საკონკურსო დაფინანსება, ვენჩერული კაპიტალი

სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური პოლიტიკა, რომელიც არის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ელემენტი, ინოვაციურ პოლიტიკასთან ერთად გავლენას ახდენს ინოვაციური სფეროს სუბიექტების ინოვაციურ საქმიანობაზე. მათი წარმატებული რეალიზაცია ადასტურებს, რომ ინოვაციები გარდაუვალია და მართვადია. ინოვაციების მართვა ეკონომიკური ზრდის გასაღები და მხარდამჭერი ფაქტორია.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება ღონისძიებების სისტემა, რომლებიც მიმართულია მეცნიერებისა და განათლების მხარდაჭერაზე და განვითარებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური ინოვაციების შექმნის მიზნით საზოგადოების წევრთა ზღვარდაუდებელ მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით წარმოების შეზღუდული ფაქტორების არსებობის პირობებში.

**სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა გამიზნულია:**

- სამეცნიერო-კვლევების ორიენტაციასა და მხარდაჭერაზე;
- სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მიმართულებების რეგულირებაზე;
- ინოვაციური საქმიანობის მორალური და მატერიალური სტიმულების სრულყოფაზე;
- სამამულო მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე;
- ეფექტიანი საპატენტო-ლიზინგური უფლებების (სამართლის) შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.
- ინოვაციური საქმიანობის რეგულირებაზე;
- ინოვაციური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების და სტიმულირების კრიტერიუმების შერჩევაზე, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მართვის მეთოდების კრიტერიუმების შერჩევაზე;
- სახელმწიფო და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, ცალკეული საინოვაციო პროექტების ფორმირებასა და რეალიზაციაზე;
- ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაზე საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფულადი სახსრების ხარჯზე;
- სამეცნიერო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების ატესტაციის მოქმედი სისტემის შემუშავებაზე.

**სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკა** მიმართულია ეკონომიკაში არსებული დისპროპორციების გადალახვაზე: გარღვევის შემცირებაზე წარმოების სფეროსა და მომსახურების სფეროს შორის; თავდაცვითი წარმოების წილის შემცირებაზე; მნიშვნელოვანი უთანასწორობის გადალახვაზე სხვადასხვა დარგის ინოვაციური საწარმოების ტექნიკურ აღჭურვასა და ეკონომიკის სექტორებს შორის. ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის კრიტერიუმებია: ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა ციკლური რყევების მიმართ.

**სტრუქტურული პოლიტიკის მიზანია** მრეწველობის დარგებისა და სოფლის მეურნეობის, არამატერიალური წარმოების დარგების ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. აღნიშნული გულისხმობს არა მარტო რეალიზებული სიახლეების სიდიდის რაოდენობრივ ზრდას, არამედ მშპ-ის სტრუქტურულ გაუმჯობესებას. ე.ი. ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წილის ამაღლებას. მაღალხარისხიანი პროდუქციის, თანამედროვე მომსახურების, მათ შორის, ფინანსურის და საინფორმაციოს წილის გადიდებას. სტრუქტურული პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად აუცილებლად უნდა იქნას მიღწეული ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მრეწველობის ტექნოლოგიური გარდაქმნა, ახალი პროდუქტის გამოშვება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

განსაკუთრებულ ადგილს სტრუქტურულ პოლიტიკაში იჭერს თანმდევი მიზნები: სტრუქტურულ-დეპრესიული წარმოების შერჩევა და ინოვაციური საწარმოების გათავისუფლება იმ ტექნიკისაგან, რომელთა საექსპლოატაციო ვადა ამოიწურა; მოძველებული მანქანათმშენებელი პროდუქციის გამოშვების შემცირება, ხოლო შემდგომში საერთოდ შეწყვეტა; ინოვაციური საწარმოების ძირითადი კაპიტალის გადაჯგუფება. უკანასკნელი მიმართულება მიზანშეწონილია, განხორციელდეს საწარმოების შერწყმისა და შეერთების ჩარჩოებში. ამ პროცესების სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია პრობლემური საწარმოების გაკოტრების პროცედურის თავიდან აცილება და მათი მესაკუთრის შეცვლა.

**სტრუქტურული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა** ინოვაციებში ინვესტიციების უკუგების ამაღლება. მნიშვნელოვანია არა მარტო განახლდეს საწარმოო სიმძლავრეები, არამედ დროულად შეიცვალოს მოძველებული მოწყობილობა სიახლეებით, რაზეც დიდადაა დამოკიდებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების პროგრესი.

**ინსტიტუციონალური ეკონომიკური პოლიტიკა დაკავშირებულია** ფორმალური და არაფორმალურ ინსტიტუტების საქმიანობასთან. სტანდარტული განმარტების მიხედვით, ინსტიტუტები - ესაა ერთგვარი თამაშის წესები საზოგადოებაში ანდა ადამიანის მიერ შემზღუდავი ჩარჩოების შექმნა, რომლებიც ქმნიან ადამიანური საქმიანობის მასტიმულირებელ სტრუქტურას ინოვაციურ სისტემაში. **ფორმალურ ინსტიტუტებს** მიაკუთვნებენ მიღებული კანონებისა და თამაშის დადგენილ წესებს, რომლებიც მიმართულია ინოვაციური პროცესების განხორციელებაზე, ხოლო არაფორმალურებს - ჩვევებს, ქცევის დაუწერელ ნორმებს და საზოგადოებრივ პირობითობებს, რომლებიც განპირობებულია ეკონომიკური წყობის ისტორიული განვითარებით.

ინსტიტუციონალური ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკური აზრის განვითარების ერთ-ერთი მიმართულების, პოზიციებიდან შეიძლება აიხსნას ადამიანთა საზოგადოების განვითარება და ფუნქციონირება ინსტიტუტების ცვლილებით (საერთო სახით ფორმალური და არაფორმალური თამაშის წესები), რომლებიც გავლენას ახდენენ ინოვაციურ საქმიანობაზე.

ინსტიტუციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს, თავიდან იქნას აცილებული ნეგატიური შედეგები ამა თუ იმ ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც ყალიბდება თამაშის ფორმალური და არაფორმალური წესების და ინოვაციების მართვის მექანიზმების იგნორირებისას. სიახლეების შემუშავების, დანერგვის, ათვისებისა და რეალიზაციის პროცესებზე გავლენას ახდენს (მასტიმულირებელი) მოტივები და სამეურნეო სუბიექტების ინტერესები; ინოვაციური მართვის იერარქიული სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მოქმედ კანონებს, ბრძანებებს, დადგენილებებს და ა.შ. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ინტელექტზე დამოკიდებულია ადამიანის, საწარმოს, მთელი ქვეყნის ინოვაციური აქტივობა, მისი ცხოვრების დონეზე, რომელიც იზომება რეალური მშპ-ით ერთ სულ ადამიანზე.

ინტელექტუალური შეზღუდვების იგნორირებისას, რომელთაც უნარი შესწევთ გავლენა მოახდინონ ინოვაციურ საქმიანობაზე, სუბიექტები შეიძლება მოხვდნენ ე.წ. „ინსტიტუციონალურ ხაფანგში“. „ინსტიტუციონალური ხაფანგი – ეს არის მდგრადი ხასიათის ნეგატიური შედეგი, რომელიც ზოგჯერ ყალიბდება ხისტი გადაწყვეტილების მიღების შედეგად. სხვა სიტყვებით, იგი წარმოადგენს ეკონომიკურ ჩიხს, რომლისგანაც გამოსვლა გაძნელებულია ინსტიტუციონალური შეზღუდვების იგნორირების გამო.

ამიტომ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები ზოგჯერ სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნიან სტადიის – „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ განხორციელების და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდისათვისაც. კარგად მოფიქრებულ და გააზრებულ საგადასახადო-საბიუჯეტო, საკრედიტო-ფულად, საგარეო-სავაჭრო პოლიტიკაზე საქონელსა და მომსახურებაზე ფასწარმოქმნის მოქმედ სისტემაზე, საკანონმდებლო ბაზაზე და ა.შ. დიდადაა დამოკიდებული საწარმოს ინოვაციური აქტივობა, კაპიტალის სოციალური მდგომარეობა. ეს უკანასკნელი იქმნება მემკვიდრეობითი ტრადიციების, ურთიერთმხარდაჭერის და ურთიერთნდობით. ცხადია, აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და კლასების საერთო მიზნები და ინტერესები.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს საწარმოს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის გარეშე. ინოვაციები ხელს უწყობენ საწარმოების ეკონომიკური განვითარების ახალ საფეხურზე ასვლას, უზრუნველყოფენ ტექნოლოგიურ ბაზაზე გადასვლას, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციის გამოშვებას, განსაზღვრავენ ზღვარს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. სხვა სიტყვებით, ინოვაციები წარმოადგენენ საწარმოს საბაზრო სტრატეგიის წარმატების საფუძველს.

ამრიგად, საქონლის კონკურენტუნარიანობა – ეს არის მისი ბაზარზე წინ წაწევის სავიზიტო ბარათი. ახალი საქონლის შემუშავება და მისი გატანა ბაზარზე რიგ ეტაპებს მოიცავს: საჭირო ოდენობით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულება. სიახლის საცდელი პარტიის შემუშავება და შექმნა, მისი ათვისება და სერიული გამოშვება, ბაზრის იმავდროული ზონდირებით. ინოვაციური გამოშვების სიდიდის ზრდა, სიმწიფე და შეჩერება. აუცილებელი პირობების შექმნა სიახლის ახალი კლასტერის ათვისებისთვის, რომლებიც პასუხობენ სამომხმარებლო მოთხოვნას. უფრო პროგრესული სიახლეების დაფინანსების უნარის მქონე დაინტერესებული ინვესტორების მოძიება.

შეიძლება გამოიყოს საწარმოს **ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისადმი ორი ძირითადი მიდგომა:**

1. **პირველი მიდგომა გულისხმობს არსებული საქონლის შეცვლას იმ საქონლით, რომელთაც უფრო მაღალი სამომხმარებლო თვისებები გააჩნია.** ამ უკანასკნელთა გამოშვება ხორციელდება პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური დამუშავებების საფუძველზე. ამ შემთხვევაში საწარმო ინვესტორები, როგორც პირველმკვლევარები, ახერხებენ, მიიღონ დროებითი სარგებელი (მოგება) წარმოების ხარჯების შემცირების ხარჯზე, მიწოდების და მოთხოვნის მკვეთრი ზრდით და ციკლის - „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების“ სტადიის ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვით. ეს მიდგომა უნდა განვიხილოთ როგორც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ნახტომისებური განვითარება.
2. **მეორე მიდგომა დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ევოლუციურ (თანდათანობით) განვითარებასთან.** ეს შესაძლებელს ხდის თავდაპირველად უზრუნველვყოთ ბაზრის რომელიმე მცირე სეგმენტი და მივიღოთ მინიმალური მოგება. შემდგომში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, მარკეტინგულ პოლიტიკასთან ერთად, ორიენტირებულია ბაზრის რაც შეიძლება მეტი წილის მოპოვებაზე, რამაც უნდა გამოიწვიოს მოგების გადიდება. საწარმოს ასეთი ინოვაციური პოლიტიკა გულისხმობს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში. იგი ემყარება არა მარტო ახალი პროდუქციის გამოშვებას, არამედ ინოვაციებს.

პრაქტიკაში საწარმოს ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისას ინოვაციის რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება რთული ამოცანაა. საქონლის შექმნისას,

პრინციპულად ახალი, თუნდაც, მცირე სიახლის გათვალისწინებით, ადგილი აქვს სირთულეებს მისი დამზადებისა და გავრცელების შედარებით მისაღები ვარიანტის შერჩევისას. კიდევ უფრო ძნელია გადაწყვეტილების მიღება პრინციპულად ახალი პროდუქციის წარმოების შესახებ.

ჩვენი აზრით, საჭიროა, განვიხილოთ ინოვაციებზე დაფარული მოთხოვნის რამდენიმე სახე:

- **მოთხოვნის შეგრძნება** - ესაა მოთხოვნები, რომელიც ადრე თუ გვიან გაჩნდება. ამ შემთხვევაში საწარმოს ინოვაციური პოლიტიკა წარმართული უნდა იქნეს მოქმედ და ახლად შესაქმნელ ინოვაციას შორის დროითი ლაგის შემცირებაზე;
- **ახლანდელი (მიმდინარე) მოთხოვნები** ყალიბდება ტექნიკური გადაწყვეტილების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, ნოუჰაუს შემუშავების, საწარმოში ეკონომიკური სიტუაციის შედეგების, ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენების შემდეგ. მაგალითად, ორთქლის მანქანის შექმნამ განსაზღვრა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება, რენტგენის სხივების აღმოჩენამ განაპირობა სამედიცინო რენტგენის აპარატების შემუშავება და დანერგვა;
- **სამომავლო მოთხოვნები**. მათი წარმოქმნა აღარ ხდება ხანგრძლივი დროით, აღმოჩენის ანდა გამოგონების შექმნის შემდეგ. ასე მაგ.: 1873 ვენის მსოფლიო ტექნოლოგიურ გამოფენაზე ექსპონირებული იქნა საბეჭდი მანქანის საცდელი ნიმუში. იგი შეიქმნა 1808 წელს იტალიელი გამომგონებლის პ. ტურის მიერ;
- **ნეგატიური მოთხოვნები** აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანების ერთი ჯგუფი (ინოვაციების მოსარგებლეები) აფერხებენ (უარყოფენ) ალტერნატიული ინოვაციების განვითარებას. ასე მაგალითად: სსრკ-ში ატომური ენერგიის აღმოცენება შემაფერხებელი ფაქტორი გახდა ქარის ენერგიის განვითარების გზაზე. ჩერნობილის ატომურ სადგურში ავარიის შემდეგ შვეციამ მთლიანად უარი თქვა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის გეგმაზე. იგი იმედოვნებს, თავისი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე დაფაროს სხვა ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიით (ვთქვათ, ქარის ენერგია).

ინოვაციაზე მოთხოვნის გამოვლენის პრობლემა მნიშვნელოვანწილად მარტივდება საწარმოს მიერ ტექნოლოგიური ორიენტაციის გამოყენების შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაო საწარმოში კოორდინირდება კლიენტ-საწარმოში ჩატარებული შესაბამისი დამუშავებებით.

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინოვაციურ საქმიანობაზე, ხელს შეუწყობენ არა მარტო ინოვაციური სფეროს სუბიექტების, არამედ მთლიანად ქვეყნის დინამიკურ განვითარებას.

ამრიგად ჩვენს ქვეყანაში ინოვაციის პროცესი სამი ძირითადი არხით მიმდინარეობს:

- ახალი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის მოპოვება ეროვნული კვლევითი სისტემის ჩარჩოებში და მისი გამოყენება;
- ინვესტიციები ინტელექტუალურ საკუთრებაში პატენტებისა და ლიცენზიების შეძენის გზით;
- განახლება და ცოდნის შეძენა იმპორტირებულ მაღალტექნოლოგიურ მანქანა-დანადგარებში ჩაქსოვილი ტექნოლოგიების მეშვეობით.

კონკრეტული საინოვაციო ღონისძიება შეიძლება ერთზე მეტ ან სამივე არხს იყენებდეს. პროცესი ძალიან რთულია, იგი მოიცავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორების საქმიანობასა და ურთიერთქმედებას. პროცესების სირთულისა და მნიშვნელობის გამო, თანამედროვე ქვეყნებში ჩამოყალიბდა მრავალდონიანი ეროვნული საინოვაციო სისტემები, რომლებიც მოიცავენ უზენაესი ხელისუფლების ყველა შტოს, ადგილობრივ მმართველობას, სამინისტროებსა და უწყებებს, კვლევით ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს, სამეცნიერო მომსახურების ცენტრებს, მრეწველობაში მოქმედ სამეცნიერო და საცდელ ლაბორატორიებს.

**ხელისუფლების, როგორც სისტემის მენეჯერის, ამოცანაა, ინოვაციის სამივე არხზე მოახდინოს ისეთი ზემოქმედება, რომ მიიღოს მაქსიმალური ეფექტი როგორც სამთავრობო, ასევე კერძო ინვესტიციებიდან.** ხელისუფლება მოქმედებს როგორც ინვესტორი, აბანდებს რა სახსრებს როგორც კონკრეტულ გამოყენებით კვლევაში, რომ-

ლის კომერციალიზაციაც მოსალოდნელია, ასევე (და უმთავრესად) განათლებაში, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში (სამეცნიერო მომსახურებაში). ხელისუფლება მოქმედებს, როგორც კატალიზატორი და რეგულატორი, რისთვისაც ქმნის პირობებს ინოვაციური პროცესის მონაწილეების მხარდასაჭერად, მათი თანამშრომლობის (მათ შორის, საერთაშორისო) გასაძლიერებლად; ქმნის წამახალისებელ საკანონმდებლო გარემოს (საგადასახადოს ჩათვლით); შეიმუშავებს გრძელვადიან გეგმებს, ადგენს პრიორიტეტებს და ეროვნული პროგრამების მიმართულებებსა და მოცულობებს; უზრუნველყოფს საინოვაციო სისტემის ფუნქციონირებას.

მეცნიერება, ანუ კვლევათა სისტემა, ის ერთადერთი ინოვაციის არხია, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ზემოქმედებს რეფორმის პროცესში. სამწუხაროდ, ეს რეფორმა არ განიხილავს კვლევათა სისტემის განვითარებას ქვეყანაში მიმდინარე ინოვაციის პროცესის კონტექსტში. საინოვაციო პოლიტიკის უქონლობის პირობებში სხვანაირად ვერც მოხდებოდა. მეორე მხრივ, ამის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება მიზანშეწონილი თანაფარდობა კვლევითი სისტემის სხვადასხვა ფუნქციებს/კომპონენტებს შორის. ამ შემთხვევაში „თანაფარდობა" ნიშნავს თანაფარდობას მეცნიერთა, ორგანიზაციათა და სახსრების რაოდენობებს შორის, რომლებიც კონცენტრირებულია ცალკეული ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო „მიზანშეწონილი" ნიშნავს ისეთს, რომელიც პასუხობს ქვეყნის ამოცანების დღევანდელ ხედვას. რეფორმის პროცესში ინოვაციასთან დაკავშირებული ფუნქციები თუ გამოგვრჩა ან არასაკმარისად შევაფასეთ, რეფორმა ამის ინსტიტუციონალიზაციას ახდენს, რაც შეცდომის შემდგომ გამოსწორებას აძნელებს. ასეც მოხდა. სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩა სამედიცინო მეცნიერება, რაც მომავალში ჯანდაცვის სისტემის ხარისხის ზრდას შეზღუდავს. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში რამდენიმე ძლიერმა სამეცნიერო კოლექტივმა არსებობა შეწყვიტა. მრავალ კვლევით ორგანიზაციას მიენიჭა შპს-ს იურიდიული სტატუსი, რაც, პრაქტიკულად, კვლევითი სამუშაოების შეწყვეტას ნიშნავს.

ამ პირობებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკა ასეთ რთულ სიტუაციაშია, გადაუდებლად საჭიროდ მიგვაჩნია ინოვაციური სფეროს წინ წამოწევა და განვითარება. მით უმეტეს, რომ ამის პოტენციალი საქართველოში ნამდვილად არსებობს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბრალავა, ა., გვაჯაია, ლ., ქუთათელაძე, რ., (2009). საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი: სტუ. გვ. 263.
2. Brooking, A., (1997). The Management of Intellectual Capital. Long Range Planing 30 (3), p. 364 – 365.
3. Бромберг, Г. В., (2007). Интеллектуальная собственность: от создания до использования М.: ИНИС роспатента. с. 207.
4. Джонсон, Д., (1998). Инновации. Пер. с англ. М.: Мир. р. 14.
5. Друкер, П. Ф., (2003). Практика менеджмента, М: Вильямс. с. 156.
6. Друкер, П. Ф., (2009). Бизнес и Инновации. Пер. с англ. Н.: Экономика инновации. Под ред. В. Я. Горфинкеля. М., с. 157.
7. Кристенсен, К., (2004). Дилема инноватора. М.: Альпина Бизнес Букс. с. 181.
8. Кэмпбелл, К., (2008). Венчурный бизнес: новые подходы. М.: Алыпина Бизнес Букс.с.17-30.
9. Kim, W.C., Mauborgne, R., (1999). Strategy, Value Innovation and the Knowledge Economy // Sloan management review. Spring. p. 46.
10. Kotter, P. J., (1996). Leading Change. Boston. p.218.
11. Лемерлъ, П., (1994). Инновационная теория: истоки и перспективы развития. Пер. с франц. Киев: Арена – Пресс. с.119.
12. Porter, M., (1999). Innovative Capacity and Prosperity the Next Competitivenes challenge in the Glabal Competition venes Report. N.Y. p.12.
13. Сахто, Б., (1990). Инновация, как средство экономического развития. М. Прогресс, с.43– 44.
14. ქოქიაური, ლ., (2015). ინოვაციები. თბილისი. სტუ.
15. Шумпетер, И. (1982). Теория экономического развития. М.:Прогресс.
16. ჩიქავა, ლ., (2006). ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი.
17. ძამუკაშვილი, დ., (2000). ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბ.

# The Main Issues of Innovative Policy in Globalization Conditions

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.033

**Lamara Qoqiauri**
Doctor of Economic Sciences,
Professor,
Academian of Georgian Economics Academy

**Key words:**
INNOVATIONS, INNOVATIVE POLITICS, FUNDAMENTAL RESEARCH, SCIENTIFIC RESEARCH, FUNDING FOR CONTEST, VENTURAL CAPITAL

## Summary

The work highlights key points of state innovative politics; state structure of social – economical and scientific - technical development, the main principles of the formation and completion, the resources and mechanisms of funding of inovations. In the article you are able to find out the instrumentarium of innovative politics, its priority directions.

Nowadays we consider elaboration of optimal strategy in science and innovative development important that is; To create conditions for rivalry sector of scientific research and process and for its broadening reproduction; To create effective national innovative system; To hasten modernization of economics on the basis of technological innovation. To double the number of those enterprises that carry out technological innovations.

Thus, for innovative development of our country a sector of "Knowledge generation" is necessary to exist. It includes fundamental and practical research effective functionality of national innovative system that transforms new Knowledge into product of technologies and services. Besides, it includes involves unity of economic subjects, innovative institutional business, infrastructure and resources; wide usage of informative – communicative technologies that enables to grow up Labor productivity and optimization of industrial processes.

# კულტურის სფეროს ორგანიზაციების შემოსავლიანობის პროცესები და მართვის მიდგომები

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
რეგიონული, სექტორული და ტექნოლოგიური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.034

**დოდო ჭუმბურიძე**
მენეჯმენტის (ხელოვნების მენეჯმენტის) დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიწვეული პედაგოგი

**საკვანძო სიტყვები:**
კულტურის სფეროს ორგანიზაციები, შემოსავლები, მართვის მიდგომები

კულტურის სფეროს შემოსავლიანობის პროცესები და მართვის მიდგომები სპეციფიურობით ხასიათდება. გარდა ამისა, სხვა სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების მსგავსად წარმატების მისაღწევად მათაც სჭირდებათ კონკრეტული, რეალისტური და დროში გაწერილი მიზნები.

ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიზნები განსხვავებულია. თავდაპირველად ეს შეიძლება იყოს ბაზარზე სასურველი პოზიციების დამკვიდრებისთვის ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა, ხოლო განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურის მიღწევის შემდგომ ორგანიზაციის მენეჯერმა უნდა იზრუნოს მიღწეულის შენარჩუნებაზე და თანმიმდევრულად მიჰყვეს ახალ გამოწვევებს.

„მიზნების დასახვა და მათი მიღწევის კონტროლი ხელს უწყობს პროგრესს. ორგანიზაციის საქმიანობაში წარმატებულმა მენეჯერებმა იციან, რომ მიზნები საჭიროებენ დაძაბულ მუშაობასა და ყველა თანამშრომლის სერიოზულ ძალისხმევას. რთული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს მიზანმიმართულობა, ნოვატორობა, სიმტკიცე და ერთ მუშტად შეკვრა. ამრიგად, მიზნები არის ორგანიზაციისათვის სასურველი შედეგები, მისი საქმიანობისა და განვითარების კრიტერიუმები.“ [შუბლაძე, ნატიტაშვილი, დოლიკაშვილი 2010: 20].

კულტურის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს შემოსავლების ზრდაზე და იდეის განსახორციელბლად თანხების მოძიებაზე ზრუნვა სტანდარტული წესით უწევთ. განსხვავება მდგომარეობს ორგანიზაციის არსში და იმ მისწრაფებაში, რომელსაც კულტურის განვრცობა საჭიროებს. როგორ შევქმნათ და გავაძლიეროთ ინტერესი კულტურის სფეროს პროედუქტების მიმართ? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის ვერსია ყველა იმ ორაგანიზაციას უნდა ჰქონდეს, რომელიც კულტურის სფეროში მოღვაწეობს.

მომხარებელს რომ გაუჩდეს ინტერესი და ლოიალური დამოკიდებულება, საჭიროა ინფორმურებულობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, ორგანიზაციის მთავარი გამოწვევაა კულტურის სფეროს პროდუქტები გახადოს ხელმისაწვდომი კულტურის ფართო მასებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია პროდუქტის ხარისხზე ზრუნვა.

ალსანიშნავია, რომ კულტურის სფერ-

ოში მოღვაწე ორგანიზაციების წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა გამოცდილების მქონე მენეჯერია, რომელიც კარგადაა გარკვეული კულტურის სფეროს სპეციფიკაში და ასევე ფლობს თანამედროვე მართვის მიდგომებს. ორგანიზაციის წარმატება მენეჯერის მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგია.

„მენეჯმენტი - ესაა ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის, ორგანიზაციის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის გზით ორგანიზაციის მიზნის ეფექტიანად და რაციონალურად მიღწევა" [Richard 2008:30].

„მენეჯმენტი ეს არის საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომელიც არაორგანიზებულ ბრბოს გადააქცევს ეფექტიან, მიზანმიმართულ და მწარმოებელ ჯგუფად" [Mescon, Albert, Khedouri 2007].

წარმატებული მართვის წინაპირობა შედეგზე ორიენტირებულობაა. სასურველი შედეგის მიღწევა დამოკიდებულია ეფექტური სისტემის შექმნაზე და ორგანიზაციის მისიის ერთგულებაზე, ასევე, დროულად უნდა მოხდეს ორგანიზაციის განვითარებისა და წინსვლის ხელიშემშლელი ფაქტორებთან მიმართებაში პრევინციული ზომების გატარება.

„მისია განსხვავდება ხედვისგან, ხედვა ორგანიზაციის მომავალ მდგომარეობაზე ხელოვანის ან მენეჯერის პირადი შეხედულებაა. ამ მხრივ, პირადი ხედვა და ორგანიზაციული მისია სტრატეგიული აზროვნების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. თუმცა, ცვალებადი ხედვა და მისია, როგორც ფუნდამენტური ნაგებობა ერთი და იგივე არ არის" [ჰაგორტი 2013:29].

მართვის მიდგომების ცოდნა ორგანიზაციის თითოეულ წევრს ეხმარება ორგანიზაციის არსის უკეთ გარკვევაში. პრაქტიკაში მენეჯრმა თავადვე უნდა განსაზღვროს მართვის რომელ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას.

შედეგზე ორინეტირებული ქმედებები ორგანიზაციას ეხმარება წინსვლაში მხოლოდ მაშინ, როცა ხდება არასწორი გადაწყვეტილებების გათვალისწინება და შეფასება. ორგანიზაციის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის აღქმა თავისთავში მოიცავს ერთ გუნდად შეკვრას და ერთი სულისკვეთების არსებობას.

კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები მხოლოდ სისტემური მიდგომით ვერ იხელმძღვანელებ, პროდუქტის შექმნის იდეიდან გადაწყვეტილების მიღებამდე მათ მოუწევთ სიტუაციიდან ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მიღება.

„ბიჰევიორისტული მიდგომა გულისხმობს მეცნიერების მეთოდების და კვლევების გამოყენებას ადამიანთა ქცევების შესწავლის მიზნით. ამ მიმართულების მთავარი მიზანია თანამშრომელთა ქცევების მამოძრავებელი მოტივების და მათი სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი და შესწავლა.

ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის დადებითი მხარეა:

1. პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გამოყენება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონისა და შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად.
2. მართვის პროცესში მუშაკთა დასაქმება მათი პოტენციალისა და კვალიფიკაციის შესაბამისად [შუბლაძე, მღებრიშვილი, წონკოლაური 2008:31].

შემოქმედებითი ადამიანების ერთ-ერთი გამორჩეული მახასიათებელი ისაა, რომ ისინი არ იფარგლებიან მხოლოდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, მათ სურთ თვითრეალიზაცია. ისინი გარკვეულწილად არიან ემოციურები. მათთან ურთიერთობაში მენეჯერმა საჭიროა, გაითვალისწინოს შემოქმედი ადამიანის ფსიქოლოგია. ისინი არიან გახსნილები, როდესაც მათ შემოქმედებითი იდეის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობები აქვთ შექმნილი. თვითრეალიზაციისაკენ მიზანმიმართულად მიისწრაფვის ყველა შემოქმედი, რომლის გათვალისწინება მართვის პროცესში კულტურის სფეროში მოღვაწე ყველა მენეჯერს უწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, თავი იჩინოს ინტერესთა კონფლიქტმა.

„მენეჯერებმა უნდა შექმნან უფლებამოსილების ორგანიზაციული იერარქია, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი, ვინ ვის ექვემდებარება და ვის მიმართონ თანამშრომლებმა კონფლიქტის ან პრობლემის გაჩენის დროს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იერარქიის ზედა საფეხურზე მყოფ მენეჯერს შეეძლოს ხელქვეითებისგან პასუხის მოთხოვნა მათ ქმედებებზე" [გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი 2006:28].

ნებისმიერი მენეჯერის უპირველესი მოვალეობაა მართებული გადაწყვეტილების მიღება.

მენეჯერი ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ: სამეურნეო, კომერციულ, საკადრო და სხვა. მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად საჭიროა გაცემული დავალებების შესრულების კონტროლი და მიღწეული შედეგების შეფასება. ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია, როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორიასთან წარმატებული თანამშრომლობით მიიღწევა.

„ცუდი გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი მიზანი გახლავთ ის, რომ მენეჯერები ხშირად ვერ ახერხებენ კრიტერიუმთა დადგენას, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად. საერთოდ წარმატებული მენეჯერები იყენებენ ოთხ კრიტერიუმს ალტერნატიული ქმედების ღირსებებისა და ნაკლოვანებების შესაფასებლად:

1. კანონიერება: მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ სავარაუდო ქმედების კანონიერება. ის არ უნდა არღვევდეს როგორც ქვეყნის კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებსა თუ ქვეყნის მთავრობის დადგენილებებს.
2. ეთიკური მხარე: მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ სავარაუდო ქმედების ეთიკურობა. ის ზიანს არ უნდა აყენებდეს რომელიმე დაინტერესებულ ჯგუფს.
3. ეკონომიკური განხორციელებადობა: მენეჯერებმა უნდა გადაწყვიტონ, ეკონომიკურად რამდენად განხორციელებადია წარმოდგენილი ალტერნატივები. ჩვეულებრივ, მენეჯერები ახდენენ სხვადასხვა ალტერნატივების ხარჯებისა და სარგებლის ანალიზს იმის დასადგენად, რომელი მათგანი მოუტანს საწარმოს ყველაზე მეტ სუფთა ფინანსურ მოგებას.
4. პრაქტიკულობა: მენეჯერებმა უნდა გადაწყვიტონ, ფლობენ თუ არა საჭირო რესურსებსა და სიმძლავრეებს, რომლებიც საჭიროა წარმოდგენილი ალტერნატივის განსახორციელებლად. ასევე, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მოცემული ალტერნატივა საფრთხეს არ შეუქმნის ორგანიზაციის სხვა ამოცანების შესრულებას“ [გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი 2006:119].

მენეჯერის გადაწყვეტილებები ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ, დროში გაწერილ, რეალისტურ მიზნებზე. შეუძლებელია რომელიმე საორგანიზაციო საკითხის ცალკე განხილვა, ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული ერთი სისტემის ფარგლებში. ყველაზე მარტივი და შესატყვისი მაგალითია ორგანიზაციის დანიშნულების განსაზღვრა. თუ ამგვარი განსაზღვრა არსებობს, ეს გაადვილებს კომუნიკაციის სტრატეგიის ჩამოყალიბებას მიზნობრივი ჯგუფებისათვის.

კულტურის სფეროში მოღვაწე მენეჯერს სხვა სფეროში მოღვაწე მენეჯერების მსგავსად სიტუაციის გასაკონტროლებლად ძირითადი გაუთვალისწინებელი ფაქტორების მოგვარებისა და კრიზისული სიტუაციებში ლავირების უნარი მოეთხოვება.

რაც უფრო იზრდება ორგანიზაცია, მით უფრო ძნელი ხდება მისი მუშაობის კოორდინაცია. წარმატებაზე ორიენტირებული მენეჯერი არასდროს არ ჯერდება მიღწეულს. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწიოს, აამაღლოს მწარმოებლურობა, საჭიროა მართვისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების უზრუნველყოფა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაცია წარმატებას აღწევს, როდესაც მისი მომხმარებელი კმაყოფილია. მომხმარებელთა ლოიალურ დამოკიდებულებას მნიშვნელოვანწილად თანამშრომლები განაპირობებენ. ორგანიზაცია წარმატებულია, თუ მის ყველა თანამშრომელს შეუძლია იფიქროს წარმატებაზე და აქვთ მისწრაფება საკუთარი წვლილი შეიტანონ იდეის განხორციელებაში.

დღეისათვის მართვა განიხილება როგორც პროცესი, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციებისგან.

ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვები: სად იმყოფება ამჟამად ორგანიზაცია? რისი მიღწევა სურს? და რამდენად აქვს საკმარისი რესურსები მიზნის მისაღწევად? დასახული მიზნიდან გამომდინარე მუშავდება სამოქმედო გეგმა, თუმცა გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებამ შესაძლოა საჭირო გახადოს მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული ხაზს უსვამს სიტუაციური მიდგომის მნიშვნელობას.

„ორგანიზაციის მწარმოებლურობა - არის საზომი, რამდენად ყაირათიანად და ეფექტურად იყენებენ მენეჯერები რესურსებს მომხმარებლის მოთხოვნების დასაკ-

მაყოფილებლად და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ორგანიზაციის მწარმოებლურობა იზრდება ყაირათიანობისა და ეფექტურობის ზრდასთან ერთად.

ყაირათიანობა – არის საზომი, რამდენად კარგად და ნაყოფიერად იქნა გამოყენებული რესურსები დასახული მიზნების მისაღწევად. ორგანიზაცია არის ყაირათიანი, როცა მენეჯერი ამცირებს გამოყენებული რესურსების რაოდენობას.

ეფექტურობა – არის მენეჯერის მიერ კომპანიისთვის დასახული მიზნების მართებულობისა და მიღწეული მიზნების ხარისხის შემოწმება. ორგანიზაცია არის ეფექტური, როცა მენეჯერი ირჩევს შესაბამის მიზანს და შემდეგ აღწევს მას" [გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი 2006:7].

ორგანიზაციის მენეჯერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ თუ რამდენად შედეგიანი, ეფექტიანი და მწარმოებლური იქნება კულტურის სფეროში მოქმედი ორგანიზაცია.

ორგანიზაციის რესურსების ოპტიმალური გამოყენება წარმატების წინაპირობაა. ტექნოლოგიების განვითარებამ მართვის სისტემის გამატივების გარკვეული ილუზია შექმნა, თუმცა იმავდროულად გაიზარდა მენეჯერთა პასუხიმგებლობა, რადგან სწორედ მათ უწევთ ორგანიზაცის სპეციფიკის შესაფერისი თანამშრომელთა შერჩევა და მართვა. ნათელია, რომ მიზნის მიღწევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ადამიანურ რესურსი წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს მართვის მიდგომების შერჩევა. კულტურის სფეროში მოღვაწე მენეჯერი მართვის სისტემური, სიტუაციური და ბიჰევორისტული მიდგომიდან ყველაზე მეტად ბიჰევიორისტული მიდგომას უნდა ეყრდნობოდეს, რომელიც აქცენტს აკეთებს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალიზმზე და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ორგანიზაციის წინსვლაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბლაძე, გ., ნატიტაშვილი, მ., დოლიკაშვილი ლ.,(2010). სტრატეგიული მენეჯმენტი. თბილისი.
2. Richard, l. (2008). Daft. Management. Vanderbilt University. South-Western. Tomson Lerning. 2008.
3. Mescon, H., Albert M., Khedouri, F., (2007). Managament, Harper and row, publishers, New York.
4. ჰაგორტი, ხ. (2013). სახელოვნებო მენეჯმენტი, თბილისი.
5. შუბლაძე, გ., მღებრიშვილი, ბ., წოწკოლაური, ფ. (2008). მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი.
6. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი (2006). თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები (წიგნი მომზადდა და გამოიცა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ, თბილისი.

# The Profitability Process and Management Approaches of Cultural Organizations

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.034

**Dodo Tchumburidze**
Doctor of Management (Art Management),
Shota Rustaveli theatre and Film Georgian State University
The external teacher of humanitarian, Social Science,
business and management Faculty

**Key words:**
CULTURAL SECTOR ORGANIZATIONS, REVENUES, MANAGEMENT APPROACHES

## Summary

In this article is emphasized the profitability process and management approaches of cultural organizations. Should be noted, that these organizations need specific, realistic and time-bound goals similar as another organizations.

The goals are different at the various stages of the development. At first this may be the care of the increase of organization's awareness, second, the care about desired positioning on the market, finally, after reaching the important stage, the top management of organizations must keep the achievement.

The organizations of cultural sphere are acting in standard way to increase the profitability and for fulfilment the ideas look for the sums. The difference is in the content and aspiration of organization. How educate the customers of cultural products? All organizations in cultural sphere must have the answer to this question.

Should be noted, that the prerequisite of success of cultural organizations is the experienced Manager, who knows well the specification of culture and modern management approaches. The success of organizations is result of managerial decision of the Manager.

The prerequisite of successful management is the development of effective system, the devotion the organization's mission and the work out about the strategy for prevention obstacles factors.

The knowledge of management approaches helps to every member to understand best the organization content. In practice the manager must determine firstly what method of approach he prefers.

# ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# BUSINESS, OFGANIZATIONAL SYSTEMS AND MICROECONOMIC PROBLEMS

# ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სრულყოფის მეთოდოლოგიური საკითხები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.035

**გივი ბაქრაძე**
**ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,**
**ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**საკვანძო სიტყვები:**
ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, საგანმანათლებლო დაწესებულება

საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის სრულყოფა, განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის მეთოდოლოგიური საკითხები.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა მენეჯმენტის უზრუნველყოფა ინფორმაციით ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, საქმიანობის სახეების და დაფინანსების წყაროების მიხედვით. საგანმანათლებლო დაწესებულების შემოსავლები და ხარჯები შეიძლება დეტალიზებულ იქნას მომსახურების სახეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების კურსის, სპეციალობების და ბაკალავრიატის მიმართულებების მიხედვით.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაცია კონტიგენტის მოძრაობის შესახებ სწავლების ფორმის, სახის, კურსის მიხედვით სპეციალობების ჭრილში. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად. არანაკლებ მნიშვნელოვანია ''მოზიდული კონტიგენტის" მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს სასწავლებლის საქმიანობას და წარმოადგენს საბაზისო მაჩვენებელს შემოსავლების, პირდაპირი ხარჯების, ზედნადები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების გასაანგარიშებლად.

მმართველობითი აღრიცხვის ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება შემოსავლებისა და ხარჯების მოსალოდნელი მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის საქმიანობის სახეების მიხედვით და ოპერატიული, ტაქტიკური გეგმებისა და ბიუჯეტირებისათვის. ამ ამოცანის ფარგლებში შეიძლება გამოვიყენოთ გეგმური შემოსავლების და ხარჯების ცნება. გადახრა ფაქტობრივ და პროგნოზულ მაჩვენებლებს შორის საშუალებას იძლევა სასწავლებლის ფინანსური მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების ოპერატიული შეფასებისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების უზრუნველყოფა ინფორმაციით მისი საქმიანობის შესახებ, არარაციონალური ხარჯების დროულად გამოვლენისა და თავიდან აცილების, აგრეთვე ხარჯების ზღვრული მოცულობის, შედეგებისა და უზარალობის (წაუგებლობის) წერტილის განსაზღვრის მიზნით.

უზარალობის წერტილის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს სტუდენტების მინიმალურად აუცილებელი კონტიგენტი კონკრეტული სპეციალობების მიხედვით, რომელიც დაფარავს ცვლად და მუდმივ ხარჯებს. ხარჯების ანალიზი შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე მიმართულებით: ვერტიკალური ანალიზით შეიძლება განისაზღვროს ხარჯების სტრუქტურა, რათა დადგინდეს ხარჯების ძირითადი ელემენტი, კონტროლი განხორციელდეს მათ ცვლილებაზე. ხარჯების ჰორიზონტალური ანალიზი გვიჩვენებს მათი ზრდის ტემპს.

დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობის ანალიზი საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებლობის ხარისხი.

მმართველობითი აღრიცხვის მნიშვნელოვანი ამოცანაა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების პასუხიმგებლობის სფეროების გამიჯვნა შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირებაზე და სრტუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მეთოდების შემუშავება. ამ მიზნით მიზანშეწონილია „პასუხისმგებლობის ცენტრების" გამოყოფა.

პასუხისმგებლობის ცენტრების გამოყოფისას მიზანშეწონილია მათი მაქსიმალურად მიახლოება საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებულ ფუნქციურ-ორგანიზაციულ სტრუქტურასთან. ამასთან, სასურველია თითოეული პასუხისმგებლობის ცენტრისათვის გამოიყოს საქმიანობის კონკრეტული მაჩვენებლები. პასუხისმგებლობის სფერო, უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე მათი განხორციელების მექანიზმები თითოეული ცენტრისათვის უნდა იყოს გამყარებული შიდა ნორმატიული აქტით.

მმართველობითი აღრიცხვის ამოცანას წარმოადგენს ქვედანაყოფებს შორის ზედნადები ხარჯების განაწილების ბაზის შერჩევა. ზედნადები ხარჯების განაწილების ბაზის შერჩევა დამოკიდებულია საქმიანობის სპეციფიკასთან. განაწილების ბაზა გავლენას ახდენს მომსახურების თვითღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, უზუსტობა ხარჯების განაწილების პროცენტის გაანგარიშებაში შეიძლება გახდეს არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი.

ამრიგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანახარჯების სწორი აღრიცხვის, განაწილებისა და გადანაწილების მეთოდიკის შემუშავებას. დანახარჯებზე მსჯელობისას უნდა გამოვყოთ ზღვრული ან ზრდადი დანახარჯები. ზღვრული დანახარჯები წარმოადგენს იმ რესურსების მოხმარებას, რომელიც აუცილებელია წინა პერიოდთან შედარებით მომსახურების წარმოების მოცულობის ასამაღლებლად. მაგალითად, როგორი იქნება რესურსების მოხმარების ზრდა, თუ გაიხსნება ახალი სპეციალობა ან შეიქმნება ახალი ფაკულტეტი. ზღვრულ დანახარჯად შეიძლება ჩაითვალოს დანახარჯები ახალი ფაკულტეტის, როგორც ახალი სტრუქტურული ერთეულის, შესანახად ან დანახარჯები ამ ფაკულტეტზე ჩარიცხული ერთი დამატებითი სტუდენტის განათლების მისაღებად.

საგანმაათლებლო დაწესებულებებში დანახარჯების აღრიცხვის მოქმედი საბუღალტრო სისტემა ითვალისწინებს ფაქტობრივ დანახარჯებზე ფინანსური ინფორმაციის თავმოყრას არა ფაკულტეტების მიხედვით, არამედ მთლიანად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო აღრიცხვის მაჩვენებლების მნიშვნელობას მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

ზედნადები დანახარჯების განაწილების ყველაზე გავრცელებული მეთოდია საფეხურებრივი განაწილების მეთოდი. ეს მეთოდი ითვალისწინებს ერთი სტრუქტურული დანაყოფის მიერ გაწეული დანახარჯების განაწილებას ყველა სხვა დანაყოფზე.

შედარებით უფრო მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც სხვადასხვა დანაყოფის შორის მომსახურების სახეების შიდა გაცვლასთანაა დაკავშირებული. ამრიგად, გადასაწყვეტია ორი სტრუქტურული დანაყოფის დანახარჯებიდან რომელი უნდა დაექვემდებაროს პირველ რიგში დანახარჯების განაწილების რიგითობას. ამაზეა დამოკიდებული, კერძოდ, რომელ დანაყოფს შეიძლება გადაუნაწილდეს საერთო დანახარჯების ძირითადი ნაწილი. აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ზოგ პასუხისმგებლობის ცენტრს აქვს შემოსავლები და დანახარჯები (შემოსავლების ცენტრი), ხოლო ზოგს მხოლოდ დანახარჯები (დანახარჯთა ცენტრი).

საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტის საქმიანობაში დანახარჯების მაქსიმალური კომპენსაციის უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომ, მომსახურების ცენტრებზე დანახარჯების მიკუთვნების შემდეგ უნდა შეირჩეს საკალკულაციო ერთეული და თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტმა უნდა შეარჩიოს დანახარჯების განაწილების მათთვის უფრო მისაღები მეთოდი. ჩვენი აზრით, მისაღებია, შეფარდებით ერთეულებში დანახარჯის განაწილების მეთოდი.

როგორც წესი, ფასები დანახარჯებზე მეტი უნდა იყოს. ამასთან, დანახარჯები ინფლაციისა და ტექნიკური აღჭურვის სრულყოფის გამო განუხრელად იზრდება. მენეჯმენტმა უნდა იხელმძღვანელოს აქსიომური საკითხით: სტრატეგიული დაგეგმვისას არასოდეს შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც „არ გაიყიდება" ბაზარზე.

ამრიგად, მმართველობითი აღრიცხვის შინაარსის განხილვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სხვა დარგების ანალოგიურად, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ბულალტრული აღრიცხვის ნაწილი თავისი სპეციფიკური მიზნით და ამოცანებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ამოცანები ინდივიდუალურია და დამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის თავისებურებებზე. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხების რეგულირება შესაძლებელია ფინანსური აღრიცხვის მოწესრიგების ბაზაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის სრულყოფა;
2. აქტივების აღრიცხვის მოწესრიგება, აღურიცხავი და დაურეგისტრირებელი აქტივების არარსებობის უზრუნველყოფა. აქტივების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება რეგულარულად შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანახარჯთა ცენტრის გამოყოფა. მაგალითად, ფაკულტეტების, არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების და სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამოყოფა ცალკე დანახარჯთა ცენტრად;
4. ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტის ფარგლებში ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებების მოცულობის მინიმიზაცია;
5. დებიტორ-კრედიტორების რეესტრის რეგულარული შემოწმება შედარების აქტების წარმოებით. ცალმხრივად აღრიცხული დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების დროული გამოვლენა და თავიდან აცილება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებებში.
6. ძირითადი აქტივების სწორი კლასიფიკაცია და შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად აღრიცხვის წარმოება;
7. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ კანონმდებლობისა და კონტროლის პროცესების დაცვა, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, შესაბამისობის დაცვა დადებულ ხელშეკრულებებს, მიღება-ჩაბარების აქტებსა და გადახდილ ანაზღაურებას შორის.
8. შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება და შიდა აუდიტის პროცედურების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, სააღრიცხვო სისტემის ბაზაზე ჩამოყალიბდეს მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ამოცანების შესაბამისი სისტემა, რომელიც იქნება აღჭურვილი ბიუჯეტირების, კალკულაციის, ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებისათვის საჭირო ინფორმაციით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, (2016). თბილისი.
2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", (2013). თბილისი.
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, (2010). თბილისი.
4. Керимов, В. (2013). Управленческий учет-информационная база для формирования и реализации ключевых показателей деятельности/В. Э. Керимов // Вестник Российского экономического университета им. Г.В.Плеханова. №01. С. 61-68.
5. Булгакова, С. (2010). Внутренняя управленческая отчетность: структура видов и форм/С.В. Булгакова, Н.В. Подобедова//Современная экономика: проблемы и решения. №6. С.138-151.

# Methodological Improvement Issues of Financial and Managerial Accounting in Higher Educational Institutions

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.035

**Givi Bakradze**
Doctor of Business Administration,
Head of Finance at European Teaching University

**Key words:**
FINANCIAL ACCOUNTING AND GOVERNANCE, HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

## Summary

The peculiarities of the higher educational institutions' accounting are considered. At the same time, specific goals and objectives of managerial accounting is also analyzed. It should be noted that the managerial accounting objectives and goals are individual and depends on the characteristics of the institution's activities. It is noted, that regulation of the issues of financial managerial accounting is possible on the basis of financial accounting settlement in compliance with the International Financial Reporting Standards.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*
ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# ორგანიზაციული კულტურის თავისებურებები და კროსკულტურული ასპექტები საერთაშორისო ბიზნესში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.036

**მანანა ბერუაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**საკვანძო სიტყვები:**
ორგანიზაციული კულტურა, გლობალური გარემო, საერთაშორისო ბიზნესი

საერთაშორისო ბიზნესში ადამიანებს საქმიანი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ქირაობენ ადამიანებს, იქმნება პროდუქცია ადამიანებისათვის და ა.შ. ამიტომ ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს კვლევის ამოსავალი ელემენტი არის ადამიანური ფასეულობები, შეხედულებები, რწმენა, განწყობები და ა. შ. ეს ქმნის კულტურას და გაზიარებულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ფარგლებში და ახდენს ზეგავლენას ბიზნესზე, რაც ვლინდება სხვადასხვა მიმართულებით – ეს იქნება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, საქმიანი ურთიერთობების წარმოება, მარკეტინგული სამუშაოები თუ სხვა. ეს დეტერმინანტები ქმნიან კომპანიის შიგა კულტურას, გავლენას ახდენენ და თვითონაც განიცდიან გავლენას სხვა ინსტიტუტების სოციოკულტურის მხრიდან.

ბიზნესისა და კულტურის კავშირურთიერთობის კვლევის საყრდენს წარმოადგენს ადამიანთა ფასეულობები. როგორც გ. ჰოფსტედე მიიჩნევს, ეს ფასეულობები საზოგადოების ყველა ასპექტის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ზეგავლენას ახდენს ბიზნესზე, როგორც მაგალითად ოჯახურ ცხოვრებაზე, ბედნიერებაზე, ჯანმრთელობასა და სწავლაზე [ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011].

საერთაშორისო ბიზნესი ქვეყანათა საზღვრებს კვეთს და, შესაბამისად, კულტურული მრავალფეროვნება იზრდება, ამიტომ ბიზნესის წარმოებაც რთულდება და წარმატებისათვის აუცილებელია კროსკულტურული მიდგომების გამოყენება.

დღევანდელ გლობალურ გარემოში ორგანიზაციული კულტურა განიხილება, როგორც ადამიანური რესურსების მართვის მძლავრი ინსტრუმენტი და მისი მიზანია მომუშავეთა მომართვა მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე, მათი ინიციატივის მობილიზება, ორგანიზაციისადმი ერთგულებისა და ადამიანებს შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ბიზნესში ორგანიზაციული კულტურა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც განპირობებულია ისტორიული, ეთნიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეროვნული კულტურების თავისებურებებით. ეროვნული ორგანიზაციული კულტურები განსხვავებულია იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია მათი ფუძემდებლური ფასეულობები (ოჯახი, კანონისადმი პატივისცემა, შრომის ანაზღაურების დონე, პიროვნების, მისი ცოდნისა და პროფესიონალიზმის პატივისცემა და სხვ.).

გ. ჰოფსტედემ, რომელიც საერთაშორისო ფირმების ორგანიზაციულ კულტურაზე სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა განსხვავებულობის გავლენის საკითხებზე მუშაობდა,

ორგანიზაციებისა და ქვეყნების კულტურული ასპექტების კლასიფიკაცია შემდეგ მახასიათებელთა საფუძველზე ჩამოაყალიბა:

1. იერარქიული კიბის სიგრძე, რომელიც განსაზღვრავს კულტურის მხრიდან ხელმძღვანელის მიერ თავისი ძალაუფლების გამოყენების წახალისების ხარისხს. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, სადაც წახალისების ხარისხი მაღალია, ადამიანებს შორის უთანაბრობა აღიქმება როგორც ჩვეულებრივი მოვლენა და ხელმძღვანელობისგან ელიან კიდეც ძალაუფლების გამოვლენას.
2. გაურკვევლობისაგან თავის არიდება. იგი გვიჩვენებს მართვის მიუღებელი სიტუაციისათვის თავის არიდებისაკენ მისწრაფების ხარისხს.
3. ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი. აქ ასახვას პოულობს შრომით მოტივაციაში ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების თანაფარდობა;
4. მასკულინიზმი-ფემინიზმი. განსაზღვრავს „მამაკაცური" და „ქალური" კულტურების დომინირების ხარისხს.

განსხვავებული ორგანიზაციული კულტურების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის მართვაზე ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

1. კულტურული საკომუნიკაციო ბარიერები თანამშრომლობაში. სხვადასხვა კულტურების შემცველი კომუნიკაციის წინაშე შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სიძნელე, მათ შორის საკომუნიკაციო დარღვევებიც კი, რომლებიც განპირობებულია კულტურის ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: კულტურულ განსხვავებათა უგულვებელყოფით გამოწვეული დაბრკოლებები, რეალურობის შეგრძნების დამახინჯება, შაბლონური აზროვნება და სხვ.
2. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განსხვავებანი მართვის სტილში;
3. განსხვავებანი პრობლემის დასმასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში;
4. შრომის მოტივაციის განსხვავებულობით განპირობებული პოტენციური კონფლიქტები, რომელთა მოტივები, როგორც წესი, განისაზღვრება სოციალური და ოჯახური მდგომარეობით;
5. განსხვავებანი სოციალურ-კულტურულ კომპეტენციასა და პერსონალის განვითარებაში. აქ იგულისხმება კულტურის განსაზღვრული მდგრადობის არსებობა, რაც გამოიხატება სხვა კულტურების მიღებაში, საკუთარ კულტურულ ურთიერთდამოკიდებულებათა ცოდნაში, გახსნილობასა და მოთმინებაში კულტურული კომუნიკაციის პროცესში, პერსონალის მართვაში ერთი კულტურული სფეროდან მეორეში ნოუჰაუს გადმოტანის შესაძლებლობის შეფასების უნარში.

საერთაშორისო ბიზნესში ორგანიზაციული კულტურის თავისებურებაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებენ სხვადასხვა ტიპის კულტურები, რაც თითოეული მათგანის უნიკალურობით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ბიზნესის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება, რომელშიც ოპტიმალურად იქნება ასახული ეროვნული კულტურების თავისებურებანი.

ბიზნესის სულ უფრო მზარდ ტრანსნაციონალიზაციასა და გლობალიზაციასთან დაკავშირებით წინა პლანზე იწევს სრულიად სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ინდივიდთა დაჯგუფების მოქმედების კოორდინაციის პრობლემა და ერთიანი წესების შესაქმნელად უდიდეს მნიშვნელობას იძენს კროსკულტურული ასპექტების შესწავლა.

ბრძანებების შექმნის პრობლემა უკვე დიდი ხანია შეისწავლება მენეჯმენტის სასწავლო სახელმძღვანელოებსა და კურსებში, მაშინაც კი, როდესაც ბიზნესის მონაწილენი ძირითადად ერთ ქვეყანას, ანუ კულტურას განეკუთვნებიან, საერთაშორისო ბრძანებები ახლა უკვე მტკიცედ დამკვიდრდნენ ჩვენს ცხოვრებაში და მრავალეროვნულმა კომპანიებმა გვერდი არ უნდა აუარონ მათი შესწავლის საკითხებს.

საერთაშორისო მეწარმეები, მას შემდეგ, რაც გაეცნობიან თავიანთი პარტნიორების ეროვნულ თავისებურებებს, უნდა მიიღონ რეკომენდაციები, როგორ იურთიერთონ ერთმანეთთან და რას შეიძლება მოელოდნენ მათგან, რას ხედავენ ისინი თავიანთი თვალსაწიერის ფარგლებში, რით განსხვავდებიან ეს შეხედულებები პრინციპულად და რაში ემთხვევიან ერთმანეთს.

არსებობს ისეთი სფეროებიც, სადაც ორი ერი შეიძლება მივიდეს შეთანხმებამდეც

და სწორედ, აქედან გამომდინარე არის მნიშვნელოვანი კროსკულტურული ასპექტების შესწავლა.

საერთაშორისო მეწარმეობის წარმატებები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- პარტნიორებთან ურთიერთობის ხასიათზე;
- საქმიანი კავშირების დამყარების ცოდნაზე;
- პარტნიორებზე საჭირო შთაბეჭდილებების მოხდენის უნარზე;
- პარტნიორის მოტივაციის გაგების უნაზე.

თანამედროვე მეწარმისათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, იცოდეს საქმიანი ეთიკის თავისებურებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, პარტნიორთა ქცევის სპეციფიკური თვისებები, როგორც სხვა ქვეყნების საქმიანი კულტურის მატარებლისა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეროვნული ფსიქოლოგია, ტრადიციები, კონკრეტული ქვეყნების წეს-ჩვეულებები, აგრეთვე პირადი ჩვევები, ჟესტები, მიმიკა.

საერთაშორისო მეწარმეობის კროსკულტურული ასპექტები მოიცავს სხვადასხვა ბიზნეს-კულტურის გამოკვლევას, საქმიანი ეთიკის და ეტიკეტის თავისებურებების შესწავლას და, აგრეთვე კომუნიკაციურ განსხვავებებს ადამიანებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს, კარგად გავიგოთ ამა თუ იმ კულტურის განსხვავებათა მიზეზები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენელთათვის.

კროსკულტურულ რეკომენდაციათა უმეტესობას არ გააჩნია თეორიული საფუძველი, ისინი უბრალოდ წარმოადგენენ მეწარმეთა საერთაშორისო ურთიერთობის ხანგძლივი გამოცდილებით მიღებულ პრაქტიკული დაკვირვებების შედეგებს.

სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი ურთიერთობების კულტურის თავისებურებები საშუალებას იძლევა, ჩამოვაყალიბოთ საქმიანი ურთიერთობის განსაზღვრული კანონზომიერებები სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა შორის, რისი განხორციელებაც შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:

- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციებით;
- გაცნობით, მისალმებით, წარდგენით, პირველი კონტაქტებითა და შეხვედრებით;
- საქმიანი ოქმების გაფორმების წესით;
- მოლაპარაკებებზე ქცევის წესებით;
- გარეგნული იერ-სახის, მანერების და საქმიანი ჩაცმულობის მოთხოვნებით;
- საქმიანი მიმოწერით;
- მიღების ორგანიზაციით.

კომუნიკაციათა თავისებურებების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი ცნებების გადათარგმნა სხვადასხვა ენაზე შეუძლებელია. მაგალითად, ესპანურ ენაში არ არსებობს სიტყვა „მეწარმე“. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჟესტების ენაც, რომელიც ძალიან განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში.

არავერბალური ენის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ადამიანებს შორის მანძილი საუბრის დროს. სიტუაციის შესაბამისი მანძილის განცდა ყოველ კულტურას თავისებური აქვს. კომუნიკაციის თავისებურებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველი შეხვედრისას, რადგანაც ამაზეა დამოკიდებულია პარტნიორის კეთილგანწყობის მოპოვება და ურთიერთსიმპათიისა და ნდობის დამყარება.

ორგანიზაციებში ყოველთვის ეთმობოდა დიდი ყურადღება მომუშავეთა შრომით კმაყოფილების სასურველი დონის მიღწევას, ვინაიდან მრავალი მეცნიერული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ყოველთვის აღინიშნებოდა ძლიერი კავშირი მომუშავეთა შრომით კმაყოფილებასა და ორგანიზაციის ეფექტიანობას შორის.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, შრომითი კმაყოფილებისა და აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვით ლიდერობენ კერძო ორგანიზაციები, რომლებშიც საჯარო ორგანიზაციებთან შედარებით გაცილებით უფრო მკაფიოდ არის გამოვლენილი და დამკვიდრებული გუნდური ორგანიზაციული კულტურა. მართვის ასეთი მოდელი დამახასიათბელია შორეული აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნებისთვის, რომელთა უსწრაფესი განვითარება შეფასებული იქნა როგორც სასწაული. ეს გარემოება საგულისხმო და სამაგალითო უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ბევრწილად განსაზღვრავენ საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარების ტემპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰოფსტედე, გ., ჰოფსტედე, გ. ი. (2011). კულტურები და ორგანიზაციები. თბილისი.
2. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო (2011). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი, თბილისი.
3. ვეშაპიძე, შ. (2011). „საერთაშორისო სამეწარმეო გარემოს კროსკულტურული ასპექტები", „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო" – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი.

# Organizational Culture and Croscultural Aspects of International Business

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.036

**Manana Beruashvili**
PHD Student of Georgian Technical University

**Key words:**
ORGANIZATIONAL CULTURE, GLOBAL ENVIRONMENT, INTERNATIONAL BUSINESS

## Summary

In today's global interdependence of national economies and the growth of the state border associated as an economic category, to some extent, loses its value as a historical-legal category is not disappearing, but it is becoming more liberal in terms of the movement of the various factors of production.

As a result of the process of globalization, the interdependence of national economic growth is the basis for the production of Internationalization, a significant factor in the Intercultural relations.

Given the fact that cross the borders of countries in the international business and, therefore, increasing the diversity of cultural, business and production complicating the success of cross-cultural approach.

International Business's successful business in the modern world at the necessary condition for the organizational culture, which will be reflected in national cultures optimally features.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# სინერგეტიკული მიდგომები მარკეტინგის მართვის პროცესში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.037

**ნანა ნადირაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორი*

**საკვანძო სიტყვები:**
მარკეტინგი, სინერგეტიკული მიდგომები, მარკეტინგის სისტემა

თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებები გვიჩვენებს, რომ არაერთი ფაქტორისა და წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გადაჯგუფებულია. ისინი დიდ გავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ კიდეც ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ტრადიციული რესურსების კლებადი შესაძლებლობები უკავშირდება როგორც მათი გამოყენების ფიზიკურ შესაძლებლობებს და ზღვართან მიახლოებას, ისე დაქვეითებულ ეფექტიანობას და იმავდროულად, ბუნებათდაცვის ღონისძიებებზე დანახარჯების გაზრდას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის მოდელში წამყვანი უნდა გახდეს ტექნოლოგიების, კერძოდ, პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური პროცესების სისტემა, რომლებიც, სინერგეტიკული მიდგომით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური სისტემების მთავარ კომპონენტებად გვევლინება ტექნოლოგიური, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-ორგანიზაციული, მმართველობითი, ასევე კოგნიტური სიახლეები, რომლებიც სათანადო დოზირებით ასახულია სამეცნიერო ნაშრომებსა და გამოგონებებში, ნოუჰაუსა და ნაირგვარ მატერიალურ წყაროში. ისინი აღმოცენდება კვლავწარმოებითი ციკლის ყოველ სტადიაზე, ინოვაციები ურთიერთისაგან განსხვავდება ტექნოლოგიებით, წარმოშობა-წარმოშობილობით, დანიშნულებით, სიახლის ხარისხით, საგნობრივ შინაარსობრივი სტრუქტურით, ეკონომიკურ პროცესებზე გავრცელებისა და ზემოქმედების დონით. ინოვაციური შინაარსის შემცველი მიდგომები არის არა რაღაც სიახლის დანერგვის ერთჯერადი აქტი, არამედ დამუშავების, დანეგვის, შეჯერება-ათვისების, წარმოების, დიფუზიისა და სიახლეთა კომერციალიზაციის ღონისძიებათა მიზანმიმართული სისტემა. ინოვაციური მიდგომა უნდა განვიხილოთ როგორც სიახლეთა შექმნის, შემოქმედების სიღრმისეული პროცესი, როგორც ინოვაციური ალტერნატივის მაქსიმალურად რეალიზების, ინოვაციურ მოთხოვნათა და სამეწარმეო ძალისხმევისა და ღონისძიებების პერმანენტული პროცესი. ინოვაციური ეფექტის სტრუქტურის სირთულე, თავის მხრივ, გამოვლინდება ორი ძირითადი ფორმით. ცხადია, ასეთი ეფექტის შემცველი კომპონენტები ყოველთვის არ შეიძლება გაიზომოს ერთნაირ უნივერსალურ ერთეულებში (მაგალითად, თუნდაც ღირებულებითში), რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მიღებული ცალკეული შეფასებების ურთიერთინტეგრირება. მეორე მხრივ, ანალოგიური ინტეგრაციის განხორციელების პროცედურები მოითხოვს ეფექტის ცალკეული კომპონენტების შედარებითი მნიშვნელობის რადენობრივი შეფასებების

არსებობას, რომლებიც შეიძლება ჩვენ მიერ მხოლოდ სუბიექტურად განისაზღვროს.

მარკეტინგის სისტემის მართვისას მეცნიერული მიდგომებით, მით უფრო სინერგიზმისა და სინერგეტიკული იდეების მომარჯვებით ვეზიარებით ახალ ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შედეგად ვიღებთ არსებითად სრულიად ახალ ჯგუფს. სინერგეტიკული იდეების გამოყენება გვეხმარება მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე შევიცნოთ და გავიზიაროთ მნიშვნელოვანი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება მოვახდინოთ სახსრების დანახარჯების დაზოგვა-მინიმიზირება. სინერგია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის გამართულ მუშაობას, უფრო დიდი ეფექტის მიღებასა და მიღწევას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტრემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა. სინერგია ეკონომიკაში ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობებს, რომლებიც წარმოიშობა ერთიანი, ერთობლივი ხელმძღვანელობით, ორი ან მეტი საწარმოს შეერთება-თავმოყრით. ამ დროს მატულობს და მაღლდება ეფექტიანობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების გზით. წარმოების დანახარჯების შემცირებით. ასე რომ, პრობლემების გასამკლავებლად ერთობლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. სინერგეტიკული ეფექტი საწამოს დონეზე შეიძლება შეფასდეს საწარმოს მუშაობის შედეგების მიხედვით; დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით; ორგანიზაციის პერსონალისა და ნოვატორ-ინოვატორების არაწინააღმდეგობრივი ურთიერთმოქმედებით; მართვის წესებითა და მარკეტინგის ვარიაციული სახესხვაობით; პიროვნული და პროფესიულ-პროფესიონალური განვითარების სრულყოფით. საყურადღებოა, რომ სინერგეტიკის კატეგორიული აპარატი მოიცავს ისეთ გაგებას, როგორიცაა ატრაქტორი, ასევე ბიფურკაცია, ფლუქტუაცია, ფრაქტალურობა, დისიპათიური სტრუქტურები და თვითორგანიზება. კრიტიკულ სიტუაციაში კრიტიკული წერტილოვანი მოვლენების შედეგად სისტემის მოქნილობა ფერხდება - არამყარი და არამდგრადი ხდება, წარმოიშობა საშიში სიმპტომები - სისტემის სხვა ხარისხში გადასვლის შესაძლებლობები, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ბიფურკაციის წერტილების სახელწოდებით არის ცნობილი. თვითორგანიზებადი სისტემის წინაშე ზემოხსენებული ბიფურკაციის წერტილებში თავს იჩენს განვითარების გზების ვარიაციული სიმრავლე. ამ დროს, იმ ფარგალში, რომელიც იქნება არჩეული ვითარდება ყველაზე უფრო ოპტიმალურია, რადგან ბიფურკაციის შემდეგ სისტემა შემდგომ წერტილამდე წინსვლით განაგძობს განვითარებას. ცხადია, არასიმყარისა და არამდგრადობის თავჩენა თავის მხრივ წარმოშობს სისტემის ქცევის ახალ ტიპს. აქ ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფლუქტუაციები, რომლების გარდაუვლად წარმოიქმნება იმ სისტემაში, რომელიც გამოირჩევა თავისუფლების მრავალი ხარისხით, მაგრამ იმავდროულად ისინი წარმოადგენენ შემთხვევით მოვლენებს. მათ შესწევთ ძალა ახალი წესრიგის წარმოშობა-აღმოცენებისა, აღმოცენება ახალი მაკროსტრუქტურისა. სწორედ მათ მოცულობასა და მიმართულებაზეა დამოკიდებული არასიმყარის ვითარებიდან სისტემა რომლის გამოყენებით გამოვა შესაძლო ტრაექტორიებიდან. ფლუქტუაციები შესაძლებელია გაძლიერდეს სრულიად შემთხვევითი გარე ზემოქმედებით, რომლებიც, რაღაცნაირად, თითქოს სისტემას შემდგომი განვითარების ტრაექტორიის არჩევისაკენ მიმართავს. ღია არახაზობრივ გარემოში მცირეოდენმა ზემოქმედებამ, ფლუქტუაციამ, შემთხვევითობამ შესაძლოა არსებით შედეგებამდე მიგვიყვანოს. მცირედი ფლუქტუაცია მოსალოდნელია გადაიზარდოს მაკროსტრუქტურაში. ფლუქტუაცია სისტემას აიძულებს, აირჩიოს ის გეზი და განტოტება, რომლის მიხედვითაც მოხდება სისტემის შემდგომი განვითარება. ფლუქტუაციისა და ბიფურკაციის მოვლენები მჭიდროდაა დაკავშირებული დისიპათიური სტრუქტურების გაგებასთან. როგორც ცნობილია, ყველა სისტემა შეიცავს ქვესისტემებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფლუქტუაციურ მდგომარეობაში იმყოფება.ზოგჯერ ცალკეული ფლუქტუაცია ან ფლუქტუაციების კომბინაცია დადებითი უკუკავშირის შედეგად შესაძლოა იმდენად გაძლიერდეს, რომ მანამადე არსებულმა ორგანიზებამ ვერც კი გაძლოს და დაიშალოს. ამ გარდამტეხ მომენტში შეუძლებელია წინასწარ განვჭვრიტოთ და გამოვიცნოთ, როგორი მიმართულებით წარიმართება შემდგომი გან-

ვითარება: სისტემის მდგომარეობა მაშინ გახდება ქაოტური, თუ ის გადავა მოწესრიგებულობასა ან ორგანიზაციის ახალ, უფრო დიფერენცირებულ და უფრო მაღალ დონეზე, რომელსაც ი. პრიგოჟინი, ცნობილი ბელგიელი მეცნიერი, სამეცნიერო მიმოქცევაში ტერმინ სინერგეტიკის შემომტან-დამნერგავი, "დისიპათიურ სტრუქტურას" უწოდებს. ამრიგად, დისიპათიური სტრუქტურები გახლავთ უფრო მაღალი სირთულის წარმონაქმნი, ვიდრე დაშლილ-დანგრეული მისი წინამორბედნი. სინერგეტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ატრაქტორის გაგებას, რომელიც სინონიმია სიტყვა "მიზანისა", როგორც საბოლოო გამომხატველი მდგომარეობისა. ცნება ატრაქტში გულისხმობენ "სისტემის შედარებით მყარ ვითარებას", რომელიც თავისკენ იზიდავს სისტემის ტრაექტორიების მთელ სიმრავლეს, რომლებსაც სხვადასხვა საწყისი პირობა აქვთ. თუ არამყარი, არამდგრადი სისტემა მოხვდება გარკვეული ატრაქტორის მიზიდულობის არეში, სისტემა გარდაუვლად გადაიხრება მდგრადი მდგომარეობის განვითარებისაკენ და შეუძლია ამ მდგომარეობაში დაჰყოს მანამ, სანამ სისტემა რაიმე მიზეზით კვლავ არ დაუბრუნდება არამყარ მდგომარეობას.

სინერგეტიკის საგნის სპეციფიკა ისაა, რომ იგი ხაზობრივი აზროვნების თვალთახედვით ღია სისტემებში შეისწავლის თვითორგანიზაციის პროცესებს. ამ შემთხვევაში გამოკვლევების ობიექტს წარმოადგენს რთულად ორგანიზებული არათანაბარი სისტემები, რომლებიც ისწრაფიან ქაოსიდან წესრიგიანობისაკენ და პირიქით - გადადიან სხვადასხვა სტადიაში. თვითორგანიზება არის მოწესრიგებულობის, ურთიერთობების, ურთიერთკავშირებისა და შეზღუდულობათა თვითნებურად წარმოშობილი პროცესი, რაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვაში.

სინერგეტიკული მიდგომა გულისხმობს იმანენტური (საგნის შინაგანი ბუნების) და ტრანსცენდენტური (კვლევის საზღვრების მიღმა არსებულის) მოვლენების ან მისი გამოვლინებების შესწავლას, რომლებიც სისტემაში ფლუქტუაციას იწვევენ, რომლებიც, თავის მხრივ, განიხილება როგორც ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგები - როგორც ცვლილებების მიზეზები ან წანამძღვრები. ფლუქტუაციების მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური სისტემის რაღაც ფაქტორი. რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს არაცხადლივ. იგი, ასევე არა სააშკარაოდ ან მოულოდნელად თავჩენილი, პერსპექტიულად მოახდენს დადებით და უარყოფით გავლენას მთლიან სისტემაზე ან კიდევ მის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მაჩვენებელზე. ფლუქტუაციების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს დაუძლეველი ძალების მოქმედებების დაწყება.

მარკეტინგის მიერ მართვის სისტემის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინერგეტიკული მიდგომის ინოვაციური გამოყენება. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, მარკეტინგის განხრის მენეჯერი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყოს და იგი, როგორც არაერთი ეკონომიკური დისციპლინის მცოდნე, აღიჭურვოს ყველა მოწინავე იდეითა და მართვის ფორმით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა შეისწავლოს, გამოიყენოს და დანერგოს პროგრესული ცოდნა და ინოვაციური ტექნოლოგიები. მეორე მხრივ, სისტემის ფუნქციონირების შესწავლა-დაკვირვებისას მან უნდა გაანალიზოს და შეაფასოს სისტემა. იმავდროულად უნდა გაითვალისწინოს და პროგნოზირება მოახდინოს იმ მდგომარეობებისა, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა საწარმოოს მთლიანი საქმიანობის შედეგებზე.

მარკეტინგის სისტემაში სინერგეტიკული ეფექტი სხვა არაფერია, თუ არა მისი ელემენტების კოოპერატიული მოქმედების შედეგი, რომელსაც ცვლილებისაკენ მიჰყავს სისტემის ხარისხი, მისი განვითარების ტრაექტორია და იმავდროულად გვაქვს არა მხოლოდ ეკონომიკური სისტემის ელემენტების კოლექტიური მოქმედების შედეგის მეტობა მათი ინდივიდუალური მოქმედების ჯამზე, რაც ახასიათებს სინერგეტიკული ეფექტის შესახებ გავრცელებული შეხედულების შეზღუდულობას. მსოფლიო მნიშვნელობის საუკეთესო კომპანიების ხანგრძლივვადიანი წარმატებების მიზეზების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველ შესწავლილ ცნობილ კორპორაციას გარეგნულად, წარმატებისაკენ სრულიად განსხვავებული სავალი გზები ჰქონდათ, მაგრამ კომპანიების საქმიანობის სიღრმისეული მექანიზმები ერთდროულად არატრადიციული და მსგავსია, მათ შორის:

- დავიწყოთ არა კარგი სასტარტო იდეით, არამედ კომპანია აიგოს სურვილისამებრ;
- ვიყოთ მზად, უარვყოთ ან განვავითაროთ

ნებისმიერი იდეა, მაგრამ არ დავტოვოთ კომპანია;

- ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ გააზრებებს ორგანიზაციული დიზაინის შესახებ. მუდამ გვახსოვდეს, რომ საქონელი და მომსახურება - შედეგია;
- ვიმოძრაოთ არც ისე დიდი ნაბიჯებით, რათა მოულოდნელად მოვიხელთოთ და გამოვიყენოთ ჩვენ მიერ გაცნობიერებული შესაძლებლობები;
- მოძრაობის მთავარი ორიენტირი იდეოლოგიაა, რომელიც ასახავს, რისთვის და რატომ არსებობს ორგანიზაცია;
- მთავარია არა ის, რისი მიღწევა სურს ორგანიზაციას, არამედ როგორი უნდა გახდეს.

ზემოთ მოყვანილი მითითებებისაგან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე მექანიზმი რთული სისტემების ნაწილია, რომელიც სწორი აღქმით და გამოყენებით ვითარდება; ევოლუციური პროცესი შეიძლება გახდეს პროგრესის სტიმულირების ხელშემწყობი და მძლავრი იარაღი. სინეგეტიკამ ანუ თვითორგანიზაციის თეორიამ უკვე გამოიკვლია რთული სისტემების ევოლუციის საიდუმლოს ბუნება, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მართვის მძლავრი ფუნდამენტობის ფუნქცია, რომელიც ორიენტირებულია შეცნობადობაზე, თვითორგანიზებადი ტენდენციების ამოქმედებასა და მხარდაჭერაზე სინერგეტიკული მიდგომის გამოყენების სფერო საშუალებას იძლევა, ვამტკიცოთ, რომ სწორად შერჩეული მმართველობითი გადაწყვეტილება, შევსებულ-დამატებული ატრაქტორული სტიმულირებით, აყალიბებს კავშირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის მყარ ფუნქციონირებასა და განვითარებას. მარკეტინგის მართვის აპარატის მიერ დადგენილი და დაწესებული სტიმულები აწესრიგებენ სისტემას, უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებისა და განვითარების სიმყარეს ძირითად დივერსიფიკაციის ორგანიზაციისა და მართული დადებითი სინერგიის მეშვეობით. სინერგეტიკის საგნის სპეციფიკა ისაა, რომ ღია სისტემებში თვითორგანიზაციის პროცესები ფასდება არა ხაზობრივი აზროვნების კუთხით. კვლევის ობიექტს კი წარმოადგენს რთულად ორგანიზებული არათანაბაწონადი სისტემები, რომლებიც იმყოფება ქაოსიდან წესრიგისაკენ და პირიქით – გადასვლის განსხვავებულ, სრულიად სხვადასხვა სტადიებში.

ამგვარად, გამოვყავით სინერგეტიკული მიდგომის შემდეგი უპირატესობები:

ა) ორგანიზაციის შიგნით ევოლუციური პროცესების შეგნებული გამოყენება, რომლებიც მიმდინარეობს, მარეზულტირებადი ორი ძალის ზემოქმედებით: კერძოდ, გარეგანი ფლუქტუაციები და სისტემის შინაგანი რეაქციებით;

ბ) თვითცვლილებადი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც მუშაობს თვითცვალებადი წესების მიხედვით და ამასთანავე ადასტურებენ შეთანხმებულ ქცევას;

გ) ღია სისტემებში თვითორგანიზაციის პროცესების შესწავლა არახაზობრივი აზროვნების ზეგავლენის კუთხით;

დ) პერმანენტულობისა და დისკრეტუალობის იმიტაციური მოდელირება - იმ სავალდებულო პირობების, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის სასიცოცხლო ციკლს;

ე) გარეშე შემაშფოთებელი იმპულსების ფიქსაცია, რომლებიც აღმოცენდება მაკროსისტემაში და პარალელურ სისტემებში, ინფორმაციის შეკუმშვა შეკვეცა და დამუშავება ამ შეშფოთებების შესახებ, შინაგანი იმპულსების შერჩევა, რომლებიც სისტემას საშუალებას მისცემს მოახდინოს გარეშე ზემოქმედებებისადმი ადაპტირება;

ვ) ახალი ხარისხის აღმოცენების გამო განსხვავებული მასშტაბის სტრუქტურული დონეების კავშირისგან ხორციელება სისტემის ნაწილაკების კოოპერირების სახით, რაც უზრუნველყოფს სინერგეტიკული ეფექტის წარმოჩენას.

# Synergistic Approach to Marketing Management Process

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.037

**Nana Nadirashvili**
Georgian Technical University Phd student,
Gori Teaching University lector

**Key words:**
MARKETING, SYNERGISTIC APPROACH TO MARKETING SYSTEM

## Summary

System of new technologies, particularly innovative processes of products and services, having distinguished synergetic approach in our opinion, should become key model of economical growth. Innovative approach shall be discussed as depth process of making novelties and creative work, as well as maximal realization of innovative alternative, permanent process of innovative demands and entrepreneurial facilities and efforts.

During managing the marketing system with scientific methods, especially with synergism and synergetic ideas, we are introduced to new innovative methods as a result of which we get completely original group. Usage of synergetic ideas helps us to increase management effectiveness, particularly to realize and become aware of important defects and their remedies without special expenditures. Such method makes it possible to conserve-minimize resources and costs.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# საერთაშორისო ბიზნესი გლობალიზაციის პირობებში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.038

**ეთერ ნარიმანიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
გლობალიზაცია,ფიჭური, გლობალური, ტარიფები, კვოტები, პრივატიზება

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში და ოცდამეერთე საუკუნეში საერთაშორისო ბიზნესის ზრდამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის (ესპერტის) აზრით, ეჭვს აღარ იწვევს გლობალიზაციის ერის დადგომა. ერთ-ერთი მიდგომით გლობ-ალიზაცია - ესაა განუწყვეტლივ მიმდინარე, ბაზრების, სუვერენული სახელმწიფოებისა და ტექნოლოგიების ინვესტიციების მყარი პრო-ცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ცალკეულ პირებს, კორპორაციულ და სუვერენულ სახელმ-წიფოებს უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მინიმალური დანახარჯებით დაამ-ყარონ ღრმა კონტაქტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით განთავსებულ პარტნიორებთან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ მთელ რიგ ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიოს ქვეყნების ინტეგრაციის გაძლიერებაზე. ამ ფაქტორებიდან უმთავრესია სოციალისტური სისტემის დაშლა 80–იანი წლების ბოლოს, რის შედეგადაც აღმოიფხვრა მსოფლიოს კომუნ-ისტურ და კაპიტალისტურ ბანაკად დაყ-ოფის პრაქტიკა. ამის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა საერთაშორისო ბიზნესი და დაჩქარდა პრივატიზაციის პროცესი. შემდეგ ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიის სრულყოფის სფეროში მიღწეული პროგრესი, რომელმაც ხელი შეუწყო ინტეგრაციის გაღმავე-ბას. მსოფლიო ეკონომიკაზე მოწინავე ტექნო-ლოგიის გავლენის კარგ მაგალითს ინტერნეტის მსოფლიო ქსელის შექმნა წარმოადგენს. გარდა ამისა, ეკონომიკის გლობალიზაციაში დიდი როლი ითამაშა ისეთმა ტექნოლოგიურმა სი-ახლეებმა, როგორიცაა ფიჭური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერები, თანამგზავრული კავშირები და ა.შ. ყველაფერმა ამან დააჩქარა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ფორმირების პრო-ცესი, ელექტრონული კომერციის განვითარება, მომარაგების ჯაჭვის შექმნა, აგრეთვე საერთაშ-ორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტ-იციების მოცულობის უპრეცედენტო ზრდა. ექსპერტთა ერთი ჯგუფის აზრით, გლობალიზა-ცია მიგვიყვანს საზღვრების გარეშე მსოფლიოს შექმნამდე, რომელშიც სუვერენული სახელმწი-ფოები სულ უფრო და უფრო დაკარგავენ თავი-ანთ გავლენას. სპეციალისტთა მეორე ჯგუფი გამოთქვამს ეჭვს ამ შეხედულების მიმართ. მათი აზრით, ისეთი მოვლენა, როგორიცაა გლობალ-იზაციის პროცესი და სუვერენული სახელმ-წიფოების არსებობა, დარჩება თანამედროვე ცხოვრების ძირითად, ამასთან ბევრ შემთხვევაში, ანტაგონისტურ ფაქტორებად. მომავალ ათ-წლეულებში ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა, რომელიც იდგება პოლიტიკური ლიდერებისა და მსხვილი ბიზნესმენების წინაშე, მდგომარეობს

იმაში, რომ გაგებული და შესაძლებლობის ფარგლებში შეთანხმებულ იქნეს გლობალური ეკონომიკის ურთიერთსაწინააღმდეგო, ბევრ შემთხვევაში, შეუთავსებელი მოთხოვნები და მსოფლიო ქვეყნების ის ინტერესები, რომლებიც ამ ეკონომიკის საფუძველს შეადგენს. მსოფლიო მასშტაბით, მრავალი ექსპერტის აზრით, გლობალიზაციას გააჩნია დადებითი მხარეები, მაგრამ ამავე დროს იგი არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. სახელდობრ, საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნების კომპანიებს თავიანთი წარმოება პირველ რიგში გადააქვთ განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე. სადაც შრომითი კანონმდებლობა და გარემოს დაცვის შესახებ არსებული ნორმები, დანახარჯების მოთხოვნის თვალსაზრისით, იმდენად მსუბუქია (არამკაცრია), რომ თითქმის არ არსებობს დაცვის (შესრულების) აუცილებლობა. ამიტომ ეს კომპანიები თავის ვალდებულებად არ მიიჩნევენ მათ შესრულებას. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის ზრდა ყველასათვის თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გახდა. მაგრამ აუცილებლად ისმის კითხვა, თუ რამ განაპირობა ასეთი განვითარების შესაძლებლობა და რატომ არის მომავალში საერთაშორისო ბიზნესის კიდევ უფრო მეტად განვითარების მაღალი ალბათობა? ექსპერტთა აზრით, არსებობს ამ მოვლენის ორი ძირითადი მიზეზი: 1) კომპანიის სტრატეგიული მიზნები (მოთხოვნები), რომლებიც წარმოადგენენ გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მოტივატორებს და 2) საერთაშორისო ბიზნესის გარემოში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას. აღნიშნული ძირითადი მიზეზებიდან გამომდინარე, არსებობს მთელი რიგი საბაზრო მიზეზები, რომლებიც აიძულებენ კომპანიებს გახდნენ უფრო გლობალურები, როგორც განვითარების საერთო კურსის, ისე ყოველდღიური პრაქტიკული სქმიანობის კუთხით. ასეთ სტრატეგიულ მიზეზებს (უპირატესობებს, იმპერატივებს) მიეკუთვნება: კომპნიის საკვანძო უპირატესობების (კომპეტენციების) გამოყენება, რესურსების შეძენა უფრო დაბალი ფასით, კომპანიის ახალ ბაზრებზე შეღწევა, თავის დარგში უფრო ეფექტიანი კონკურენციის გაწევა.

კომპანიის საკვანძო უპირატესობების (კომპენტენციების) გამოყენება. გლობალიზაციის ერთდერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს საკვანძო კომპეტენციების (უპირატესობათა) უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა წარმოადგენს, რომელთა განვითარებაც შეძლო კომპანიამ შიდა ბაზარზე.

საკვანძო კომპეტენცია განსაზღვრავს იმ განსხვავებულად გამორჩეულ ძლიერ მხარეს ან უპირატესობას, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის. ახალ ბაზარზე საკვანძო კომპენტენციების გამოყენებით კომპანიას შეუძლია გაზარდოს თავისი შემოსავალი და მოგება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საზღვარგარეთული კომპანიები, რადგან საქართველოში ასეთი კომპანიების მოძებნა მეტად გაძნელებულია. სახელდობრ, კომპანიაში „ნოკია" შეიმუშავეს ფიჭური ტელეფონების წარმოების უახლესი ტექნოლოგია, რომელიც ხალისით მიიღეს მომხმარებლებმა ფინეთის შიგა ბაზარზე. კომპანიის ხელმძღვანელობა მალე მიხვდა, რომ შემოსავლების და მოგების კიდევ უფრო გადიდების შესაძლებლობა ეძლეოდა თუ ტელეფონების წარმოებასა და გაყიდვას გააფართოებდა სხვა ქვეყნებშიც, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული. ასეთი მაგალითები შეიძლება მრავლად დავასახელოთ.

რესურსების შეძენა უფრო დაბალი ფასით. საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის განხორციელების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია დაბალ ფასებად საწარმოო რესურსების (მასალების, სამუშაო ძლის, კაპიტალის, ტექნოლოგიის) შეძენის აუცილებლობა. მთელ რიგ შემთხვევებში კომპანიები განიცდიან საზღვარგარეთის ქვეყნებში რესურსების შეძენის მწვავე მოთხოვნას, რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე შესაბამისი რესურსები ან საერთოდ არ არის, ან არასაკმარისია მოთხოვნის სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად ან კიდევ ძვირია სხვა ქვეყნის ბაზრებთან შედარებით. ამის მაგალითები ძალიან ბევრია. მაგალითად, იაპონიის კომპანიები ხის მასალებსა და ხის ნაწარმს ყიდულობენ კანადაში; მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომპანიები ნავთობს ყიდულობენ ახალო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში და ა.შ.

გასაღების ახალი ბაზრების ძიება. ბიზნესის გაფართოების მიზნით გასაღების ახალი ბაზრების ძიების აუცილებლობა წარმოადგენს ერთადერთ მნიშვნელოვან მიზეზს კომპანიის საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. როდე-

საც შიგა ბაზარი, სადაც კომპანია ყიდის თავის პროდუქციას, მთლიანად გაჯერებულია, ამ ბაზარზე სულ უფრო ძნელი ხდება მაღალი შემოსავლის მიღება და მოგების ზრდა. ამიტომ საჭიროა შესაბამისი გზების ძიება მოცემული პროდუქციის გაყიდვების გასაფართოვებლად საზღვარგარეთის ახალ, ფორმირებად ბაზარზე გასვლისათვის.

დარგში კონკურენციის უფრო ეფექტურად წარმართვა. კომპანიის საზღვარგარეთის გასაღების ბაზარზე გასვლის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სურვილი იმისა, რომ აამაღლოს კონკურენტუნარიანობა და კონკურენტული ბრძოლის ეფექტიანობა იმ დარგში, რომელშიც იგი მოღვაწეობს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანამედროვე კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია გაითვალისწინონ ბიზნესგარემოში მომხდარი ის ცვლილებები, რომლებიც აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის, განსაკუთრებით კი სოციალისტური სისტემის დაშლის, შემდგომ პერიოდში. ასევე გასათვალისწინებელია ის მუდმივად მიმდინარე ცვლლებები, რომლებიც ხდება ბიზნესის გარე გარემოს ძირითადი ფაქტორების მიხედვით. საერთაშორისო ბიზნესში ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური გარემოს ცვლილება, ტექნოლოგიური გარემოს ცვლილება და ა.შ. ანუ ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნების საზღვრებს მიღმა არსებულ მაკროგარემოში და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნიათ. ფაქტობრივად, ისინი საერთაშორისო ბიზნეს გარემოს ფაქტორებს წარმოადგენენ.

პოლიტიკური გარემოს ცვლილება. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ვაჭრობის გაფართოების მიზნით კომპანიების საზღვრვარგარეთის ახალ ბაზრებზე გასვლას ხელს უშლიდა სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ შემოღებული ბარიერები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრმა ქვეყანამ (აშშ, საფრანგეთი, დიდ ბრიტანეთი, გერმანია და ა.შ.) შემოიღო ტარიფები და კვოტები იმპორტულ საქონელზე. იმავდროულად ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს ეროვნულ კომპანიებს საქონლის წარმოებაზე სამთავრობო კონტრაქტების შეთავაზებით. ამის შედეგად 30-იან წლებში საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობა არსებითად შემცირდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეს პრაქტიკა მთლიანად გადაისინჯა და ვაჭრობით დაკავებულ ძირითად ქვეყნებს შორის მოხდა მოლაპარაკება საბაჟო ტარიფებისა და კვოტების შემცირების, აგრეთვე ამ ქვეყნების ტერიტორიაზე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დაწესებული შეზღუდვების გაუქმების თაობაზე. მრავალი ამ შეთანხმებიდან მიღწეულ იქნა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების დადების პროცესში, აგრეთვე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძალისხმევის შედეგად. ტექნოლოგიური გარემოს ცვლილება. მსოფლიოს ქვეყნების მთავრობების მიერ ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკის სფეროში განხორციელებულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას. განსაკუთრებით კავშირგაბმულობის (კომუნიკაციის) სისტემების, სატრანსპორტო საშუალებების და ინფორმაციის დამუშავების საშუალებების სფეროში დანერგილმა სიახლეებმა საერთაშორისო ბიზნესი უფრო ადვილად განსახორციელებელი და მომგებიანი გახადა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. შენგელია, თ. (2010). გლობალური ბიზნესი. თბილისი: ახალი საქართველო.
2. შენგელია, თ. (2008). დასაქმების სფეროში დისკრიმინაცია და ბიზნესი., ჟ. „ეკონომიკა“, №11-12.
3. Чинченов, М.В. (2009). Основы международного бизнеса: Организационные основы, инфраструктура, тактика и стратегия. КноРус.

# Internation Business in Globalization

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.038

**Eteri Narimanishvili**
Doctor of Economics,
Professor of Samtkhe-javakheti State University

**Key words:**
GLOBALIZATION, CELLULAR, GLOBAL, TARIFFS, QUOTAS, PRIVATIZATION

## Summary

Thus, in economy globalization process technological innovations such as cellular phone, personal computer, satellite links, etc. played an important role. All this accelerated Capital formation of the world market, the development of e-commerce, supply chain creation, as well as international trade and international investment unprecedented growth.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# თამაშები უნაგირა წერტილით და თამაშის ამონახსნი შერეული სტრატეგიის არეში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.039

**იოსებ ქართველიშვილი**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**თეა თოდუა**
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
თამაშები უნაგირა წერტილით, თამაშის ამონახსნი, შერეული სტრატეგია

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი სიტუაციები, როდესაც ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნების მქონე მხარეთა ინტერესების შეჯახება ხდება. მოცემული სიტუაციების უმთავრეს მახასიათებელ თვისებად ითვლება ის, რომ არცერთი მხარისათვის არ არის ცნობილი, როგორ იმოქმედებს მოწინააღმდეგე მხარე მოცემულ მომენტში. ეს წარმოქმნის განუსაზღვრელობის ფაქტორს, რომლის არსებობაც მოცემული სიტუაციის ძირითადი მახასიათებელი თვისებაა. გარდა ამისა, თითოეული მხარე გულისხმობს, რომ საქმე აქვს გონიერ მოწინააღმდეგესთან და მათი ყოველი მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის შედეგი იყოს საზიანო, ხოლო თავისთვის კი - სასარგებლო.

ზემოთ მოყვანილი კონფლიქტური სახის სიტუაციების ანალიზისათვის იყენებენ სპეციალურ მათემატიკურ მიმართულებას - თამაშთა თეორიას. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, გამოიმუშაოს რეკომენდაციები კონფლიქტურ სიტუაციაში მოთამაშეთა გონივრული მოქმედებისათვის.

თამაშთა თეორიის პრინციპს, რომელიც თითოეულ მხარეს უწევს რეკომენდაციას უალრესად ფრთხილი სტრატეგიის ამორჩევაში, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მოწინააღმდეგე მხარის ყოველი მოქმედება ყოველთვის თავისთვის სასარგებლოა და მოპირდაპირე მხარისთვის საზიანო, მინიმაქსის პრინციპი ეწოდება. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მინიმაქსური სტრატეგიები.

მოვიყვანოთ 4X4-ზე თამაშის მაგალითი:

***ცხრილი 1***

| A \ B | $B_1$ | $B_2$ | $B_3$ | $B_4$ | min სტრ. |
|---|---|---|---|---|---|
| $A_1$ | 2 | 3 | 7 | 1 | 1 |
| $A_2$ | 6 | 2 | 1 | 5 | 1 |
| $A_3$ | 5 | <u>**4**</u> | 6 | 7 | **4*** |
| $A_4$ | 5 | 2 | 3 | 4 | 2 |
| max სვეტ. | 6 | 4 | 7 | 7 | |

მოცემული თამაშისათვის გამოვიყენით მინიმაქსის პრინციპი, რომელიც გვაძლევს:

$$\alpha = \max\min a_{ij} = 4; \qquad \beta = \min\max a_j = 4$$

$$v = \alpha = \beta = 4$$

სადაც, $v$ – თამაშის ფასია. მინიმაქსური სტრატეგიები იქნება $A_3$ და $B_2$. ხაზგასმული რიცხვი წარმოადგენს მინიმალურ სიდიდეს თავის სტრიქონში და მაქსიმალურს თავის სვეტში (ე.ი. მდებარეობს მინიმაქსური სტრატეგიების გადაკვეთაზე). მოცემულ რიცხვს ეწოდება უნაგირა წერტილი, ხოლო თამაშებს, რომლებიც შეიცავს უნაგირა წერტილს, ეწოდება თამაშები უნაგირა წერტილით. ასეთი ტიპის თამაშებში მინიმაქსის პრინციპის გამოყენება საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მინიმაქსური სტრატეგიები, რომლებიც თამაშის საბოლოო ამონახსნს წარმოადგენს. მიღებული ამონახსნი იქნება საბოლოო იმ მიზეზით, რომ ნაპოვნი მინიმაქსური სტრატეგიებიდან გადახვევა მხოლოდ თამაშის შედეგის გაუარესებამდე მიგვიყვანს. რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, თამაშის ამონახსნი საბოლოოა, ამიტომ ის აგრეთვე იქნება ოპტიმალური, ხოლო ნაპოვნი მინიმაქსური სტრატეგიები იქნება მოთამაშეების ოპტიმალური სტრატეგიები.

თამაშის ოპტიმალურ ამონახსნს გააჩნია შემდეგი მნიშვნელოვანი თვისება: თუ A მხარე ემყარება თავის ოპტიმალურ სტრატეგიას, მაშინ ის უზრუნველყოფს თავისთვის მოგებას, რომელიც თამაშის $v$ ფასის ტოლია, როგორც არ უნდა იმოქმედოს B მხარემ. თუ B მხარე გადაუხვევს თავის ოპტიმალურ სტრატეგიას, მაშინ A მხარის მოგება, B მხარისთვის უკეთეს შემთხვევაში განმეორდება, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში A მხარის მოგება გაიზრდება.

პრაქტიკაში გვხვდება უამრავი თამაში, სადაც $\alpha \neq \beta$ . ასეთ თამაშებში, მინიმაქსის პრინციპის გამოყენება საშუალებას არ გვაძლევს, ვიპოვოთ თამაშის საბოლოო ამონახსნი. ამავე დროს, თამაშებში უნაგირა წერტილით მინიმაქსის პრინციპის გამოყენება განსაზღვრავს თამაშის საბოლოო ამონახსნს, ანუ მის ოპტიმალურ ამონახსნს. თამაშებში, სადაც $\alpha \neq \beta$ □თამაშის ამონახსნი არ არსებობს მოცემულ წმინდა სტრატეგიათა არეში, მაგრამ იგი არსებობს შერეულ სტრატეგიათა არეში. შერეული სტრატეგია ისეთი სტრატეგიაა, რომლის დროსაც თითოეული მოთამაშე იყენებს თავის სტრატეგიებს წინასწარ მოცემული ალბათობებით. წმინდა სტრატეგია წარმოადგენს შერეული სტრატეგიის კერძო სახეს, რომელშიაც ყველა წმინდა სტრატეგია გამოიყენება 0-ის ტოლი ალბათობით.

განვიხილოთ თამაშის ერთი მაგალითი. ვთქვათ აგროფირმას, რომელიც დაკავებულია მარცვლეული კულტურების მოყვანით, გამოყოფილი აქვს 100ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც შესაძლებელია ხორბლის, ჭვავის, ქერის და შვრიის მოსავალის მიღება. დავუშვათ, რომ გარკვეული მიზეზების გამო საჭირო გახდა ორი მარცვლეული კულტურა შეეცვალათ დანარჩენი ორი მარცვლეული კულტურით ისე, რომ მოსავლის აღების შემდეგ ფირმას მიეღო გარკვეული მოგება. ამ მიზნის განხორციელებისათვის არსებობს შეცვლის ოთხი შესაძლებელი ვარიანტი: ქერი – ხორბალი, ქერი – ჭვავი, შვრია – ხორბალი, შვრია – ჭვავი.

მე-2 და მე-3 ცხრილებში მოყვანილია 1ჰა-ზე მიღებული მოსავლის ღირებულება ლარებში, მარცვლეული კულტურების სახეობების მიხედვით და ერთი სახეობის მეორესთან უპირატესობის ალბათობები მოსავლიანობის გამართლების თვალსაზრისით (მონაცემები აღებულია პირობითად). ზემოთ მოყვანილი სიტუაცია წარმოვიდგინოთ როგორც თამაში ორი – A და B მხარის მონაწილეობით. ამავე დროს A-ს ქვეშ ვიგულისხმოთ წყვილი: ქერი – შვრია, ხოლო B-ს ქვეშ – წყვილი: ხორბალი – ჭვავი.

**ცხრილი 2**

| მარცვლეულის დასახელება | 1 ჰა-ზე შემოსავლის ღირ. ლარებში |
|---|---|
| ქერი | $20 \bullet 10^2$ |
| შვრია | $15 \bullet 10^2$ |
| ხორბალი | $30 \bullet 10^2$ |
| ჭვავი | $10 \bullet 10^2$ |

**ცხრილი 3**

| A \ B | ქერი | შვრია | ხორბალი | ჭვავი |
|---|---|---|---|---|
| | უპირატესობის კოეფიციენტი | | | |
| ქერი | – | – | 0.7 | 0.6 |
| შვრია | – | – | 0.7 | 0.6 |
| ხორბალი | 0.8 | 0.9 | – | – |
| ჭვავი | 0.8 | 0.9 | – | – |

მოცემული ცხრილების საშუალებით შეგვიძლია გამოვთვალოთ ყველა შესაძლებელი ვარიანტის გამოყენების დროს მიღებული შემოსავალი. I ვარიანტი – ქერის მაგიერ ხორბლის დათესავის შემთხვევა. რადგანაც უპირატესობის ალბათობა შეადგენს 0.7-ს, ამიტომ 100 ჰა-დან მოსავალი გაამართლებს $0.7 \bullet 100 = 70$ ჰა-ზე და ღირე-

ბულების ცხრილის თანახმად, შემოსავალი იქნება 70 • 30 • $10^2$ = 2.1 • $10^5$ ლარი, მაგრამ ქერი ალბათობათა ცხრილის თანახმად გაამართლებს 0.8 • 100 = 80 ჰა-ზე და შესაბამისად შემოსავალი იქნება 80 • 20 • $10^2$ = 1.6 • $10^5$ ლარი. თუ პირველ შედეგს გამოვაკლებთ მეორე შედეგს, მივიღებთ I ვარიანტის გამოყენების დროს მიღებულ შემოსავალს.

2.1 • $10^5$ - 1.6 • $10^5$ = 0.5 • $10^5$ ლარი

ასევე შეგვიძლია გამოვთვალოთ დანარჩენი სამი ვარიანტის გამოყენების დროს მიღებული შემოსავლები. მიღებული შედეგები შევიტანოთ მე-4 ცხრილში.

*ცხრილი 4*

| A \ B | ხორბალი | ჭვავი | min სტრიქონში |
|---|---|---|---|
| ქერი | 0.5 • $10^5$ | 1 • $10^5$ | 0.6 |
| შვრია | 0.75 • $10^5$ | -0.75 • $10^5$ | -0.75 • $10^5$ |
| max სვეტში. | 0.75 • $10^5$ | 1 • $10^5$ | |

მოცემულ თამაშში გამოვიყენოთ მინიმაქსის პრინციპი.

$$\alpha = \max_i \min_j a_j = 0.5 \bullet 10^5$$

$$\beta = \min_i \max_j a_j = 0.75 \bullet 10^5$$

როგორც ჩანს $\alpha \neq \beta$, ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშს წმინდა სტრატეგიათა არეში ამონახსნი არ გააჩნია. თამაშის ამონახსნი უნდა ვეძებოთ შერეულ სტრატეგიათა არეში.

დავუშვათ, რომ A მხარე იყენებს თავის პირველ სტრატეგიას $x$ ალბათობით, მაშინ თავის მეორე სტრატეგიას გამოიყენებს (1- $x$) ალბათობით. დავუშვათ B მხარე გამოიყენებს თავის პირველ სტრატეგიას $y$ ალბათობით, მაშინ თავის მეორე სტრატეგიას გამოიყენებს (1- $y$) ალბათობით.

ვიპოვოთ A მხარის მოგების საშუალო მნიშვნელობა, ანუ მოგების მათემატიკური მოლოდინი.

$$= 0.5 \bullet 10^5 xy + 1 \bullet 10^5 x(1-y) + 0.75 \bullet 10^5 y \bullet$$

$$\bullet (1-x) - 0.75 \bullet 10^5 y(1-x)(1-y) = -2 \bullet 10^5 (x - \frac{}{4}) \bullet$$

$$\bullet (y - \frac{}{}) + \frac{9}{16} \bullet 10^5$$

მოვახდინოთ მიღებული გამოსახულების ანალიზი. დავუშვათ რომ A მხარე იყენებს თავის პირველ სტრატეგიას $x$<3/4 ალბათობით, მაშინ $x$–3/4<0. ამ შემთხვევაში B მხარე გამოიყენებს თავის პირველ სტრატეგიას $y$<7/8 ალბათობით, იმიტომ რომ $y$–7/8<0. ამას ის გააკეთებს იმ მიზნით, რომ A მხარის მოგება იყოს რაც შეიძლება ნაკლები.

დავუშვათ, რომ A მხარე იყენებს თავის პირველ სტრატეგიას $x$>3/4 ალბათობით, ამასთან $x$-3/4>0. მაშინ B მხარე გამოიყენებს თავის პირველ სტრატეგიას $y$>7/8 ალბათობით, ამასთან $y$-7/8>0, იმის გამო, რომ ამ შემთხვევაშიც A მხარის მოგება შემცირდეს. A მხარისათვის არ არის მომგებიანი, გამოიყენოს თავისი პირველი სტრატეგია ალბათობებით $x$<3/4 და $x$>3/4. აქედან გამომდინარეობს, რომ A-მ უნდა გამოიყენოს თავისი პირველი სტრატეგია $x_1$=3/4 ალბათობით, ხოლო მეორე სტრატეგია $x_2$=1-3/4=1/4 ალბათობით.

თუ ანალოგიურად ვიმსჯელებთ B მხარის მოქმედების მიმართ, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ მან უნდა გამოიყენოს თავისი პირველი სტრატეგია $y_1$=7/8 ალბათობით და მეორე სტრატეგია $y_2$=1– 7/8 =1/8 ალბათობით.

ამგვარად, სტრატეგიების გამოყენების ოპტიმალური ალბათობები იქნება:

A მხარისათვის: 3/4 – ქერისათვის, 1/4 – შვრიისათვის;

B მხარისათვის: 7/8 – ხორბლისათვის, 1/8 – ჭვავისათვის.

ამასთან თამაშის ფასი ტოლი იქნება:

v = 9/16 • $10^5$ = 0.56 • $10^5$ = 56000 ლარი

როგორც ვხედავთ, შერეული სტრატეგიების გამოყენების შედეგად თამაშის ფასი, ანუ A მხარის მოგება გაიზარდა.

ნებისმიერ თამაშს გააჩნია ამონახსნი ცალკეულ ან შერეულ სტრატეგიათა არეში. თუ A მხარე მიყვება თავის ოპტიმალურ შერეულ სტრატეგიას, მაშინ ის უზრუნველყოფს გარანტირებულ მოგებას, რომელიც თამაშის v ფასის ტოლია, როგორც არ უნდა იმოქმედოს B მხარემ.

თუ $v$ = 0, მაშინ თამაში თანაბრად ხელსაყრელია ორივე მხარისათვის. თუ $v$ > 0, მაშინ თამაში ხელსაყრელია მხოლოდ A მხარისათვის. თუ $v$ < 0, მაშინ თამაში ხელსაყრელია მხოლოდ B მხარისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი, გ., შონია, ო., ქართველიშვილი, ი. (1972). ოპერაციათა კვლევა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
2. Вентцель, Е. (1972). Исследование операций. М.: Сов.радио.

# Games with the Saddle Point and Solutions of Games in the Field of the Mixed Strategy

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.039

**Ioseb Kartvelishvili**
Doctor of Technics,
European Teaching University Associate Professor

**Tea Todua**
Doctor of Technics,
European Teaching University Professor

**Key words:**
GAMES WITH A SADDLE POINT, GAME SOLUTION, MIXED STRATEGY

## Summary

In this article there are considered questions of use of game theory for the analysis of conflict situations, those factors of uncertainty which existence are the main characteristic feature for this situation. Methods of determination of minimax strategy are discussed also. The specific conflict situation on the example of agricultural firm is given. Searching of optimal solution for this situation happens in the field of the mixed strategy.

# წრფივი პროგრამირების ამოცანის ოპტიმალური ამონახსნების მოძებნა მცირე საწარმოს მუშაობის მაგალითზე

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.040

**იოსებ ქართველიშვილი**
*ტექნიკის აკადემიური დოქტორი,*
*ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**თეა თოდუა**
*ტექნიკის აკადემიური დოქტორი,*
*ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:**
წრფივი პროგრამირება, ოპტიმალური ამონახსნების მოძებნა

თანამედროვე ცხოვრება შევიდა განვითარების ისეთ სტადიაში, რომ ნებისმიერი სფერო, პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად საჭიროებს ეფექტური მეთოდების შემუშავებასა და თანამედროვე ტექნიკური სისტემების დაპროექტებას, რომლებიც დასაშვები სიზუსტით მარტივად, სწრაფად და კომპიუტერული დროის უმნიშვნელო დანახარჯებით უზრუნველყოფს დასმული ამოცანების გადაწყვეტას. რთული, მათ შორის ეკონომიკური ობიექტების (სისტემების) ეფექტურად მართვის აუცილებლობამ გამოიწვია სპეციალური მოდელებისა და მეთოდების შექმნა, რომლებიც აადვილებენ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ისინი ოპტიმიზაციის მოდელების სახელწოდებითაა ცნობილი. უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში ეს მოდელები ინტენსიურად ვითარდება და გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფსიქოლოგია და სხვა.

ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: 1) სამრეწველო საწარმოს აინტერესებს საწარმოო რესურსების ეკონომიის საკითხი; 2) ახალ ავტოსტრადაზე უნდა განლაგდეს ავტოგასამართი სადგურების ქსელი, საჭიროა რაციონალურად განისაზღვროს ამ ქსელის პარამეტრები; 3) საქალაქო ტრანსპორტის სამსახურს აინტერესებს სატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალური მარშრუტები. ყველა მაგალითში ოპერაციის კვლევის ძირითადი ამოცანაა გარკვეული მიზნის მისაღწევად საუკეთესო გზის ამორჩევა და მისი შეფასება. ამ შემთხვევაში მთავარი როლი ენიჭება მათემატიკურ მოდელირებას. სანამ მათემატიკურ მოდელს ავაგებდეთ, საჭიროა ობიექტის (სისტემის) წინასწარი შესწავლის საფუძველზე გამოვავლინოთ ამ ობიექტის ისეთი მახასიათებლები, რომელთა მნიშვნელობების ვარირებაც შეიძლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა დავადგინოთ მართვადი ცვლადების

სიმრავლე. მათემატიკური მოდელის ასაგებად საჭიროა სწორი წარმოდგენა გვქონდეს ობიექტის (სისტემის) ფუნქციონირების მიზანზე და ინფორმაცია გვქონდეს შეზღუდვებზე, რომლებიც განსაზღვრავს მართვადი ცვლადების დასაშვებ მნიშვნელობებს. როგორც მიზანი, ასევე შეზღუდვები უნდა ჩაიწეროს ფუნქციების სახით, რომელთა არგუმენტებს წარმოადგენენ მართვადი ცვლადები.

მათემატიკური მოდელები შეიძლება დავყოთ დეტერმინირებულ და სტოქასტურ მოდელებად. დეტერმინირებულ მოდელებში ყველა ფაქტორი, რომელიც ახასიათებს განსახილველ ობიექტს, მკვლევარისათვის ცნობილია. სტოქასტური მოდელები კი შეიცავენ შემთხვევით ფაქტორებს, რომელთა შესახებაც ცნობილია მათი განაწილების კანონები. ოპტიმიზაციის მოდელების პრაქტიკული ამოცანების ამოხსნის დაგროვილი გამოცდილება საშუალებას იძლევა, ამ ამოცანების შინაარსის მიხედვით გამოიყოს მათი ტიპობრივი კლასები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **რესურსების განაწილების და დანიშვნის ამოცანები** წარმოიშობა, როცა გვაქვს შესასრულებელ სამუშაოთა ერთობლიობა და მათ შესასრულებლად საჭირო რესურსები შეზღუდულია. ამოცანა მდგომარეობს სამუშაოების მიხედვით რესურსების ისეთი განაწილების მოძებნაში, რომლის დროსაც ან მინიმალური იქნება ოპერაციის ჩატარების დანახარჯები ან – მაქსიმალური საერთო ეფექტი. ორივე კრიტერიუმის ერთდროულად გათვალისწინებაც შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში მიიღება ე.წ. მრავალკრიტერიუმიანი ოპერაციის ამოცანები. რესურსების განაწილების ტიპის ამოცანებს ეკუთვნის სატრანსპორტო ამოცანა, რომელშიც განიხილება წარმოების პუნქტებზე მოხმარების პუნქტების ოპტიმალური მიმაგრების პრობლემა. ამ ტიპის ამოცანების ამოსახსნელად ფართოდ გამოიყენება წრფივი პროგრამირების, გრაფთა თეორიის, განრიგებათა თეორიის მეთოდები.
2. **მარაგთა მართვის ამოცანები** ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: მარაგის ზრდასთან ერთად იზრდება მისი შენახვის ხარჯები, მაგრამ მცირდება დანაკარგები შესაძლო დეფიციტის გამო. საჭიროა დადგინდეს მარაგის ის მინიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც საჭირო დანახარჯებისა და შესაძლო დეფიციტის გამო შექმნილი დანახარჯების ჯამი მინიმალურია.
3. **მარშრუტების ამორჩევის ამოცანები,** ანუ ქსელური ამოცანები გვხვდება სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სხვადასხვა პროცესის განხილვისას. ამ ტიპის ამოცანებს მიეკუთვნება კომივოიაჟერის, მაქსიმალური ნაკადის და გრაფთა თეორიის ზოგიერთი სხვა ამოცანა.
4. **ქსელური დაგეგმვის ამოცანები** აქტუალურია რთული და ძვირადღირებული პროექტების დამუშავებისას. ამ დროს არსებითია პროექტის სხვადასხვა ეტაპის დაწყებისა და დამთავრების ოპტიმალური დროის დადგენა.
5. **კალენდარული დაგეგმვის ამოცანებისათვის** დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის სამუშაოთა შესრულების ოპტიმალური თანმიმდევრობის დადგენა სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად.
6. **კომბინირებული ამოცანები** ერთდროულად მოიცავს რამდენიმე ტიპის ამოცანას. მაგალითად, წარმოების მართვის პროცესში ვაწყდებით შემდეგ პრობლემებს: თითოეული ტიპის რა რაოდენობის ნაკეთობა გამოვუშვათ (წარმოების დაგეგმვის ამოცანა), როგორ გავანაწილოთ შეკვეთები მოწყობილობებზე (განაწილების ამოცანა), რა თანმიმდევრობით შევასრულოთ შეკვეთები (კალენდარული დაგეგმვის ამოცანა).

პრაქტიკული ამოცანების უმრავლესობა გულისხმობს გარკვეული აზრით საუკეთესო (ოპტიმალური) გადაწყვეტილების ამორჩევას (მაგალითად, მოგების მაქსიმუმი, დანახარჯების მინიმუმი, გარკვეული ოპერაციის ჩატარებისათვის საჭირო დროის მინიმუმი და ა.შ.). შესაბამისი მათემატიკური მოდელებიც ძალიან ხშირად ოპტიმიზაციის ამოცანებია. ისეთ ოპერაციებში, სადაც მრავალი ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმს ვეძებთ და ცვლადები გარკვეულ პირობებს (შეზღუდვებს) აკმაყოფილებენ, ამოცანების მოდელირებისათვის ძირითადად გამოიყენება მათემატიკური პროგრამირების მეთოდები.

მიზნობრივი ფუნქციისა და შეზღუდვების სტრუქტურის მიხედვით შეიძლება მივიღოთ წრფივი, არაწრფივი, დინამიკური, დისკრეტული

(მთელრიცხვა), სტოქასტური პროგრამირების ამოცანები. ოპტიმალური (თუ ეს შესაძლებელია) ან მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოიყენება ცნობილი ალგორითმები (თუ ასეთი არ არსებობს, უნდა დამუშავდეს ახალი). როგორც წესი, პრაქტიკულ ამოცანებში ცვლადებისა და შეზღუდვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ამიტომაც კომპიუტერის როლი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში ძალიან მნიშვნელოვანია.

მათემატიკური პროგრამირების მეთოდებს შორის ყველაზე კარგად დამუშავებულს წარმოადგენს წრფივი პროგრამირების ამოცანების ამოხსნის მეთოდები.

წრფივი პროგრამირების ამოცანები შეიძლება სხვადასხვა სახით დაისვას, მაგრამ ყველა ამოცანა, რომელზეც დაიყვანება ნებისმიერი ეკონომიკური ან ტექნიკური ამოცანა, შეიძლება გავაერთიანოთ წრფივი პროგრამირების ერთ ზოგად ამოცანაში.

ავაგოთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი მცირე საწარმოსთვის (კონკრეტული მაგალითი და მონაცემები მოყვანილია ქვემოთ) და მიღებული მოდელის საფუძველზე ვიპოვოთ წრფივი პროგრამირების ამოცანის ოპტიმალური ამონახსნები.

დავუშვათ, მოცემული გვაქვს მცირე საწარმო, რომელსაც რესურსების სახით გააჩნია 120 გრძივი მეტრი ფიცარი, 100 გრძივი მეტრი ლატანი და 64 კვ.მ დიქტი. ამ მასალებისგან საწარმოს შეუძლია დაამზადოს მაგიდები და კარადები. თითოეული მაგიდის დამზადებას ესაჭიროება: ფიცარი – 12 გრძივი მეტრი, ლატანი – 5 გრძივი მეტრი და დიქტი – 5 კვ.მ. თითოეული კარადის დამზადებას ესაჭიროება: ფიცარი – 4 გრძივი მეტრი, ლატანი – 10 გრძივი მეტრი და დიქტი – 6 კვ.მ. ერთი მაგიდა ღირს – 80, ხოლო ერთი კარადა – 50 ლარი.

წარმოების ოპტიმალური მართვის ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: რამდენი დავამზადოთ თითოეული სახის პროდუქცია ისე, რომ არ გადავაჭარბოთ არსებულ რესურსებს და საწარმომ მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი. დასმული ამოცანა დავიყვანოთ წრფივი პროგრამირების ამოცანამდე. ჯერ ამოცანა წარმოვადგინოთ ზოგადი სახით, ამისათვის შემოვიღოთ აღნიშვნები.

განვიხილოთ ნებისმიერი სახის წარმოება. დავუშვათ, რომ მოცემული წარმოება უშვებს $n$ რაოდენობის პროდუქციას, რომლისთვისაც საჭიროა $m$ რაოდენობის რესურსი. ამასთან ცნობილია თითოეული სახის პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად საჭირო რესურსების რაოდენობა, ე.ი. ნორმა, რომელიც აღვნიშნოთ $a_{ij}$-ით, სადაც $i=(1,..,m)$, $j=(1,..,n)$. $a_{12}$ – ეს არის ნორმა I სახის რესურსისა, რომელიც საჭიროა II სახის პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად. ზოგადად $a_{ij}$ – ეს არის ნორმა $i$-ური სახის რესურსისა, რომელიც საჭიროა $j$-ური სახის პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად. $c_j$-ით აღვნიშნოთ $j$-ური სახის პროდუქციის ერთეულის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება, $b_i$ – $i$-ური რესურსის რაოდენობა, რომელიც წარმოებას აქვს, $x_j$ – პროდუქციის რაოდენობა, რომელიც წარმოებამ უნდა დაამზადოს. მაშინ $X(x_1, x_2,..., x_n)$ იქნება წარმოების მთლიანი გეგმა. ცხადია, რომ წარმოებას სურს შეადგინოს ისეთი გეგმა, რომელიც მოცემული რესურსების გამოყენებით მას მისცემს მაქსიმალურ მოგებას, ე.ი. უნდა განვსაზღვროთ ეფექტურობის კრიტერიუმი ან მოცემული ამოცანის მიზნობრივი ფუნქცია.

ჩვენი აღნიშვნის თანახმად ცნობილია $c_j$, მაშინ $c_1x_1$ იქნება $x_1$ რაოდენობის I სახის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება. ასევე $c_nx_n$ არის $x_n$ რაოდენობის $n$-ური სახის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება. თუ შევკრებთ $c_jx_j$-ს, მივიღებთ მიზნობრივ ფუნქციას, ანუ ეფექტურობის კრიტერიუმს

$$F= c_1x_1+ c_2x_2+...+ c_jx_j+...+ c_nx_n \text{ ანუ}$$

$$F=\sum_{j=1}^{n} c_j x_j \qquad (1)$$

წარმოებას აინტერესებს ისეთი $X(x_1, x_2,..., x_n)$ გეგმის შედგენა, რომ ერთი მხრივ, მიზნობრივმა ფუნქციამ (1) მიიღოს მაქსიმალური მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ, არ გადააჭარბოს არსებულ რესურსებს. ე.ი. $x_j$ ცვლადებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი უტოლობები:

$$a_{i1}x_1 + a_{i2}x_2 + ... + a_{in}x_n \le b_i, \; i = 1,2,...,m \qquad (2)$$

რადგანაც $x_j$ აღნიშნავს დამზადებული პროდუქციის რაოდენობას, ამიტომ $x_j$ რიცხვების მნიშვნელობები არ შეიძლება იყოს უარყოფითი, ეს არის ეკონომიკური ხასიათის შეზღუდვა.

File Edit View Module Format Tools Window Help

Objective: Maximize / Minimize

Instruction: Enter the value for constraint 3 for rhs. A

| | X1 | X2 | | RHS | Equation form |
|---|---|---|---|---|---|
| Maximize | 80 | 50 | | | Max 80X1 + 50X2 |
| Constraint 1 | 12 | 4 | <= | 120 | 12X1 + 4X2 <= 120 |
| Constraint 2 | 5 | 10 | <= | 100 | 5X1 + 10X2 <= 100 |
| Constraint 3 | 5 | 6 | <= | 64 | 5X1 + 6X2 <= 64 |

***სურ.1. საწყისი მონაცემების შესატანი ფორმა***

მივიღებთ *m+1* უტოლობისაგან შემდგარ სისტემას, რომელიც წარმოადგენს წრფივი პროგრამირების ამოცანის შეზღუდვების სისტემას:

$$\begin{cases} a_{11}x_1 + a_{12}x_2 + \ldots + a_{1j}x_j + \ldots + a_{1n}x_n \le b_1 \\ a_{21}x_1 + a_{22}x_2 + \ldots + a_{2j}x_j + \ldots + a_{2n}x_n \le b_2 \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ a_{m1}x_1 + a_{m2}x_2 + \ldots + a_{jn}x_j + \ldots + a_{m}x_n \le b_m \end{cases} \quad (3)$$

თუ $x_j=0$, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული სახის პროდუქციის გამოშვება წარმოებისათვის არ არის მიზანშეწონილი. საბოლოოდ, თუ შეზღუდვების სისტემას მივუწერთ მიზნობრივ ფუნქციას, მაშინ წარმოების მართვის ამოცანა მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: ვიპოვოთ $x_1, x_2, \ldots, x_n$ ცვლადების ისეთი არაუარყოფითი მნიშვნელობები, რომლებიც დააკმაყოფილებენ (3) უტოლობებს და რომლებისთვისაც (1) მიზნობრივი ფუნქცია მიიღებს მაქსიმალურ მნიშვნელობას. თუ შეზღუდვების სისტემაში და მიზნობრივ ფუნქციაში შევიტანთ კონკრეტულ რიცხვით მაგალითებს, მაშინ მივიღებთ:

$$\begin{cases} \square\square x_1 + 4x_2 \le 120 \\ 5x_1 + \square\square x_2 \le 100 \\ 5x_1 + 6x_2 \le \square\square \end{cases} \quad (4)$$

$$F = \square\square x_1 + 5\square x_2 \rightarrow \max \quad (5)$$

(4) და (5) გამოსახულებაში ყველა დამოკიდებულება არის წრფივი, ამიტომ მოცემული ამოცანა წარმოადგენს წრფივი პროგრამირების ამოცანას. (4) შეზღუდვების სისტემა და (5) მიზნობრივი ფუნქცია წარმოადგენს ამოცანის

Linear Programming Results

<untitled> solution

| | X1 | X2 | | RHS |
|---|---|---|---|---|
| Maximize | 80 | 50 | | |
| Constraint 1 | 12 | 4 | <= | 120 |
| Constraint 2 | 5 | 10 | <= | 100 |
| Constraint 3 | 5 | 6 | <= | 64 |
| Solution-> | 8.9231 | 3.2308 | | 875.3846 |

***სურ.2. ოპტიმალური ამონახსნების გამომავალი ფორმა***

მათემატიკურ მოდელს.

წრფივი პროგრამირების ამოცანებში მათემატიკური მოდელის აგების შემდეგ მოიძებნება ოპტიმალური ამონახსნები, რომლისთვისაც გამოიყენება სიმპლექსმეთოდი. ამისათვის გამოვიყენოთ "Pom For Windows" პროგრამული პაკეტი, რომელშიც ჩადებულია სიმპლექსმეთოდის ალგორითმი. გამოვიძახოთ საწყისი მონაცემების შესატანი ფორმა და ამოცანის მათემატიკური მოდელიდან მასში შევიყვანოთ საწყისი მნიშვნელობები (სურ. 1).

შემდეგ მოვახდინოთ ფორმის რეალიზაცია, ამისათვის დავაჭიროთ ღილაკს "Solve", რის შემდეგაც გამოჩნდება გამომავალი ფორმა, სადაც მოცემულია ოპტიმალური ამონახსნები (სურ. 2).

სურ.2-დან ჩანს შემდეგი: იმისათვის, რომ წარმოებამ მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი, უნდა დაამზადოს I სახის პროდუქტი – 9 ცალი, II სახის პროდუქტი – 3 ცალი, ხოლო მოგება იქნება – 875.38 ლარი.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოების მართვის პროცესში ობიექტის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური დაგეგმვისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. ეკონომიკური ამოცანა წარმოდგენილი უნდა იყოს მათემატიკური განტოლებების, უტოლობებისა და ზღვრული ფუნქციის ექსტრემუმის (მაქსიმუმი ან მინიმუმი) სახით, სადაც ყველა პირობა იქნება დაცული თავისი შეზღუდვებით.

ამგვარად, ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, ნებისმიერი ეკონომიკური ამოცანისათვის, თავდაპირველად აუცილებელია აიგოს ეკონომიკურ-მთემატიკური მოდელი ისეთი სტრუქტურით, რომელიც მოიცავს შეზღუდვების სიტემებს, მიზნობრივ ფუნქციას და ოპტიმალურობის კრიტერიუმებს, ხოლო შემდეგ უნდა განხორციელდეს მისი პრაქტიკული რეალიზაცია პროგრამული პაკეტის დახმარებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი, გ. (1998). შონია ო., ქართველიშვილი ი. ოპერაციათა კვლევა. სტუ, თბილისი.
2. გოგიჩაიშვილი, გ. (2004). შონია ო., ქართველიშვილი ი. ავტომატიზებული მართვის მოდელები. სტუ, თბილისი.
3. ქართველიშვილი, ი., შონია, ო., ნადირაშვილი, ვ. (2015). წრფივი პროგრამირების ამოცანების ოპტიმალური ამონახსნების მოძებნა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენებით. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა" №1-2, თბილისი.

# Finding Optimal Solutions for the Task of Linear Programming on the Basis of Working of Small Enterprise

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.040

**Ioseb Kartvelishvili**
Doctor of Technics,
European Teaching University Associate Professor

**Tea Todua**
Doctor of Technics,
European Teaching University Professor

**Key words:**
LINEAR PROGRAMMING, OPTIMAL SOLUTIONS

## Summary

Solution of the task of optimization is the major for all fields of activity of the person. In this article there are considered questions of use of economic-mathematical model of object in an enterprise management process for its effective planning and adoption of optimal solutions. For small enterprise the economic-mathematical model is constructed and by means of a software package of "Pom For Windows" optimal solutions for a task of linear programming are found.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# მეწარმეობის ეკოლოგიური ორიენტაციის ძირითადი მიმართულებები

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.041

**შოთა შაბურიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
ბიზნესი, ეკოლოგია, გარემოს დაცვა

მსოფლიო საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ნაწილი თანხმდება, რომ ეკოლოგია XXI საუკუნის ცენტრალური პრობლემაა. ამ ფონზე, ბიოსფერული წონასწორობის დარღვევაში მთავარ ექვმიტანილს ბიზნესი წარმოადგენს, რაც, ბუნებრივია, კარდინალურად ცვლის არსებულ შეხედულებებს ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიური შემადგენლის მიმართ და საწარმოებს უბიძგებს გარემოზე ზრუნვა თავისი სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტად აქციონ. 2015 წელს პარიზში გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ისტორიულ საყოველთაო შეთანხმებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, მიაღწიონ 17 რეალურ შედეგს მომავალი 15 წლის განმავლობაში, რაც წარმოუდგენელია მეწარმეობის ეკოლოგიური ორიენტაციის ამაღლების გარეშე [5].

თანამედროვე მეწარმეობის ეკოლოგიზაციის პროცესზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ეკოლოგიური მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში შეჭრა და ახალი ფასეულობების ფორმირება, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე გლობალური მოთხოვნის ზრდაში ვლინდება. „ბინძურ" ტექნოლოგიებზე მომუშავე და გარემოსათვის სახიფათო საგნების მწარმოებელი ფირმები სულ უფრო ხშირად იმსახურებენ საჯარო გაკიცხვას და განიცდიან ბოიკოტს მომხმარებლების მხრიდან, რითაც კარგავენ როგორც საგარეო, ასევე საშინაო ბაზრებს. თანამედროვე მომხმარებლები, როგორც წესი, უარს ამბობენ შეიძინონ ისეთი საქონელი, რომელიც:

- უარყოფით გავლენას ახდენს უშუალოდ მომხმარებელის და მის გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობაზე;
- ზიანს აყენებს გარემოს წარმოების, გამოყენების, ან უტილიზაციის (განადგურების) პროცესში;
- მოიხმარს დიდი რაოდენობით ენერგიას და ბუნებრივ რესურსებს წარმოების, გამოყენების, ან უტილიზაციის პროცესში;
- წარმოშობს არასასურველ ნარჩენებს გადამეტებული შეფუთვის ან ვარგისიანობის მცირე ვადის გამო;
- დამზადებულია გადაშენების პირას მყოფი ცხოველების ტყავის ან ხორცისაგან.

თანამედროვე საწარმოების ეკოლოგიურ ორიენტაციაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანიზაციების მხრიდან გარემოს დაცვაზე მოთხოვნების გამკაცრება. ბიზნესის ეკოლოგიური რეგულირების ინსტრუმენტს

განეკუთვნება ადმინისტრაციული (სპეციალური სტანდარტებისა და ნორმების დაწესება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემა, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სერთიფიკაციის სისტემების გამოყენება და ა.შ.) და ეკონომიკური (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე გადასახადების დაწესება, ჯარიმები ეკოლოგიური კანონმდებლობის დარღვევაზე, დაზღვევის სისტემის დანერგვა და სხვა) მეთოდები. თანამედროვე პირობებში საქართველოში ფუნქციონირებს ათეულობით ეკოლოგიური კანონი, რაც არეგულირებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაბინძურების ნორმებს ქვეყანაში. ამ მხრივ, ეფექტიანად ფუნქციონირებს ეკოსისტემაზე ზედამხედველობის პოლიციური მექანიზმიც, რომელმაც ბოლო წლებში ძირეული ცვლილება განიცადა.

ამასთან, თანამედროვე ბიზნესის სამყარო ეკოლოგიური ზედამხედველობის პირდაპირი მეთოდებიდან საბაზრო მართვის მექანიზმებზე გადადის. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ის გამოცდილება, სადაც ცალკეულ საწარმოებს გადაეცათ გარემოს დაბინძურების უფლება. მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: ეკოლოგიური ზედამხედველობის ორგანოები ფირმებს უმტკიცებენ დასაშვები დაბინძურების კვოტებს, რაც დამოკიდებულია წარმოების ტიპსა და მასშტაბებზე. თუ საწარმო, ნებაყოფლობით, ლიმიტზე დაბლა შეამცირებს ეკოლოგიური დაბინძურების დონეს, მას ეძლევა შესაძლებლობა კვოტის დარჩენილი ნაწილი სხვას მიჰყიდოს. დღეს უკვე სერიოზულად განიხილება დაბინძურების უფლებების ეროვნული და მსოფლიო ბაზრების შექმნის საკითხი, რადგან უკანასკნელი ფირმებს ასტიმულირებს უფრო სწრაფად გაატარონ ეკოლოგიური რეფორმები.

მეწარმეობის ეკოლოგიური ორიენტაციის კიდევ ერთი ფაქტორია საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების (ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საპენსიო ფონდები და ა.შ.) მიერ კლიენტების შერჩევისას გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომები. ასეთი დიფერენცირების კრიტერიუმს, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს კონკრეტული პროექტის ეკოლოგიური რისკის დონე. მაგალითად, ბანკები, როგორც წესი, თავს არიდებენ მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე პროექტების დაფინანსებას.

სწორედ აღნიშნულ ინტერესთა ჯგუფების ზემოქმედება განაპირობებს ეკოლოგიური ფაქტორებიდან მომდინარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინების აუცილებლობას თანამედროვე საწარმოებში. ამასთან, შესაძლებლობები შეიძლება უკავშირდებოდეს: ახალი ბაზრების ათვისებას; კონკურენტული პოზიციების გაუმჯობესებას; საზოგადოებრივ აღიარებას; წარმოების ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას; ბუნებრივ რესურსებზე უპირატეს ხელმისაწვდომობას; ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას; გარემოს დაბინძურებაზე არსებული გადასახდელების შემცირებას.

რაც შეეხება საფრთხეებს, ისინი შესაძლებლობების საპირისპიროა და შეიძლება უკავშირდებოდეს: გაყიდვების მოცულობის შემცირებას; ბაზარზე კონკურენტული პოზიციის დაკარგვას; უარყოფით იმიჯს საზოგადოებაში; მოძველებულ წარმოების ტექნოლოგიებს და რესურსების არაეფექტიან გამოყენებას; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე ლიცენზიის შეჩერებას; საკრედიტო ინსტიტუტებთან ურთიერთობების გართულებას; სამართლებრივი, მატერიალური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომას.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, საქართველოს საქმიან წრეებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა საწარმოების ეკოლოგიურ ორიენტაციას, მაშინ როდესაც უცხოური გამოცდილება და ამ მიმართულებით არსებული გამოკვლევები მეტყველებს, რომ საქმიანი წრეების მხრიდან გარემოზე ზრუნვის აქტივიზაცია ზრდის არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ ცალკეული დარგისა და კონკრეტული საწარმოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი ღონისძიებების დადებითი ეფექტი აშკარაა, თუმცა, ყოველთვის არ გააჩნია ზუსტი ფულადი შეფასება. ისეთი ბუნებრივი რესურსების მარაგი, როგორიცაა ტყე, ნავთობი და სასარგებლო წიაღისეული, სათანადო ასახვას ვერ ჰპოვებს ცალკეული სახელმწიფოების საბაზო სააღრიცხვო სისტემებში. რაც შეეხება ეკოლოგიური დაბინძურების ხარისხს, მისი რაოდენობრივი შეფასება გაცილებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, გარემოზე ზრუნვის შედეგები ცხოვრების

ხარისხის, ადამიანების დღეგრძელობის, რეკრეაციული შესაძლებლობების გაუმჯობესე-ბასა და სოფლისმეურნეობის ჰარმონიულ გან-ვითარებაში შეიძლება დავინახოთ.

მრეწველობის ცალკეული დარგების დონეზე გარემოსდაცვითი ღონისძიებების აქტივიზა-ციის დადებითი შედეგი გაცილებით მაღალია პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში. მაგალითად, ფოლადჩამომსხმელ დარგს, მიუხედავად შედარებით მაღალი დანახ-არჯებისა, რომელიც საჭიროა ეკოლოგიური სტანდარტების დაცვისათვის, შეუძლია მიიღოს არსებითი სარგებელი რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვით, მანქანათმშენებ-ლობას – ეკონომიური მოდელების შემუშავე-ბით. თუმცა, მთელი რიგ „ბინძურ“ დარგში (სამთო-მომპოვებელი, ქიმიური, ნავთობგადამ-ამუშავებელი) კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ეკოლოგიური ნორმების დაცვით გა-ცილებით პრობლემატურია. ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ თანამედროვე მეტალურგიული საწარმოს შექმნისას გამწ-მენდი მოწყობილობები დაახლოებით იმდენივე ინვესტიციებს საჭიროებს, რასაც ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები. მსგავს დარგებში ეკოლოგიური მოთხოვნების სრულყოფილი დაცვა პროდუქციის ერთეულზე დანახარჯებს საშუალოდ 30-40%-ით ზრდის.

გარემოს დაცვზე ორიენტირებულ საქმი-ანობას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ცალკეული საწარმოებისთვისაც. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს:

- ეკონომია, დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების და ენერგიის მოხმარე-ბის მასშტაბების შემცირებასთან, ასევე ჯარიმების და გარემოს დაბინძურებაზე გადასახდელების შემცირებასთან;
- ამონაგების ზრდა, ერთი მხრივ, ეკოლოგი-ურად სუფთა პროდუქციის უფრო მაღალ ფასად გაყიდვით და მეორე მხრივ, უფრო მეტი პროდუქციის გაყიდვით;
- საგარეო ბაზარზე საიმედო გასვლა;
- შეღავათიან პირობებში ფინანსური რე-სურსების მიღება.

ექსპერტები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მსოფლიო ბაზარს აფასებენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ტევადსა და სწრაფად მზარდს. ასევე დიდ იმედებს იძლევა სამეცნიერო გამოკვლევები „მწვანე“ ტექნო-ლოგიების დარგში. შესაბამისად, საწარმოები, რომლებიც სხვებზე ადრე გააცნობიერებენ თავის ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგი-აში ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინე-ბასთან დაკავშირებულ ახალ შესაძლებლობებს, მნიშვნელოვნად გაიმარტივებენ კონკურენ-ტული უპირატესობის მოპოვებას როგორც ადგილობრივ, ასევე საგარეო ბაზარზე.

საწარმოს გარემოს დაცვაზე ორიენტირე-ბული საქმიანობის ყველა მიმართულება შეიძლება 3 ჯგუფში გავაერთიანოთ:

- ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც მთლიანობაში მოიცავს ეკოლოგიური მე-ნეჯმენტის სისტემის ფორმირებას (კადრე-ბის ეკოლოგიური მომზადება, პერსონალის ინფორმირება და მოტივირება გარემოს დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით, ეკოლოგიური მონიტორინგის სისტემის განვითარება და ა.შ.);
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთისაკენ მიმართული საქმიანობა (ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების სრულყოფა, ეკოლ-ოგიურად სუფთა ნედლეულის და მა-სალების გამოყენება, წუნის შემცირება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება, დახუ-რული საწარმოო ციკლის ორგანიზაცია, პროდუქციის შეფუთვისას ზომიერების დაცვა და ა.შ.);
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორება (დაბინძურებული ჰაერის და წყლის გაწმენდა, ნარჩენების გადამუშავება და გამოყენება, ნარჩენების განადგურება, მავნე ნივთიერებების გამოყოფაზე მონი-ტორინგი და სხვა.).

სტრატეგიული ალტერნატივები, რომელიც შეიძლება გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართულ ფირმას გააჩნდეს, საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა, შესაძლებელია მათი ერთგვაროვანი ჯგუფების გამოყოფაც. საწარმოს სტრატეგიის ეკოლოგიური შემადგენლის საფუძველზე განასხვავებენ სამ მიდგომას. პირველში გადამ-წყვეტია ეკონომიკური ინტერესები და გულისხ-მობს გარემოზე ზრუნვას მხოლოდ იმ დოზით, რასაც ადგილობრივი და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოები ითხოვენ. ასეთ მიდგომას შეიძლება ვუწოდოთ თავდაცვითი ეკოლოგიური სტრატეგია. მეორე შეიძლება

დავახასიათოთ, როგორც შეტევითი ეკოლოგიური სტრატეგია. ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ინტერესებზე დომინირებს ეკოლოგიური მიზნები, რაც საკმაოდ რთულად განსახორციელებელია მკაცრი კონკურენტული გარემოს პირობებში. მესამე მიდგომის საფუძველი კომპლემენტარული სტრატეგიაა, რომელიც შეტევითი და თავდაცვითი სტრატეგიების სინთეზს წარმოადგენს. აქ გარემოს დაცვაზე ორიენტირებული საქმიანობა განიხილება, როგორც ეკოლოგიური შემადგენლის გაუმჯობესების და იმავდროულად კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ძირითადი წყარო.

ამგვარად, ქართულ ბიზნესსა და საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საქმიან წრეებში გაბატონებული მოსაზრება საწარმოს ეკოლოგიური ორიენტაციის სიმძიმის და ხარჯიანობის შესახებ, გამოუსადეგარია ბიზნესის თანამედროვე კონცეფციის პირობებში, რომელიც ფირმის საქმიანობაში ეკოლოგიური კომპონენტის ზრდას განიხილავს არა როგორც განვითარების შემაფერხებელს, არამედ როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების ახალ საშუალებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარემოს ობიექტების ხარისხობრივი მდგომარეობა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სოციალური პრობლემა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი (2006) №100, დეკემბერი.
2. Singh, P.B., Kamal, K. & Pandey, K.(2012) Green Marketing: Policies and Practices for Sustainable Development, Integral Review - A Journal of Management, 5(1).
3. Внешнеэкономическая деятельность предприятия (2007). Под редакцией Л.Е. Стровского. М.
4. Лучшие инструменты управления компанией, www.v-ratio.ru.
5. Экономический рост и устойчивое развитие, http://www.un.org/ru/sections/priorities/economic-growth-and-sustainable-development/index.html

# The Main Directions of the Ecological Orientation of the Enterprise

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.041

**Shota Shaburishvili**
Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associated Professor

**Key words:**
BUSINESS, ECOLOGY, ENVIRONMENTAL PROTECTION

## Summary

For enterprises nature protection activity is capable to bring set of various economic and strategic benefits. Among them the following are allocated: economy owing to decrease in volumes of the used natural resources and energy, and also reduction of ecological payments and penalties; growth of proceeds due to realization under higher prices of non-polluting production and sale of additional production; reliable output on the foreign markets; simplification of procedures of reception of credits in banks, etc. Those enterprises which before others reveal and take into account new opportunities of use of the ecological factor in the economic strategy, receive conclusive competitive advantages.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

# მცირე საწარმოთა მართვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.042

**ფიქრია წოწკოლაური**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
გლობალიზაცია, მცირე ბიზნესი, მართვის პრობლემები

მცირე ბიზნესს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას განაპირობებს, მცირე და საშუალო საწარმოები სამუშაო ადგილებს ქმნიან, უმუშევრობის დონეს ამცირებენ, ხელს უწყობენ საშუალო ფენის შექმნას. გარდა ამისა, მცირე საწარმოები სწრაფად რეაგირებენ გარემოს ცვლილებებზე. თავის მხრივ საინვესტიციო გრაემოს ცვლილებაც მომენტალურად აისახება აღნიშნული საწარმოების განვითარებაზე. ამდენად მცირე საწარმოთა საქმიანობა უფრო მობილურია და ეფექტიანობის თვალსაზრისით მოკლე პერიოდში კარგ შედეგს იძლევა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის რაც მცირე ბიზნესისთვის ხელშემწყობი პირობებია, შეიძლება ასევე ამ სფეროს განვითარების ბარიერებად გადაიქცეს. შემდეგ კი ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი დაბრკოლება გახდეს.

მცირე საწარმოთა საქმიანობას საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სახელმწიფო კანონები არეგულირებს. კანონები განსაზღვრავს საწარმოთა სტატუსს, მართვის ფორმას, საქმიანობის რეგულირების პირობებს, საფინანსო და საგადასახადო პირობებს და ა.შ. მცირე საწარმოთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონის „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" გაუქმების შემდეგ მცირე საწარმოთა საქმიანობას არეგულირებს კანონი "საქართველოს ეროვნული საინესტიციო სააგენტოს შესახებ". ამ კანონშიც და კანონშიც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესახებ" მცირე ბიზნესის შესახებ მოცემულია განმარტებები, რაც ძალიან ხშირად დისკუსიის საგანი ხდება.

ხშირი ინსტიტუციური ცვლილებები ბიზნესის ხელშემშლელია, მცირე ბიზნესისთვის კი ის ბარიერი ხდება. მცირე საწარმოთა კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად იცვლება საწარმოთა სტრატეგიული მიმართულებებიც, რაც ხშირ შემთხვევაში სტრატეგიის რადიკალურ ცვლილებებას მოითხოვს. აღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს გამართულ ფუნქციონირებაში. სრულყოფას საჭიროებს საგადასახადო კანონმდებლობაც. საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოცემული მცირე საწარმოთა განმარტებაც მხოლოდ იმ საწარმოებს ეხება, რომელსაც თვითდასაქმებადი მეწარმეები ამუშავებენ.

გლობალიზაციის პროცესმა სრულიად შეცვალა ბიზნესის განვითარების მიმართულებები. მოსაზრება, რომ გლობალიზაცია

ეროვნულ ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს სწორედ მცირე ბიზნესისადმი დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობს. ასეთ პირობებში მცირე და საშუალო საწარმოთა მენეჯმენტს ერთადერთი გამოსავალი აქვს - შეიცნოს ის შესაძლებლობები და განსაზღვროს მათი გამოყენების მიმართულებები. ეს კი მნიშვნელოვნად ცვლის საწარმოთა მენეჯმენტისადმი მოთხოვნებს.

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა მცირე და საშუალო საწარმოთა შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების მიმართულებით. გაჩნდა საწარმოთა სტრუქტურული ცვლილების საჭიროება, კადრების მომზადების - როგორც მენეჯერული კადრების, ასევე მთლიანად პერსონალის - მომზადებისა და გადამზადების სისტემის ახალი სტანდარტების შესაბამისად ფორმირება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ამოქმედების საჭიროება. ამ ყოველივემ, რა თქმა უნდა, დიდად შეცვალა ბიზნეს გარემო ქვეყანაში, როგორც მთლიანად ბიზნესისათვის, ასევე მცირე საწარმოებისათვის.

ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). ეს შეთანხმება ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია და მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს, ქართულ საწარმოებს უხსნის ევროკავშირის ბაზარს. ხელშეკრულება მცირე ბიზნესს კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს და ამასთან, გამოწვევების წინაშეც აყენებს. გამოწვევები, თავის მხრივ, გულისხმობს ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას. აღნიშნული კიდევ უფრო ამწვავებს ზემოაღნიშნულ საკითხებს და აძლიერებს ბარიერებს.

საქართველოში ეკონომიკის მასშტაბების ზრდის მიუხედავად მცირე ბიზნესის განვითარების ტემპი ძალიან დაბალია. მართალია, ბოლო წლებში ბიზნესის დაწყების პირობები გამარტივდა, მაგრამ საწარმოთა რაოდენობა დიდად არ გაზრდილა. შემუშავდა მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პილიტიკაც, მაგრამ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მცირე და საშუალო საწარმოების წილი კვლავ 20%-ზე ნაკლებია.

გამოკვლეებით დადგენილია, რომ მცირე საწარმოთა დიდი რაოდენობაა ბიზნეს სექტორში და ყველაზე ნაკლები მრეწველობაში. შესაბამისად, ბიზნესის სფეროს მთლიანი ბრუნვის მოცულობაში მცირე საწარმოთა წილი 2010-2015 წლებში 7-9%-ია, ხოლო მრეწველობაში 5-6%. ამავე პერიოდში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანად დასაქმებულთა რაოდენობაში 20-23%-ია, ხოლო მრეწველობაში დასაქმებულთა – 17-19%. საკმაოდ დაბალია ექსპორტის მაჩვენებელი და ინოვაციური საქმიანობის კოეფიციენტი. ყოველივე ეს მცირე საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიის უქონლობაზე მიანიშნებს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაც და DCFTA-ს ხელშეკრულებაც გულისხმობს ბიზნეს საქმიანობაში ევროპული სტანდარტების დანერგვას. სტანდარტების დანერგვის მიმართულებით საჭიროა მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავება: საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ კანონის შემოღება; უნდა შეიქმნას ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც შეიმუშავებს მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკას; უნდა გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; გამარტივდეს მომსახურების ექსპორტი; მეტი ყურადღება დაეთმოს კადრების სწავლების და გადამზადების სისტემის ფორმირებას.

მცირე და საშუალო საწარმოები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ექსპორტზე. არ გააჩნიათ საქმიანობაში ინოვაციური პოლიტიკა. რაც სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას და ხელშეწყობას საჭიროებს. მცირე საწარმოთა ექსპორტის ზრდის კარგი პირობებია შემოთავაზებული DCFTA-ს ხელშეკრულებით, რომელიც საწარმოებს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას აძლევს. ექსპორტის განვითარებაზე ზრუნვა მცირე საწარმოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით მათ დასახმარებლად, საექსპორტო წარმოების ზრდისა და კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში შექმნილია საინვესტიციო სააგენტო. თუმცა შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

მცირე საწარმოთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დღეისათვის საფინანსო რესურ-

სების დეფიციტი, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობაა. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის გაფართოებისა და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტირების ზრდის მიზნით. ამ მიმართულებით ორი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი მოქმედებს: პირველი - ეროვნული დანაზოგების დონე დაბალია, რაც ვერ უზრუნველყოფს ინვესტირებისთვის რესურსების საკმარის რაოდენობას, და მეორე - არაეფექტიანია ფინანსური შუამავლობაც, რადგან ვერც ეს უზრუნველყოფს ეკონომიკის ინვესტირებისთვის საჭირო რესურსების აკუმულირებას. ფინანსურ პრობლემებს ამძაფრებს სხვა ფაქტორებიც - ინფლაციის ზრდასთან ერთად საბანკო დაკრედიტებისადმი არცთუ პროფესიული დამოკიდებულება. არც რაიმე ორგანო არსებობს, რომელიც დაეხმარება მეწარმეებს საინვესტიციო და სალიზინგო კაპიტალის მოზიდვაში. არადამაიმედებელი მდგომარეობაა ჩატარებული კვლევების შედეგებისა და ანგარიშების მიხედვით. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების მაჩვენებლით 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლით 126-ე ადგილი. დასახვეწია მცირე საწარმოთა საგადასახადო-ფინანსური აღრიცხვის და კონტროლის პროცედურაც. ამ სახის საქმიანობის ადმინისტრირების პროცედურები მოითხოვს დიდ დანახარჯებს და რაც მთავარია მაღალკვალიფიციურ პერსონალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო საწარმოთა საქმიანობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მთელ რიგ საკითხებთან ერთად კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა წარმოადგენს. დიდი მოთხოვნაა მენეჯერულ კადრებზე, რომელთაც ექნებათ თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობისათვის საჭირო ცოდნა. მოთხოვნაა პროფესიულ პერსონალზეც. როგორც ცალკეული უწყებების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნესის სექტორში ბოლო წლების განმავლობაში იზრდება, რაც არ შეინიშნება წარმოების სექტორში. მიუხედავად ამისა, კვლავ დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემას. ამ მიზნით ქვეყანაში 2013 წელს დაიწყო პროფესიული სწავლების სისტემის რეფორმირების პროცესი. რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოში „პროფესიული განათლების 2013-2020 წწ სტრატეგიით" გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმირების განხორციელებას. მისი მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელსშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს მთლიან ციკლს დაწყებულს შრომის ბაზრის კვლევიდან და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებით დამთავრებულს. რატომ გახდა საჭირო პროფესიული განათლებისადმი ასეთი მიდგომა? პასუხი მარტივია, - ქვეყანაში უკვე გაჩნდა და კვლევებიც ადასტურებენ, რომ არსებობს ძალინ ბევრი დეფიციტური პროფესიები, რომელიც საწარმოებს და განსაკუთრებით მცირე საწარმოებს დიდ პრობლემებს უქმნის საკადრო პოლიტიკის მიმართულებით.

ამრიგად, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა მეტად დროული და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა. ჩვენი მოსაზრებით აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების გატარება საკანონმდბლო და ინსტიტუციური სრულყოფის მიმართულერებით, აუცილებელი და მნიშნელოვანია საექსპორტო შესაძლებლობების ხელშეწყობა, და რაც მთავარია, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის ფორმირება. ასეთი სისტემა თავის მხრივ აამაღლებს სამეწარმეო კულტურას მცირე და საშუალო საწარმოებში. საჭიროა საინფორმაციო სისტემის ფორმირება და მასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებისა და მენეჯერების კონსულტირებისა და მეთოდური დახმარების მიზნით საკონსულტაციო ცენტრის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადვაძე, დ. (2015). მცირე ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოში. თბილისი.
2. ვაშაკიძე, თ. (2009). ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში. თბილისი.
3. მექვაბიშვილი, ე. (2010). მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა (2.07)
4. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები. (www.economy.ge)
5. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესახებ (2014). (www.rs.ge, 9.07)
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. (www.GeoStat.ge)

# Small Enterprise Management Problems in the Process of Globalization

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.042

**Pikria Tsotskolauri**
Doctor of Economics,
Associate Professor St.Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia

**Key words:**
GLOBALIZATION, SMALL BUSINESS, MANAGEMENT PROBLEMS

## Summary

The paper discusses the role and importance of small business in the development of national economy. Issues related to small enterprises functioning generated by the global changes, such as technological innovations, international agreements, and small business regulatory changes in the country etc. as well as requirements under the agreement with European Union on Deep and Comprehensive Free Trade Areas (DCFTA), which offer new opportunities for small enterprises, also described in the paper. Organizational structure of enterprises, innovative activities and retraining of workers are also included.

# გადაწყვეტილებების მიღების თეორიის და პრაქტიკის აქტუალური საკითხები თანამედროვე ბიზნესში

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.043

ევროპული ინტეგრაცია და საქართველო
ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

*საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*

ბიზნესი, ორგანიზაციული სისტემები და მიკროეკონომიკური პრობლემები

**თინა ჯოლბორდი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თბილისის საერთაშორისო აკადემიის ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:**
გადაწყვეტილების მიღება, ბიზნესი, საუნივერსიტეტო სწავლება

გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანი პროცესია ბიზნესმენებისა და ფინანსური მენეჯერებისათვის. თანამედროვე ბიზნესში გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ ბიზნესის წარმატება ძირითადად დამოკიდებულია გადაწყვეტილებების მიმღები პირების კვალიფიკაციასა და უნარებზე. ამდენად, ბიზნესში თანდათან უფრო აქტუალური ხდება გადაწყვეტილების მიღების თეორიის გამოყენება პრაქტიკაში. შესაბამისად, უნდა შეიქმნას სათანადო თეორიული ბაზა ამ საკითხების დასამუშავებლად. ამ თვალსაზრისით გაჩნდა სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები გადაწყვეტილების მიღების დისციპლინაში, შემუშავდა გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია და მეთოდიკა.

ბიზნესის ძირითადი სირთულეა რესურსების შეზღუდულობა, რაც ითხოვს ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებას და მათგან ყველაზე ოპტიმალურის შერჩევას. ამიტომ ოპტიმალური გადწყვეტილების მიღება დამოკიდებულია მენეჯერების არა მხოლოდ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე, არამედ გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიის ცოდნასა და გამოყენების უნარზე.

გადაწყვეტილების მიღების თეორია განიხილება ოთხ სხვადასხვა დონეზე, როგორიცაა:

1) ფილოსოფია,
2) გადაწყვეტილების ბაზა,
3) გადაწყვეტილების მიღების პროცესი,
4) გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია.

თითოეულ დონეზე პრობლემის ფოკუსირება და მათი განსაზღვრა ხდება სხვადასხვა ასპექტებით.

შესაბამისად, ქართულ ენაზე გამოჩნდა სათანადო ლიტერატურა "გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში" (ავტორი რუიზან მექვაბიძე - ქართულ-პოლონური გაცვლითი პროგრამის პროექტი), რომელშიც წარმოდგენილია შესავალი გადაწყვეტილების მიღების დისციპლინაში, ასევე განხილულია გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები.

განვითარებული ქვეყნების ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში დიდი ხანია გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი ექსპერტისა და კონსულტანტის, ჰარვარდის ბიზნეს - სკოლის დოქტორის, კორპორაციის "Grown Zellebach Gorporation" პრეზიდენტის შრომები ფინანსურ მენეჯმენტსა და ფინანსურ ანალიზში, სადაც ასახულია კავშირი ფინანსურ კონცეფციებსა და ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს შორის, წარმოდგენილია მჭიდრო კავშირი სამ-

მართველო გადაწყვეტილებებსა და ფინანსურ შედეგებს შორის. მის წიგნში "ფინანსური ანალიზის ტექნიკა" მნიშვნელოვანია ბიზნესის სისტემურად აღქმა. ბიზნესი წარმოდგენილია, როგორც სამმართველო გადაწყვეტილებებით გამოწვეული ფინანსური რესურსების მოძრაობის ურთიერთდაკავშირებული დინამიური სისტემა, რომლის წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია მენეჯერთა გუნდის უწყვეტ, თანმიმდევრულ და გონივრულ გადაწყვეტილებებზე. მენეჯერების გადაწყვეტილებების ხარისხზეა დამოკიდებული ბიზნესის წარმატება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საწარმოს მართვის პროცესი ეკონომიკურ გადაწყვეტილებების სერიაა, რომელიც იწვევს რესურსების მოძრაობას და უზრუნველყოფს ბიზნესს გონივრული გადაწყვეტილებებით.

მენეჯერთა მიერ ფინანსური საკითხების განხილვის სიღრმე, მიმართულება და გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია ინფორმაციის მომხმარებელთა თვალსაზრისზე. ბიზნესში საქმიანი გადაწყვეტილებები მიიღება სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში: 1) ინვესტიციები, 2) საწარმოო საქმიანობა და 3) დაფინანსება. თითოეული სეგმენტის ეფექტიანობა განისაზღვრება ცალ-ცალკე.

ინგლისელი მეცნიერები რუთ ა. შმიდტი და ჰელენ რაიტი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გადაწყვეტილებების მიღების თეორიასა და პრაქტიკას. მათ სახელმძღვანელოში "მარკეტინგის ფინანსური ასპექტები" საინტერესოდაა წარმოდგენილი ბიზნესის ლოგიკური თანმიმდევრობა და გადაწყვეტილებების მიღების ალტერნატივების განხილვა. მათი გამოკვლევა იწყება ბიზნესის საინფორმაციო ბაზით – ფინანსური ანგარიშგებით, ფინანსური კოეფიციენტების ანალიზით და პროგნოზირებით, დანახარჯების აღრიცხვით და ხარჯთნუსხის შედგენით, დასრულდება გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკით. მიგვაჩნია, რომ ბიზნესის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სავსებით გამართლებულია, რადგან ბიზნესის და სხვა ეკონომიკური დისციპლნების შესწავლის მეთოდოლოგია და ტექნიკა უნდა ემსახურებოდეს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, ბიზნესის წარმატებას.

ამრიგად, ბიზნესში გადაწყვეტილებების მიღების აქტუალური საკითხები ახალ ამოცანებს უსახავს არა მხოლოდ პრაქტიკულ ბიზნესს, არამედ საუნივერსიტეტო განათლებასაც. მიგვაჩნია, რომ ბიზნესის სასწავლო დისციპლინების კომპლექსური შესწავლა უნდა ემსახურებოდეს იმ თვალსაზრისს, რომ სტუდენტმა მიიღოს სისტემური ცოდნა ფინანსურ დისციპლინებში, შეეძლოთ მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან, უნივერსიტეტებში უნდა დაინერგოს სასწავლო დისციპლინა

"გადაწყვეტილებების მიღების თეორია და პრაქტიკა" თუნდაც სამაგისტრო დონეზე, გაღრმავდეს კავშირი უცხოურ უნივერსიტეტებთან, დაინერგოს მოწინავე მოდელები. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ჯერ კიდევ შესამუშავებელია დისციპლინების კომპლექსი, რომელიც ადექვატურ განათლებას მისცემს სტუდენტს, რათა იყოს წარმატებული პიროვნება თანამედროვე ბიზნესში. თითოეულ სასწავლო დისციპლინას საფუძვლად უნდა დაედოს მარტივი ლოგიკა: უნდა განისაზღვროს მათი პრაქტიკული ღირებულება. ამ მხრივაც საინტერესოა ე. ხელფერტის წიგნი "ფინანსური ანალიზის ტექნიკა", რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი პრაქტიკულობა. მნიშნელოვანია ავტორის პრაქტიკული რჩევები ანალიზური პრობლემის შერჩევის, ანალიზის ტექნიკის და გადაწყვეტილებების მიღების სფეროში.

ამ თვალსაზრისით ე. ხელფერტი ბიზნესს განიხილავს სისტემურად, როგორც ფინანსური რესურსების მოძრაობის ურთიერთდაკავშირებულ დინამიურ სისტემას, რომელშიც წარმოიშობა უამრავი პრობლემა. საინტერესოა მეცნიერის დამოკიდებულება პრობლემის შერჩევის და გადაწყვეტილებების მიღების ასპექტით: მისი აზრით, ბიზნესის პროცესში, როცა ანალიტიკოსი და მენეჯერი ხვდება ფინანსურ პრობლემას, მას შეუძლია, გამოიყენოს ანალიზური პრობლემების ფართო არჩევანი, რათა მიიღოს რაოდენობრივი პასუხი ყველა საკითხზე. ამ ასპექტით ანალიზის ინსტრუმენტის შერჩევა წარმოადგენს ანალიზის მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთან, ანალიტიკოსისთვის საკმარისი არააა ფლობდეს მხოლოდ ანალიზის ტექნიკას, მის მიერ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს პრობლემის გამოკვლევას და განხილვას. კერძოდ, საუკეთესოა ის პროცესი, როცა ანალიტიკოსი იმდენივე დროს ხარჯავს პრობლემის დამუშავებასა და განხილვაზე, რამდენსაც მონაცემებთან მუშაობაზე. მნიშვნელო-

ვანია ე. ხელფერტის რჩევა, რომ რაოდენობრივ ციფრებს და გამოთვლებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მათ პრაქტიკული დანიშნულება გააჩნიათ და მოაქვს მნიშვნელოვანი უკუგება. ამიტომ ის ფაქტი, თუ რაოდენობრივი გამოთვლები რამდენად სარგებლიანია, გამოიკვეთება თვისობრივი მსჯელობის დროს, ანუ უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ეხმარება ანალიზის შედეგები გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. გადაწყვეტილებების მიღების და საკითხების განხილვის სიღრმე და მიმართულება დამოკიდებულია ინფორმაციის მომხმარებლის თვალსაზრისზე, საკითხის შეფარდებით მნიშვნელობასა და ბუნებაზე, ასევე ინფორმაციის საიმედოობაზე.

ფინანსური ანალიზი იწყება მიზნის განსაზღვრით. ამ პროცესში ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების განხილვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რაოდენობრივი შედეგები, რადგან სიტუაციის გაუმჯობესება ხშირად დამოკიდებულია კონკრეტული სიტუაციის სწორად შეფასებაზე.

იმის გამო, რომ მრავალი მაჩვენებლის ცოცხალი დინამიური პროცესია და ნებისმიერი ბუნება განუსაზღვრელია, ხშირად უმჯობესია უპირატესობა მივანიჭოთ პოტენციური სიტუაციების შეფასების ვარიანტს და სიტუაციურ ანალიზს, ვიდრე "ზუსტ" პასუხებს და რიცხობრივ გაანგარიშებებს, რადგან ბიზნესი ცოცხალი დინამიური პროცესია და ნებისმიერი სიტუაცია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ამიტომ აპრობირებული პრაქტიკა ხშირად გამოუსადეგარია ახალი რეალობისადმი და მეორეც, პრობლემის გადაჭრის ალტერნატული გადაწყვეტილებების სიმრავლე შესაძლებლობას იძლევა შეირჩეს უფრო უკეთესი ვარიანტი, ვიდრე ეს იყო არსებულ პრაქტიკაში.

ამგვარად, გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, ფინანსური ანალიზის ტექნიკის გამოყენების მეთოდიკა უკვე არსებობს (ე. ხელფერტი),

თუმცა ამ ასპექტით ბევრი საკითხი კვლავ საჭიროებს შესწავლას და დამუშავებას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ეს მეთოდიკა საინტერესოა არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, არამედ გამოკვლევის თანმიმდევრობით და პრაქტიკული მიდგომებით.

მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილებების მიღების თეორიის და პრაქტიკის საკითხების ამგვარად განხილვა მეტად აქტუალურია და დადებითად წაადგება არა მხოლოდ ბიზნესის თეორიას და პრაქტიკას, არამედ შრომის ბაზარს – ადეკვატური კადრების მომზადების და დასაქმების თვალსაზრისით, ასევე უნივერსიტეტებს – ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას და სამეცნიერო კვლევებს ბიზნესისა და ფინანსების სფეროში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მექვაბიძე, რ. (2014). გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში. (შესავალი). თბილისი.
2. ჟოლბორდი, თ. ჯოლბორდი, თ. სოსელია, მ. (2012). ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი.
3. Ришар, Ж. (1997). Аудит и анализ хозяйтвенной деятелности предприятияю М.: Аудит. ЮНИТИ.
4. Рут, А., Шмидт. Хелен Райт. (2000). Финансовые аспекти маркетинга. М. ЮНИТИ.
5. Хелферт, Е. (1996). Техника финансового анализа. М.: АУДИТ. ЮНИТИ.

# Actual Tasks of Decision Theory and Practice in Modern Business

https://doi.org/10.35945/gb.2016.01.043

**Tina Jolbordi**
Doctor of Economics,
International Academy Associate Professor

**Key words:**
DECISION-MAKING, BUSINESS, UNIVERSITY TEACHING

## Summary

The work deals with actual tasks of Decision Theory and Practice in the process of modern business globalization. Decision making methodology and methods have been used in the theory and practice of the developed countries for a long time.

There is a science direction which studies financial concepts and relationships between governing decisions and financial results. According to the daily decision-making aspect business is discussed as a dynamic system dealing with movement of financial resources and its success is connected to decisions made by managers uninterruptedly, sequentially and successfully. It means that enterprise management process is connected to economic decision series which causes movement of resources and makes business successful.

We consider that a new studying course –"Decision Theory and Practice" should be entered to university curriculum and a complex of studying disciplines should be defined which will give students adequate education to achieve success in modern business. The methodology and techniques of business and other economic disciplines should serve to making optimal financial decisions and successful business. Technological methodology as well as practical aspects should be defined for each studying discipline.

The discussion of Decision Theory and Practice tasks is actual and it will serve business theory and practice positively. It will help labor market to prepare adequate staff and employ them, and it will serve to improve university learning environment and scientific studies.